საქართველ ... ბაჯაღლო და თბი ... ასმული ბადახში

ბ ... ილ ... ბი®

ყოველკვ ... 19 – 25 აგვისტო ... ფასი 1,50 ლარ ... №34(660)

www.tbiliselebi.ge

გვ. 70
რის გამო „დაისაჯა“ ანუკი ქორქია და როგორ ცდილობს ის, რთული ტოქსიკოზის მიუხედავად, მეუღლისთვის სიამოვნების მინიჭებას

გვ. 18
რის გამო ეგონა თავი ზღაპარში მანიკა ასათიანს და რა შანსი არ გამოიყენა მან ცხოვრებაში

გვ. 75
ვინ უკოცნიდა იურმალაში მაკა ზამბახიძეს ხელებს და რა მეტსახელი შეარქვეს რატი დურგლიშვილს

ISSN 1987-569X
9 771987 569002

გვ. 50
რა აკავშირებს მამუკა ონაშვილს თამრო დუდუნიასთან და რატომ გრძნობენ ისინი ერთად თავს კომფორტულად

ჰოლივუდის რომელი ვარსკვლავები ითამაშებენ „ჯინსების თაობაში“ გეგასა და თინას როლებს და რა მოლაპარაკებებს აწარმოებს ნიკა ხომასურიძე კრისტოფერ უოლკერთან

გვ. 22

როგორ გახდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდის ახალი ხელმძღვანელი „ყინულმჭრელი“ და რაზე არ დათანხმდა ის შვედეთის პრემიერ-მინისტრს

გვ. 14

გილოცავთ ფერისცვალებას!

– მიუხედავად იმისა, რომ ამ ზაფხულს ეგვიპტეში გამგზავრებაზე ბევრმა ადამიანმა თქვა უარი, იქ განვითარებული მოვლენების გამო, შენ არჩევანი არ შეცვალე და ხურგადაში შვილთან ერთად წახვედი.

– ხურგადაში თანამშრომლებთან ერთად ვაპირებდი წასვლას, მაგრამ მიმდინარე მოვლენების გამო, ბევრმა უარი თქვა და ტურისტული კომპანიებიდან თანხა უკან გამოიტანეს. რამდენიმე მეგობარი ჩემამდე იყო წასული და მათგან ზუსტად ვიცოდი, რომ იქ არანაირი საშიშროება არ გველოდა. ამიტომ, ეგვიპტეში შვილთან ერთად გავემგზავრე და მართლა ძალიან კარგად დავისვენე. დილით სანდროსთან ერთად ვსაუზმობდი, მერე აუზზე გავდიოდით, მერე ცოტას დავისვენებდით, მერე ვსადილობდით და ისევ აუზზე ვირთობდით თავს. საღამოს ვვახშმობდით და ასე შემდეგ. მოკლედ, რასაც ჰქვია, მართლა დავისვენეთ. თან, ანიმატორებიც იყვნენ და სანდრო კარგად ერთობოდა. ერთადერთი კლუბი იყო სასტუმროში, სადაც მხოლოდ ერთხელ შევედი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მეთქვა სადმე, კლუბშიც ვიყავი-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროში ყველაფერი უფასო გვქონდა, მათ შორის ალკოჰოლური სასმელები, ერთხელაც კი არ დამილევია.

ორ თვეში 29 წლის ვხდები, ამიტომ, მგონი, დროა, უკვე გამოცდილება და ჭკუაც მომემატოს

– შენი შვებულება ამით ამოიწურა თუ კიდევ გეგმავ სადმე წასვლას?

– ტელევიზიაში მოსაწვევი მაჩუქეს და 21-ში ბათუმში მივდივარ 5 დღით ფესტივალზე. მოკლედ, ძალიან ბევრ ჩემს თანამშრომელთან ერთად მივდივარ. ბაკურიანშიც მინდა 10 დღით ბავშვის წაყვანა და ვნახოთ, თუ მოხერხდება ეს, კარგი იქნება.

– ბოლო დროს მთელი „ფეისბუქი“ რომ გადარიე შენი ფოტოებით, რა ხდება?

– მართლა არ მესმის, ასეთი რეაქცია რატომ მოჰყვა ჩემს ფოტოებს. ვინც კი მყავს მეგობრებში შოუ-ბიზნესის წარმომადგენელი, ყველა გოგომ დადო აუზზე გადაღებული ფოტო საცურაო კოსტიუმში. რატომ გახდა ჩემი ფოტოები ასეთი სკანდალური, რატომ ატყდა ასეთი ამბავი და რატომ განიხილავს ამას თითქმის ყველა საიტი, მართლა ვერ გავიგე?! „ფეისბუქში“ მეგობარი არ დარჩენილა, რომ არ მოეწერა: „რას გვერჩი!“ „რატომ გადარიე ეს ხალხი!“ და ასე შემდეგ. ვერ გავიგე, პირველი ვარ, ვინც ასეთი ფოტოები დადო თუ უკანასკნელი? რომელი სექსსიმბოლო მე მნახეს? ალბათ იმიტომ, რომ აქამდე ყოველთვის ვცდილობდი, მოკრძალებულად ჩამეცვა. ერთმა მეგობარმა მომწერა, რას აალაპარაკე მთელი თბილისიო. რომ ვკითხე, ვინ და სად ავალაპარაკე-მეთქი, იმის შემდეგ აღარც შემოსულა „ფეისბუქში“.

– პირად ცხოვრებაში სიახლე ხომ არ გაქვს?

– არა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისეთი უჩვეულო სიმშვიდეა, როგორც არასდროს. ავის მომასწავებელი სიმშვიდე რომ არის ხოლმე, ხომ იცი, განგაშის ზარების ჩამოკვრამდე – აი, ისეთი. მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისმცემლების ნაკლებობას არ განვიცდი, ჯერჯერობით პირად ცხოვრებაში ჩამოყალიბებული მაინც ვერ ვარ. ანუ, მირჩევნია, ვიყო მარტო, ვიდრე მასთან, ვინც ამის ღირსი არ არის.

– ასაკი მოგემატა თუ გამოცდილება?

– ორ თვეში 29 წლის ვხდები, ამიტომ მგონი, დროა, უკვე გამოცდილება და ჭკუაც მომემატოს.

– რომელ კატეგორიას მიეკუთვნები, ვინც საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, თუ სხვისაზე?

– მე იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნები, ვინც სამწუხაროდ, ვერც ერთის შეცდომებზე ვერ სწავლობს. მიუხედავად ამისა, ის მაინც ვიცი, როგორ ადამიანთან არ უნდა დავიჭირო საქმე. მამაკაცს რომ გავიცნობ, უკვე ზუსტად ვხვდები, რას წარმოადგენს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს გამოცდილება მაინც მომცა ცხოვრებამ.

ჩვენი რესპონდენტი წლებია, წამყვანის პროფესიას ითავსებს, იქნება ეს ტელევიზიაში, რადიოში თუ ამა თუ იმ საღამოზე. თამუნა მუსერიძის ცხოვრებაში კიდევ ერთი ახალი პროფერსია გამოჩნდა, ის ერთ-ერთი კლუბის დირექტორად დანიშნეს, რასაც კარგად გაართვა თავი. ბოლო დროს თამუნამ მთელი თბილისი აალაპარაკა, მიზეზი კი მისი „ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნებული, საცურაო კოსტიუმში გადაღებული ფოტოები იყო. რატომ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი და გამოხმაურება ამ ფოტოებმა, თავადაც ვერ ხვდება, თუმცა ფაქტია, რომ თითქმის ერთი თვეა, ამ თემაზე აქტიურად საუბრობენ.

რატომ აღიქვა ხალხმა თამუნა მუსერიძის გამოქვეყნებული ფოტოები სკანდალურად და ვიიჩნევს თუ არა ის საკუთარ თავს სექსსიმბოლოდ

– „ფეისბუქში“ ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ეროტიკული ფოტოებია, ეს ფოტოებიც ასეთ ეფექტს ახდენს?

– ეროტიკული ფოტოებია? ეროტიკული ფოტოებია ეს? ეროტიკული ფოტოებია, ეროტიკული ფოტოებია... ეროტიკული ფოტოებია? ეროტიკული ფოტოებია? ეროტიკული ფოტოებია?

ს ა რ ჩ ე ვ ი

რა ძალები დგას თითოეული საპრეზიდენტო კანდიდატის უკან და რატომ უნდა იყოს დაინტერესებული რუსეთი ნინო ბურჯანაძის გამარჯვებით 6

როგორ გაჭრა დიდი აბრეშუმის გზა ალექსანდრე მაკედონელმა ბერძნული ოპიუმის ჩინურ აბრეშუმზე გადაცვლით და როგორ ეძლეოდნენ ნარკოტიკულ თრობას ბერძენი მეომრები ოპიუმით გაჟღენთილ ორთქლის აბანოებში 8

სად მუშაობს თამარ კორძაიას მეუღლე და რატომ ისტუმრებს ოჯახის ყველა ხარჯს დეპუტატი ქალბატონი 9

როგორ უნდა მოემზადონ ქართველი მეწარმეები ევროკავშირისა და ამერიკის ბაზარზე შესასვლელად და რამდენი დასახელების პროდუქციის შეტანა შეუძლიათ ამჟამად დაბეგვრის გარეშე 10

რომელი სახელით აკურთხებენ ინგლისის მეფედ პრინცი უილიამისა და ქეით მიდლტონის ახალშობილ ვაჟს და ვის პატივსაცემად დაარქვეს მას პრინცი ჯორჯ ალექსანდრ ლუი კემბრიჯელი 12

ყველაზე ცნობილი მილიარდერების ყველაზე ცნობილი შთამომავლები და მათი ბიზნესები.....13

რატომ იყო თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე დივერსანტი და რას გაუკეთა მან ხვრელი 15

ადვოკატი გირჩევთ 16

ინტიმური საუბრები 17

რატომ შეიძლება, აღარ უნდოდეს ქალს ქმრის დანახვა და სად მიდის ოჯახის შექმნის შემდეგ სიყვარული 20

რა მოხდა 2008 წელს ბორჯომში და რატომ ეძებს დედა შვილს მონასტერში 21

რით დარჩა გაკვირვებული თბილისში სტუმრად მყოფი ალექსანდრე დიუმა და ვინ გახსნა პირველი სასტუმრო თბილისში 1818 წელს.....23

რა ეხმარება ადამიანს სულის განწმენდასა და ფერისცვალებაში და როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი თავსდატეხილი განსაცდელების დროს 24

მოძღვარი გვირჩევს 25

ექიმის რჩევები 29

რატომ მიუყვანა სახლში კახი ასათიანმა დათო ყიფიანს უცნაური სტუმრები და როგორ მიულოცა გამარჯვება მას სტადიონზე ბრეჟნევმა 30

როგორ ზეიმობდა სტალინი შობის დღესასწაულს 35

როგორ ხდება ადამიანის კოსმიური დასჯა და რატომ უნდა განვლოთ ფრთხილად სატანური და ახალმთვარეობის დღეები.....36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი.....45

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები..46

კოსმეტოლოგის რჩევები 47

როგორ გაიტაცეს 6 მილიონი მანეთის ძვირფასეულობა ქართველმა სტუდენტებმა.....48

რა აკავშირებს მამუკა ონაშვილს თამრო დუდუნიასთან და რატომ გრძნობენ ისინი ერთად თავს კომფორტულად 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს 51

ვეტერინარის რჩევები 56

ფლორის სამყაროში 56

როგორ ნიღბავდა გამოცდილი კრიმინალი ქალი საკუთარ დანაშაულებს და რა როლში ევლინებოდა ის დაზარალებულ მსხვერპლს 57

ქურდული ცხოვრება 58

მკვდარი ვერსია 66

როგორ ამოწყვიტა გიორგი ბრწყინვალემ ცივის მთაზე მიწვეული მოღალატე დიდებულები 72

რას იწვევს სიცხეში გადახურებული ორგანიზმის ცივი სასმლით გაგრილება და როდის ხდება ოფლიანობა საგანგაშო სიმპტომი.....73

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მ ი ი ღ ე თ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

უმწეოთა ქურქში

ანუ, ხოხვისთვის გაჩენილები

იმის გამო, რომ, ბოლო **9 წელია, დამკვიდრდა ტრადიცია, როდესაც ზრდასრული მამაკაცის საარსებო მინიმუმი 150 ლარამდეა** (რაც ქვეყანაში არსებულ ოჯახთა ნახევრისთვის კვლავაც სანატრელია), ხოლო სულ **უჩინო ჩინოვნიკის ხელფასი 600 ლარიდან იწყება და ჩინიანთათვის შიგადაშიგ თვით 10 000 ლარსაც კი უკაკუნებს,** ან, იმიტომაც, რომ **ახლებსაც გაუტკბათ** (პრინციპით: შეჩვეულს ნუ გადააჩვევ?!), **სოციალური დახმარების თემა კვლავაც აქტუალურია.**

ჰოდა, **რაკი აქტუალურია, სოციალური სააგენტოც მუშაობს ღარიბ-ღატაკთა აღსარიცხავავად.** ამ მუშა **პროცესში კი,** თუ სოცმომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელს ვერწმუნებით, **აღმოჩნდა, რომ სოციალურად დაუცველთა ბაზაში არსებულ უმწეოთა შორის 1 400 ოჯახი ინდმეწარმეა,** რომელთაც საკმაოდ შთამბეჭდავი ბრუნვა **ჰქონიათ,** ანუ, **შემოსავალი.** თუმცა, **2012 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების სახით მილიონ ლარზე მეტი მიუღიათ.**

ბუნებრივია, **უმწეობისთვის შეუფერებელნი სიიდან ამოიღეს** და იქ, **ზემოთ, დაგვპირდნენ, რომ კვლავაც განაგრძობენ შემოსავლების სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობას უმწეოთა ქურქში** გახვეული **ჩვენი შეძლებული თანამოქალაქეების გამოსავლენად.**

თუ გავიხსენებთ, რომ **უმწეოთა დახმარების ოდენობა, სულ რაღაც, 28-ოდე ლარია,** რთული სათქმელია, **რატომ შეიწუხეს თავი დასახმარებელთა სიაში მოსახვედრად,** თუმცა, **შესაძლოა, საქმე მეტად** მარტივად, კერძოდ, **პროზაულად იყოს:** არც მეტი, არც ნაკლები, **ხოხვისთვის გაჩენილი ფრენას ვერ შეძლებს.**

„ შენ უნდა ცისფერ ღრუბლებთან იწვე“

თვალდალეულები - ჩიტის რძის მოლოდინში

მართალია, ნათქვამია, **ახალი ცოცხი კარგად გვისო, მაგრამ, როგორც რეალობა მოწმობს, ზოგჯერ ძველი როლიც ურჩევნია.** კერძოდ, გასულ კვირას, მაგალითად, **ფოთის მერი** ბ-ნი სარსანია **მოსახლეობას შეხვედრია,** თუმცა, მოარული ხმებით, შეხვედრაზე ძირითადად, მხარდამჭერები და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები ბრძანდებოდნენ.

ასეა თუ ისე, ბ-ნ მერს **შესრულებულ სამუშაოებზეც უსაუბრია და ქალაქის განვითარების პერსპექტივებზეც.** ბუნებრივია, **ციდან თითქმის მანანის ცვენასაც დაჰპირებია და მიწაზე ზეციური სამოთხის მოწყობასაც,** ოღონდ, კვლავაც **თვალისთვის წყლის დალევინების მიმართულებით,** თუმცა, ერთი განსხვავებით: „ახალი ხელისუფლების **მთავარი პრიორიტეტი შესრულებული სამუშაოების ხარისხია** (წინა ხელისუფლება სამუშაოებს უხარისხოდ ასრულებდა და მილიონობით ლარს იჯიბავდაო)“.

ხოლო, რაკი ბ-ნი **სარსანია გვპირდება** (ჩვენ რა, ფოთელებს ჰპირდება), რომ **სხვა გზით წავა, გვარწმუნებს** (მომყავს ციტატა): **„ჩვენ სუფთა მარმარილოსა და გრანიტს ვაგებთ. შემეძლო, გამეკეთებინა უხარისხო, საერთოდ ვერაფერს მიხვდებოდით** (?!).“ როგორც აღმოჩნდა, **ურჩევდნენ კიდეც** („დააგე ნაკლებხარისხიანი“), თუმცა, ფოთის **მერს ამაყად უპასუხია: „არა, ჩემმა ფოთელებმა მარმარილოს გზებზე უნდა იარონ!“**

მართლაც, **რა ჯობია ბრეგვაძეებში ქეიფს,** ამ კონკრეტულ შემთხვევაში – **ხარისხიანი მარმარილოს გზებზე სიარულს** და, ისიც ფრიად გულისაჩუყებელია, როდესაც **ხელისუფალი ასეა გამეცადინებული თანამოქალაქეების ყოფის გასამშვენიერებლად** (და მერე რა, რომ იმ ხარისხიანი მარმარილოს გზებზე ჯიბეცარიელმა უნდა იარო), თუმცა, **თუ ზედაც დაამატებდა, ჩიტის რძეს არ მოგაკლებთო,** ვფიქრობ, **ფოთელთა ბედს ძაღლიც არ შეჰყეფდა.**

„თანამდებობისთვის შეუფერებელი“

მედია გაჩნდა უფრო ადრე თუ „რ-2-ის“ გენდირექტორი?

მართალია, **მედიასთან ისეთივე კავშირი ჰქონდა** (რა თქმა უნდა, შრომითი ბიოგრაფიისა და გამოცდილების გათვალისწინებით), **როგორც,** მაგალითად, **პირადად მე – ბალეტთან,** მაგრამ, **მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2-ის“ გენდირექტორად დაინიშნა, მისი სახელი ისე გადაჯაჭვეს მედიასთან,** რომ ლამის **დაჩრდილოს დილემა:** კვერცხი (ანუ **მედია**) **გაჩნდა უფრო ადრე თუ ქათამი** (ანუ „რუსთავი 2-ის“ ამჟამინდელი გენდირექტორი).

ზემოხსენებული **გადაჯაჭვულობა, ცხადია, შემთხვევითი არ არის:** მოგეხსენებათ, **სამართალდამცველები** ბ-ნ **გვარამიას რაღაც-რაღაცეებს ედავებიან** (წინა, ანუ, „რუსთავი 2-მდე“ **ცხოვრებიდან**) და ის ამჟამად გირაოთია გათავისუფლებული, **რასაც მისი ყოფილი თანაგუნდელები,** არც მეტი, არც ნაკლები, **მედიაზე ზეწოლად მიიჩნევენ** (ამ ლოგიკით, მე ვითომ რით ვერ ვიქნები კლეოპატრა?!).

იმის გათვალისწინებით, რომ გასულ კვირას ბ-ნმა **ნიკა გვარამიამ** ქ-ნი **ნანა კაკაბაძე „მსხვილფეხა რქოსან პირუტყვად“ მოიხსენია** (ამ უკანასკნელის თანამოაზრეები სტვენით მას შეეგებნენ), **თვალი გადავავლოთ ამ ბ-ნის მიერ მოვლილ თანამდებობებს:**

2004-2007 წლები – საქართველოს მეექვსე მოწვევის **პარლამენტის წევრი;**

2007 წელი – **გენერალური პროკურორის მოადგილე;**

2007-2008 წლები – **საქართველოს იუსტიციის მინისტრი;**

2008-2009-წლები – **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.**

ამის შემდეგ **უცხოეთშიც კი ბრძანდებოდა სწავლის მისაღებად,** თუმცა, **თუ ზემოოყვანილი ფრაზით ვიმსჯელებთ,** აშკარაა, რომ ბ-ნ გვარამიაზე **ზემომოყვანილ თანამდებობებს ვერანაირი კვალი ვერ დაუმჩნევია...**

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა აბობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47



ДАБЕЭДЕДЕНА „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ებ ი

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გიორგი მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათუაშვილი, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა აბობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა აბობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშარი, ეკა ბარბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაგელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაგელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა ნარეთელი
კორექტორი: ხატია ქლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა აბობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა აბობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერკავლიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჭავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20, 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

ფყაენაცვლები

„დავდგეთ იქ, სადაც...“

თუკი თბილისის საკრებულოში **ყოფილმა „ნაციონალებმა“ პოლიტიკური ტყავი იცვალეს** და **„აოცნებდნენ“,** თან, **ისე მოხერხებულად, რომ ბ-ნმა შიხიაშვილმა უკვე დაიკავა ერთ დროს თანაპარტიელ-თანამოაზრე ბ-ნი სამადაშვილის სავარძელი** („ნიჭი, ჭამიკო, ნიჭი)“ ხარაგაულის საკრებულოს წევრებმა უფრო მოკლე გზა აირჩიეს („თხა თხაზე ნაკლებიო“).

კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, **ხარაგაულის საკრებულოში „ნაცმოძრაობის“ დეპუტატებმა, არც მეტი, არც ნაკლები, ფრაქცია „ქართული ოცნება“ შექმნეს**. ჯერჯერობით ფრაქციაში სამი დეპუტატია (ნიკოლოზ მაჭავარიანი, მალხაზ ყრუაშვილი და გრიგოლ გელაშვილი), რომლებიც ხარაგაულის საკრებულოში 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად და, ბუნებრივია, „ნაცმოძრაობის“ სიით მოხვდნენ.

საკრებულოს წევრების **ნაწილმა ყოფილი „ნაციონალების“ მიერ ფრაქცია „ოცნების“ შექმნა გააპროტესტა** (ნეტავ რატომ, აქ ხომ ყველაფერი დასწრებაზეა?!), თუმცა, სამართლებრივად, ეჭვი მაქვს, აწ უკვე აოცნებულებს ვერაფერს დააკლებენ.

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **გადასვლა-გადმოსვლა** (მაგალითად, **„მოქკავშირიდან“ – „ნაცმოძრაობაში“, „ნაცმოძრაობიდან“ კი – „ოცნებაში“) არახალია ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის**, სავარაუდოდ, **ამ ჩვენი პოლიტიკური ელიტისთვის,** თან, ყველა დონის ელიტისთვის, **დევიზის**: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“, **მუშა ვერსიაა: დავდგეთ იქ, სადაც თბილად უკეთ მოვკალათდებით.**

გასაშველებლები

ეს ის არ არის, რაც თქვენ გეგონათ

თუკი აგვისტოს ომის წლისთავზე **პრ. პუტინი სოჭში მწუხრის ჟამს „პრ.“ ანქვაბს შეხვდა**, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში **აშშ-ის ფლაგმანი „ბალკლი“ შემოვიდა** – აი, ის, **რომელიც ბათუმის პორტს 2008 წელსაც ესტუმრა**.

ხომალდზე **საზეიმო მიღებაც გაიმართა** და, თუმცა **პროტოკოლი მხოლოდ მცირე გამოსვლებს ითვალისწინებდა**, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასეთია: **როგორ გვიყვარს ერთმანეთი**, რომ **უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ** და **თვალშიაც რომ ჩავუცვივდეთ ერთმანეთს** არათუ არ დავიკვნესებთ, **თითსაც არ ამოვისვამთ, სულაც რომ თვალისჩინს ვკარგავდეთ**, ჩვენმა **პრეზიდენტმა შეუფერებლად გრძელი სიტყვა წარმოთქვა** (ისე, პირადად მე ეს ტრიბუნებისადმი სიყვარულის გამოძახილი უფრო მგონია)

იმდენად გრძელი, რომ, ჩვენს პრემიერ-მინისტრს ვინ ჩივის, **თვით ელჩი ბ-ნი ნორლანდიც კი გააცინა**. ხოლო, რაკი **მისი სახის ეს გამომეტყველება არც ოკეანის გაღმა დარჩენიათ შეუმჩნეველი**, საქართველოში **აშშ-ს საელჩომ განმარტება გააკეთა** (მომყავს ციტატა): „ელჩი იღიმებოდა იმის გამო, რომ მისმა ძალისხმევამ, აღედგინა პროტოკოლით გათვალისწინებული ზომები ამ წარმომადგენლობით ღონისძიებაზე, მიზანს ვერ მიაღწია (**ეს ის არ არის, რაც თქვენ გეგონათო**).“

თუმცა, ამის მიუხედავადაც, დარწმუნებულნი ბრძანდებიან, რომ **ამერიკული საზღვაო ხომალდის ვიზიტი აშკარად წარმატებული იყო**, რასაც **ჩვენ, ბუნებრივია, ვეთანხმებით:** ჯერ ერთი, იმის გამო, რომ **ოკუპანტებს უპატრონები არ ვეგონოთ** და, მეორეც, იმიტომ, რომ **ბირთვულ კატასტროფას გადავურჩით**: თუ **პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის** შელაპარაკებას გავიხსენებთ და დავამატებთ, რომ ის ხომალდი ბირთვულია, არც ისაა გამორიცხული, მათ **გასაშველებლად მანდილის ნაცვლად ბირთვული ქობინების ჩაგდება დასჭირვებოდათ ამ ჩვენს სულზე უტკბეს პარტნიორებს**.

მართალია, ჩვენი **ოკეანისგაღმელი პარტნიორები გვარწმუნებენ, ეს ის არ არის, რაც თქვენ გეგონათო,** მაგრამ, **რაკი ამ ჩვენს პრეზიდენტს არაერთხელ დაურღვევია პროტოკოლი** (სხვა დარღვევებზე აღარ შევჩერდები), **დროზე რომ გაეცინათ**, იქნებ, **შეცდომებიც ნაკლები ყოფილიყო და ამ ჩვენს დემოკრატიის შუქურასაც არ დაელია ჩაილურის წყალი.**

მე რომ პრეზიდენტი ვიყო

ქვამოსარტყამები

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი **ქვეყანა რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ოდენობით მსოფლიო ლიდერია** და **თვით მილიარდიანმოსახლეობიან სახელმწიფოებსაც კი ჯაბნის** (მხოლოდ, ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია), **რა გასაკვირია** (თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორ-ნახევარი თვეა დარჩენილი), **ქვა რომ ისროლო, საპრეზიდენტო კანდიდატს მოარტყამ.**

მსურველებიც სრულიად განსხვავებულები ბრძანდებიან: გია **სურამელაშვილით დაწყებული და**, ასე განსაჯეთ, **იუნა შაფათავათი დამთავრებული** (მართალია, ეს უკანასკნელი ჯერჯერობით არ დარეგისტრირებულა ოფიციალურად, თუმცა, **ამთავითვე გვპირდება, რომ სექსიც ოხრად გექნებათ და საჭმელიც**ო). ზოგს **სატანის დასამარცხებლად უნდა საპრეზიდენტო სკამის მოპოვება**, ზოგიც **თურმანიძის მალამოს უფასოდ დარიგებას გვპირდება**. მაგალითად, ქ-ნი **კირთაძე, თუ გაპრეზიდენტდება, უპირველესად, პარლამენტს დაითხოვს** („დიდხანს გელოდი“); სახელდობრ, **კობა დავითაშვილი გულს გვიკლავს: თუ ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტს მაინც ვერ მოაგროვებს, პოლიტიკას სულაც მივატოვებო** („ნუ წახვალ, ნუ, ჩემო ხელმწიფევ“); გია **სურამელაშვილს ჯერ არ გაუზიარებია, რა სიკეთეებით აგვავსებს**, სამაგიეროდ, **გამოგვიტყდა, ქვეყანას ვუყვარვარო**; ბ-ნ **ბაქრაძეს** („ნაციონალურ“ რჩეულს) **თავის სასარგებლოდ ის არგუმენტი მოჰყავს, რომ ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ შეცდომებზე დაფიქრების საშუალება მიეცა** (ანუ, დედას გეფიცები, მამას გეფიცები, ანი გამოვსწორდები, თუ კვლავ დამსვამთ მაღალ სკამზეო); საპრეზიდენტო არჩევნების მორევში თავით გადაშვებული თვით ცესკოს ან უკვე ყოფილი თავმჯდომარე ბ-ნი **ხარატიშვილი გვარწმუნებს – ჩემს სამშობლოს სიყვარულით უნდა ვემსახუროო** („მაგრამ, სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“).

ერთი სიტყვით, საქმე ისეა, რომ, **უკვე კიდურების თითები აღარ გვყოფნის კანდიდატთა დასატევად**, რაც იმას ნიშნავს, რომ, **მომავალში,** შესაძლოა, **სხვა ორგანოების მოშველიებაც მოგვიწიოს** (დასათვლელად, რასაკვირველია).

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ, ჯერ ერთი, **არც უმადობას ვუჩივით** და, ზედაც დავამატებთ, რომ **ეს ოხერი ჭამაში მოდის**, არც ისაა გამორიცხული, **27 ოქტომბრის წინ საპრეზიდენტო კანდიდატებმა ამომრჩევლებს გადაჭარბონ** (რაოდენობრივად, რასაკვირველია) და, იქნებ, **გინესის რეკორდების წიგნშიც კი მოვხვდეთ – კანდიდატებს გაუხდეთ ამომრჩევლები ასარჩევი.**

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



რუსმა ერმა სტალინი გაიმეტა იმის გამო, რომ ის არ დაიხევდა უკან, როდესაც ობიექტური პირობები იყო უკან დასახევად და პუტინს ვინ აპატიებს?!

არჩევნებამდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი, მაგრამ არც უკვე დარეგისტრირებული საპრეზიდენტო კანდიდატების სიმცირეს ვუჩივით და არც დასარეგისტრირებელთა. ზოგს მართლაც აწუხებს პრეზიდენტობის ამბიცია, ზოგიც ამ ნაბიჯით საკუთარი ბიოგრაფიის გამრავალფეროვნებას ცდილობს (თვით საპრეზიდენტო კანდიდატი ვიყავიო). ბუნებრივია, „წინილებს“, უფრო ზუსტად, „წინილას“ შემოდგომაზე გამოვავლენთ, რადგან სკამი, ისევე, როგორც სასახლე – ერთია, მანამდე კი თავის მოსაზრებებს პრეზიდენტობისთვის გამზადებულებზე ნოდარ ნათაძე გაგვიზიარებს.

რა ძალები დგას თითოეული საპრეზიდენტო კანდიდატის უკან და რატომ უნდა იყოს დაინტერესებული რუსეთი ნინო ბურჯანაძის გამარჯვებით

– სალომე ზურაბიშვილის გარდა, ყველა არის კარიკატურა ან მეგობრული შარჟი. სალომე ზურაბიშვილს დიდი უპირატესობა აქვს და ერთადერთი, ვისაც შეუძლია, სალომეზე უკეთესი კანდიდატი იყოს, არის ქართველი პატრიოტი, რომელსაც ხელში აქვს პროგრამა; დაფიცებული აქვს, რომ სიცოცხლის ბოლომდე დაიცავს ამ პროგრამას და ხალხს სთხოვს, ხმა მისცეს ამ პროგრამას და არა მას.

– არის ასეთი კანდიდატი ბუნებაში?

– არ არის გამორიცხული, რომ ეს პროგრამით ხელდამშვენებული პატრიოტი და სალომე ზურაბიშვილი აღმოჩნდეს ერთი და იგივე პიროვნება. ღმერთმა ინებოს.

– თქვენ ერთმნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებთ სალომე ზურაბიშვილს, მაგრამ, როგორც ამბობენ, დიდი ალბათობით, მას კანონმდებლობა არ მისცემს საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში?

– ნულოვანი ალბათობაა, რომ შეძლებენ მის დაბლოკვას. მართალია, ძალიან შეეცდებიან, მაგრამ მგონია, რომ ვერ იზამენ.

– თუ ხელი შეეშალა სალომე ზურაბიშვილს, დარჩენილი კანდიდატებიდან, მეტ-ნაკლებად, ვინ არის თქვენი ფავორიტი ან პირიქით?

– მათგან ყველაზე უარესია ნინო ბურჯანაძე, ჩემი თეზისი ასეთია: შევარდნაძე თავისი რაღაც-რაღაც ძალებით; სააკაშვილი თავისი გაყალბების კომბინატით – ცესკოთი და ივანიშვილი თავისი აპარატით, თუმცა საკუთარი კანდიდატები ჰყავთ წარმოდგენილნი, რუსეთის ბრძანებით იმუშავებენ ბურჯანაძის გაყვანაზე. ნათელია, რისთვის აკეთებენ ამას: რუს ხალხს ჩიხიდან ერთი გამოსაძრომი და ერთი პრობლემა აქვს დღეს საქართველოსთან მიმართებაში – როგორმე გაათრიოს კონფედერაცია.

– ამ ბოლო პერიოდში რუსეთის პოლიტიკა გააქტიურდა ჩვენი მიმართულებით. თუმცა ისინი გვთავაზობენ არა კონფედერაციას, არამედ – ევრაზიულ კავშირს, სადაც, თურმე ჩვენ, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი ერთად უნდა ვიყოთ.

– ეს პოკერის თამაშია: გაღმა ედავებიან მოწინააღმდეგეს, რომ გამოღმა შერჩეთ. რუსეთის პრესტიჟის გადასარჩენად მსოფლიოში და პუტინის პრესტიჟის გადასარჩენად რუსეთში, კმარა კონფედერაცია. თუ კონფედერაცია ვერ გააკეთეს და ვერ გააკეთებენ, ეს ნიშნავს რუსეთის პრესტიჟის დასამარებას მსოფლიოში და, განსაკუთრებით, პუტინის პრესტიჟის მომაკვდინებელ დაცემას რუსეთში. ამიტომ ყველანაირად შეეცდებიან ამის გაკეთებას, თუმცა, დარწმუნებული ვარ, არ გააკეთებინებენ.

– ვინ: ჩვენ თუ დასავლეთი?

– დასავლეთი, რა თქმა უნდა.

– ამბობთ, რომ ბურჯანაძის გაყვანა რუსეთის ინტერესია, რადგან ის დათანხმდება კონფედერაციას, თუ საქმე ისეა, როგორც ამბობთ, სხვა კანდიდატები არ დათანხმდებიან ვითომ?

– შევარდნაძე რომ რუსეთის აგენტია, ამას დასაბუთება არ სჭირდება; არც იმას, რომ სააკაშვილი რუსეთს ედგა სამსახურში, ასევე, ხელის გულზე დევს, რომ ივანიშვილი რუსების გამოგზავნილია, მაგრამ დასავლეთთან კონტაქტებმა იკმარა, რომ რუსეთის მიერ შეკვეთილი პოზიცია გადაესხვაფერებინა. ეს კანონზომიერია, რადგან დასავლეთი, რუსეთთან შედარებით, განუზომლად კონკურენტუნარიანია, ამიტომ რუსეთის საშუალო აგენტი აუცილებლად გადავა დასავლეთისკენ. ბურჯანაძეს კი იმდენად ღრმად აქვს შეტოპილი, სხვა შანსი, გარდა იმისა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთის ერთგული დარჩეს, არ აქვს. ამიტომ რუსეთს იმედი აქვს, რომ ბურჯანაძე მას არავითარ შემთხვევაში არ გადაუდგება. როგორც გითხარით, ბურჯანაძისთვის იმუშავებს შევარდნაძე, სააკაშვილი, თავისი გაყალბებაში დაოსტატებული ორგანო ცესკოთი, რომელსაც ჯერჯერობით ვერც პროკურატურის თვალი შეეხო და ვერც პოლიციის ხელბორკილი და ბიძინა ივანიშვილი, თავისი აპარტით.

– გიორგი მარგველაშვილი?

– მარგველაშვილი არის ფსევდოფიგურა.

– ფსევდოფიგურას რატომ დააყენაბდა თავის კანდიდატად კოალიცია? თუ ნინო ბურჯანაძე გაიმარჯვებს, კოალიციის ავტორიტეტი არ შეირყევა ამომრჩევლის თვალში?

– გავლენის ქვეშ მყოფს არ ეკითხებიან, მის ავტორიტეტს რა შელახავს და რა – არა. ბრძანებაა და სრულდება. რუსეთის სტრატეგიული ამოცანაა საქართველოში კონფედერაციის შექმნა, რომელშიც შევლენ დამოუკიდებელი საქართველო, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი და „დამოუკიდებელი“ „ოსეთი“ და რომელიც მაშინვე დაიშლება, როგორც კი ერთი წევრი იტყვის უარს. რუსი აღიარებს პუტინს, მოიწონებს და ყოველგვარ მხეცობას აპატიებს, თუკი ის იქნება წარმატებული დიქტატორი, მაგრამ, თუ დაინახეს, რომ წარუმატებელი დიქტატორია, ჩამოახრჩობენ. რუსმა ერმა სტალინი გაიმეტა იმის გამო, რომ ის არ დაიხევდა უკან, როდესაც ობიექტური პირობები იყო უკან დასახევად და პუტინს ვინ აპატიებს?!

– შალვა ნათელაშვილი?

– ნათელაშვილზე ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ სწყინს, თუმცა არ ვიცი, რა არის ამაში საწყენი, რომ ორი ნაკლი აქვს: ერთი, რომ რუსეთის აგენტია და, მეორე, რომ ჭკუით არ გამოირჩევა. მაგრამ ნათელაშვილი ძალიან ძვირფასია საქართველოს საქმისთვის, იმიტომ რომ არ ეზარება, ჩასდიოს სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაულებს და დიდი ენერგიით ამხილოს, თუმცა მას არანაირი პოზიტივი და ერთგულება არ გააჩნია.

– კობა დავითაშვილი?

– კობა დავითაშვილზე დიდი სტატია მოათავსა მალხაზ პატარაიამ და ისეთი ფაქტები ჩამოთვალა მისი ბიოგრაფიიდან, რომ მას არ შეიძლება, თითი მიაკარებინო საჭეს. ძალიან კარგად ლაპარაკობს იურიდიულ დარგებზე, კარგ ანალიზს აკეთებს, მაგრამ მისი ნდობა გამორიცხულია. მისი დიდი ღირსებაა, რომ ომში მიიღო მონაწილეობა. მე არ შემხვედრია აფხაზეთში, მაგრამ ნამდვილად ვიცი, კარგად ომობდა და ეს დიდი ღირსებაა, მაგრამ მაინც მისი საჭესთან მი-

ავტორიზებული კოლეჯი „ორიენტირი“

* ინფორმაციული ტექნოლოგი
* მასაჟისტი
* ექთნის თანაშემწე
* ბუღალტერი
* ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი
* ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი
* მცირე ბიზნესის მწარმოებელი
* კრიმინალისტი
* პრაქტიკოსი ექთანი
* კბილის ტექნიკოსი
* ფარმაცევტის თანაშემწე

სიახლე! ჩარიცხვა ეროვნული გამოცდის გარეშე და სწავლის დაბალი საფასურით.
მიიღებიან: 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულები და უფრო მაღალი განათლების პირები
გაიცემა სახელმწიფო დიპლომი
საბუთების მიღება მისამართზე:
თბილისი, ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქუჩა №28
ტელ: 599-54-19-75 593-30-86-38 599-27-57-39 2-69-99-94
www.orientiri.edu.ge

კარება არ შეიძლება.

– აღარაფერს გკითხავთ ნესტან კირთაძესა თუ გია სურამელაშვილზე, ისედაც გასაგებია, მაგრამ, თუ თქვენი პროგნოზი არ გამართლდა და ბურჯანაძე ვერ გავიდა, შემდეგ რა ხდება? ამომრჩეველიც ხომ ფაქტორია? შეიძლება, მოუაროს თავში და ხმა მისცეს, მაგალითად, გელა სალუაშვილს?

– მეორე კანდიდატად ეყოლებათ მარგველაშვილი. მესამე ვარიანტად კიდევ ვიღაც. სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ ყველანი დაირაზმებიან კბილების კრაჭუნით. რაც შეეხება იმ ერთ კანდიდატს, რომელიც თქვენ შეკითხვაში ახსენეთ და მე მის გვარს არ გავიმეორებ: ხომ იცით, ვისიცაა „რუსთავი 2“? ამას წინათ, მათ დადგეს საინტერესო სპექტაკლი: გვაჩვენეს ერთი საპრეზიდენტო კარიკატურა, რომელმაც თქვა, მე სატანა უნდა დავამარცხოო – აშკარად კლინიკური შემთხვევა; შემდეგ მეორე კარიკატურა – ისიც კლინიკური შემთხვევა და მესამე ნაკლებად კლინიკური შემთხვევა. ხაზგასმით შეახსენეს, გაუცნობიერეს მაყურებელს, რომ ეს კანდიდატები, თითოეული 50 000-50 000 ხელმოწერით არიან დარეგისტრირებულნი, ანუ საქართველოში 150 000 იდიოტი ცხოვრობს. ეს „რუსთავი 2-მა“ დააფიქსირა მსოფლიოს დასანახავად: იცოდეთ, ქართველი ერი არ არის მომწიფებული პოლიტიკური ცხოვრებისთვის, ეს არის აი, ასეთი ამომრჩევლების ქვეყანა.

– ისე დაახასიათეთ ეს ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატები, რომ ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ ხვდებიან ასეთები ელიტაში, ყველაზე ზემოთ?

– მე ამას დავარქვი კაკისტოკრატია. ბერძნულ ტერმინოლოგიაში ასეთი ტერმინი არ არის, თუმცა, რადგან „არისტოკრატია“ ნიშნავს უკეთესთა ხელისუფლებას: „არისტოს“ არის საუკეთესო, „კრატია“ – ძალაუფლება, „კაკისტოს“ კი არის უარესი, კაკისტოკრატია გამოდის უარესთა ძალაუფლება. ამ ტიპის ხელისუფლება ცდილობს, დააწინაუროს უარესები, ის ხალხი, რომელიც მზად არის ყოველგვარი უნიჭობისთვის თავისი სისაძაგლისა და დაბალი ხარისხის გამო. სხვათა შორის, ბერძნებს ჰქონდათ ასეთი კრიტერიუმი, პლატონსაც აქვს და არისტოტელესაც თავიანთ პოლიტიკურ მოძღვრებაში: როდესაც ჩახვალთ ქალაქ-სახელმწიფოში, სადაც ერთპიროვნულად ბატონობს ვიღაც, იმისთვის, რომ მიხვდე, ეს კაცი მეფეა, ანუ შთამომავლობით დიქტატორი თუ ტირანი, საკუთარი ძალით მისული პირველ ადგილზე, ნახე, ვინ იცავს მას: თუ თანამოქალაქენი იცავენ უცხოელებისგან, მაშინ ის მეფეა, თუ უცხოელები იცავენ თავისი მოქალაქეებისგან, ის არის ტირანი. თუ ამ დებულებას გადმოვიტანთ თანამედროვე პირობებში, იმისთვის, რომ გავარჩიოთ პატარა ქეყანაში, ვინ არის მარიონეტი და ვინ საკუთარი ძალით მოსული, უნდა იკითხოთ, რა ტიპის ადამიანებს აწინაურებს? უკეთესებს: უფრო ნიჭიერებს, უნარიანებსა და გამბედავებს თუ პირიქით?! შევარდნაძესაც, სააკაშვილსაც და, სამწუხაროდ, ივანიშვილსაც აქვს აშკარად გამოხატული არათუ ტენდენცია, კურსი, რომ ხელისუფლებაში გაიყვანოს უარესები, ვინც მზად არის სისაძაგლისთვის და ვისგანაც რამე ფიზიკური, გონებრივი ან სულიერი ძლიერება არ არის მოსალოდნელი. ამიტომ, ვინც ჩანს და ვისაც ეკრანზე აშუქებენ, ის უგამონაკლისოდ არის, ჯერ ერთი, უხარისხო, თავისი ადამიანური მასალით და, მეორე, საქართველოს ორგული. ჩვენთან არის ტიპური კაკისტოკრატია.

– ამბობთ, რომ კონკურენტუნარიან დასავლეთთან ურთიერთობამ ივანიშვილს შეაცვლევინა კურსი, მაგრამ რუსეთს არ აქვს ზემოქმედების ბერკეტები. ასე მარტივად შეელევა თუ მისი იყო?

– რაც აქვს, ყველა ბერკეტი ამუშავებულია.

– მაინც რა ბერკეტები?

– ჯერ ერთი, მისი ფული აქვს ქვეყანაში; მეორე, საქართველო გაჭედილია რუსეთის აგენტურით, განვითარებული აქვს ტერორისტული ქსელი, მაგრამ რუსეთი იმდენად უკანაა წასული, როგორც დედამიწის ზედაპირზე მოქმედი ძალა, რომ მისი ყველა ხრიკის დაძლევაა შესაძლებელი. რუსეთი ვერ მოკლავს ივანიშვილს, იმიტომ რომ ამით წააგებს, მოსყიდვით კი, ალბათ, ვეღარ მოისყიდის, იმიტომ რომ კონკურენტუნარიანი არ არის. ერთს მინდა, გავუსვა ხაზი: ანტიქართული დემაგოგიის ძალიან მძიმე შემთხვევაა თეზისი, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია, ამიტომ მას ვერ გამოვრიცხავთ ჩვენი პოლიტიკის ფაქტორთა რიცხვიდან და უნდა ვეცადოთ, ალვადგინოთ მასთან ურთიერთობა. არანაირი კავშირი ამ თეზისს რუსეთის განდევნასთან ჩვენი ტერიტორიიდან, არ აქვს. ეს არის ერთჯერადი ამოცანა. როგორც კი ამას გააკეთებ, თავისუფალი ხარ.

– საქმეც ისაა, როგორ უნდა გააკეთო ეს?

– ეს რთული ამოცანაა, მაგრამ არ არის პრობლემა, თუ საქართველოს ხელისუფლებამ იმოქმედა ერთგულად: იმიტომ რომ რუსეთს აქ ყოფნის არანაირი იურიდიული საფუძველი არ აქვს; მეორე, რუსეთს ამ ზონაშიც კი ნაკლები ძალა აქვს, ვიდრე დასავლეთს და, მესამე, რუსეთის ამ ზონით დაინტერესების ხარისხი ნაკლებია დასავლეთის დაინტერესების ხარისხზე. რუსეთისთვის ეს არის აგრესიული ამოცანების რეალიზაციის ზონა, რაც უკვე უტოპიურია. მას აქ უნდა, ჰქონდეს მუდმივი პლაცდარმი აღმოსავლეთისკენ დასარტყმელად და მუდმივი ბაზა შავი ზღვის საკონტროლოდ. დასავლეთი კი სასიცოცხლოდაა დაინტერესებული, რომ გავიდეს აღმოსავლეთში და ბარიერი დაუდგას რუსეთს.

– რუსეთი ძალიან აქტიურად მუშაობს აზერბაიჯანთან, სომხეთი ისედაც გასაგებია, სად ჰყავს. გასაგებია, მავთულხლართებს იმიტომაც მოაცოცებს საქართველოს სიღრმისკენ, ეს ერთგვარი ტერორის ფორმაა და დასავლელი პარტნიორები ამას ვერ აჩერებენ. ანუ რუსეთს ყოველთვის აქვს ჩვენს დასაზარალებლად საჭირო რესურსი.

– რუსეთი 100 პროცენტით იყენებს იმ რესურსს, რაც აქვს. მეორე პროგნოზს გეტყვით: ამას წინათ ბათუმში ამერიკის საზღვაო ხომალდი შემოვიდა, ამის შემდეგ რუსეთის მიერ მავთულხლართების გადმოწევა შეწყდება. ობამამ რომ თქვა, რუსეთთან ურთიერთობა უნდა გადავსინჯო, ახლებურად შევაფასო, ეს მათთვის საკმარისი სიგნალია, გაჩერდებიან. ის, რასაც ლავროვი, პუტინი და მედვედევი იბრიქებიან, პოკერის თამაშია, პლუსს რომ ამბობს და არაფერი კარტი არ უჭირავს ხელში.

– ამერიკის ხომალდის ბათუმში შემოსვლამდე რუსეთის საზღვაო ხომალდები კუბის სანაპიროსთან მიცურდნენ მეგობრული ვიზიტით.

– 4 ხომალდი გაგზავნეს კუბაში, მათ შორის, შავი ზღვის ფლაგმანი სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“. ამის უკან დიდი ჩანაფიქრია: ორი თვის წინათ გაჩნდა ცნობა, რომ რუსეთს ხმელთაშუა ზღვაში თავისი ინტერესების დასაცავად შეჰყავს 12 ხომალდი. მათ შორის, თუ არ ვცდები, ოთხი დიდი სადესანტო ხომალდია. ანუ რისთვის სჭირდება რუსეთს 4 სადესანტო ხომალდი? ხმელთაშუა ზღვაში ინტერესი არ აქვს, ამიტომ იტყვიან, რაღა აქედან ვიაროთ, შავ ზღვაში შევიყვანოთო. შავ ზღვაში რუსეთის სადესანტო ხომალდის შემოყვანა იმას ნიშნავს, რომ რუსეთი აპირებს საქართველოს წინააღმდეგ სადესანტო ოპერაციის განხორციელებას. აი, ამ ფონზე ამერიკული გემის შემოსვლა საქართველოში არის თითის დაქნევა რუსეთისთვის და თითის ეს დაქნევა რუსეთს ჰყოფნის.

– მკაფიოდ აღინიშნა, რომ ეს ის ამერიკული ხომალდი იყო, რომელიც 2008 წლის აგვისტოში შემოვიდა.

– მაშინ ის ამერიკული ფლოტი გაყარეს რუსებმა. მართალია, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ძალიან სუსტია, მაგრამ ბომბდამშენებში ჩასვეს პროფესიონალები და ბალტინს ათქმევინს, 5 წუთში ჩავძირავთ ამერიკულ ხომალდებსო. ეს არ იყო სიმართლისგან შორს, იმიტომ რომ, როდესაც საზღვაო ხომალდს ბაზა არ აქვს სიახლოვეში, მას ხმელეთზე ბაზირებული ავიაცია ერევა. თურქეთმა ნება არ მისცა ამერიკელებს, დაესვათ ამერიკული ბომბდამშენები თავიანთ აეროდრომებზე. ამიტომაც იყო, რომ 6 თვის შემდეგ „ნატომ“ დაიწყო შესაბამისი შეიარაღების განლაგება ბულგარეთსა და რუმინეთში. ახლა ამერიკას ხელს ვეღარ შეუშლის ის ფაქტი, თუ თურქეთი არ დასვამს თავის აეროდრომებზე ამერიკულ ბომბდამშენებს, იმიტომ რომ ჰყოფნის ბაზები რუმინეთსა და ბულგარეთში.

– თითქოს ამ თემასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია: საშუალო სტატისტიკურ ქართველს უფრო მეტად უყვარს თავისი ქვეყანა და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სიცოცხლეს შესწირავს მას, ვიდრე საშუალო სტატისტიკურ რუსს თუ თურქს, მაგრამ მათ ჩვენზე უკეთესი სახელმწიფოები აქვთ. რატომ?

– რუსის პატრიოტიზმს თავისი ფსიქოლოგიური სტრუქტურა აქვს, თურქის პატრიოტიზმის სტრუქტურაც იგივეა: ჩემმა ქვეყანამ, რომელიც ძლიერია, წარმატებით უნდა განახორციელოს თავისი ინტერესები უფრო სუსტების ხარჯზე. ქართველის პატრიოტიზმი სხვა ფსიქოლოგიური სტრუქტურისაა: მე ჩემი ქვეყნის დასაცავად უნდა შევებრძოლო ჩემზე ძლიერს. ანუ ჩემი თვითმობილიზაცია გამოიხატება მზაობის შექმნაში თავის გაწირვისთვის უთანასწორო ბრძოლაში ჩემზე ძლიერთან. რუსისა და თურქის კი – თვითმობილიზაციაში, რომ ეს ჩემზე სუსტები, რაც შეიძლება წარმატებით შევჭამო.

ნინო ხაჩიძე

რუსეთის პრესტიჟის გადასარჩენად მსოფლიოში და პუტინის პრესტიჟის გადასარჩენად რუსეთში, კმარა საქართველოში კონფედერაციის შექმნა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

აშშ-ის ადმინისტრაციამ ბოლო 20 წლის განმავლობაში ნარკოტიკების პრობლემის გადასაჭრელად თითქმის ნახევარი ტრილიონი დოლარი დახარჯა და მხოლოდ ახლა განაცხადა, რომ უკვე შეიქმნა პირობები ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისთვის

დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც საქართველოს კვეთს და რაც მას გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას სძენს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 431 წელს გაჭრა ალექსანდრე მაკედონელმა, რომელმაც ბერძნული ოპიუმი ჩინურ აბრეშუმზე გაცვალა. დღეს ბევრს მსჯელობენ, უნდა მოხდეს თუ არა ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია ქვეყანაში და დასტურად ევროპულ გამოცდილებას იშველიებენ, თუმცა, სპეციალისტების აზრით, მოუმზადებელი დეკრიმინალიზაცია ნარკოტიკის ლეგალიზაციას გამოიწვევს, რაც, ფაქტობრივად, ერის გენოციდს ნიშნავს. როგორია ნარკოტიკების მსოფლიო ისტორია და როგორ შეიძლება, გადაწყდეს ეს პრობლემა მცირერიცხოვან და ღარიბ საქართველოში? – თემას იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უშიშროების გენერალ-მაიორი ჯემალ ჯანაშია განგვიმარტავს.

როგორ გაჭრა დიდი აბრეშუმის გზა ალექსანდრე მაკედონელმა ბერძნული ოპიუმის ჩინურ აბრეშუმზე გადაცვლით და როგორ ეძლეოდნენ ნარკოტიკულ თრობას ბერძენი მეომრები ოპიუმით გაჟღენთილ ორთქლის აბანოებში

– მსოფლიოს რომელი ქვეყნებისთვისაა ტრადიციული ნარკოტიკის მოხმარება და საიდან იღებს ის სათავეს?

– დღეს ნარკოტიკების მოხმარება დამახასიათებელია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის, მაგრამ, განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ ევროპის კონტინენტი, ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ ამერიკა, მექსიკა, აზიური სივრცე, თუმცა, მათ შორის არსებობს განსხვავებებიც: მაგალითად, სამხრეთ ამერიკაში კოკას ფოთოლი ისტორიისა და კულტურის შემადგენელი ნაწილი იყო. მისი მოხმარების წესი მრავალი საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილა. ძველი ინდოელების მსგავსად, დღესაც ღეჭავენ ძალიან ნელა, სანამ პირში ბურთულა არ წარმოიქმნება, რომლისგანაც მათრობელა წვენი გამოიყოფა. უფრო მეტიც, 1579 წლიდან ტომები ერთმანეთს შორის გადასახადს კოკას ფოთლებით იხდიდნენ, ხოლო გვალვისა და დიდი წვიმების დროს ადამიანების ვარსკვლავებს ევედრებოდნენ და სხვა საგნებთან ერთად მას კოკას ფოთლებსაც სწირავდნენ. ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში,“ ბერძნული ღმერთები ყაყაჩოს გვირგვინებით არიან შემკულნი ან ხელში უჭირავთ ის. ძველი წელთაღრიცხვის მეთხუთმეტე საუკუნეში კვიპროსელმა ვაჭრებმა ყაყაჩოსგან ნაწარმოები აბები და თესლის მარცვლები ეგვიპტეში შეიტანეს, რასაც არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს. მეთვრამეტე დინასტიის სამეფო საფლავში აღმოჩენილია ყაყაჩოს ზეთოვანი მალამო, რომელიც მორფინს შეიცავდა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ეგვიპტელი ქურუმები ოპიუმის მიტოვებას, დღევანდელი გაგებით, „ლომკის“ მოხსნას ცდილობდნენ. ისტორიული წყაროებით, კლეოპატრა თავის შეყვარებულებს ოპიუმის სითხის ნაზავით უმასპინძლდებოდა... სპარსეთი და იმ სივრცეში არსებული კულტურები უპირატესობას კანაფს (ჰაშიშს) ანიჭებდნენ, თუმცა, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ისევე, როგორც 2000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ყაყაჩოს თაფლსა და ფიჭაში ჩასხმულს მოიხმარდნენ. ბოლივიასა და პერუში კოკას შესახებ არის ასეთი ლეგენდა: კოკა იყო ულმაზესი ქალი, რომელიც შეუყვარდა ხელმწიფეს, მაგრამ, ქურუმებმა მოკლეს კოკა, მისი სხეული კი დაანაწევრეს და სხვადასხვა ადგილას დაფლეს, იმ ადგილებში ამოვიდა კოკას ხე და მას შემდეგ მუდმივად შურს იძიებს მამაკაცებზე.

– როგორ გაუკეთილშობილებიათ ნარკოტიკი! ტრადიციულად, ნარკოტიკის მომხმარებელ ქვეყნებში დღეს როგორია კანონმდებლობა – ლეგალიზებულია ნარკოტიკი, დეკრიმინალიზებული თუ რეგულაცია საერთოდ არ არსებობს?

– ერთიანი მიდგომა არ არსებობს. გარკვეულწილად, ერთნაირი მიდგომა ჩამოყალიბდა ევროკავშირის სახელმწიფოებში, ეგრეთ წოდებულ ევროპულ სივრცეში, სადაც შეინიშნება გარკვეული სახის ლიბერალიზაცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპიული ნივთიერებების უკანონო ბრუნვისა და მოხმარების სფეროში, თუმცა, იქაც არაერთგვაროვანი მიდგომაა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობა არა მხოლოდ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ანიჭებს უპირატესობას, არამედ, აქტიურად იყენებს უფრო მკაცრ სასჯელებსაც. მაგალითად, ლატვიაში კანაფის მცირე ოდენობის შენახვა ან მოხმარება არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაგრამ, პირველი შემთხვევიდან ერთი წლის განმავლობაში იმავეს გამეორებისთვის, პირი, შეიძლება, დაისაჯოს პატიმრობით 2 წლამდე. ბელგიაში აკრძალულია კანაფის შენახვა პირადი მოხმარების მიზნით. ჩეხეთში 5 გრამზე მეტი ჰაშიშის შენახვისთვის სისხლისსამართლებრივი სანქციები გამოიყენება. კანაფის და, რა თქმა უნდა, უფრო მძიმე ნარკოტიკების: ოპიუმის, ჰეროინის, კოკაინისა და სინთეტიკური ნაერთების შენახვა სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება პოლონეთში, სლოვაკეთში, ფინეთში, ლუქსემბურგში, ნორვეგიასა და შვედეთში. უმაკრესი მიდგომაა ამ საკითხისადმი კვიპროსში. მის იმ ნაწილში, რომელსაც თურქეთი აკონტროლებს, კანაფისა და სხვა ნარკოტიკების მოხმარება სისხლისსამართლებრივად ისჯება.

განსაკუთრებული მიდგომაა ნარკოდანაშაულისადმი მსოფლიოს აზიურ სივრცეში. ბოლო პერიოდამდე ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის მსოფლიოს 22 ქვეყანაში გამოყენებულია სიკვდილით დასჯა, მათ შორის, ამ რეგიონში განლაგებული სახელმწიფოების უმეტესობისთვის: ბაჰრეინი, ვიეტნამი, გაიანა, ეგვიპტე, ინდონეზია, იორდანია, ერაყი, ირანი, ყატარი, ჩინეთი, ქუვეითი, მალაიზია, მიანმარი, არაბთა გაერთიანებული საემირო, საუდის არაბეთი, სინგაპური, სირია და ასე შემდეგ; მათ შორის – ამერიკის შეერთებული შტატები.

ეგვიპტეში მეთვრამეტე დინასტიის სამეფო საფლავში აღმოჩენილია ყაყაჩოს ზეთოვანი მალამო, რომელიც მორფინს შეიცავდა

– ნარკოტიკის სახეობის მიხედვით, რომელი ქვეყნები ლიდერობენ ამა თუ იმ ნარკოტიკის მოხმარებაში? ანუ, არის ნარკომომხმარებლების სიმრავლე რამენაირ კავშირში ქვეყნის განვითარების დონესთან?

– ნარკოტიკის მოხმარების მიხედვით, მსოფლიოში ლიდერი ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი არის ის, რომ იქ დემოკრატიის მაღალი დონეა და ამიტომ ადამიანები მაქსიმალურად ცდილობენ, დაიკმაყოფილონ თავიანთი სურვილები. რა თქმა უნდა, იბადება კითხვა: მაგრამ, იქ ხომ ძალიან ეფექტიანი სამართლადმცავი სტრუქტურებია? არის, მაგრამ, სამხრეთ ამერიკიდან ადგილობრივი კარტელები უდიდესი რაოდენობის კოკაინს გზავნიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე მხრივ, მექსიკური კარტელები უდიდესი რაოდენობით აგზავნიან მარიხუანას და ახლა უკვე ოპიუმის დიდ პარტიებს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. დღეს პირდაპირ შეიძლება, ითქვას, რომ მექსიკურ კარტელებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის საბრძოლო დაპირისპირებაა გაჩაღებული, რასაც ბოლო 3 წლის განმავლობაში 40 000 ადამიანი შეეწირა, მაგრამ, ნარკოტიკების მოხმარება არ იკლებს, მიუხედეავად გაწეული მრავალმხრივი ღონისძიებებისა. უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობას, სხვა კრიმინალურ ქმედებათაგან განსხვავებით, უზარმაზარი მოგება მოაქვს. აი, ნარკობიზნესისთვის დამახასიათებელი უმთავრესი თვისება: კოკასა და ყაყაჩოს ღირებულება მწარმოებლიდან ამერიკელ თუ ევროპელ მომხმარებლამდე 700-ჯერ და 2 000-ჯერაც მატულობს, შედარებისთვის: მამრავლი ნავთობისა თუ ბამბის ფასისთვის არის 40. მამრავალი ნიშნავს კოკას ფოთლის აღებიდან მის კოკაინად გარდაქმნის და შემდეგ კოკას მომხმარებლამდე აშშ-სა თუ ევროპაში მიღების მომენტში ფასი 1 866-ჯერ იზრდება.

– რომელი ნარკოტიკია დამახასიათებელი განვითარებული ქვეყნებისთვის და რომელი – განვითარებადისთვის? თუ, რა თქმა უნდა, არსებობს ასეთი კავშირი.

– დღევანდელ დღეს ეს განსხვავებები პირობითია, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მაღალი ხარისხისა და კონცენტრაციის ჰეროინი (მაგალითად, 999 დამღით) და კოკაინი ძალზე ძვირი ღირს და ხელმისაწვდომი მხოლოდ დიდი ფინანსური შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაა. კოკაინის მომხმარებელთა შორის ბევრია ხელოვანი, მათ შორის, „ჰოლივუდის“ ვასკვლავებიც.

– რა ვითარებაა ნარკოტიკების მომხმარებელთა მხრივ საქართველოში?

– განსაკუთრებით შემაშფოთებელია უკანასკნელი სოციოლოგიური კვლევის შედეგები. კერძოდ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების პრობლემური მომხმარებლების რაოდენობამ 15 პროცენტით მოიიმატა და 45 000-ს მიაღწია, ხოლო, რაც შეეხება ნარკოტიკების პერიოდულ მომხმარებლებს, მათმა რიცხვმა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, 180 000-ს გადააჭარბა. ბევრი მათგანი შემდგომ ნარკოტიკის აქტიური მომხმარებელი ხდება. სამწუხაროა, რომ საქართველო, მოსახლეობის და ამ მონაცემების გათვალისწინებით, ერთ-ერთი დაზიანებული ქვეყანაა ევრაზიულ სივრცეში. ამის დასტურია შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწ-

სად მუშაობს თამარ კორძაიას მეუღლე და რატომ ისტუმრებს ოჯახის ყველა ხარჯს დეპუტატი ქალბატონი

თამარ კორძაია – ზაზა მენაბდე

სულ ახლახან გარჩეულებული თამარ კორძაია 1977 წელსაა დაბადებული ქალაქ სოხუმში. შესაბამისად, უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში მიიღო, პროფესიით სამართალმცოდნეა. პარლამენტში ნაძალადევის რაიონის შუალედურ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მოხვდა, ბუნებრივია, საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებიდან". მისი შრომითი ბიოგრაფია 2002 წელს იწყება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, სადაც 2012 წლამდე მუშაობდა, 2012-დან გადეპუტატებამდე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში საქმიანობდა, იმავდროულად კი, კერძოდ, 2010 წლიდან დღემდე საქართველოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობს.

რაკი ჩინოვნიკი ახლახან გახდა, თავისი პირველი დეკლარაციაც 2013 წელს შეავსო. დეკლარაციაში ოჯახის წევრებად მითითებულნი არიან ქ-ნი კორძაიას მეუღლე – ზაზა მენაბდე, 1967 წელსაა დაბადებული ოზურგეთში. შვილები: ლევან და ლაშა გურჩიანები, ბ-ნი მენაბდის შვილები: თეონა და თამარ მენაბდეები, თამარ კორძაიას დედა ქ-ნი ინეზა კორძაია და მამა ბ-ნი სტალბერ კორძაია. დეპუტატის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, კერძოდ, ვარკეთილში (93 კვადრატული მეტრი ფართობის), ბ-ნ ზაზა მენაბდეს კი ეკუთვნის საცხოვრებელი სახლი ბათუმში (140 კვადრატული მეტრი ფართობის), ასევე, მიწის ნაკვეთი ოზურგეთის სოფელ შემოქმედში (700 კვადრატული მეტრი ფართობის). დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ქ-ნ კორძაიას ჰქონდა – 8 500 ლარი. მაშინ, როდესაც ქ-ნი კორძაია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში მუშაობდა – ამ საქმიანობამ მას 2012 წლის განმავლობაში 35 000 ლარი მოუტანა. მისი მეუღლე აჭარის სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მუშაობდა პასუხისმგებელ მორიგედ და მისმა წლიურმა ანაზღაურებამ 9 600 ლარი შეადგინა. 2012 წელს თამარ კორძაიას გასავალიც ჰქონდა – 3 000 დოლარის ოდენობის სამომხმარებლო სესხის გამო 1 620 აშშ დოლარი გადაიხადა, „თი ბი სი ქარდის" გამო 4 221 ლარი დაეხარჯა, ხოლო „ამერიქან ექსპრესისთვის" – 1 805 ლარი.

ეკა ბესელია

პარლამენტის წევრი და „ოცნების" ფოთის მაჟორიტარი ეკა ბესელია 1971 წელს დაიბადა სენაკში. უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო, რომლის იურიდიული ფაკულტეტი 1996 წელს დაამთავრა. 1996-2004 წლებში ადვოკატთა კოლეგიის წევრი გახლდათ, 2004-2012-ში – ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 1998 წელს შპს „ეკა ბესელიას საადვოკატო კომპანია" დაარეგისტრირა და 2012 წლამდე მისი დირექტორიც იყო. 2010 წლიდან გადეპუტატებამდე კი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი გახლდათ. 2012 წელს შევსებულ დეკლარაციაში ეკა ბესელიას ოჯახის წევრებად მიუთითა: დედა – ქ-ნი გულიზარ ორაგველიძე, დაბადებული ქობულეთში, და – ცირა ბესელია, დაბადებული სენაკში, ძმა – სერგო ბესელია, ასევე, 1992 წელს დაბადებული, შვილი – რატი მილორავა და 2004 წელს დაბადებული ქალიშვილი – ლიზი გუბელაძე. ოჯახში უძრავი ქონება მხოლოდ ეკა ბესელიას აქვს – ბინა თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე (175 კვადრატული მეტრი ფართობის), ბინა თემქაზე (80 კვადრატული მეტრი ფართობის) და არასაცხოვრებელი ფართი თბილისშივე, გამრეკელის ქუჩაზე – 150 კვადრატული მეტრი ფართობის. ასევე, ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა – 2005 წლის „რავ 4".

დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ეკა ბესელიას ჰქონდა - 50 000 აშშ დოლარი. ანაბარიც მხოლოდ მას აქვს – „თი ბი სი ბანკში" 30 000 აშშ დოლარი ერიცხება. 2012 წელს, ანუ გადეპუტატებამდე შემოსავალიც მხოლოდ მას ჰქონდა. კერძოდ, 9 თვის განმავლობაში, როგორც „ეკა ბესელიას საადვოკატო კომპანიის" ხელმძღვანელმა, 6 000 ლარი აიღო, ხოლო, როგორც შპს „ახალი კაპიტალის" იურისტმა – 18 750 ლარი. 5 000 ლარი კი შვილის (ოღონდ არ არის დაზუსტებული, რომლის) სწავლაში გადაიხადა.

ნინო ხაჩიძე

ლიური ანგარიშების მონაცემები, რომლის მიხედვითაც, სომხეთში ამ ეტაპზე სულ ნარკოტიკის 120 აქტიური მომხმარებელია აღრიცხვაზე, აზერბაიჯანში – 25 489, ხოლო, ევროპის ნარკოტიკების გავრცელებაზე მონიტორინგის ცენტრის მონაცემების მიხედვით, პრობლემური ნარკომანების რიცხვი ევროპის სახელმწიფოებში, საქართველოსთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალია, მაგალითად: ავსტრიაში – 23 000, პორტუგალიაში – 31 000, უნგრეთში – 5 813, დანიაში – 16 812, ბელგიაში – 4 138, საბერძნეთში – 9 439, კვიპროსში – 275.

– რას მოუტანს ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია საქართველოს, უმუშევრობის, მოსახლეობის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის – ომები, უმუშევრობა, სოციალური პირობები, სამკურნალო დაწესებულებებისა და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის გათვალისწინებით?

– ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია-ლიბერალიზაცია, ჩვენი აზრით, სარისკო ექსპერიმენტია, რომელმაც, შეიძლება, ქვეყანა ნარკოპიდემიამდე მიიყვანოს. კანონპროექტის არსი ის არის, რომ ნარკოტიკების მოხმრებისთვის ადამიანის დაპატიმრება ციივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელია, ამიტომ, კანონპროექტის ავტორები მოგვიწოდებენ, შემოვიფარგლოთ ჯარიმით, ანუ, მოვახდინოთ ყველა სახეობის ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაცია. რა თქმა უნდა, მოძრაობა დეკრიმინალიზაცია-ლიბერალიზაციისკენ გარდაუვალი პროცესია, მაგრამ, მისი მოუმზადებლად და ნაჩქარევად განხორციელება იქნება სერიოზული ნაბიჯი ნარკოტიკების ლეგალიზაციისკენ, რაც, შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს ქართველი ერისთვის. უპრიანი იქნება, გავეცნოთ ამ სფეროში აშშ-ის მთავრობისა და კონგრესის გამოცდილებას. ისინი მიიჩნევენ, რომ ევროპის ნარკოპოლიტიკა ზედმეტად ლიბერალურია და მათთვის მიუღებელი. პრეზიდენტი ობამა და კონგრესი მიიჩნევენ, რომ, მრავალწლიანი კომპლექსური ღონისძიებების შემდგომ, აშშ-ის ადმინისტრაციამ ბოლო 20 წლის განმავლობაში ნარკოტიკების პრობლემის გადასაჭრელად თითქმის ნახევარი ტრილიონი დოლარი დახარჯა, უკვე შეიქმნა პირობები ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის მოსამზადებლად, რომლის დაწყებაც 2015 წელს იგეგმება, როცა წამალდამოკიდებული ნარკომანების სრული სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული. დღეს ხშირად ამბობენ, რომ სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია. როდესაც ამ განცხადების ავტორებს ვუსმენ, მახსენდება ცნობილი გერმანელი იურისტისა და პუბლიცისტის, ჰენრიხ ჰაინეს გამონათქვამი: არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩინებულად იცნობენ ფრინველს, თუ მათ უნახავთ კვერცხი, საიდანაც ეს ფრინველი გამოიჩეკება.

– თქვენ ჩვენს წინა საუბარშიც ახსენეთ, რომ ნარკოტიკები არის ერთგვარი იარაღი, რომელსაც ერთი სახელმწიფო იყენებს მეორის წინააღმდეგ. ჩვენ გვახსოვს, რა ხდებოდა აფხაზეთის ომის დროს, როდესაც ნარკოტიკი უცბად გახდა ხელმისაწვდომი.

– თუ ნარკოტიკების პრობლემას პოლიტიკურ სიბრტყეში განვიხილავთ, დავინახავთ, როგორ უახლოვდება ძალაუფლებისთვის ბრძოლა და სამხედრო ოპერაციები ნარკოტიკების წარმოებისა და ტრანზიტული გადაზიდვების სივრცეებს. ამის მაგალითებია ავღანეთში, ლიბანში, სამხრეთ ამერიკაში, ბალკანეთსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესები.

თუ საკითხს ისტორიულ კონტექსტში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ნარკოტიკები საუკუნეების განმავლობაში უკავშირდებოდა შეიარაღებულ დაპირისპირებებსა და განდგომილ-სეპარატისტულ რეგიონებს, ისმება კითხვა: რატომ? იმიტომ, რომ ნარკოტიკები ომების ენერგიად და მთავარ ფსონად თუ მოგებად გვევლინება. ნარკოტიკი ბრძოლის წინ აღაგზნებს, ენერგიას აძლევს მეომრებს, ხოლო, ბრძოლის შემდეგ – დასვენებისა და განტვირთვის საშუალებაა; ასევე, მშვენიერი ინსტრუმენტია იარაღსა და პროდუქტზე გასაცვლელად. მოქმედებს ისტორიული ფორმულა: ნარკოტიკი-იარაღს. როდესაც რევოლუციონერებმა, ნაციონალისტებმა, პოლიტიკოსებმა და მთავრობებმა დიდი ფული იშოვეს და მდგომარეობა მოიპოვეს, ისინი „გადემოკრატიულდნენ", თუმცა, დღეს მსოფლიოს მრავალ რეგიონში დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან წყაროდ კვლავაც ნარკოტიკი რჩება. არც საქართველოა გამონაკლისი: ნარკოტიკები და მასთან დაკავშირებული პრობლემები სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიერ მაკომპრომეტირებელ იარაღად გამოიყენებოდა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა გასული საუკუნის 90-იან წლებში, ეგრეთ წოდებული უკონტროლო ჟურნალისტიკის პერიოდში.

ნინო ხაჩიძე

ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

სომხებს ორი საწარმო აქვთ დარეგისტრირებული ევროკავშირის ბაზარზე. აზერბაიჯანელებს – რამდენიმე, ქართული საწარმო არ არის

2013 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით, საქართველოში ევროკავშირიდან იმპორტის წილმა 29 პროცენტი შეადგინა, დსთ-ს ქვეყნებიდან, უფრო ცოტა, 25 პროცენტი, დანარჩენი 46 პროცენტი სხვა ქვეყნებმა აითვისეს. რაც შეეხება საექსპორტო მაჩვენებელს: ევროკავშირის ქვეყნებში ჩვენი საექსპორტო მაჩვენებელი 17 პროცენტია, დსთ-ის ქვეყნებში, უფრო მეტი, 55 პროცენტი, დანარჩენი 28 პროცენტი კი სხვა ქვეყნებზე მოდის. აქვე ვიტყვი, რომ საქართველოს ექსპორტის 7-პროცენტიანი მაჩვენებელი აშშ-ზე მოდის, ამდენივე თურქეთზე, ოდნავ მეტი, 11 პროცენტი სომხეთზე და 27 პროცენტი აზერბაიჯანზე; უკრაინაზე 6 პროცენტი, ხოლო დარჩენილი 42 პროცენტი – სხვა ქვეყნებზე. იმას გარდა, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას ველით, 2009 წლის იანვარში აშშ-ს მთავრობასთან გაფორმებული ქარტია ჩვენს ოკეანისგაღმელ პარტნიორთანაც გვაძლევს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარების საშუალებას (რაც ჯერჯერობით არ გამოგვიყენებია). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი გაგვარკვევს ჩვენი ეკონომიკური პოტენციალის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში რეალიზაციის პერსპექტივებზე.

როგორ უნდა მოვემზადოთ ქართველი მეწარმეები ევროკავშირისა და ამერიკის ბაზარზე შესასვლელად და რამდენი დასახელების პროდუქციის შეტანა შეუძლიათ ამჟამად დაბეგვრის გარეშე

– აშშ-სა და საქართველოს შორის რამდენიმე წლის წინათ გაფორმდა ქარტია, რაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმსაც გულისხმობს ორ ქვეყანას შორის. რა გამოვიყენეთ და რის გამოყენება შეგვიძლია?

– ქარტია ყოვლისმომცველი დოკუმენტია და ეკონომიკური თანამშრომლობა თუ სავაჭრო რეჟიმის გამარტივება მისი ერთ-ერთი ელემენტია. ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, აშშ ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ევროპა, რადგან ბიზნესისთვის ევროპასთან ნებისმიერი ოპერაციის წარმოება ბევრად მარტივია და ჩვენი ევროკავშირში ინტეგრირების პერსპექტივაც უფრო რეალურია. დღეს ევროკავშირთან ჩვენი სავაჭრო ბრუნვა 30 პროცენტამდეა და უნდა მივაღწიოთ 60-70 პროცენტამდე გაზრდას.

– რა ტიპის პროდუქციით ვვაჭრობთ ევროკავშირთან?

– ჩვენი ექსპორტი ძალიან შეზღუდულია, დივერსიფიცირების თვალსაზრისით და იცით, რომ იმპორტი თითქმის სამჯერ სჭარბობს ექსპორტს. ამდენად, გასაკვირი არ იქნება, თუ ვნახავთ, რომ ევროკავშირში ბევრს ვერაფერს ვყიდით. სულ რამდენიმე დასახელების საქონელი შეიძლება იყოს, რასაც მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ყველაზე გავრცელებულია თხილი. ასევე, გადის ღვინო და მინერალური წყლები გარკვეული რაოდენობით. ჩვენ ევროკავშირში ვეწევით მინერალური სასუქების ექსპორტს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნავთობპროდუქტების ექსპორტს, ეს შესაძლოა, იყოს რეექსპორტი. ნედლეულის სახით გადის მანგანუმი, გადამუშავებული ფერადი ლითონები და პირველადი შენადნობები.

– მარტივად ვიტყვი, ამჟამად ჩვენ ევროკავშირთან ვვაჭრობთ პროდუქციით, რომელიც ჩვენგან არ საჭიროებს არათუ მაღალტექნოლოგიურ, საშუალოტექნოლოგიურ დამუშავებას?

– დიახ, თუმცა სავაჭრო რეჟიმი, რომელიც ჩვენ ევროკავშირთან ამჟამად გაგვაჩნია, გვაძლევს საშუალებას, რომ ჩვენი საქონლის 90 პროცენტი, დასახელებების მიხედვით, შევიტანოთ ნულოვანი განაკვეთით, ანუ დაბეგვრის გარეშე. თუმცა ჯერჯერობით ბევრი არაფერი გვაქვს ისეთი, რასაც შევთავაზებდით ევროკავშირის ბაზარს, იმის გათვალისწინებითაც, რომ ეს პროდუქცია უნდა იყოს კონკურენტუნარიანი.

– ამერიკის შეერთებულ შტატებს რა შეიძლება, შევთავაზოთ?

– საკმაოდ რთულია ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე ჩვენი ექსპორტის სტიმულირება.

– სიშორის გამო?

– რა თქმა უნდა, ძვირი ჯდება გადატანა.

– თუმცა, როგორც ვიცი, სიშორე ხელს არ უშლის აშშ-ს, რომ ყოველ დილით ახალ-ახალი ეგზოტიკური ხილი ეწყოს დახლებზე?

– თავისთავად, მაგრამ ძალიან კონკურენტუნარიანი უნდა იყო. ანუ, თუ ევროპაში შეგიძლია, ფასითაც გაუწიო კონკურენცია, აშშ-ს მართლაც რაღაც ეგზოტიკური პროდუქტი უნდა შესთავაზო, რაც მარტივი არ არის ჩვენს შემთხვევაში. თუ ამაზე ავიღებთ ორიენტაციას, არ მგონია, მაინცდამაინც დავიპყროთ შეერთებული შტატების ბაზარი, მაგრამ რაღაც ნიშების მოძებნა შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება? რომ იქაური ბაზრის კარგად მცოდნე ინვესტორები დავაინტერესოთ იმით, რომ საქართველოში იმუშაონ და აწარმოონ კიდეც პროდუქცია. ჩვენი არა მხოლოდ სამრეწველო და ეკონომიკური პოტენციალია დაბალი, არამედ, ასევე, დაბალია ჩვენი ბიზნესმენების გამოცდილებაც, ცოდნაც, გაქანებაც. ამიტომ, როდესაც

პროდუქციის ხარისხს დაუშვებასთან კავშირი არ აქვს. ხარისხი შეიძლება, იყოს ცუდი, პროდუქტს მაინც დაუშვებენ ბაზარზე, უბრალოდ ევროპელი მომხმარებელი არ იყიდის

აშშ-სა და ევროკავშირთან ვაფორმებთ ხელშეკრულებებს, არა მარტო იმაზე ვზრუნავთ, როგორ გავატანინოთ ჩვენს ბიზნესმენებს რაღაც საქონელი, არამედ იმაზეც, თუ როგორ დავაინტერესოთ უფრო გამოცდილი ბიზნესმენები საქართველოში, რომ ჩვენს ბიზნესმენებთან დადონ კონტრაქტები, ასწავლონ მათ და გამოიყენონ ჩვენი პოტენციალი. ამერიკის ბიზნესი, თუ შორ რეგიონებში მიდის, როგორც წესი, ორიენტირებულია დიდ მასშტაბებსა და ინვესტიციებზე. ამის გასაქანი საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. თუ მცირე ამერიკული ინვესტიციები წავა შორეულ ქვეყანაში, ის ქვეყანა უნდა იყოს ამერიკის მსგავსი, მათ შორის, ინგლისურენოვანიც.

– ჩვენთან არ არსებობს ხარისხისა და უვნებლობის კონტროლის მექანიზმები, ანუ რაგინდ კარგი ხელშეკრულებები გავაფორმოთ იმავე ევროკავშირთან, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ იმ პროდუქციით, რაც გვაქვს, შევალთ ევროპის ბაზარზე.

– პროდუქციის ხარისხს დაშვებასთან კავშირი არ აქვს. ხარისხი შეიძლება, იყოს ცუდი, პროდუქტს მაინც დაუშვებენ ბაზარზე, უბრალოდ ევროპელი მომხმარებელი არ იყიდის. უფრო მნიშვნელოვანია უვნებლობა, პროდუქტის უსაფრთხოება და ეს არ ეხება მხოლოდ კვების პროდუქტებს. ჩვენ, ამ მხრივ, ჩამორჩენილები ვართ. ჩვენი წარმოება არ არის ორიენტირებული უსაფრთხოებაზე, ასეთი პროდუქტი კი ვერ გადის ევროკავშირის ბაზარზე. მეწარმე ჩვენთან აწარმოებს პროდუქტს და ჰყიდის ადგილობრივ ან სხვა ბაზარზე, მაგრამ, როდესაც ევროკავშირის ბაზარზე გასვლა მოუნდება, მას მოუწევს ხარისხის, პროდუქციის უვნებლობის სტანდარტის შექმნა. შემდეგ დასჭირდება ევროკავშირში სერტიფიკატის მოპოვება, ანუ ევროკავშირის სერტიფიცირებული ორგანო ამოწმებს ამ პროდუქციის შესაბამისობას ევროკავშირის სტანდარტებთან და მხოლოდ ამის შემდეგ დაუშვებს ბაზარზე. თან, მეწარმეს ამის გაკეთება მოუწევს პერიოდულად.

– მეწარმის ხარჯით მოწმდება?

– რა თქმა უნდა. ან იგულისხმება, რომ ჩვენი შემმოწმებელი ორგანო იქნება ისეთი, რომელსაც ენდობა ევროკავშირი. თუ ევროკავშირში დაადგენენ, რომ საქართველოდან მავნე სერტიფიცირებული პროდუქტი შედის, შეაჩერებენ შეთანხმების შესაბამის მუხლებს და თავიანთ შემოწმებას დაიწყებენ. ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი იქნება, რომ ამ ინსტიტუტებმა იმუშაოს გამართულად. ამას გარდა, სხვა მიმართულებებსაც გულისხმობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება: მათ შორის, იმას, როგორია კონკურენციის პოლიტიკა ქვეყანაში. თუ მათ ნახეს, რომ კონკურენციის საგენტო რეალურად არ მოქმედებს და არ უზრუნველყოფს ბაზარზე მოთამაშეების თავისუფალ დაშვებას, იქმნება კარტელები, იდება გარიგებები, ამ შემთხვევაშიც შეიძლება, შეაჩერონ შეთანხმება. ასევე, თუ ევროკავშირი ნახავს, რომ გარემოს დაცვაში საქართველოს მთავრობა არ აწარმოებს შესაბამის შემოწმებებს, ზოგიერთი ქარხანა აბინძურებს ეკოლოგიას და ისე უშვებს პროდუქციას, რომელსაც უფრო იაფად ყიდის, მან შეიძლება, შეაჩეროს შეთანხმება.

– ჩვენ გვაქვს საწარმო, რომლის პროდუქტსაც აქვს ევროკავშირის სერტიფიკატი?

– ქართული საწარმო არ არის, თუმცა სომხებს ორი საწარმო აქვთ დარეგისტრირებული ევროკავშირის ბაზარზე. აზერბაიჯანელებს – რამდენიმე. საქართველოში არ აღმოჩნდა ისეთი ბიზნესები, რომლებსაც შეუძლიათ და უღირთ ამის გაკეთება. თუ ევროკავშირთან დავდებთ ასეთ ხელშეკრულებას და ჩვენ თვითონ უზრუნველვყოფთ შემოწმებას, აღარ იქნება საჭირო ევროკავშირში რეგისტრაცია. მეორე სფერო არის ტექნიკური რეგლამენტები: ნებისმიერ სამრეწველო საქონელზე არსებობს სპეციალური ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც და-

ცული უნდა იყოს, რათა არ ვნებდეს ადამიანის ჯანმრთელობას. ცალკე დირექტივა არსებობს ევროკავშირში, რომელიც ეხება ბავშვების სათამაშოებს, ელექტროხელსაწყოებს. მაგალითად, ნათურა ისეთი უნდა იყოს, თუ გასკდა, ზიანი არ მიაყენოს მომხმარებელს, ისე არ დაიმსხვრეს, რომ, თუ ადამიანი გადაყლაპავს, საფრთხე შეუქმნას. ევროკავშირი, როდესაც დებს შეთანხმებას რომელიმე ქვეყანასთან, იმ ქვეყნიდან ბაზარზე დაუშვებს მხოლოდ თავისი სტანდარტების შესაფერის საქონელს.

– მაღალტექნოლოგიურ პროდუქციამდე შორი გზა გვაქვს გასავლელი, ამიტომ მარტივად ვიკითხავ, ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციას აქვს შანსი, გავიდეს ევროკავშირის ბაზარზე?

– ეს საკითხი არ ეხება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას. შენ მაქსიმალურად ხსნი ბაზარს და აინტერესებ ევროკავშირიდან ინვესტორს. შეიძლება, პომიდვრის გატანის ძალიან დიდი პოტენციალი გაქვს, მაგრამ ვერ შეძლო ეს, რადგან, თუნდაც, თურქეთი იმდენს აწარმოებს, რომ ვერ აჯობებ.

– მაგრამ არ აქვს გემო ამ თურქულ პომიდორს.

– გასაგებია, მაგრამ მას აწყობილი აქვს საქმე. ამ საკითხზე უკვე ეკონომიკის სამინისტრომ უნდა იზრუნოს. თუმცა არის უამრავი დარგი, რომლებიც შეგვიძლია, ავამოქმედოთ.

– ისიცაა, რომ ჩვენ ფიზიკურად ვერ შევძლებთ ბევრის წარმოებას და, ამასთან, მცირერიცხოვნობის გამო, მცირეოდენის გაყიდვაც დაკმაყოფილებს ჩვენს ბიზნესს.

– მაგრამ დიდი კონტრაქტების დადება და განხორციელება უფრო მარტივია და ნაკლები ჯდება, ვიდრე მცირესი. მეორე მხრივ, საქართველო არც ისე პატარაა, ბელგიაზე დიდი ქვეყანაა, ჰოლანდიაზეც, თავისი ტერიტორიით. თუმცა ჰოლანდია ორჯერ დიდია თავისი მოსახლეობითა და ეკონომიკით. ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ სწრაფად ვერ მოხდება. ჩვენ ახლა საერთაშორისო ბაზრებზე შევდივართ, თუმცა ჯერჯერობით ჩვენი შიდა ბაზარიც ვერ დაგვიკმაყოფილებია, რაც არანაკლები მიღწევა იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთაგორიანი ქვეყანაა, უზარმაზარი ველები გვაქვს, გარდა კლიმატური პირობებისა და ორ-სამჯერ მეტი ადამიანის გამოკვება შეუძლია, ვიდრე ჩვენი მოსახლეობაა. ეს ძალიან რთული თემაა და ცალკე სამსჯელო, კონკრეტულად რა პოტენციალი აქვს საქართველოს ბაზრებზე გასასვლელად. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ევროკავშირის ბაზართან ინტეგრირება ჩვენს პოტენციალს ერთიორად გაზრდის, იმიტომ რომ, უპირველესად, ევროკავშირელ ინვესტორებს აძლევს სტიმულს, გამოიყენონ საქართველო თავიანთი ბიზნესის გასაფართოებლად და არა, როგორც ბაზრად. საქართველო მცირე ბაზარია და იმდენად მნიშვნელოვანი ვერ იქნება მათთვის, სამაგიეროდ, მათთვის მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს, როგორც ადგილი, სადაც აწარმოებ პროდუქტს და გაიტან ევროპაში ან სხვაგან. ჩვენ ვხდებით ევროპის ნაწილი და ევროპელ მეწარმეს ურჩევნია, თავის პერიფერიაზე აწარმოოს პროდუქცია, ქვეყანაში, რომელიც ევროპის კონკურენტი არასდროს გახდება.

– ანუ ჩვენი ეს ეკონომიკური ჩამორჩენილობა ერთგვარი ხიბლიცაა ევროპელი ინვესტორებისთვის?

– ევროპის სახელმწიფოები დაინტერესებულნი იქნებიან ინვესტიციის ჩადებით ისეთ სახელმწიფოში, რომელიც მათ კონკურენციას არ გაუწევს. ვხედავთ, რომ ჩინეთი ნელ-ნელა ევროკავშირის კონკურენტი ხდება და გამოდის, ინვესტიციები, რომლებსაც ევროპელები დებენ ჩინეთში, საბოლოო ჯამში, ევროპელებისვე საწინააღმდეგოდ მუშაობს, იმიტომ რომ, ჩინურ ეკონომიკას ავითარებენ და შემდეგ ჩინური პროდუქცია სხვა ბაზრებზე ჩაგრავს ევროპულ ნაწარმს. საქართველო კი მიისწრაფის ევროკავშირისკენ და ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვიქნებით არა მათი კონკურენტი, არამედ – პარტნიორი და ეს ფაქტორი უნდა გამოვიყენოთ. ამან იმოქმედა ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის განვითარებაზე, ცენტრალური დ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარებაზე. ძირითადად, იქ დაბანდეს თანხა და საწარმოებიც გადაიტანეს. ამდენად, ჯობია, გახსნილი ვიყოთ და ერთიან ეკონომიკურ სისტემაში ჩავეწეროთ.

– ის, რაზეც თქვენ ისაუბრეთ, ნიშნავს, რომ ბრენდების, წარმატებული ბიზნესების დიდი ნაწილი ამ სისტემაში ვეღარ იარსებებს: ჩვენთან ბენზინს ანერია უსინდისო ტყუილი „ევრორეგულარი“ – რეგულარის ტიპის საწვავი ევროპაში უბრალოდ არ არსებობს. იგივე ითქმის ჩვენს ფარმაცევტულ ბაზარზე. ასეთ ბიზნესებს ხომ შანსი აღარ ექნებათ?

– არა, რა თქმა უნდა, თუ არ შეცვალეს მუშაობის სტილი. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ ევროსტანდარტებზე. დღეს ყველა ქვეყანა ცდილობს, ასწიოს სტანდარტი და უსაფრთხო პროდუქტი გამოუშვას, იმიტომ რომ ხალხი უფრო განათლებული და ინფორმირებული ხდება, ცხოვრების დონეც მაღლა იწევს. მართალია, დღესაც არსებობს ღარიბი ქვეყნები, მაგრამ ორიენტაციის აღება იმაზე, რომ მათთვის სულერთია და მთავარია, იაფი საქონელი გამოვუშვათ, არასწორია. რაც მალე განვითარდება მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგია, მით უფრო ადვილი იქნება არა მარტო ევროკავშირის, სხვა ბაზრებზე შეღწევაც. ზოგიერთი ამბობს, არ გვინდა ევროკავშირის ბაზარი, თუ ასე რთულია იქ შეღწევა, არსებობს სხვა ქვეყნებიც. მაგრამ ის სხვა ქვეყნებიც აწევენ სტანდარტებს და ისე შეიძლება, მოხდეს, რომ დარჩე ბოლო ადგილზე და არ იყო კონკურენტუნარიანი.

ნინო ხაჩიძე

დაიბრუნეთ ჩვეული სიცალე და თვითდაჯერებულობა

ტერბიზილი® კრემი

ტერბინაფინი

ეფექტური

↓

სწრაფი

↓

საიმედო და უსაფრთხო

ტერბიზილის კრემი – შექმნილი სპეციალურად კანის სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, სულ რაღაც **1-2 კვირაში** ახდენს ტერფის სოკოსგან სრულ განკურნებას და იცავს კანს განმეორებითი ეპიზოდების განვითარებისაგან ხანგრძლივი დროით.

გამოყენების წესი: წინასწარ გასუფთავებულ და მშრალი კანის დაზიანებულ უბნებზე წაისვით ტერბიზილი კრემის თხელი ფენა 1-2 ჯერ დღეში.

- **უზრუნველყოფს განკურნების მაღალ პროცენტს.**
- **ანადგურებს კანის სოკოს ყველა ძირითად გამომწვევს.**
- **ახდენს სრულ განკურნებას (ტერფის სოკოს დროს 1-2 კვირაში).**
- **დაგიცავთ რეციდივის განვითარებისაგან.**

იკითხეთ აფთიაქებში

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ღსს "გედეონ რიხტერი"-ს (უნგრეთი) წარმომადგენლობა საქართველოში.
მის.: თბილისი, კანდელაკის №8, ტელ/ფაქსი: 237-11-00; 237-71-00

რომელი სახელით აკურთხებენ ინგლისის მეფედ პრინცი უილიამისა და ქეით მიდლტონის ახალშობილ ვაჟს და ვის პატივსაცემად დაარქვეს მას პრინცი ჯორჯ ალექსანდრ ლუი კემბრიჯელი

მისი სამეფო უდიდებულესობა პრინცი ჯორჯ ალექსანდრ ლუი კემბრიჯელი, დაბადების თარიღი 2013 წლის 22 ივლისი. მშობლები: მამა – დიდი ბრიტანეთის პრინცი, დედა - დიდი ბრიტანეთის პრინცესა. ასეთი მონაცემებია ჩაწერილი ლონდონის ვესტმინსტერის საოლქო სამსახურის მიერ გაცემულ დაბადების მოწმობაში. საუბარია დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ახალ წევრზე, პრინცი უილიამისა და მისი მეუღლის, კემბრიჯის ჰერცოგინია ქეთრინ ელიზაბეთის საერთო შვილზე – პრინცზე, რომელიც სამეფო ტახტის დაკავების რიგში მესამეა, ბაბუისა და მამის შემდეგ.

პრინცი უილიამი – კემბრიჯის ჰერცოგი

* პრინცი უილიამ არტურ ფილიპ ლუი, კემბრიჯის ჰერცოგი, სტრატჰერნის გრაფი და კარიკფერგუსის ბარონი 1982 წლის 21 ივნისს დაიბადა ლონდონში, პადინგტონის რაიონში. ის უელსის პრინც ჩარლზის და პრინცესა დიანას პირველი ვაჟიშვილია, დედოფალ ელიზაბეთ მეორის შვილიშვილი და ტახტის მემკვიდრე.

* ცნობილია ფაქტია, რომ 1996 წელს პრინც ჩარლზისა და პრინცესა დიანას განქორწინება ყველაზე მტკივნეულად პრინცმა უილიამმა გადაიტანა. პრინცი დედასთან უფრო ახლო იყო, ვიდრე მამასთან.

* დაქორწინებამდე დიდი ბრიტანეთის პრინცი უილიამი ცნობილი იყო შოკისმომგვრელი ქცევებით. ქალაქ უეიმუტის „ასდას" სუპერმარკეტების ქსელის თანამშრომელი იხსენებდა: „პრინცი ორ პირად მცველთან ერთად შემოვიდა, ტახტის მემკვიდრე ჩვეულებრივად, მაისურსა და ტილოს შარვალში იყო გამოწყობილი და თავდაპირველად, ვერავინ იცნო. როდესაც უილიამმა, ღვინით, ლუდით, არყითა და კიდევ სხვა სახის ალკოჰოლური სასმელებით სავსე ოთხი ურიკა მიაყენა სალაროსთან, მოლარე-ოპერატორმა კინაღამ ენა გადაყლაპა. პრინცმა ნაღდ ფულად გადაიხადა 1 700 ფუნტი, თავის „აუდის" მარკის ავტომობილში გადაიტანა ბოთლები, ქილები და ბოვინგტონის სამხედრო ბანაკისკენ დაიძრა". პრინცი უილიამი, რომ ალკოჰოლური სასმელების მოყვარული იყო, მანამდეც იყო ცნობილი. ბრიტანულ პრესაში არაერთხელ დაწერილა უინძორების სასახლეში გამართულ ხმაურიან წვეულებებზე, სადაც პრინცი უილიამი თავის მეგობრებთან ერთად, ლიტრობით მიირთმევდა ფრანგულ შამპანურს.

* კიდევ ერთი სკანდალური ისტორია ლონდონის გარეუბანში მიმდინარე ჩოგბურთის კერძო ტურნირს ეხება, სადაც მხოლოდ ბრიტანეთის არისტოკრატული ოჯახების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მატჩის დროს, პრინცმა უილიამმა ტაიმაუტი მოითხოვა, მოეფარა გაბმულ ბადეს და პირდაპირ კორტზე მოშარდა ათეულობით მოწმის წინაშე. ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტოები კი სამეფო ოჯახის მიერ დაქირავებულმა ფოტოგრაფმა გადაიღო. ბრიტანული პორნოინდუსტრიის მოღვაწეებმა კი პრინცის სასქესო ორგანოს მონაცემები შეაფასეს და განაცხადეს, რომ უილიამსს ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, თუკი მომავალში პორნოვარსკვლავობას მოინდომებს.

* 2005 წლიდან ლონდონის მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში წარმოდგენილია პრინცი უილიამის ფიგურა, რომლის დამზადება 100 ათასი ფუნტი სტერლინგი დაჯდა. მაგრამ, ეს არ არის მთავარი, ბოლო პერიოდია, აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, რომ დღეისთვის მნიშვნელოვნად შეიცვალა პრინცის იერი და იმიჯი. ამიტომ, მუზეუმის მესვეურები აპირებენ, ცვილის ფიგურას რამდენიმე ახალი ელემენტი შემატონ. კერძოდ, აქტიურად მიდის იმაზე საუბარი, რომ პრინცს თმა

სცვივა და სულ მალე შესაძლოა, თმის გადანერგვის კლინიკებს მიმართოს. გარდა ამისა, პაპარაცების წყალობით, ცნობილი გახდა, რომ პრინცს წინა, ქვედა კბილებზე სპეციალური ბრეკეტები ეკეთა, რაც იმას მომწობს, რომ „ცისფერსისხლიან" უილიამს არც კბილები უვარგოდა და თმის გადანერგვასთან ერთად, სტომატოლოგებთან უწევდა ხშირი სიარული.

* ჯერ კიდევ ოფიციალურ ქორწინებამდე, პრინცი უილიამი და ქეით მიდლტონი ბრიტანული გაზეთების ტოპ-ნიუსების გმირები იყვნენ. დაქორწინებამდე ერთი წლით ადრე, სქოთლანდ-იარდის თანამშრომლებმა და სამეფო ოჯახის უსაფრთხოებაზე მზრუნველმა ოფიცრებმა დაიკავეს ადამიანი, რომელიც ცდილობდა, გაზეთ „სანისთვის" პრინც უილიამისა და ქეით მიდლტონის ინტიმური ფოტოების მიყიდვას. ფოტოები ქეითის დის გადაღებული იყო, მაგრამ შემდეგ ციფრული აპარატი დაიკარგა. საბოლოოდ კი, ცნობილი გახდა, რომ უცნობი პირები 50 ათასი ფუნტი სტერლინგის სანაცვლოდ, ცდილობდნენ, „ფლეშ-კარტის" გაყიდვას, რომელზეც აღნიშნული ფოტოები იყო ჩაწერილი. კულუარულ წყაროებზე დაყრდნობით, ცნობილი გახდა, რომ ფოტოებზე აღბეჭდილი იყო, თუ როგორ დაცურავდნენ ერთად შიშველი უილიამი და ქეითი და ასევე, როგორ დასეირნობდა პრინცი ქალის ქუდით პლაჟზე.

ქეთრინ ელიზაბეთი – კემბრიჯის ჰერცოგინია

* ქეთრინ ელიზაბეთ მაუნბატენ-უინძორი, კემბრიჯის ჰერცოგინია, დაქორწინებამდე კეთრინ ელიზაბეთ მიდლტონი 1982 წლის 9 იანვარს ბერკშირის საგრაფოში, ქალაქ რედინგში დაიბადა. მისი მშობლები – მაიკლ ფრენსის მიდლტონი და კეროლ ელიზაბეთ გოლდმისტი არიან. დედა სტიუარდესად მუშაობდა, ხოლო მამა ავიადისპეტჩერად. მოგვიანებით კი – „ბრითიშ ეირვეისის" პილოტად.

* ქეით მიდლტონის წინაპრები, დედის მხრიდან მუშათა კლასის წარმომადგენლები იყვნენ, გვარად ჰარისონები. ისინი დარემის საგრაფოში მეშახტეებად მუშაობდნენ. ქეითის მამის წინაპრები წარმოშობით იორკშირის საგრაფოდან არიან, ქალაქ ლიდსიდან. ქეითის წინაპარი იყო თომას დევისი – ანგლიკანური ეკლესიის საეკლესიო ჰიმნების ავტორი. ასევე, ქეითის შორეული ნათესავია მამის მხრიდან ცნობილი ინგლისელი მსახიობი – ჰელენა ბონემ-კარტერი.

* 1984-1986 წლებში მიდლტონების ოჯახი იორდანიაში ცხოვრობდა, მაიკლ ფრენსის მიდლტონის სამსახურის გამო. ქეითი ამანში, ინგლისურენოვან ბაღში დადიოდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ქეითი სენტ-ენდრიუსის სკოლაში სწავლობდა, რომლის დამთავრების მერე მალბოროს კოლეჯში განაგრძო სწავლა. კოლეჯში სწავლის პერიოდში ქეითი გატაცებული იყო სპორტით: ჩოგბურთით, ჰოკეით, წყალში ხტომითა და მძლეოსნობით.

* 2001 წელს ქეით მიდლტონმა სენტ-ენდრიუსის პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც გაიცნო კიდეც პრინცი უილიამი. სწავლის პერიოდში ქეითი უნივერსიტეტის ჰოკეის გოგონათა გუნდში თამაშობდა და მონაწილეობდა სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში. 2002 წელს გამართულ საქველმოქმედო ჩვენებაზე ქეითმა გამჭვირვალე კაბაში გაიარა პოდიუმზე. მოგვიანებით, ეს კაბა აუქციონზე 104 ათას დოლარად გაიყიდა.

* უილიამისა და ქეითის რომანი 2002 წელს დაიწყო, როდესაც ბრიტანულ პრესაში პირველად დაიწერა პრინცის სასიყვარულო გატაცების შესახებ. მას შემდეგ წყვილი რამდენჯერმე დაშორდა ერთმანეთს და ისევ შერიგდნენ. საბოლოოდ კი, 2010 წლის ნოემბერში ცნობილი გახდა, რომ უილიამი და ქეითი დაინიშნენ და ქორწილი 2011 წლის აპრილში დაიგეგმა. თითქმის 10-წლიანი სასიყვარულო ურთიერთობა 2011 წლის 29 აპრილს გრანდიოზული ქორწილით და ვესტმინსტერის საბატონში ჯვრისწერით დასრულდა.

პრინცი ჯორჯ კემბრიჯელი

* პრინცი ჯორჯ ალექსანდრ ლუი კემბრიჯელი წმინდა მარიას საავადმყოფოში დაიბადა, ზუსტად იქ, სადაც 1982 და 1984 წელს პრინცესა დიანამ პრინცები – უილიამი და ჰარი შობა.

* სახელი ჯორჯი ახალშობილმა პრინცმა დიდი ბებიის, დედოფალ ელიზაბეთ მეორის მამის პატივსაცემად მიიღო. ალექსანდერი ასევე, დიდი ბებიის მეორე სახელია, ხოლო ლუი (ლუისი, ლუდოვიკო) ლუის მაუნტბეტენის, დიდი ბაბუის, პრინცი ფილიპის ბიძა, სამხედრო მოღვაწე გახლდათ.

* ტახტზე ასვლის შემთხვევაში, პრინც ჯორჯ ალექსანდერს მეფე გეორგ მეშვიდედ აკურთხებენ.

უშანგი რუხაძე

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში

„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

ყველაზე ცნობილი მილიარდერების ყველაზე ცნობილი შთამომავლები და მათი ბიზნესები

თანამედროვე „პრინცესები" ცნობილები ხდებიან დაბადებისთანავე, რადგან, მათი მილიარდერი მშობლების კაპიტალის გათვალისწინებით, ისინი რომ მეფურ ცხოვრებას არ იქნებიან მოკლებულნი, ყველამ იცის. თუმცა, არის გამონაკლისებიც. ყველაზე ცნობილი მილიარდერების შთამომავლებს შორისაც კი არიან ისეთები, რომლებიც არ თაკილობენ შრომას და ხელოვნებაში ან ბიზნესში გამომუშავებული საკუთარი კაპიტალით ირჩენენ თავს.

ალსუ აბრამოვა

რუსული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავი, პოპ-მომღერალი ალსუ, „ლუკოილის" მეწილის, ნავთობმაგნატ რალიფ საფინის ქალიშვილია. 15 წლის ასაკიდან ალსუ სცენაზე დგას და მას არაერთი ჰიტური კომპოზიცია აქვს შესრულებული. ალსუს კარიერის მწვერვალად „ევროვიზიაში" მონაწილეობა და კონკურსში მეორე ადგილის დაკავება ითვლება. ალსუს მეუღლე ასევე მილიარდერების შთამომავალი იან აბრამოვია. პირადად ალსუს კაპიტალი 1,6 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

შარლოტა მარი კაზირაგი



მონაკოს პრინცესა, შარლოტა კაზირაგი, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ საკუთარი კომპანიის განვითარებით არის დაკავებული. პრინცესამ დააარსა ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია „დილანს ქენდი ბარ", რომლის პროდუქცია დიდი მოთხოვნით სარგებლობს ევროპასა და ამერიკაში. პრინცესას კაპიტალი 4,6 მილიარდი დოლარია.

ამანდა ჰერსტი

26 წლის ამანდა ჰერსტი, ჰოლდინგ „ჰერსტ კორპორეიშენის" დამაარსებლის შვილიშვილი, ფეშენ-ინდუსტრიასა და მედიაშია ჩართული. ამანდა პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე გემოვნებიან ახალგაზრდა მილიარდერად ითვლება, რომლის კაპიტალი 1,5 მილიარდი დოლარია. ცნობისთვის, ამანდა, ბიზნესის გარდა, რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას უწევს დახმარებას.

პერის და ნიკი ჰილტონები

სასტუმროების ქსელ „ჰილტონის" დამაარსებლის, კონრად ჰილტონის შვილთაშვილები პერისი და ნიკი, მსოფლიო ბომონდის ცნობილი სახეები არიან. პერისი მსახიობი და მომღერალია, ხოლო ნიკი მოდელობს და, ორივე და, მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობით მიღებული ქონებით შეუძლიათ სარგებლობა, საკუთარ თავს თავად ინახავენ. დების საერთო კაპიტალი 2,5 მილიარდ დოლარს აღემატება.

არიანა როკფელერი

გვარიდან გამომდინარე, მიხვდებით, რომ საქმე გვაქვს ცნობილი როკფელერების გვარის შთამომავალთან. დევიდ როკფელერის შვილიშვილი, 26 წლის არიანა ბიზნესის რამდენიმე მიმართულებით მუშაობს და მისი კაპიტალი 2,2 მილიარდი დოლარია.

ჯორჯინა ბლუმბერგი

ჯორჯინა ბლუმბერგი, ნიუ-იორკის მერისა და კომპანია „ბლუმბერგის" პრეზიდენტის, მაიკლ ბლუმბერგის უმცროსი ქალიშვილია. ჯორჯინა სწავლის მოყვარული და მუშაობაზე ორიენტირებული ახალგაზრდაა, რომელიც მამის კომპანიაში სულ მალე მაღალ თანამდებობაზე განაგრძობს მუშაობას. ჯორჯინას სავარაუდო კაპიტალი 10 მილიარდამდე დოლარს შეადგენს.

ტამარა ეკლსტოუნი

ინგლისელი მილიარდერისა და „ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელის, ქარიზმატული ბერნი ეკლსტოუნის ლამაზმანი ქალიშვილი, ტამარა ეკლსტოუნი, მსოფლიო შოუ-ბიზნესში ცნობილი სახეა. მისი სექსუალური სხეულის ნახვა არერთ ცნობილ ჟურნალშია შესაძლებელი, მათ შორის – „ფლეიბოიში". მოდელობასთან ერთად, ტამარა სპორტული კომენტატორის თანამდებობასაც ითავსებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი კაპიტალი 4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ჰოლი ბრენსონი

ავიაკომპანია „ვირჯინ ატლანტიკის" მფლობელის, სკანდალური მილიარდერის, რიჩარდ ბრენსონის უფროსი ქალიშვილი კომპანიის მთავარ მემკვიდრედ ითვლება. ჰოლი განათლებული და მიზანსწრაფული ახალგაზრდაა, ის მუდამ საქმეშია ჩართული, იქნება ეს მამის კომპანია თუ საქველმოქმედო პროექტის განხორციელება. ჰოლის მეგობრები არიან დიდი ბრიტანეთის პრინცები – უილიამი და ჰარი, მისი კაპიტალი კი 4 მილიარდამდე დოლარს შეადგენს.

ანა ანისიმოვა

რუსი მეტალურგიული მაგნატის, რუსული „რკინის მეფის", ვასილი ანისიმოვის უფროსი ქალიშვილი, 23 წლის ლამაზმანი ანა ანისიმოვაა. გოგონა კომპანიის მემკვიდრეა და მისი კაპიტალი უკვე შეადგენს 1,6 მილიარდ ამერიკულ დოლარს.

კეტრინ და სესილ ფრედრიკსენები

თანამედროვე „არისტოტელე ონასისის", გემთმშენებლობის მაგნატის, ჯონ ფრედრიკსენის ქალიშვილები კომპანიის საქმიანობაში არიან ჩართულნი და მათი კაპიტალი 7,7 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ივანკა ტრამპი



დონალდ ტრამპის ლამაზმანი ქალიშვილი, ივანკა ტრამპი, დუბაიში „ტრამპ ორგანიზეიშენის" განვითარებით არის დაკავებული; გარდა ამისა, ის იკავებს კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის სავარძელს. ივანკას კაპიტალი 2 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ჰინდ ჰარირი

ლიბანელი პოლიტიკოსის, რაფიკ ჰარირის ქალიშვილი, ჰინდ ჰარირი, გარდაცვლილი მამის მსგავსად, პოლიტიკაშია ჩართული და გავლენიანი დიპლომატის სახელი აქვს სამშობლოში. ჰინდის კაპიტალი 1,4 მილიარდი დოლარია.

დილან ლორანი

მსოფლიოში განთქმული დიზაინერის, რალფ ლორანის ქალიშვილი – დილანი, არ გაჰყვა მამის კვალს და სრულიად საპირისპირო ბიზნესში დაიწყო საქმიანობა. დილან ლორანი საკონდიტრო სუპერმარკეტების ქსელს ფლობს და, უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებულად უძღვება საქმეს.

ელისონ საროფიმი

ეგვიპტური წარმოშობის ამერიკელი ინვესტორის, ფაიეზ შალაბი საროფიმის ქალიშვილი, ელისონი, ამერიკული ბომონდის ცნობილი სახე და ქველმოქმედებაში ჩართული ახალგაზრდაა. ელისონი კინოში თამაშობს და, ასევე, საკუთარი სვეტი აქვს პრესტიჟულ ჟურნალებში, სადაც ინტერიერის დიზაინზე აქვეყნებს სტატიებს. მისი კაპიტალი 1,5 მილიარდი დოლარია.

ანა გეტი

ნავთობმაგნატისა და მეცენტანის, ჯონ პოლ გეტის ნაშვილები ქალიშვილი, ანა გეტი, სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და ერთი პერიოდი კინოში ცდიდა ბედს, თუმცა, წარუმატებლად. ამჟამად ანა იოგას ინსტრუქტორია პრესტიჟულ გამაჯანსაღებელ ცენტრში. მისი კაპიტალი 2,4 მილიარდი დოლარია.

უშანგი რუხაძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

როგორ გახდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის ახალი ხელმძღვანელი „ყინულმჭრელი" და რაზე არ დათანხმდა ის შვედეთის პრემიერ-მინისტრს

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი ბორდის დაკომპლექტებამდე, მას ემზარ გოგუაძე უხელმძღვანელებს. პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე, პოეტი და ლიტერატორი ემზარ გოგუაძე ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დისიდენტური მოძრაობიდან არის ცნობილი – ზვიად გამსახურდიამ მას ეროვნული მოძრაობის „წყალქვეშა ნავი" უწოდა, რადგან გურული მოხერხებულობის წყალობით, ის კონსპირაციის კარგი ოსტატი იყო. რას შეცვლის ემზარ გოგუაძე საზოგადოებრივ მაუწყებელში, ამას დრო გვიჩვენებს. თავად კი ფიქრობს, რომ სკანდალურ თავმჯდომარედ არ იქცევა, რადგან კონსპირაციის გარდა, ცხოვრებამ ის გასაღები „აპოვნინა", რომელიც ყველა დაკეტილ კარს აღებს.

ემზარ გოგუაძე: საზოგადოებრივი მაუწყებელი და სამეურვეო საბჭო ბოლო პერიოდში ნამდვილად ხშირად ხდებოდა ყბადაღებული თემა, რასაც როგორც ჩანს, ჰქონდა თავისი მიზეზები. რატომღაც ყოველთვის ასე იყო – საზოგადოებრივი მაუწყებელი ნებისმიერი პოლიტიკური პროცესის ეპიცენტრად იქცეოდა, აქ იმართებოდა ყველა მიტინგი. საბოლოო ჯამში, ირკვეოდა, რომ ჩვენ მიმართ არსებული პრეტენზიები მეორეხარისხოვანი იყო და ადვილად მოგვარებადი. მაგრამ, რატომღაც მაინც ერჩიათ, რომ მიტინგები აქ გამართულიყო. უკვე სამი წელია, ბორდის წევრი ვარ, ვინაიდან სამეურვეო საბჭოს ყოფილ ხელმძღვანელს 1 სექტემბერს ეწურებოდა ვადა, სამეურვეო საბჭომ კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით, აირჩია ახალი თავმჯდომარე. ახალი ბორდი უნდა დაკომპლექტდეს 1 იანვრის შემდეგ, იქამდე საბჭოს მე ვუხელმძღვანელებ. მე ვერ გეტყვით, საბჭოს წევრებმა რატომ გააკეთეს არჩევანი ჩემზე, ალბათ, გაითვალისწინეს ჩემი საქმიანობა ამ საბჭოში, ჩემი წარსული.

– თქვენ დროებით, მინიმუმ შვიდი თვე უნდა უხელმძღვანელოთ ბორდს, რის შეცვლას შეძლებთ საზოგადოებრივ მაუწყებელში ამ დროის განმავლობაში?

– სრული პასუხისმგებლობით ვუდგები საქმეს. ვაპირებ, ყველა იმ რეფორმის გატარებას, რაც ტელევიზიას სჭირდება. მინდა, განახლდეს ის პროექტები და პროცესები, რაც იყო. ჩვენ ხომ არ ვართ ის საზოგადოება, რომელზეც მტკივნეულად არ აისახება პოლიტიკური ცვლილებები. არჩევნები ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ჩვეულებრივი რამ არის. ჩვენთან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ჩვეულებრივი, თუნდაც, ღვთის წყალობით, ჩვეულებრივად, ექსცესების გარეშეც რომ ჩატარდეს. ეს კვალს ამჩნევს ტელევიზიების მუშაობასაც. ჩემს შრომით ბიოგრაფიაში ძალიან ბევრი სამსახური იყო, თავად ცხოვრებას მოსდევდა ეს ცვლილებები. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დავამთავრე, ცოტა ხანს ვიმუშავე ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის დირექტორად. ეს იყო ძალიან სახალისო ადგილი ახალგაზრდისთვის, სადაც იკრიბებოდნენ ახალგაზრდა მეცნიერები და იმართებოდა საინტერესო კონფერენციები, გამოფენები. შემდეგ დავიწყე მუშაობა გაზეთ „სახალხო განათლებაში" კორესპონდენტად. უამრავი დახურული და საინტერესო თემა გახსნა იმ პერიოდში ამ გაზეთმა. როცა უნივერსიტეტში კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომლად გადავედი, „სახალხო განათლების" კორესპონდენტად მაინც ვითვლებოდი. ისინი მაშინაც კი არ შემელიენ, როცა ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის სიით, რომელიც „მრგვალ მაგიდაში" შედიოდა, უზენაესი საბჭოს დეპუტატი გავხდი. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ჩემს ცხოვრებაში, არც იქ „გამაჩერეს" დიდხანს – წელიწადი და ორი თვე იყო გასული, როცა მოხდა სამხედრო გადატრიალება, რომელმაც დაამხო არსებული ხელისუფლება და მეც აღმოვჩნდი დევნილობაში.

– თქვენ იყავით დისიდენტური მოძრაობის აქტიური წევრი და ახლო ურთიერთობა გქონდათ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. როგორ დაიწყო ეს ურთიერთობა?

– ბატონი ზვიადი ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, მისმა უფროსმა ვაჟმა კოკო გამსახურდიამ გამაცნო. კოკო ჩვენს ცხოვრებაში მუდმივად იყო, მაგრამ ჩვენ ჩამოგვიყალიბდა სხვა, დამოუკიდებელი ურთიერთობა. 80-

აქაურ წყალქვეშა დინებებს თავს გავართმევ, მე ხომ ზვიად გამსახურდიამ „წყალქვეშა ნავი" მიწოდა

იანი წლების დასაწყისში მე მას ვეხმარებოდი ჟურნალების გავრცელებაში. ხშირად მავალებდა ისეთ საქმეებს, რაც საჯაროდ არ ხმაურდებოდა. ჩვენი ჯგუფი: მე, ირკლი წერეთელი, ზაზა დვალი და კიდევ რამდენიმე ადამიანი, კოორდინაციაში ვიყავით ბატონი ზვიადის საქმიანობასთან, აქტიურად ვთანამშრომლობდით. ზვიად გამსახურდია ახლო წრეში ეროვნული მოძრაობის „წყალქვეშა ნავს" მეძახდა. კონსპირაცია დისიდენტური მოძრაობის მთავარი პრინციპი იყო, რაშიც მეც კარგად დავოსტატდი ***(იცინის)***. სტუდენტი ვიყავი, როცა ჩემს მეგობრებთან ერთად, მრავალპარტიული არჩევნების მოთხოვნით შიმშილობა დავიწყე. ეს იყო რეზონანსული აქცია, რომელსაც პირველად საბჭოთა იმპერიაში, მრავალპარტიული არჩევნები და საქართველოს დამოუკიდებლობა მოჰყვა.

ერთხელ ბატონმა ზვიადმა მიტინგზე საჯაროდ გამოაცხადა: ემზარ გოგუაძე ეროვნული მოძრაობის „წყალქვეშა ნავი" იყოო. ხუმრობით ვუთხარი: აწი რაღა წყალქვეშა ნავი ვარ, საქვეყნოდ გამოაცხადეთ ჩემი ამბავი-მეთქი. უცბად მიბრუნდა მიკროფონთან და თქვა: აქამდე იყო წყალქვეშა ნავი, ახლა უკვე ყინულმჭრელიაო ***(იცინის)***.

– თქვენ ზვიად გამსახურდიასთან ერთად გაიზიარეთ დევნილობის მძიმე ხვედრი.

– მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა შემომთავაზა პოლიტიკური თავშესაფარი, მე აღმოვჩნდი ტომსკში, სადაც მყავდა ოჯახის ახლობლები. მაშინ ძალიან პატრიორულ ნოტებზე ვიყავი აწყობილი. რამდენჯერმე გადავდე შვედეთში წასვლა, რადგან თუ პოლიტიკურ თავშესაფარს მივიღებდი, საქართველოში ჩამოსვლის საშუალება აღარ მექნებოდა. იმ დროს საკუთარი ოჯახი არ მყავდა, მაგრამ ძალიან გამიჭირდა მშობლების, დის, ძმის დატოვება. როცა ტომსკში აღმოვჩნდი, სულ ვფიქრობდი: თუ 5-6 წელი ტომსკში უნდა მეცხოვრა, ბარემ სტოკჰოლმში წავსულიყავი და რუსეთში მოგზაურობის ნაცვლად, მთელი ევროპა მომევლო-მეთქი ***(იცინის)*** ასე მეგონა, რუსეთის ქალაქში თუ გავჩერდებოდი, უფრო მალე დავბრუნდებოდი სამშობლოში. ეროვნული მოძრაობის დროს ერთი-ორჯერ დაჭერას გადავურჩი. ეს ირაკლი წერეთლის დამსახურება იყო, რომელმაც ვაჟკაცურად გაუძლო დაკითხვებს. იმ დროს ჩემთან სახლში ხშირად მოდიოდნენ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები, მაგრამ მე თუშეთში, ალვანში ვიყავი „გახიზნული" და ასე გადავურჩი დაკითხვებს. რთული პერიოდი გავიარე უნივერსიტეტშიც, სამხედრო კათედრა, ფაქტობრივად, „გრუს" ხელში იყო. მე, როგორც დისიდენტს ჯარისკაცად დატოვება და ავღანეთში გაგზავნა დამიპირეს, მაგრამ მამის მეგობრების მეშვეობით, გადავურჩი „გასალდათებას", პროპაგანდისტად ქცევას. ჩემი დაწერილი კარგი თემების წყალობით, მოხერხდა ჩემი გადაყვანა სატანკო ნაწილში, სადაც მოტანკისტე-მოჯავშანტრანსპორტირეს კვალიფიკაცია მივიღე.

– ახალ „პოსტზე" პოეტისა და ლიტერატურის ცხოვრებას შეელევით?

– არა, ამას ისევე ვერ შეველევი, როგორც საკუთარ შვილს – შვიდი წლის ქალიშვილს, რომელიც ჩემი ცხოვრების მთავარი ადამიანია. მე ვარ სამი პოეტური კრებულის ავტორი. მიმაჩნია, რომ ჩემი ძირითადი პროფესია პოეტობაც არის. ეს ძალიან ადრეულ ასაკში, ბავშვობაში დაიწყო, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ახალ ფაზაში გადასვლის შემდეგ, ამისთვის ვეღარ მოვიცალე. დაახლოებით 2000 წლამდე გვერდზე გადადებული კალამი არ გამხსენებია, მერე ამუშავდა ეს კალამი. ვერაფრით შეველევი მსოფლიო ლიტერატურის სამასტომეულს, რომელსაც გამოსცემს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. მე ამ პროექტის მთავარი რედაქტორი და შემდგენელი გახლავართ. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, შესაბამისად, ამ პროექტს ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს.

– თქვენს წარსულ გამოცდილებას თუ გამოიყენებთ, აქაური წყალქვეშა დინებებისთვის თავის გართმევაც არ გაგიჭირდებათ.

– მეც ასე მგონია ***(იცინის)***. მე მაქვს ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილება. 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჟურნალისტიკის გამოცდილებაც მივიღე. ეს ყველაფერი დამეხმარება, რომ კარგად გავართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და წყალქვეშა დინებებშიც გავერკვე. არ ვაპირებ, რომ სკანდალურ ადამიანად ვიქცე და ამით ვიყო გამორჩეული. ეს არაა ჩემს ხასიათში, მე მშვიდი და ხალისიანი ცხოვრება მიყვარს და ვფიქრობ, ღირსეული ადამიანური დამოკიდებულებაა ის გასაღები, რომელიც ყველა ცხრაკლიტულს აღებს.

თამუნა სამადაშვილი

– ბატონო ირაკლი, რაღა თქვენი არჩევა საკრებულოს თავმჯდომარედ და, რაღა მინირევოლუცია... სკანდალი, შეიძლება ითქვას, თავიდანვე დაგებედათ. ღირდა ეს პოსტი ამ ამბად?

– როცა კაცს გაქვს თვითმიზანი, დაიკავო პოსტი, ცხადია, არ ღირს, მაგრამ, თუ გაქვს სურვილი ამქვეყნად ერთხელ დაბადებულ ადამიანს, შენი ცხოვრებით, ქმედებით, შრომით, კარგი გაუკეთო სხვებს – ღირს. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ყოველთვის ჩნდება წინაღობა, მაგრამ ეს უნდა გადალახო. ერთხელ, როცა გამგებლის მოადგილე ვიყავი, რამდენიმე ადამიანს კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში დავეხმარე. ცოტა ხანში ჭორები გავიგე, ირაკლი შიხიაშვილმა ეს იმიტომ გააკეთა, 5-5 ათასი დოლარი გამოართვა თითოეულ ოჯახსო. მაშინ უფრო ახალგაზრდა და ემოციური ვიყავი, ნაკლები გამოცდილება მქონდა. ძალიან გავბრაზდი და მეტკინა. ცურტაველი ჩემს მოძღვართან, მამა კვირიკესთან წავედი და ეს ამბავი მოვუყევი. ისეთ ხალხს ესროლეს ტალახი და ტყვია ამქვეყნად, მათთან შედარებით შენ ვინ ხარ, ასეთი რამე გულს ნუ გატკენსო, – მითხრა ჩემმა მოძღვარმა. ის, რაც არ არის სიმართლე და მხოლოდ და მხოლოდ ტალახის სროლა და შეურაცხყოფაა, არაა სასიამოვნო, თუმცა, როცა გაქვს მოტივაცია, გააკეთო საქმე და ემსახურო შენს ქვეყანას, ეს ნებისმიერ სკანდალად ღირს, მთავარია, შენს სინდისთან იყო მართალი. საქმე გამოაჩენს, ვინ ვინ არის და ვინ რისი გამკეთებელია. მე ყველა გამოწვევას ვიღებ, იარაღით ვიცავდი ჩემს სამშობლოს და თოხითაც მინდა ვიშრომო ჩემი ქვეყნის წინსვლისთვის.

– თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც ჩასაძირად განწირული გემი დატოვეთ, თუმცა კი, წლების განმავლობაში იყავით ამ გემზე იმ ადამიანთა შორის. ეს დისკომფორტს არ გიქმნით?

– არათუ დავტოვე ეს გემი, მის ჩაძირვაშიც მივიღე მონაწილეობა – ერთი პატარა ხვრელი მეც გავუკეთე ამ გემს, რომ მალე ჩაძირულიყო. ეს იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ გემზე მყოფნი მეზიზღებოდნენ, არა, მე პროტესტი მქონდა მათ მიმართ, ვინც ჩემი ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს უფსკრულისკენ მიაქანებდნენ. მე სულ ორი წელი ვიყავი იმ გემზე და, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არასდროს ვყოფილვარ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. პოლიტიკას ცხოვრება დავუკავშირე რეზო შავიშვილის წყალობით, რომელთანაც სიძე-ცოლისძმის ნათესაური ურთიერთობა მაკავშირებს. 2003 წლის არჩევნებში სამგორის რაიონში მე და მიშა მაჭავარიანი კონკურენტები ვიყავით, მე გამოვდიოდი „მრეწველთა პარტიის“ ეგიდით. მე და მიშა მაჭავარიანს მანამდეც გვქონდა სამგორში „ნაჭიდავები“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. 2003 წელს „მოქალაქეთა კავშირს“ ჰქონდა სურვილი, სამგორში გაეყალბებინა არჩევნები და ასეც მოხდა. იმის მიუხედავად, რომ მე მესამე ადგილი მოვიპოვე, დავიჭირე სწორი პოზიცია: მიშა მაჭავარიანის მხარეს კი არ დავდექი, სიმართლეს დავუჭირე მხარი. მაშინ არავინ იცოდა, ჩვენი გონებაგახსნილი პრეზიდენტი შევიდოდა თუ არა პარლამენტში და „აბორდაჟით“ აიღებდა პარლამენტს – ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო. ახლაც ასე მოხდა – მე ხომ წინასწარ არ ვიცოდი, რა მოხდებოდა 1 ოქტომბერს? ან, ვინმემ იცოდა ეს?! თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნათელხილვის ასეთი უნარი მაქვს, მაშინ მე ვყოფილვარ, ვინც ვყოფილვარ. 2003 წლის შემდეგ მე ჩვეულებრივ განვაგრძე ჩემი ცხოვრება. 2004 წელს ზურაბ ჭიაბერაშვილმა, რომელიც ჩემი

წინამორბედებისგან განსხვავებით, სკანდალს „სტარტზევე“ ვერ აარიდა თავი – უკვე რამდენიმე თვეა, რაც „ამტკიცებს“, რომ ნათელხილვის უნარი არ აქვს, ძველი გუნდი პოზიციების შეუთავსებლობის გამო დატოვა და არ იცოდა, როგორ დასრულდებოდა 1 ოქტომბრის არჩევნები. კოლეგებმა რა არ „გაუხსენეს“, მაგრამ აჟიოტაჟის მიუხედავად, საკრებულოს „კრება“ დარჩა „მხიარული“ – ირაკლი შიხიაშვილი თბილისის საკრებულოს მომავალ არჩევნებამდე, ალბათ, ერთი წელი მაინც უხელმძღვანელებს. და როგორც გვპირდება, დედაქალაქის მოსახლეობის ცხოვრების გასაუმჯობესებლად ბევრი გეგმა აქვს, რომელთაც პოლიტიკური პერიპეტიები არ დააზარალებს.

რატომ იყო თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე დივერსანტი და რას გაუკეთა მან ხვრელი

პარალელურკლასელია, შემომთავაზა დიდუბე-ჩუღურეთის გამგებლობა. ჩვენ რუსულ-ქართული სკოლა გვაქვს დამთავრებული. სხვათა შორის, ეროვნული მოძრაობის დროს ახალგაზრდა თაობებს საკმაოდ მძაფრი მუხტი მისცა ასეთ სკოლებში სწავლამ. ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, როცა 1988 წლის ცნობილ შიმშილობის აქციაში მივიღე მონაწილეობა. 9 აპრილს ჩემი დაბადების დღეა, მეც სხვებთან ერთად ვიდექი იმ დღეს რუსთაველზე. ზურაბ ჭიაბერაშვილის წინადადებას კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიეს „ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელმა ლიდერებმა. ამ სიტუაციიდან გამოსავალი მიშა მაჭავარიანის წინადადება იყო, რომ სამგორში წავსულიყავი გამგებლის მოადგილედ.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნათელხილვის ასეთი უნარი მაქვს, მაშინ, მე ვყოფილვარ ვინც ვყოფილვარ

– ვალი დაუბრუნებია თქვენთვის მიშა მაჭავარიანს.

– მიმაჩნია, რომ მას არ ჰქონდა ჩემი ვალი, ის გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა. ამ რაიონის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს – ნავთლუღში ვარ გაზრდილი, დღემდე ამ უბანში ვცხოვრობ, რადგან, ნავთლუღს სხვა პენი აქვს. ამ უბანთან არის დაკავშირებული ჩემი ახალგაზრდობა, ძალიან რთული ბავშვობა გამოგვივიდა ჩემს თაობას: როგორც კი სკოლა დავამთავრე, ომში აღმოვჩნდით. აფხაზეთის ომში დივერსიული ასეულის მეთაური ვიყავი. 74 საბრძოლო გასვლა მაქვს გაკეთებული. ჩემს საქმეს კაცურად ვაკეთებდი. დივერსანტი მარტო ზურგიდან კი არ ესხმის მტერს, მას მტერთან შერკინება პირისპირაც უწევს. აფხაზეთის ომიდან ინვალიდი დავბრუნდი – 21 წლის ბიჭი ცხრა თვის განმავლობაში ინვალიდის სავარძელში ვიჯექი. ღმერთს ვევედრებოდი, რომ ფეხზე გამევლო და ისევ ვიბრძოლებდი ჩემი ქვეყნისთვის, რადგან, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ვალი მაქვს. ღმერთის მადლით, ავდექი და გავიარე.

– ალბათ, ეს პოსტი ბევრ რამეს შეცვლის თქვენს ცხოვრებაში.

– ჩემგან ტიპური ჩინოვნიკი არასდროს დადგება. მე ამ ქალაქის ერთგული ვარ – თბილისელ კაცს ამ პოსტზე ყველაზე მეტად ქალაქური თვისებები ეხმარება. გიზო ნიშნიანიძემ თქვა: შენი დამარცხებით მე ვერ გავიმარჯვებ და ჩემი გამარჯვებით შენ არ დამარცხდებიო, ეს არის ის, რაც ყველა ქალაქელს წესად ჰქონდა თბილისში – ერთმანეთის დამარცებაზე გამარჯვება არ შენდება. მე ეს კარგად მაქვს გაცნობიერებული. მე პოსტი ვერ შემცვლის – ისევ ის ტელეფონის ნომერი მაქვს, ისევ ისე ვპასუხობ ზარებს. ერთადერთი, დროის დეფიციტი მაქვს, რაც, ძირითადად, ოჯახს და მეგობრებს ატყვიათ. სამი შვილი მყავს და მათ ძალიან სჭირდებათ ჩემთან ურთიერთობა, მაგრამ, ესეც არ გამომდის. 21 წლის ვაჟი მყავს, 20 წლის ქალიშვილი – ჩემი პრინცესა და, კიდევ, მყავს 4 წლის ბატონი – გაბრიელი. მე მისი მოურავი ვარ. გაბრიელი პატრიარქის ნათლულია და მასზე დიდი მადლია გადმოსული. მან მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ერთ რამეს გეტყვით: ჩვენ საბავშვო ბაღიდან ვიცნობთ ერთმანეთს; მერე სკოლაში ერთ მერხთან ვისხედით. სკოლა რომ დავამთავრეთ, დავქორწინდით და ერთად გავიარეთ ცხოვრების ყველა რთული ეტაპი. ჩვენ გვაქვს კარგი ქართული, ტრადიციული ოჯახი, რითაც ძალიან ვამაყობ. იმასაც გეტყვით, რომ მეგობრების გარეშე ცხოვრებაც წარმოუდგენელია ჩემთვის. მიყვარს მათთან ყოფნა, ქეიფი. ქართულ ქეიფს კარგი სადღეგრძელოების თანხლებით რა ჯობია?! 21 ბოლო დროს დიაბეტმა დამათმობინა პოზიციები, თუმცა, თავი არ დამიზოგავს და არც უკან დამიხევია ამ საქმეში ***(იცინის)***. ის, რაც ასევე ძალიან მიყვარს არის ჯირითი. ყველამ, ვინც ახლოს მიცნობს იცის, როგორი მოჯირითე ვარ. იყო დრო, მე და ჩემს მეგობრებს ცხენებიც გვყავდა. ახლა მუხლი მაწუხებს, მაგრამ, კარგი ცხენის დანახვაზე გული ვერ მითმენს – მაინც ვცდილობ ჯირითს. ამას გარდა, მე ვარ ხელჩართული ბრძოლების ინსტრუქტორი. ძალიან მიყვარს საბრძოლო ხელოვნება. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ, კარგად მესმის ეს საქმე. ჩემი სისუსტე არის იარაღი. კაბინეტში მაქვს ისეთი იარაღი, გაგაოცებთ. ეს არის ქართული გორდა, რომელსაც ნაკბილევებზეც ეტყობა, რომ ნაბრძოლი ხმალია. ეს რელიკვია ცოტა ხნის წინ ვიყიდე.

– ახლა იმდენი ხელჩართული ბრძოლა გელით საკრებულოში, გამოგადგებათ ძველი გამოცდილება.

– ვეცდები, ამის გარეშე გავერკვიო ურთიერთობებში. მე მინდა, ვუთხრა თბილისელებს, რომ, პოლიტიკური მრწამსის გამო, ჩემი მხრიდან არასდროს იქნება ისეთი მოქმედება, რაც დააზიანებს ქალაქს. პოლიტიკურმა ჭიდილმა, შეიძლება, ჩვეულებრივი თბილისელები დააზარალოს – ამისი უფლება მე არ მაქვს. ჩემი „კომპასი“ იქნება საქმე. საქმემან შენმამ გამოგაჩინოსო, – მე ასე ვიცი..

თამუნა სამადაშვილი

ადვოკატი გირჩევთ

რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.
ანატოლ ფრანსი

კითხვა: მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ უნდა მოვიქცე სამოქალაქო საქმის განხილვის დროს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარემ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელზეც მაქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის ყალბია, მაგრამ, მოსამართლემ მტკიცებულებად მიიღო და დაურთო საქმეს?

პასუხი: ზოგადად განგიმარტავთ, რომ მხარეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისთვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი განცხადება მას შეუძლია გააკეთოს აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილ იქნა ამ სასამართლო სხდომაზე, ან, ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის სასამართლო სხდომაზე გახდა ცნობილი. მტკიცებულების წარმდგენ მხარეს შეუძლია, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადავო საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ასეთი თხოვნის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც, შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია, მას მტკიცებულებიდან გამორიცხავს. წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით. თუ დადასტურებულია წარდგენილი საბუთის სიყალბე, სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას და ამ დოკუმენტს, მისი სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულებებით, გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს.

კითხვა: სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის დროს წარვადგინე დოკუმენტის დედანი, რომელიც დაერთო საქმეს. აღმოჩნდა, რომ ეს დოკუმენტი მჭირდება სხვა საქმისთვის, მაგრამ, რადგან წარდგენილი მაქვს სასამართლოში, ვერ ვახერხებ სხვაგან წარდგენას. გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ მოვიქცე მოცემულ შემთხვევაში?

პასუხი: გაცნობებთ, რომ საქმეში არსებული დედანი საბუთები სასამართლოში ერთად ინახება. ასეთი საბუთები, მათი წარმდგენის თხოვნით, შეიძლება დაუბრუნდეს მასვე, მაგრამ, საქმეში უნდა დარჩეს მოსამართლის მიერ შემოწმებული დედანი საბუთების ასლები. შესაბამისად, თქვენ გაქვთ უფლება, სასამართლოსგან გამოითხოვოთ დედანი დოკუმენტი, ხოლო სასამართლოში დარჩება ამ დოკუმენტის ასლი.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ვინ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ სამოქალაქო საქმეზე და როგორ ხდება მოწმის დაკითხვა სამოქალაქო პროცესში?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ მოწმედ სამოქალაქო საქმეზე შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რამე გარემოება საქმის შესახებ. მოწმე შესაძლოა, გამოცხადდეს სასამართლოში დაინტერესებული მხარის მეშვეობით. მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ დაშვებისა და დაკითხვის, აგრეთვე, მისი სასამართლოს მეშვეობით გამოძახების შესახებ, ვალდებულია, მიუთითოს მისი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი; აგრეთვე ის, თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მას. სასამართლოს შეუძლია, უარი თქვას გამოძახებული მოწმის დაკითხვაზე ან არ გამოიძახოს იგი, თუ ცნობს, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც იძახებენ მოწმეს, არ აქვს რაიმე მნიშვნელობა საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის.

კითხვა: მაინტერესებს, და გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის ხარჯები შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საპროცესო ხარჯებად?

პასუხი: გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო ხარჯებია: ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი; ექსპერტის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; თარჯიმნის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; მოწმის გამოცხადების ხარჯი; ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი; ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი; დაცვის მხარისთვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი; ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი; მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი. რაც შეეხება ექსპერტს ან თარჯიმანს, მათ ანაზღაურება არ ეძლევათ, თუ საქმიანობისთვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვთ ხელფასი.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ ვინ არ შეიძლება იქნეს დაკითხული სამოქალაქო სამართლის საქმეზე სასამართლოში, ანუ, ვის არ აქვს უფლება, გამოვიდეს სასამართლოში მოწმედ სამოქალაქო საქმეზე?

პასუხი: გაცნობებთ, რომ მოწმედ, ყველა შემთხვევაში, არ შეიძლება გამოძახებულ და დაკითხულ იქნეს: პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია, სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება; სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს; წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას; მედიატორი – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ვის აქვს უფლება, უარი თქვას სამოქალაქო საქმის განხილვისას სასამართლოში ჩვენების მიცემაზე?

პასუხი: გაცნობებთ, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ: მხარეთა მეუღლეებს; ახლო ნათესავებს – შვილებს, შვილიშვილებს, ძმებს, დებს, მშობლებს, მშვილებლებს, შვილობილებს, მზრუნველებს, მეურვეებს, ბებიებს, ბაბუებს; პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებულნი არიან, დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი გათავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისგან. სამოქალაქო საქმეზე ჩვენების მიცემაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ ჩვენების მიცემა გამოიწვევს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი უნდა იყოს სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სასამართლო განჩინების შინაარსი და სტრუქტურა?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ სასამართლოს განჩინებაში უნდა აღინიშნოს: განჩინების მიღების დრო და ადგილი; განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი; მხარეები და დავის საგანი; საკითხი, რომელზეც მიღებულ უნდა იქნეს განჩინება; მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა; სასამართლოს დადგენილება; განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში და რა საფუძვლებით შეიძლება შეჩერდეს სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესი?

პასუხი: გაცნობებთ, რომ მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, სასამართლოს შეუძლია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ: მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად; მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში; მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს, გამოცხადდეს სასამართლოში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით; გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა.

მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.

ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.

ინტიმური საუბრები

ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ძალიან ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ამ წერილის მოწერა. ვიფიქრე, ვიფიქრე და მერე უცებ ძალიან მომინდა, ჩემი ისტორია ვინმესთვის მომეყოლა ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა, რადგან ჩემმა ახლობლებმა ყველაფერი სხვანაირად იციან. „კონსპირაციის“ მიზნით, სახელებს შევცვლი.

ოდნავ შორიდან დავიწყებ:

36 წლის ისე გავხდი, სერიოზული თაყვანისმცემელი არ მყოლია. იყო პატარ-პატარა ფლირტები, მაგრამ, ქორწილამდე საქმე არც ერთხელ არ მისულა. უშნო და შეუხედავი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ, რატომღაც, კაცები დიდად არასდროს გიჟდებოდნენ ჩემზე. ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ, ამის მიზეზი ის არის, რომ არასდროს ვყოფილვარ ცანცარა და თავქარიანი; არასდროს ვაძლევდი კაცებს ზედმეტის უფლებას, ეს კი მათ არ მოსწონთ. ასე იყო თუ ისე, 36 წლის დაბადების დღეს კვლავ კენტად შევხვდი, არადა, ყოველთვის ძალიან მინდოდა, მქონოდა ოჯახი, მეზრუნა ქმარსა და შვილებზე, მოკლედ, ვგრძნობდი, რომ დედად, ოჯახის ქალად ვიყავი დაბადებული და ძალიან მწყდებოდა გული, რომ წლები ასე უაზროდ მადნებოდა ხელში. ერთ დღეს კი, ჩემთვისვე მოულოდნელად, გადავწყვიტე, შვილი გამეჩინა. ეს სურვილი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ, ვერ გადავლახე მთავარი პრობლემა – არ ვიცოდი, ვისგან. ჩემი შვილის მამა აუცილებლად უნდა ყოფილიყო: უცოლო (ცოლთან გაყრილი ან ქვრივიც „დასაშვებ“ კანდიდატურად მიმაჩნდა), ჯანმრთელი (ყველა თვალსაზრისით), ნორმალური გარეგნობის და არ უნდა ყოფილიყო ხეპრე, პროფესიას, გატაცებებს, ნიჭიერებასა და ქონებას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ, მაინც დაახლოებით „დიმიტრი გელოვანი“ მჭირდებოდა. ამ ყველაფერთან ერთად, იყო მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაც: არც ერთ ასე თუ ისე ნორმალურ მამაკაცს არ უნდა, ვიღაც შემთხვევითმა ქალმა მისგან შვილი გააჩინოს (ამ არნდომასაც აქვს თავისი ახსნა, მაგრამ, ამაზე თავს არ შეგაწყენთ), ანუ, ეს ისე უნდა გამეკეთებინა, რომ მას არაფერი სცოდნოდა.

ეს ყველაფერი რომ გადავხარშე, აქტიურად დავიწყე კანდიდატურის „ძებნა“ ჩემს ნაცნობებს შორის, მაგრამ, ვერავინ რომ ვერ შევარჩიე, გადავწყვიტე, სხვა გზისთვის მიმემართა. ალბათ, ყველას გაგიგიათ გამოთქმა – „საკურორტო რომანი“. ჰოდა, სამი წლის წინ, შევიძინე პლაჟისთვის საჭირო „ატრიბუტიკა“ (ყველაფერი საუკეთესო), ჩემი საკმაოდ სოლიდური დანაზოგით წავედი ზღვაზე, მოვეწყვე ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროში და... სასურველი კანდიდატურა ძალიან მალე გავიცანი: ცოლთან გაყრილი, უშვილო, ჩემზე ათი წლით უფროსი, ნორმალური გარეგნობის, ჯანმრთელი, მაგრამ, თავისებური პრინციპებით. საუბარში დაუფარავად მითხრა, რომ არასდროს ჰქონია შვილების ყოლის სურვილი და ცოლსაც ამიტომ გაშორდა; თანაც, ნებისმიერი ქალი, ყველაზე საუკეთესოც კი, მისთვის მხოლოდ მსუბუქი ურთიერთობის ობიექტი იყო და სხვა არაფერი; არც მყუდრო და თბილ ოჯახზე უოცნებია, რადგან, მისი აზრით, ოჯახი ზღუდავს მამაკაცის პიროვნულ თავისუფლებას და ასე შემდეგ. მაგრამ, მე ეს ყველაფერი არ მაინტერესებდა. მეც ვუთხარი, რომ შვილი არასდროს მდომებია და მოკლედ, კარგად გავუგეთ ერთმანეთს.

ცხადია, ინტიმურ წვრილმანებს ვერ მოგიყვებით, მაგრამ, ჩემი „რაინდი“ იმდენად კარგად გრძნობდა ჩემთან თავს, რომ ჩვენი ურთიერთობა საკურორტო სეზონის დამთავრების მერეც გაგრძელდა. რამდენიმე თვის შემდეგ კი ჩემი დიდი ხნის ოცნება ასრულდა – დავფეხმძიმდი. ჩემს „რომეოსთან“ რაღაც მიზეზებით ურთიერთობა შევწყვიტე, მერე ის სადღაც გაემგზავრა ხანგრძლივ მივლინებაში და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მე მინდოდა. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი ორსულობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ჩემი ერთი დაქალის გარდა. კონსპირაციის ყველა მეთოდი გამოვიყენე: მუცელი აკრული მქონდა, ბინა სხვა უბანში გადავცვალე, სამსახური გამოვიცვალე – მოკლედ „კვალს“ არსად ვტოვებდი. ალბათ, ბევრს გაეცინება – ამ ასაკში რას უმალავო, მაგრამ, ისეთი ნათესავები მყავს, ვინმეს რომ გაეგო, უკანონო შვილს ვაჩენდი, ალბათ, ჩამქოლავდნენ. 7 თვის ორსული რომ გავხდი, სამსახურიდან რამდენიმეთვიანი უხელფასო შვებულება ავიღე, ნათესავებში ვთქვი, რომ ხანგრძლივ მივლინებაში მგზავნიდნენ და საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში წავედი ჩემს დაქალთან ერთად, სადაც მისი და ცხოვრობდა. ორი თვე მან შემიფარა, იმ ქალაქშივე ვიმშობიარე და ერთი თვის შემდეგ ჩემს ტყუპ ქალ-ვაჟთან ერთად დავბრუნდი თბილისში. მანამდე კი ჩემიანებთან დავრეკე და ვუთხარი, რომ ობლად დარჩენილი ტყუპები ვიშვილე და თან მომყავდა. დიდი პერიპეტიების გადალახვა მომიწია, მაგრამ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ამ ხნის განმავლობაში ჩემი შვილების მამას არ დაურეკავს და არც მე შევხმიანებივარ – მასზე აღარც ვფიქრობდი. ამ ერთი თვის წინ კი მობილურზე მესიჯი მომივიდა: „საქართველოში დავბრუნდი. 15 აგვისტოს ბათუმში ვიქნები, იმავე სასტუმროში. თუ შენც მოგენატრე, ჩამოდი“. ბევრი ვიფიქრე. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, მაგრამ, ჩემი დაქალი გადამეკიდა, ბავშვებიანად წადი, ოღონდ, ნუ ეტყვი, რომ მისი შვილები არიან, მერე კი სიტუაცია გიჩვენებს, როგორ უნდა მოიქცეო. იმდენი მეჩიჩინა, დამითანხმა. ახლა ბათუმში წასასვლელად ვემზადები. გულწრფელად გეუბნებით, არანაირი „შორს მიმავალი“ გეგმები არ მაქვს, არც პრეტენზიების წაყენებას ვაპირებ და არც რაიმე გამორჩენას ველი. სწორედ ამიტომ, არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა, მაგრამ, მაინც მივდივარ. თავს იმით ვიწყნარებ, რომ ურთიერთობის განახლების ინიციატორი მე არ ვარ, მაგრამ, არ ვიცი, მიხვდება თუ არა „ის“, რომ ტყუპები მისი შვილები არიან, ან, როგორ შეხვდება იმას, რომ, ფაქტობრივად, მოვატყუე და გამოვიყენე. ძალიან მეშინია, მაგრამ, მოსახდენი უნდა მოხდეს.

ᲐᲜᲐ, 39 ᲬᲚᲘᲡ.

ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲢᲧᲣᲘᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑ

ვარ 15 წლის. მყავს ორი ძმა – 13 წლის და 10 წლის. ძალიან თბილი და ტკბილი ოჯახი გვაქვს, ჩემს ძმებზე ვგიჟდები, ისე მიყვარს. მაგრამ, ამას წინათ მეზობლისგან გავიგე, რომ მე ნაშვილები ვყოფილვარ. არაფრით არ დავუჯერე, მან კი დაწვრილებით მიამბო ყველაფერი: თურმე ჩემს მშობლებს ხუთი წელი შვილი არ უჩნდებოდათ და ბოლოს გადაწყვიტეს, ახალშობილი ბავშვი ეშვილებინათ (ეს ახალშობილი მე ვიყავი). ერთი წლის შემდეგ კი დედაჩემი დაფეხმძიმებულა და ჩემი ძმა – დათუნა გაუჩენია, კიდევ სამი წლის შემდეგ – ნიკა. მაინც ვერ დავიჯერე ეს ამბავი, თუმცა ეჭვი მაინც მიღრღნიდა გულს. დიდი განცდების შემდეგ გადავწყვიტე, დედაჩემისთვის მეკითხა, სიმართლე იყო თუ არა ეს ყველაფერი, მაგრამ ვერ გავბედე. გულში მაინც ვიტოვებ იმედს, რომ მეზობელმა ბოროტი ტყუილი მითხრა, რადგან, თუ ხუთი წელი შვილი არ უჩნდებოდათ ჩემს მშობლებს, ჩემი აყვანის შემდეგ განიკურნებოდნენ უშვილობისგან, თან, მკურნალობის გარეშე?!

ისე ვარ აჭრილი, ხანდახან მგონია, რომ აღარ მიყვარს დედ-მამა და მათგან გაქცევა მინდა. ეს რომ სიმართლე აღმოჩნდეს, ყველაზე მეტად იმის პატიება გამიჭირდება, რომ სიმართლე არ მითხრეს და მთელი ცხოვრება ტყუილში მაცხოვრეს.

ᲗᲐᲛᲗᲐ, 15 ᲬᲚᲘᲡ.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

მანიკა ასათიანის პატარა და უსაყვარლესი შვილი, გიო, ახლახან ერთი წლის გახდა. მისმა დაბადებამ წამყვანისა და მოდელის ცხოვრება თავიდან ბოლომდე შეცვალა. პატარა გიო, რომელიც დედასაც გავს და მამასაც, ძალიან ენერგიული და მხიარული ბავშვია. ამჟამად ის ულამაზეს დედიკოსთან ერთად ბათუმში ისვენებს, კარგად ერთობა და ირუჯება კიდეც.

რის გამო ეგონა თავი ზღაპარში მანიკა ასათიანს და რა შანსი არ გამოიყენა მან ცხოვრებაში

მანიკა ასათიანი: ორი წელია, არსად არ ვყოფილვარ, არ დამისვენია. გიორგი ზაფხულის ბავშვია, ივლისში გაჩნდა და, შესაბამისად, ვერსად დავისვენე. წინა წელს, აგვისტოში, ჩემმა დამ იმშობიარა და ამის გამო ვერ წავედი. მოკლედ, ორი წლის შემდეგ მერგო დასვენება და, ალბათ, ერთი თვე დავრჩები ბათუმში.

– ბექა არ მოდის?

– ბექას ვარჯიში დაეწყო და ვერ მოდის. რაც გავიგე, რომ ვერ ახერხებს წამოსვლას, იმის მერე ვწუწუნებთ ორივე, მაგრამ, წუწუნი წუწუნად რჩება, ვერაფერს ვიზამთ. ისიც არ ვიცი, ჩამოგვაკითხავს თუ არა. ერთადერთი, იმის იმედი მაქვს, იქნებ, ბათუმში შეკრება ჰქონდეს და მაშინ ვნახო.

– როგორი დედა ხარ?

– საკუთარ თავზე საუბარი დიდად არ მიყვარს, მაგრამ, გარშემო სულ აღნიშნავენ, რომ კარგი დედა ვარ და მეც მიხარია. ამ ყველაფერს იმიტომ არ ვაკეთებ, რომ ვინმემ აღნიშნოს, მინდა ჩემმა შვილმა იგრძნოს, დააფასოს. როგორც მე ვარ აღზრდილი, ვცდილობ, ჩემი შვილიც ისე აღვზარდო – არ მოვაკლო ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ რთული რეჟიმი მაქვს. დილით, როცა სახლიდან გავდივარ, გიოს სძინავს და მერე 5-6 საათზე შემოვდივარ. სამაგიეროდ, მთელ დარჩენილ დროს მას ვუთმობ. ამის გამო ბევრ რამეზე ვთქვი უარი და საერთოდ არ ვნანობ. სულ ვამბობ, ნეტავ გიორგიმდე რას ვაკეთებდი-მეთქი. მანამდე იყო ჩემი დისშვილი – ლიზა, მასზე დღემდე ჭკუას ვკარგავ, ვერ ვარჩევ ჩემი შვილისგან. არ ვიცი, შვილზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს. დიდი სისულელეა, მაგრამ, სულ ვფიქრობ: როგორ შეიძლება, ამაზე ძალიან ვინმე მიყვარდეს-მეთქი. უკვე ვნერვიულობ მეორე ბავშვზე, რომელიც ჯერ არც არის დაგეგმილი.

– დარწმუნებული ვარ, ბექასაც არ აკლებ ყურადღებას და არ იჩაგრება ამ მხრივ.

– ზოგჯერ წუწუნებს. მასაც დატვირთული რეჟიმი აქვს: დღისით ვარჯიშობს, მერე ისვენებს და საღამოს სამივე ერთად ვართ, შესაბამისად, ერთმანეთს ვაქცევთ ყურადღებას. გიო ძალიან აქტიური ბავშვია, ენერგიული. რომ დაიბადა, ცოტა რთული კი იყო – არც დღე ეძინა, არც ღამე, მაგრამ, მერე ჩაჯდა რეჟიმში. პირველი ორი თვე ისედაც რთულია: დაღლილი ხარ ორსულობით, მერე – მშობიარობა, თან, ბავშვს თუ არეული აქვს დღე და ღამე, მაგრამ, ყველანაირი დაღლა გავიწყდება, როცა მას უყურებ. როგორ გვიანაც არ უნდა დავიძინო, როგორც კი დილით გიოს ხმა მესმის, მაშინვე თვალებს ვახელ და, ერთი სული მაქვს, ჩემთან დავიწვინო.

– მახსოვს, გიო რომ გეყოლა, მალევე, მისი დაბადების თარიღი ხელზე ამოისვირინგე.

– კი, ინიციალი მაქვს – „გ" და თარიღი – 29.07.2012. რომ გაჩნდა, მალევე დავიწერე. კისერზეც მაქვს ტატუ, ყველაფერი ოჯახს უკავშირდება. მეხუმრებიან ხოლმე: სხვა ბავშვები რომ გეყოლება, ხომ არ დაჩაგრავო და, იქნებ, იმდენი მეყოლოს, მეორე ხელზე გადავიდე.

– რაც შეეხება „მაღვიძარას", სექტემბრიდან აპირებთ გაგრძელებას?

– ახლა შვებულება გვაქვს და სექტემბრიდან ისევ გავაგრძელებთ. პრინციპში, დილის ეთერს ვიყავი ყოველთვის მიჩვეული, მაგრამ, როცა მთავარი წამყვანი ხარ, მაშინ სხვა დატვირთვით გიწევს მუშაობა, პირდაპირი ეთერია, სულ სხვა პასუხისმგებლობა გაქვს. მგონი, მოვერგე, ყოველ შემთხვევაში, მივეჩვიე. დაახლოებით შვიდი თვე ვიყავით ეთერში და უამრავი საინტერესო ადამიანი გავიცანი, ბევრი ჩვენ გავაცანით საზოგადოებას. დღეში დაახლოებით 8 სტუმარი მაინც გვყავდა და სწრაფად ხდებოდა ყველაფერი. მობილიზებულები ვიყავით და ოთხივეს გადანაწილებული გვქონდა ჩვენი ფუნქციები.

– აღარ გაგიშვეს მაკა ასათიანთან ერთად ევროპაში შოპინგებზე?

– მაშინდელი ემოციები ჯერ კიდევ შემორჩენილი გვაქვს. არც მაშინ იყო წინასწარ დაგეგმილი. მამუკამ დაგვიბარა და გვითხრა, მილანში მიდიხართო. ისე უცბად მოხდა, თავი სიზმარში მეგონა. ახლაც თუ რამე სიურპრიზს გვიმზადებენ, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი. ამაზე დიდი სიურპრიზი ჯერ არ მოუწყვიათ.

ორი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთის საქმიანობას უნდა სცემდეს პატივს, ხელს უნდა უწყობდნენ ერთმანეთს და, პლუს, კიდევ ბევრი დეტალია

– ყველაზე უკეთ რა გახსოვს შენი ბავშვობიდან?

– ჩემს ბავშვობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩემი ძმის დაბადება იყო. 7 წლის ვიყავი და ჯერ იმას ვერ აღვიქვამდი, რატომ გაეზარდა დედაჩემს მუცელი, მერე იმას, რომ ბავშვი ეჯდა შიგნით. ვერ წარმომედგინა, ძმა რომ უნდა მყოლოდა. ვაჩეზე ძალიან დიდი ამაგი მაქვს, პირველად ეზოში რომ ჩავიყვანე, თავი ყველაზე დიდი ადამიანი მეგონა. 3 წლის ასაკიდან არაფერი არ მახსოვს, ერთი რამის გარდა: ბებიაჩემის დის ქმარი გარდაიცვალა, რომელიც, თურმე, ძალიან მიყვარდა. ახლა რომ მიყვებიან, ისიც გიჟდებოდა ჩემზე. მისი გარდაცვალება ტრაგედიად მახსოვს. ბებიაჩემი მეუბნებოდა, საფლავზე მე და შენ მივდიოდით და ერთად ვტიროდითო. დღემდე მახსოვს მაშინდელი შეგრძნებები, ვინ სად იჯდა...

– რომელი იყო მნიშვნელოვანი ეტაპი, რამაც შენს ცხოვრებაში გარდატეხა მოახდინა?

– ყველაფერმა მოახდინა გავლენა. რაც შეეხება გარდატეხას, როდესაც სამოდელო სფეროში დავიწყე საქმიანობა, დაიწყო ჩემი აქტიური ცხოვრებაც: რეკლამებში გადამიღეს, დაიწყო ინტერვიუები... მახსოვს, პირველად შენ მოგეცი ინტერვიუ და, ისე ვნერვიულობდი, მამაჩემი გამომყვა. 14 წლის ვხდებოდი მაშინ და საკმაოდ აქტიური ცხოვრება მქონდა. მერე იყო „ელიტ მოდელ ლუქი", სხვადასხვა შემოთავაზება, გადაცემები, მერე „ჯეოსტარი", „რუსთავი 2" და, ფაქტობრივად, იმის მერე არც დამისვენია, თუ არ ჩავთვლით ორსულობის პერიოდს. ამ ყველაფერმა თავისი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე.

– რამეს ნანობ? ანუ, იყო შანსი, რომლის გამოყენებაზეც უარი თქვი?

– ერთადერთი, შეიძლებოდა, უცხოეთში გამეგრძელებინა კარიერა, მაგრამ, უარი ვთქვი და არც ვნანობ. ახლაც ვერ წარმომიდგენია, გიო და ბექაც რომ მყავდნენ თან, როგორ უნდა გავძლო მშობლების გარეშე. მათზე დღემდე დამოკიდებული ვარ იმ თვალსაზრისით, რომ, არ შემიძლია, ერთი დღე გავძლო მათ უნახავად. შეიძლება, პატარ-პატარა რაღაცეები ვინანო, რადგან მაშინ ვფიქრობდი, რომ არ შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ, ახლანდელი გადმოსახედიდან, ვფიქრობ, რომ შეიძლებოდა. ბექას ცხოვრებაც ისე აეწყო... შეიძლებოდა, ისიც უცხოეთში ყოფილიყო და ვერ შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ, ბევრჯერ ჩაეშალა კონტრაქტები და, საბოლოოდ, საქართველოში დარჩა. ალბათ, ბედი იყო ყველაფერი.

– ხშირად ამბობენ, რომ ქორწინება მაინც ლატარიაა: ან გაიმართლებს, ან – არა.

– პატარაობაში ვამბობდი, ადრე არ გავთხოვდები-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემიც 17 წლის ასაკში გათხოვდა. როცა იგრძნობ, რომ ნამდვილი სიყვარულია, უნდა გათხოვდე – რა მნიშვნელობა აქვს, როდის მოვა ეს სიყვარული! 17 წლის ასაკში რომ მწვეოდა ეს სიყვარული, ასაკის გამო ხუთი წელი უნდა დავლოდებოდი? რა თქმა უნდა, არა. ამ თემაზე ძირითადად არ ვდავობ, რადგან, ვისაც როგორ სურს, ისე უნდა ააწყოს თავისი ცხოვრება. რაც შეეხება ლატარიას, მართალი ხარ, ჩემ გარშემო ბევრი ოჯახი დაინგრა. ოჯახში მაინც ურთიერთგაგება და პატივისცემაა მთავარი. ორი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა ერთმანეთის საქმიანობას უნდა სცემდეს პატივს, ხელს უნდა უწყობდნენ ერთმანეთს და კიდევ ბევრი დეტალია. რომ ვთქვა, ბექასთან არასდროს მიჩხუბია, სრული ჰარმონია გვაქვს-მეთქი, მოვიტყუები. ჰარმონია გვაქვს, მაგრამ, გვიჩხუბია და გვიკამათია კიდეც, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. შეიძლება, ისეთ უაზრობაზე ვიჩხუბოთ, მოსაყოლადაც სასაცილო იყოს, მაგრამ, ჩვენთვის იმ მომენტში საკამათო იყო.

– შენ, მგონი, „ჯეკპოტი'' მოიგე, ისევე, როგორც ბექამ.

– თუ შეიძლება, რომ ამას ,,ჯეკპოტი'' დავარქვათ, მაშინ – კი. ჩვენი დაქორწინება ძალიან მალეც არ მომხდარა – 7 თვე ყოველდღე ერთად ვიყავით და კარგად გავიცანით ერთმანეთი. მგონია, რომ, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ირევა შეყვარებულობის პერიოდი, ცვდება, ამიტომ, საჭიროა ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლა. რომ გავთხოვდი, ორი წელი არ გვყავდა შვილი, ამ პერიოდში ყველაფერი მოვასწარითი, შევირგეთ და მერე ახალი ეტაპი დაიწყო. ამ ეტაპსაც რომ ჩავივლით, გიოც წამოიზრდება და მერე ახალ ეტაპზე ვიფიქრებთ, ეს ყველაფერი კი ნორმალური ოჯახის პირობებში ხდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ნათია უტიაშვილი

მზისგან დამცავი საკვები პროდუქტები

დღევანდელ სტატიაში მოგიყვებით იმ საკვებ პროდუქტებზე, უფრო სწორად, ხილსა და ბოსტნეულზე, რომლებიც ჩვენს კანს მზის სხივების მავნე ზემოქმედებისგან იცავს.

ეს სტატია განსაკუთრებით მათთვის იქნება საინტერესო, ვინც მზისგან დამცავ კოსმეტიკურ პროდუქტებს დიდად არ სწყალობს და გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით, მზის ყველაზე აქტიურ პერიოდში, სახლიდან „დაუცველი“ გადის.

მოდი, დავიწყოთ პომიდვრით, რომელიც მზისგან დამცავ ყველაზე „ნატურალურ“ საშუალებად მიიჩნევა. კვლევები ადასტურებს, რომ ის ქალბატონები, რომლებიც სისტემატურად იღებენ პომიდორს (ცოცხალი და ტომატ-პასტის სახით) გაცილებით დაცულნი არიან მზის სხივებისგანაც და მზის რადიაციული გამოსხივებისგანაც.

საქმე კი ის არის, რომ პომიდორი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ისეთი ანტიოქსიდანტისა, როგორიც ლიკოპენია. ეს უკანასკნელი მზისგან ხანგრძლივად დაცვაში გვეხმარება. ანტიოქსიდანტი ლიკოპენი გვიცავს გაწითლებისგან – მზეზე წოლისგან გაწითლებულ კანს ვგულისხმობ. მას კი, პომიდვრის გარდა, ბევრისთვის საყვარელ საზამთროშიც ვხვდებით. ასე რომ, ზაფხულის პერიოდში ნუ იტყვით უარს საზამთროს კარგ ულუფაზე.

მარწყვი, ფორთოხალი და კივი – C ვიტამინით მდიდარი ეს სამი ხილი სიმსივნური უჯრედების გამრავლებასთან მებრძოლ საუკეთესო პროდუქტებად არის მიჩნეული. C ვიტამინი, თავის მხრივ, იდეალურია თავისუფალი რადიკალების დასაბლოკად, რომლებსაც ჩვენი ორგანიზმი მზის სხივებისგან მიღებული დაზიანების საპასუხოდ გამოიმუშავებს.

მოგეხსენებათ, რამდენად საშიშია ზაფხულის მწველი მზე კანისთვის. თუმცა, ყველაზე მარტივად კანის დატენიანება დღის განმავლობაში მინიმუმ 2 ლიტრი წყლის მიღებით შეგვიძლია.

წყაროს წყალ „ბაკურიანის“ დიდი რაოდენობით მიღება, სხვა სასარგებლო თვისებების გარდა, კანსაც ატენიანებს, რის შედეგადაც კანი ინარჩუნებს ელასტიკურობას და ჯანმრთელ ფერს. ასევე, „ბაკურიანი“ იცავს ჩვენს სხეულს გაუწყლოვანებისგან და აღადგენს წყლის ბალანსს ჩვენს ორგანიზმში.

რატომ შეიძლება, ალარ უნდოდეს ქალს ქმრის დანახვა და საღ მიღის ოჯახის შექმნის შემდეგ სიყვარული

თუ სიყვარული საკმარისი არ არის, წყვილი ვერაფრით გადალახავს იმ ბრიერებს, რომლებსაც მათ ოჯახური ცხოვრება უქმნის. შეიძლება, ვინმეს გაუკვირდეს – როგორ შეიძლება, სიყვარული იყოს არასაკმარისი, როცა მასზე ფიქრით ღამეები არ გძინავს, ფიქრობ, რომ მის გარეშე ცხოვრება დამთავრდება... გენატრება მაშინაც კი, როცა გვერდით გყავს... და უცებ, ეს ყველაფერი სადღაც ქრება. ისე, თითქოს არც არასოდეს ყოფილა... რა ხდება? რამ შეიძლება, შეგაძულოს ჯერ კიდევ გუშინ საყვარელი ადამიანი? იქნებ, მართლაც სიყვარული იყო არასაკმარისი?!

მარიამი *(37 წლის):* მე მართლა ვერ ვხვდები, რატომ არის ცხოვრება ასეთი რთული და ტკივილებით სავსე. რატომ არ შეიძლება, სულ ცოტა ხნით მაინც ვიყოთ ბედნიერები. რისთვის ვექცევით საკუთარ თავს ასე სასტიკად. ბოლოს ხომ მაინც ყველაფერი ჩვენი ბრალია?! ძალიან ბევრი რამ არ ვიცით და კიდევ უფრო ბევრი რაღაც საერთოდ არ გვესმის...

თაყვანისმცემლებისა და საქმროების სიმცირეს არასდროს ვუჩიოდი. დიახ, საქმროების – ნაცნობობის პირველივე ეტაპზე კაცები გულსა და ხელს მთავაზობდნენ. არასერიოზული ურთიერთობისთვის არავინ განმიხილავდა. ჩემი თანატოლებიც მალევე მიხსნიდნენ სიყვარულს, ჩემზე უფროსებიც და გაცილებით უმცროსებიც. განსაკუთრებული გარეგნობა არ მაქვს და ამას თქვენც ხედავთ. არც რაიმე განსაკუთრებული ტრიუკი ვიცი და, მით უმეტეს, მაგნიტითაც არავის ვიზიდავდი. მიზეზი ალბათ ის იყო, რომ საკმაოდ მხიარული და უბრალო ვიყავი ურთიერთობაში. მიყვარდა საინტერესო თავგადასავლები, მხიარული ისტორიები, ხუმრობა... წარსულ დროში იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ძალიან შევიცვალე. ქორწინებამ შემცვალა უარესობისკენ. იმ დღეს სარკეში საკუთარ თავს ვუყურებდი და შემეშინდა – ავი დედაკაცის გამომეტყველება, ჩამქრალი მზერა... არადა, თვალები ყოველთვის მიცინოდა. რა დამემართა ქორწინებაში, ხომ საყვარელ მამაკაცს გავყევი ცოლად?! სამწუხაროდ, ცვლილება მარტო მე არ შემეხო. არანაკლები პრობლემები შეუქმნა ოჯახმა ჩემს ქმარსაც. უცებ რომ აღმოვაჩინე, ქუჩაში აღარავინ მიყურებდა, აღარც აღფრთოვანებული მზერის ობიექტი ვიყავი, ძალიან ცუდად გავხდი, მართლა. თითქოს ტკივილიც ვიგრძენი. იცით, კიდევ რა არის პრობლემა? – არასოდეს არაფრის მეშინოდა. ახლა ასე არ ვარ. გათენება აღარ მახარებს და აღარც მომავალი მესახება ნათელ ფერებში.

ოცდარვა წლისამ, როგორც იქნა, გადაწყვეტილება მივიღე და შევიყვარე, ჩემი აზრით, სრულიად ღირსეული მამაკაცი.

– ასე, შეკვეთით შეიყვარეთ?

– არა, რა თქმა უნდა. თუმცა, არც ისე, ბრმად რომ იჩეხებიან უფსკრულში. შემიყვარდა იმიტომ, რომ ყურადღებიანი, მზრუნველი, მხიარული და ხელგაშლილი იყო. ჩემს ყველა სურვილს ასრულებდა, მეფერებოდა და მანებივრებდა. ვიფიქრე, რომ მის გვერდით ბედნიერი ვიქნებოდი, ძალიან ბედნიერი. ხომ ხდება, ადამიანს დაინახავ და მიხვდები, იგრძნობ, რომ სულ მთლად „შენია“. ასე დამემართა ჩემი ქმრის დანახვისას. ახლა მიკვირს – სად გაქრა ეს გრძნობა. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, ცხრა წელი ცოტა ნამდვილად არ არის, მეჩვენება, რომ საერთოდ არ ვიცნობდი. ვიღაც სხვა კაცია, რომელსაც ყველაფერი აღიზიანებს. არანაირი მადლიერების განცდა, არანაირი თავაზიანობა ან ყურადღების გამოვლენა... გამაოგნებელი რამე მოხდა ჩვენს თავს. ოთხი წლის წინ, ძალიან ვეჭვიანობდი მასზე. მგონი, მაშინ ძლიერი იყო ჩემი სიყვარული. ნდობა ჯერ კიდევ მქონდა, თუმცა არასდროს მიფიქრია, რომ ჩემი ქმარი იქნებოდა მამაკაცებს შორის გამონაკლისი. თავს ვერ დავდებდა იმაზე, რომ არასოდეს მიღალატებდა. თუმცა, ურთიერთობა ისეთი გვქონდა, ეჭვის საფუძველი არ გამჩენია.

– როგორი იყო ურთიერთობა?

– ძალიან თბილი, უშუალო და უბრალო. ერთმანეთის გარეშე საერთოდ არსად დავდიოდით. მიმაჩნია, რომ ცოლ-ქმარი ზუსტად ასე უნდა იქცეოდეს. მაშინ, რაღატომ თხოვდები, თუ ისევ მარტო ყოფნის სურვილი გაქვს? არასდროს მესმოდა მათი, რომ ამბობდნენ, მეუღლის გვერდით ვერ ვერთობითო. მე ამის პრობლემა არ მქონია. ვიღაცეებს ეგონათ, სულ ქმრის გვერდით იმიტომ ვიყავი, რომ ერთ ნაბიჯზეც არ ვენდობოდი. იმ პერიოდში ასე ნამდვილად არ ყოფილა. ეს მერე მოხდა, როცა უკვე გამოვიჭირე იმაში, რომ სხვა ქალთან აქტიურად ცდილობდა რომანის გაბმას – ფლირტზე აღარც არის საუბარი. თანაც საერთო ნაცნობთან, ქმრიან ქალთან. იმის მორალსა და ზნეობაზე არ ვილაპარაკებ. მისმა პატრონმა იდარდოს, დღესაც რომ გვერდით ჰყავს და სულს უბერავს. მე ვდარდობ და ვნერვიულობ ჩემსას – არ ვიმსახურებდი ასეთ უსინდისო მოპყრობას. ძალიან კარგი ცოლი ვიყავი – მართლა. უცებ აღმოვაჩინე, რომ კაპიკის ფასი არ მქონია. ნებისმიერ დროს შეიძლება ჩემზე გადაბიჯება. ამან ისე გამამწარა, ძალიან სერიოზული სკანდალი გვქონდა, მაგრამ სახლიდან ვერ გავაგდე და ბოლოს მაინც შევრიგდით. თითქოს ყველაფერი გამოსწოროდა, მაგრამ ნორმალურ კალაპოტში ცხოვრება მაინც არ ჩადგა. მეშინია, რომ ჩემი სიყვარული ქმრის მიმართ მოკვდა. მაშინ რატომ დავინახე ყველა ის საზიზღარი თვისება და ნაკლი, რასაც მანამდე ვერ ვხედავდი? მე ჩემი ქმარი აღარ მიმაჩნია იმ კაცად, რომელსაც შეიძლება, მძიმე წუთებში დაეყრდნო – შეიძლება, ვიღაცისთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ჩემთვის – ტრაგედიაა.

– ანუ, თქვენი ქმარი ოჯახში კი არ შეიცვალა, სულ ასეთი იყო, უბრალოდ, გიყვარდათ და ვერ ამჩნევდით.

– არა, შეიცვალა კიდეც. აღარ არის ისეთი, როგორიც ამ შემთხვევამდე იყო. როცა ადამიანი გიყვარს და ხედავ, რომ ისიც თავდაყირა დგება, ოღონდ არ გატკინოს,

აღმოვაჩინე, რომ არაფრის ფასი არ მქონია. ნებისმიერ დროს შეიძლება ჩემზე გადაბიჯება

რედაქციაში წერილი მოვიდა

მე მიყვარს ჩემი ქმარი. ბევრჯერ მიფიქრია, შევძლებდი თუ არა მის გარეშე ცხოვრებას და მივხვდი, რომ ძალიან გამიჭირდება. ამიტომ, ძალიან ბევრი რამ ვაპატიე, ღალატიც კი. მას არაფერს ვაგრძნობინებ, მაგრამ ძალიან მიჭირს. ნელ-ნელა უარესობისკენ ვიცვლები. ყველაფერი მაღიზიანებს. ნერვები სულ გამიფუჭდა. რას ნიშნავს ეს? – ვეღარ შევძლებ ქმართან ნორმალურ ურთიერთობას? ვერ ვაპატიე და შინაგანად „ვინგრევი“, როგორ მოვიქცე?

გამოხმაურება: თქვენი მონაყოლიდან ჩანს, რომ შინაგანად მზად არ იყავით პატიებისთვის. აპატიეთ გონებით, მაგრამ არა გულით. ჭკვიანი ქალი ბრძანდებით და ხვდებით, რომ ქმარს არ უნდა შეახსენოთ, რა გაიფუჭა. მაგრამ, საკუთარ „მესთან“ ხართ კონფლიქტში. თქვენი „წამალია“ ნაკლები იფიქროთ მომხდარზე, შეიცვალოთ გარემო და საკუთარ თავზე მეტად იზრუნოთ. ცოტათი მაინც შეიცვალეთ ცხოვრების რიტმი. გაერთეთ და გალამაზდით. შოპინგიც კარგი საშუალებაა.

ფსიქოლოგი
მაგდა რობაქიძე

რა მოხდა 2008 წელს ბორჯომში და რატომ ეძებს დედა შვილს მონასტერში

58 წლის ნაირა ილიას ასული სამსონიშვილი ეძებს 32 წლის შოთა მერაბის ძე სამსონიშვილს.

ისტორია: ვეძებ ჩემს შვილს – 32 წლის შოთა მერაბის ძე სამსონიშვილს. ბოლოს ჩემი შვილი 2008 წლის 13 დეკემბერს ვნახე. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე იყო და ეკლესიიდან შოთიკო სახლში მოვიდა. შემდეგ კი სადღაც გასვლა გადაწყვიტა. დაიბარა, მალე მოვალო, მაგრამ, აღარ დაბრუნებულა. მისი ძებნის ყველანაირი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. მე დღემდე ვცდილობ, მოვძენო ის. ძალიან გთხოვთ, მის პოვნაში დამეხმაროთ. ჩვენ ბორჯომში ვცხოვრობთ და ეს ამბავიც აქ მოხდა.

ჟურნალისტის შენიშვნა: შოთა სამსონიშვილი დაბადებულია 1981 წლის 1 ივნისს. განსაკუთრებული ნიშნები მას არ აღენიშნება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მარჯვენა ყური მარცხენაზე ოდნავ პატარა აქვს. სიმაღლით შოთა 1 მეტრი და 83 სანტიმეტრია. აქვს შავი ფერის თმა და მწვანე თვალები, სქელი წარბები და სწორი ფორმის ცხვირი. თუ კი ვინმეს ეცნობა ეს პიროვნება, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ. გასათვალისწინებელია, რომ, შესაძლებელია, შოთას ამჟამად სხვა სახელი ჰქონდეს დარქმეული (თუკი ის მონასტერში მოღვაწეობს).

– გვიამბეთ, რა მოხდა 2008 წლის 13 დეკემბერს თქვენს ოჯახში?

ნაირა სამსონიშვილი: ანდრია პირველწოდებულის დღე იყო და მე ჩემს ქალიშვილთან ერთად ეკლესიაში ვიყავი (ეკლესიაც ანდრია პირველწოდებულის სახელობის იყო). ცოტა ხანში ეკლესიაში მოვიდა ჩემი ბიჭიც, შოთიკოც და შემდეგ სამივე ერთად სახლში დავბრუნდით. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში შოთა სახლში იყო, მერე კი სადღაც გასვლა გადაწყვიტა და მითხრა, რომ მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ, მას შემდეგ მე ის აღარ მინახავს.

– ბუნებრივია, ალბათ, პოლიციას მიმართეთ, კიდევ რა ხერხებით სცადეთ მისი მოძებნა?

– თავიდან, როდესაც შოთა სახლში არ დაბრუნდა, პოლიციაში დავრეკეთ. ტელევიზიითაც გამოაცხადეს ჩემი შვილის ამბავი, მაგრამ ვერაფერი გაირკვა. სამწუხაროდ, შოთა საკმაოდ გულჩათხრობილი ადამიანია და ოჯახის წევრებიდან არავინ ვიცოდით, კონკრეტულად სად აპირებდა წასვლას. პასპორტი სახლში აქვს დატოვებული, არც ტანსაცმელი წაუღია. წესით, არაფერი არ უნდა მომხდარიყო...



– მაინც, სად გგონიათ თქვენი შვილი?

– მას შემდეგ, რაც შოთა დაიკარგა, მართლა ყველანაირად ვეძებდით, მაგრამ, პირადად მე ისეთ დღეში ვიყავი, რომ, სიარულის კი არა, ლაპარაკის თავიც არ მქონდა. ერთი პერიოდი ნათელმხილველებთანაც კი დავიწყე სიარული და თითქმის ყველა ერთსა და იმავეს მეუბნებოდა, რომ ჩემი შვილი რომელიღაც მონასტერში უნდა იყოს. რამდენიმეს აზრიც კი დაემთხვა ერთმანეთს – გურიის მთებს ვხედავთ და მონასტერს, სადაც თქვენი შვილი იმყოფებაო. თავად შოთა მორწმუნე კი იყო, მაგრამ, ისეთი მორწმუნე, რომ მოძღვარი ჰყოლოდა ან წირვებზე ევლო – არა, უბრალოდ, ღმერთი სწამდა და ცუდ საქმესაც არაფერს სჩადიოდა. ჩემი გოგონები (ორი უფროსი გოგო მყავს – 33 და 34 წლის) დადიოდნენ მონასტრებში და ყველას ეკითხებოდნენ შოთიკოს ამბავს, მაგრამ, მოგეხსენებათ, საქართველოში უამრავი მონასტერია და ყველგან ვერ მივედით. რატომღაც, ვფიქრობ, რომ შოთა რომელიღაც მათგანში უნდა იყოს.

– ოჯახში ხომ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან, რამეზე ნაწყენი ხომ არ იყო?

– ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. საერთოდ, უკონფლიქტო პიროვნებაა ჩემი ბიჭი და სამეგობროც კარგი ჰყავს. ერთ-ერთმა პოლიციელმა, ვინც შოთიკოს საქმეს იძიებდა, ისიც კი მითხრა, ვერც ერთი საბაბი ვერ მოვნახეთ, ვერც მე და ვერც გამომძიებელმა, რამე რომ გვეფიქრა. არც იმ დღეს, არც უახლოეს მომავალში არანაირი დანაშაული არ მომხდარა ბორჯომში... საერთოდ ვერაფერი გაარკვიეს.

– სახლიდან გასულიც არავის შეხვედრია გზად? ან, ტყეში თუ დადიოდა ხშირად?

– გზად მეზობელი გოგონები შეხვედრიან, მაგრამ, მათთვისაც არ უთქვამს, სად მიდიოდა. ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, აღელვებულიც კი არ იყო. კოკერ-სპანიელის ჯიშის ძაღლი გვყავს და მისი გასეირნება უყვარდა ტყეში, მაგრამ, იმ დღეს ძაღლი არ გაუყვანია. მინდა მივმართო ყველა ადამიანს, ვინც ამ სტატიას წაიკითხავს ან ვისაც რამე ინფორმაცია აქვს ჩემი ბიჭის შესახებ: გამოგვეხმაურეთ, გამოიჩინეთ გულისხმიერება.

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ, ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.

ნატალია მახარაშვილი

„ბაბოვიჭირე იმაში, რომ სამართლ ნაცნობთან, ძმრიან ქალთან ცდილობდა რომანის გაბმას. ფლირტზე უკვე აღარ არის ლაპარაკი

მაშინ ცუდ რაღაცეებს მასზე არ ფიქრობ. „ალაითებ“ ყველაფერს და საკუთარ თავს არწმუნებ, რომ ის იდეალურია.

– სიყვარული გვაბრმავებს, – ამისი თქმა გინდათ?

– დიახ. ასეა. როცა ძალიან, ძალიან გიყვარს, საკუთარ თავზე მეტადაც კი, უკვე მსხვერპლშეწირვაზე მიდიხარ. ყველაფერს „უპრავებ“. იმიტომ ვამბობ, მე არ მაქვს საკმარისი სიყვარული, რომ ის ავიტანო. დღე ისე არ გავა, რაღაც ისეთი არ გააკეთოს, რომ ჭკუიდან გადამიყვანოს. დილით, სანამ ავდგები, საკუთარ თავს ვეუბნები, დღეს მაქსიმალურად მშვიდად ვიქნები, არ ავყვები, ყურადღებას არ მივაქცევ-მეთქი, მაგრამ ერთი წუთი სჭირდება, რომ ეს ჩემი „ავტოტრენინგი“ თავდაყირა დააყენოს. მაგიჟებს. მაქვს მომენტები, როცა სერიოზულად ვფიქრობ განქორწინებაზე. ვწონი ამ ნაბიჯის პლუსებსა და მინუსებს. მერე უცებ ისევ ვითმენ, ისევ ყოყმანს ვიწყებ: მოდი, კიდევ მივცემ შანსს-მეთქი და... რაღაც ჯადოსნურ წრეზე ვტრიალებ... იმიტომ შეიცვალა ასე, რომ მე ეჭვიანობა დავიწყე? გავიგე, ჩემს ღალატს რომ აპირებდა და ამან გააღიზიანა? როცა ამ ვარიანტს განვიხილავ, უარესად ვცოფდები – როგორ, კიდევ მაგას აქვს პრეტენზიები? ნეტავი, ბუნებრივია სურვილი მისი მოკვლისა და ცემის?

– ასეთი სურვილიც გაქვთ ხოლმე?

– ვაიმე, არ ვიცი. მგონი, კი. ცემის – აშკარად. თავში რომ რამე არ ჩავარტყა, ოთახიდან გავდივარ. ესეც ხომ საშინელებაა. ჰქვია კი ჩვენს ურთიერთობას ოჯახი?! რაღას უნდა ველოდო? პირიქით რომ იქცეოდეს და ოდნავ მაინც ცდილობდეს, ისეთივე გახდეს, როგორც ქორწინებამდე იყო... დაინახოს ჩემში სასურველი ქალი... დამანახვოს სინანული... არა! ნამდვილ ხეპრედ იქცა... ან სულაც ასეთი იყო! მოკლედ, ვერაფერი გავიგე. როგორია უცხო და უხეში კაცის გვერდით ცხოვრება?! თან, უნდა იზრუნო მასზე, მოუარო, დაურეცხდაულაგო. მე ახლა ისეთ ასაკში ვარ, სტაბილურობის განცდა მჭირდება. ჩემს ქმართან მსგავსს ვერაფერს ვგრძნობ.

– ამ პრობლემებზე ლაპარაკი თუ სცადეთ მასთან?

– არა. მიმაჩნია, რომ აზრი არა აქვს. თვითონ რადგან არ გრძნობს იმის საჭიროებას, რომ ჩვენი ურთიერთობა გაუმჯობესოს, რაღაზე ველაპარაკო?

– თუ ოჯახისა და ურთიერთობის გადარჩენა გინდათ, ასე უნდა მოიქცეთ. რათა მერე არ ინანოთ, რატომ არ მივეცი შანსი მასაც და საკუთარ თავსაც.

– მაგაში მართალი ბრძანდებით. შანსი, ალბათ, მასაც უნდა მივცე და საკუთარ თავსაც, მაგრამ მეშინია, საუბრიდან ჩხუბზე არ გადავიდეთ და ერთმანეთს ხელით არ შევეხოთ. გეუბნებით, ძალიან არის შეცვლილი. უხეშია, ძალიან უყურადღებო და ინდიფერენტული. ერთხელ წამომცდა, სხვას გავიჩენ, ვისაც ჩემი მოფერება არ დაეზარება-მეთქი და მხრები აიჩეჩა – მეც მაგას ველოდები, რომ თავიდან მოგიშოროო. რაღაა ჩვენ შორის სალაპარაკო?!

დალი მიქელაძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მ ი ი ღ ე თ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

ჰოლივუდის რომელი ვარსკვლავები ითამაშებენ „ჯინსების თაობაში“ გეგას და თინას როლებს და რა მოლაპარაკებებს ანარმოებს ნიკა ხომასურიძე კრისტოფერ უოლკერთან

ნიკა ხომასურიძე: სცენარისტი ტომას დანი სამი კვირის განმავლობაში იყო საქართველოში. მოვიარეთ ყველაფერი და ნახა ის ადამიანები, ვისაც შეხება ჰქონდა ამ ისტორიასთან. დათო ტურაშვილის წიგნზე უფლება ვიყიდეთ. წიგნის დაახლოებით 15-20 პროცენტია სცენარი, რადგან, როდესაც გამოვკითხეთ მგზავრები, პილოტი, აეროპორტის თანამშრომლები, ოჯახის წევრები, აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ არ არის წიგნში მოხვედრილი. ფილმში უფრო მეტი ემოცია და პასუხისმგებლობაა. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად შევეცადეთ, მოვლენები ისე განვითარებულიყო, როგორც რეალობაში. ვფიქრობ, უმაგრესი სცენარია და ვინც წაიკითხა, ყველამ უმაღლესი შეფასება მოგვცა. ამერიკელი სცენარისტია, ფილმმეიკერი და იცის, სცენარი როგორ უნდა დაწეროს. რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით ძალიან კარგი სცენარი დაწერა და ამას მხოლოდ მე არ ვფიქრობ. მსახიობები, რომლებიც დამთანხმდენ ამ ფილმში თამაშზე, ისინიც მოუთმენლად ელოდებიან გადაღების დაწყებას.

– გადაღების დაწყება ფინანსური საკითხების გამო გადაიდო?

– ინვესტიციის ნაწილი გვაქვს, ნაწილის მოძიება ისევ ხდება. ბიუჯეტი ცოტა გაგვეზარდა, რადგან მაგარი მსახიობები გვყავს „დაკეტილი“. აქამდე ერთი-ორი მთავარი როლი გვაკლდა, ახლა უკვე ყველა დამტკიცებულია. ხომ იცი; მსახიობი გალ გადეთი, „ფორსაჟში“ თამაშობს. ის ითამაშებს თინას როლს. ისე ვითარდება მისი კარიერა, ფაქტობრივად, მომავალი ანჯელინა ჯოლია. მისი კარიერა ახლა უფრო და უფრო წინ მიდის. ჩვენი პროექტითაც გაიზრდება მის მიმართ ინტერესი და, შესაბამისად, ჩვენს პროექტზეც. სცენარი, რომ წაიკითხა, გაოგნებული იყო: საოცარი ისტორიაა.

დიდი შანსია, გეგას როლის შემსრულებელი „ოსკარზე“ იყოს ნომინირებული

– თინასთან ამ თემაზე გისაუბრია?

– როდესაც პროექტს ვიწყებდით, მაშინ ვესაუბრე თინას. მითხრა: ეს ჩემთვის ძალიან რთული თემაა. როგორც კი ყველაფერს „ჩავკეტავთ“, მაშინვე შევეხმიანები და შეძლებისდაგვარად შევეცდები, გალისა და თინას შეხვედრის ორგანიზებას. გეგას როლს შეასრულებს აარონ ტვიტი, რომელიც ჰიუ ჯეკმანთან და რასელ ქროუთან ერთად ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს „ოსკარზე“ ნომინირებულ ფილმში „საბრალონი.“ გეგა კობახიძის გმირი ისეთია, არ შეიძლება ვინმე არ დაინტერესოსო. პლუს ამას, დიდი შანსია, ამ როლის შემსრულებელი „ოსკარზე“ იყოს ნომინირებული.

– უკვე „ოსკარზე“ ფიქრობ?

– ასეთ პროექტს რომ აკეთებ, უკვე ფიქრობ „ოსკარზე“. მე რომც არ ვიფიქრო, უცხოური მხარე, რომელიც ამ ფილმშია ჩართული, ფიქრობს კიდეც და ჩვეულებრივადაც განიხილავს. ჩვენს ყველა პოზიციაზე უმაღლესი დონის პროფესიონალები გვყავს. 7 ოსკაროსანია ჩართული: მსახიობები და ჯგუფის წევრები, „ოქროს გლობუსის“ მფლობელები, „ემის“ გამარჯვებულები – სასწაული ჯგუფი გვყავს. ჩვენი მთავარი მიზანია, დიდი სადისტრიბუციო არეალი შევქმნათ, რომ ბევრმა მაყურებელმა ნახოს ფილმი, ფესტივალებზე წავიდეს და „ოსკარის“ ნებისმიერ ნომინაციას გამოვკრათ ხელი. ახლა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ კრისტოფერ უოლკერთან, რომელიც ვაჟა ივერიელის როლს ითამაშებს და, ვფიქრობ, ორი კვირით ჩამოვა. წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა, დეტალებზე მალე შევთანხმდებით.

– დაახლოებით რა დაჯდება ამ ფილმის გადაღება?

– 30 მილონი დოლარი დაჯდება – ვხუმრობ... ასეთი იქნება ვიზუალურად, თორემ ბევრად ნაკლები ჯდება. ცოტა ხნის წინ, სოზარ სუბარს შევხვდით და შევთანხმდით, რომ ორთაჭალის ციხეში გადავიღებთ ფილმის გარკვეულ მომენტებს. აეროპორტშიც, იგივე მოდელის თვითმფრინავში გადავიღებთ, რომელიც მაშინ იყო გატაცებული. ასევე, ბიჭების სახლებში, სამხატვრო გალერეაში, გერგეთის სამებაში, მამადავითზე, თბილისის ქუჩებში, სასამართლო დარბაზში იქნება გადაღება. დაახლოებით ის გზა უნდა გავიაროთ, რაც მათ გაიარეს და, რა თქმა უნდა, რთულია, რადგან თვითონ ისტორიაა ძალიან რთული და ტრაგიკული.

– რა ეტაპზეა თქვენი და ინვესტორების ურთიერთობა?

– საქართველოში ცოტა რთულია ეს ყველაფერი. თან, გაურკვევლობაა, გაჩერებულია ბევრი რამ. მაგრამ ეს, როგორც კომერციის მხრივ, ასევე, სახელის მხრივაც, ძალიან წარმატებული პროექტი იქნება. მე და გიორგი ქავთარაძემ, რომელიც ფილმის პროდიუსერია, სოლიდური ინვესტიცია გავაკეთეთ. ჩვენ რომ მთლიანი თანხა გვქონდეს, ერთი წამით აღარ გავჩერდებოდით. უცხოელი ინვესტორისთვის ეს მორიგი ბიზნესპროექტია, ქართველისთვის კი ბიზნესინტერესის გარდა, სხვა სიამაყეა – ქართულ ისტორიას მოვყვებით მსოფლიო ასპარეზზე. აი, ეს ჯიგარია ადამიანში საპოვნელი. თუ ადამიანში ეს ჯიგარი არ არსებობს, მაშინ ის არც დაინტერესდება. ფულთან ერთად კი, ბევრი რამ იკარგება.

– გარკვეულწილად, მათი მხრიდან, ალბათ, არის სკეპტიკური დამოკიდებულება და ეს არც არის გასაკვირი.

– კი. არის, თუმცა, რეალურად ეს მთელ მსოფლიოში ყველაზე თეთრი ბიზნესია, გამჭვირვალე.

– და მაინც, როდის დაიწყებთ გადაღებებს?

– სექტემბრის შუა რიცხვებში ვგეგმავთ.

– კიდევ რა სიახლეებია „ნიკოლოს ფილმსში“?

– „ამირანის“ ერთ-ერთი სცენის ერთწუთიან გრაფიკულ დემოვერსიას ვაკეთებთ. დღეს გრაფიკულ კომიქსებზე დიდი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ, ჩვენც ვაკეთებთ დემოვერსიას იმაზე, თუ როგორ შეგვიძლია 2-საათიანი ფილმის გაკეთება. ინვესტორებს დავპატიჟებთ და ვაჩვენებთ. კიდევ, „ექვთიმე თაყაიშვილის“ სცენარი გვაქვს მზად. კინოცენტრი და სახელმწიფო აცხადებს კონკურსს, რომელიც გადაიდო, მაგრამ მომავალში იქნება. ჩვენ ვაპირებთ მონაწილეობას, თუმცა, გავიმარჯვებთ თუ არ გავიმარჯვებთ, მაინც გადავიღებთ ამ ფილმს. ლაშა კანკავასთან ერთად გავაკეთეთ ეს სცენარი და ძალიან კარგი, საინტერესო გამოვიდა. მერაბ რატიშვილს, რომელიც პოლიტპატიმარი იყო, არაჩვეულებრივი წიგნები აქვს დაწერილი. ახლა ვმუშაობთ მის ნაწარმოებზე „თეთრი ლამა“, ორტომეულია. სამი სერია გავაკეთეთ და ითარგმნება ინგლისურად. ძალიან საინტრესო იქნება, „ჯინსების თაობის“ მერე გავაკეთებ ამას. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ, სრულიად შემთხვევით, დამიკავშირდა მსოფლიო ტოპ-ხუთეულში შესული სცენარისტი. მისი სცენარითაა გადაღებული: „კარიბის ზღვის მეკობრეები“, „ზორო“, „მარტოხელა რეინჯერი“, „შრეკი“ და ასე შემდეგ. მისმა ასისტენტმა მომწერა: ინტერნეტში ვნახეთ „დიდგორის“ ტრეილერი და გვინდა, ამ ფილმის სრული ვერსიის ნახვაო. ეს ჩემი სტუდენტური ფილმია, სადიპლომო, მაგაზე ვისწავლე ყველაფერი. გავოცდი: რა უნდათ, რატომ მიკავშირდებიან-

დათო ტურაშვილის წიგნზე უფლება ვიყიდეთ. წიგნის დაახლოებით 15-20 პროცენტია სცენარი, რადგან, როდესაც მერე გამოვკითხეთ მგზავრები, პილოტი, აეროპორტის თანამშრომლები, ოჯახის წევრები, აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ არ არის წიგნში მოხვედრილი

მეთქი – თავი სიზმარში მეგონა. როგორც მითხრეს: შუა საუკუნეების თემაზე აპირებენ პროექტის გაკეთებას და ეძებდნენ ამ თემატიკის ფილმებს ინტერნეტში. რომელიც მოეწონებათ, მერე იმას გადაიღებენ, ანუ, აქ საუბარია ისტორიაზე. მომწერეს: „დიდგორის“ ტრეილერი რომ ვნახეთ, მოგვეწონა ისტორია და ისეთ ფილმებში მოხვდა, როგორიცაა: „რობინ ჰუდი“, „ჟანა დარკი“ და ასე შემდეგ. ძალიან გამიხარდა და, რა თქმა უნდა, გავუგზავნე ფილმის სრული ვერსია. თან, მივწერე, რამხელა ისტორიაცაა. ისინი ფილმს კი არ აფასებენ, არამედ ისტორიას. რომც არაფერი მოხდეს, უკვე მნიშვნელოვანია, ეს ადამიანი რომ დაინტერესდა.

ნათია უტიაშვილი

რით დარჩა გაკვირვებული თბილისში სტუმრად მყოფი ალექსანდრე დიუმა და ვინ გახსნა პირველი სასტუმრო თბილისში 1818 წელს

თბილისური სასტუმროების ისტორია სათავეს უძველესი დროიდან იღებს. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში სასტუმროების ფუნქციას ფუნდუკები ასრულებდა, სადაც ჩერდებოდნენ მოგზაურები, ძირითადად – ვაჭრები. მოგვიანებით, სასტუმროების ფუნქციის შესრულება ქარვასლებმა დაიწყო, ხოლო, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ევროპული ტიპის ტრაქტირებში ოთახების გაქირავება დაიწყეს, რასაც მალევე მოჰყვა პირველი სასტუმროს გახსნა თბილისში. ძველი ფოტოების დახმარებით, თბილისის სასტუმროების შესახებ საინტერესო ცნობებს გაეცნობით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

პირველი სასტუმრო თბილისში

თბილისის პირველი სასტუმრო 1818 წელს გაიხსნა. სასტუმროს მფლობელი პროვანსელი ჯარისკაცი, ნაპოლეონის არმიის ყოფილი გრენადერი, ჟან პოლი გახლდათ. სასტუმრო ზემო კალაში, ტალახიან ქუჩაზე მდებარეობდა. 1820-30-იან წლებში ამ სასტუმროს მომსახურებით თბილისის ყველა სტუმარი სარგებლობდა. თავად ჟან პოლი ცნობილი იყო როგორც ხალისიანი, ენერგიული და პატიოსანი კაცი, რომელიც თბილისში 1812 წელს მოხვდა – იგი ომის დროს ტყვედ ჩავარდნილა და შემდგომ თბილისში მზარეულად ჩამოსულა ვიღაც რუს გენერალთან ერთად. მოგვიანებით ჟან პოლმა თბილისში საცხოვრებლად დარჩენა გადაწყვიტა და ცოლად გერმანელი კოლონისტი ქალი შეირთო. 1818 წელს ჟან პოლის სასტუმროში რამდენიმე დღით იყო გაჩერებული ალექსანდრ გრიბოედოვი. ჟან პოლს თბილისის სტუმრები უბრალოდ „პოლს“ ან „ფრანცუზს” უწოდებდნენ. 1827 წელს ჟან პოლი გერმანულ კოლონიაში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადავიდა და საკუთარი სასტუმრო, ტრაქტირთან ერთად, მეუღლის სახლში გახსნა. 1840-იან წლებში მოხუცი ჟან პოლი თბილისის ცოცხალ ლეგენდად იქცა. იგი 1849 წელს გარდაიცვალა, თუმცა, მის სახელს ტრაქტირი, ამჯერად სასტუმროს გარეშე, დიდხანს ატარებდა.



ალექსანდრ გრიბოედოვი, ჟან პოლის სასტუმროში სტუმრობის წლებში

სასტუმრო „ვეტცელის” ხედი მეოცე საუკუნის დასაწყისის ფერად ბარათზე

„ვეტცელი“

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მტკვრის მარცხენა ნაპირის საუკეთესო სასტუმრო გახდა „ვეტცელი”, რომელიც 1897-1900 წლებში აშენდა მიხეილის პროსპექტისა (აღმაშენებლის გამზირის) და ქსენიას (ყოფილი შეროზიას, ამჟამინდელი ზურაბ ჭავჭავაძის) ქუჩების კუთხეში. პროექტი არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდს ეკუთვნოდა, ხოლო მშენებლობა მეორე გილდიის ვაჭარ ფრიდრიხ ვეტცელის დაკვეთით დაიწყო. ვეტცელმა, რომელიც შენობის პატრონიც იყო, თავისი სასტუმრო იმ დროის ყველა შესაძლო კომფორტით აღჭურვა: „ვეტცელში” იყო გათბობა, ელექტროგაყვანილობა, ლიფტი, საბილიარდე, კეგელბანი და ორი რესტორანი ერთი – სარდაფის სართულში, გერმანული სტილის მხატვრობით გაფორმებული (შემდგომ ამ რესტორანს „გერმანია” ეწოდებოდა). მთავარი რამ კი, რითაც „ვეტცელი” სხვა სასტუმროებისგან განსხვავდებოდა, იყო თეატრი, რომელიც სასტუმროს მარცხენა ფრთაში იყო განთავსებული. თეატრში პერიოდულად სხვადასხვა დასი მართავდა წარმოდგენებს, მაგალითად 1906 წლის 24 მაისს თეატრში სადებიუტო სპექტაკლი წარმოადგინა ოსურმა დრამატულმა წრემ. სასტუმროს ჰქონდა საკუთარი ბაღი, რომელშიც 1901 წლიდან ზაფხულობით კონცერტებს მართავდნენ ოპერის თეატრის ორკესტრის მუსიკოსები. 1911 წელს სასტუმრო შეიძინა ვეტცელის ყოფილმა ხელქვეითმა, იმხანად შეძლებულმა მეწარმემ, ნოე სიხარულიძემ, რომელმაც 1913 წელს შენობა საფუძვლიანად გადააკეთა და გააფართოვა. პროსპექტის მხრიდან მიშენდა დიდი ვერანდა, გაკეთდა ხელოვნური მღვიმეები პირველ და მეორე სართულებზე, მთავარი შესასვლელი გაფორმდა მუზარადიანი ჰერმესის სკულპტურებით, რომელთა ავტორი, სავარაუდოდ, იყო მოქანდაკე კარლ ვილსი. 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ნოე სიხარულიძემ სასტუმროს გერმანულად ჟღერადი სახელი შეუცვალა და თავისი სახელი – „ნოე” დაარქვა. 1928 წელს სასტუმროს „ევროპა” ეწოდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წლებში კი – „რუსთავი“ 1970-იან წლებში სასტუმრო დაიხურა და შემდგომ წლებში შენობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას ეკავა: საგარეო საქმეთა სამინისტროს, კონტროლის პალატას.

სასტუმრო „ვეტცელი” (1900-იანი წლები)

სასტუმროს ფასები

მეცხრამეტე საუკუნეში თბილისი ძვირი ქალაქი იყო. ალექსანდრ დიუმა გაკვირვებული აღნიშნავდა, რომ დალაქის მომსახურება თბილისში რამდენიმეჯერ მეტი ჯდებოდა, ვიდრე პარიზში. იმავე პარიზთან შედარებით, ბევრად მაღალი იყო ფასები ევროპულ ტანსაცმელზეც. ასეთივე ვითარება ჩანს სასტუმროებშიც. ბარონ მაქს ფონ ტილმანის თქმით, 1876 წელს „კავკაზში” ნომერი ოთხჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე შვეიცარიის საუკეთესო სასტუმროებში. სავარაუდოდ, ბარონი „კავკაზის” ყველაზე ძვირ ნომერს გულისხმობდა, რომლის ფასიც დღეში 5 მანეთი იყო. 1880-იანი წლებიდან მსოფლიო ომამდე ფასები არსებითად აღარ გაზრდილა, იმ დროის ყველაზე

პლეხანოვის გამზირი და ხედი სასტუმრო „რუსთავზე” საბჭოთა დროს

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად

როგორც წმიდა მამები ამბობენ, განსაცდელი ერთგვარი წყალობაა ღვთისა, რამეთუ, არ დაგვავიწყდეს საკუთარი თავი, უფალი, რომ ჩვენი ხორციელი ცხოვრება დროებითია. ამიტომ, ამ ცხოვრებაში ყველამ უნდა ვიფიქროთ სულის ცხონებაზე, სულიერ ფერისცვალებასა და სულის განწმენდაზე, რის აუცილებლობასაც განსაკუთრებულად შეგვახსენებს 19 აგვისტოს ფერისცვალების დღესასწაული. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გურამი (გურამიშვილი):

რა ეხმარება ადამიანს სულის განწმენდასა და ფერისცვალებაში და როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი თავსდატეხილი განსაცდელების დროს

არ შეიძლება, ვინმე დავიწუნოთ ფიზიკური ნაკლის გამო და მასთან ურთიერთობაზე უარი ვთქვათ

– ეკლესიაში დადგენილია ოთხი ძირითადი მარხვა: შობის, აღდგომის, პეტრეპავლობისა და მარიამობის. მარიამობის მარხვა ყოველთვის ორ კვირას გრძელდება. შობის მარხვის ხანგრძლივობა ყოველთვის ერთნაირია – იწყება 28 ნოემბერს და ქრისტეშობას ყოველთვის 7 იანვარს ვდღესასწაულობთ. რაც შეეხება პეტრეპავლობას, მასაც ყოველთვის ერთსა და იმავე დღეს აღვნიშნავთ, მაგრამ, ამ მარხვის ხანგრძლივობა, დაწყების დღე, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის არის აღდგომა. ყველა მარხვა ძალიან მნიშვნელოვანია თავისი არსით, დანიშნულებით. როდესაც მაცხოვარი ნათლისღების შემდეგ უდაბნოში გავიდა, მარხულობდა და თვით უფალი გამოსცადა ბოროტმა. ამიტომ, ნებისმიერი მარხვის დადგენა, მისი შენახვა, ეს არის იმის გახსენება, როგორ მარხულობდა იესო ქრისტე უდაბნოში, როგორ გამოსცადა ის ბოროტმა და რომ უფალმა თავისი ცხოვრებით მოგვცა მაგალითი თავმდაბლობისა, განსაცდელების დათმენისა, რასაც უფალი ხშირად უვლენს ადამიანს. ამიტომ, მარხვა ქრისტიანის სულიერ განწმენდასა და ფერისცვალებას ემსახურება.

– იმ ფაქტს, რომ მარხვას იცავს და ეკლესიაში დადის, ზოგი განსაკუთრებულ აფიშირებას უკეთებს, თავს იწონებს, თუმცა, მათი ეკლესიურობა ხშირად ეკლესიაში მთავრდება.

– მართალი ხართ. ზოგიერთი თავმომწონედ, ამპარტავნულად ამბობს: „იცით, მე მარხვაზე ვარ, ეკლესიაში დავდივარ, მოძღვარი მყავს, აღსარებას ვამბობ, ვეზიარები.“ არადა, ეს ყველაფერი უნდა იყოს გამოხატულება მორჩილებისა, ეკლესიური ცხოვრებისა, თავმდაბლობისა, სიყვარულისა და არა ამპარტავნებისა. რაც უფრო მეტი მოგვეცა, უფრო მეტი მოგვეთხოვება. თუ უფალმა მოგვმადლა იმის ნიჭი, რომ ვიაროთ ეკლესიაში, ვეზიაროთ, ის უფრო მეტად მოგვთხოვს, ვიყოთ ღვთისნიერები, თავმდაბლები, მოსიყვარულეები და განონასწორებულები. თუ ადამიანი არ შეინანებს, არ გააცნობიერებს, რომ ცდება, არასწორად იქცევა და მას ამპარტავნება ლუპავს, მართლა დაილუპება და დაისჯება. ყველას ძალიან გვიყვარს მეგობრების, ახლობლების მხილება, რითაც ხშირად ვტკენთ ხოლმე მათ გულს. ყველაფერი მოთმინებით, მდუმარებით უნდა დავითმინოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მსაჯული უფალია, მან უნდა განსაჯოს ტყუილ-მართალი. ჩვენი ცოდვილი ბუნებიდან გამომდინარე, ძალიან ძნელია, საკუთარი ცოდვა დავინახოთ, ხოლო, თუ ამაზე სხვები მიგვითითებენ, ეს ჩვენთვის შეურაცხმყოფელია და, შეიძლება, უარეს ცოდვაში ჩავვარდეთ. მითითების მიცემა უფრო მისაღები იქნება, რადგან, მხილება, შესაძლოა, ახლობლის დაკარგვის მიზეზი გახდეს. ამიტომ, ჯობია, ის მივიყვანოთ მოძღვართან, რომელიც მას მიუთითებს, დაანახვებს ცოდვას და, გულწრფელი აღსარების შემდეგ გათავისუფლდება ამისგან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხშირად სხვისი ცოდვის დანახვა უფრო გვიადვილდება, ვიდრე საკუთარის; სხვის ცოდვებზე, უარყოფით მხარეებზე უფრო ადვილად ვსაუბრობთ, ვიდრე საკუთარზე, არადა, შეიძლება, თავად უფრო მეტი უარყოფითი თვისება გაგვაჩნდეს ამ დროს კი საკუთარი თავი კეთილი, სათნო გვეგონოს. ადამიანი არ უნდა მიეცეს თვითკმაყოფილებას, ყოველთვის უნდა ეძიებდეს უფალს და რაც მთავარია, უნდა გააჩნდეს თვითკრიტიკის უნარი. ასევე, არ შეიძლება, ვინმე დავიწუნოთ ფიზიკური ნაკლის გამო და მასთან ურთიერთობაზე უარი ვთქვათ. ამიტომ, ვინც ადამიანებს თანამდებობის, საზოგადოებრივი მდგომარეობის ნიშნით გამოარჩევს, ის ამპარტავნებაშია ჩავარდნილი. როგორც მეგობრის, ასევე ცხოვრების თანამგზავრის ანგარებით არჩევა არ არის მიზანშეწონილი.

– 19 აგვისტოს მართლმადიდებლური ეკლესია ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი დღეა.

ზოგიერთი თავმომწონედ, ამპარტავნულად ამბობს: იცით, მე მარხვაზე ვარ, ეკლესიაში დავდივარ, მოძღვარი მყავს, აღსარებას ვამბობ, ვეზიარები...

– როდესაც მაცხოვარი განკაცდა, მან გარშემო შემოიკრიბა მოციქულები და მათთან ერთად დადიოდა, სწადიოდა სასწაულებს: სნეულებს კურნავდა, მიცვალებულებს აცოცხლებდა და ბევრ კეთილ საქმეს აღასრულებდა. როდესაც მოახლოვდა მაცხოვრის ჯვარცმის ჟამი, მან თავისი მოწაფეებიდან გამოარჩია სამი მოციქული: პეტრე, იაკობი, იოანე და მათთან ერთად ავიდა შემაღლებულ მთაზე, რომელსაც ეწოდება თაბორის მთა. სანამ მაცხოვარი ლოცულობდა, მოწაფეებს ჩაეძინათ და ისინი დიდმა ბრწყინვალებამ გამოაღვიძა. მოციქულებმა მაცხოვრის გვერდით დაინახეს ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველები, რომლებიც მაცხოვარს უამბობდნენ იმ ვნებებისა და ტანჯვის შესახებ, რომელიც მას იერუსალიმში მოელოდა. პეტრემ უთხრა მაცხოვარს: იქნებ გავაკეთოთ აქ სამი კარავი – ერთი თქვენთვის, ერთი მოსესთვის და ერთი ელიასთვისო. მოგვიანებით, თაბორის მთაზე აშენდა სამი ეკლესია და დღეს ამ ადგილზე მდებარეობს ფერისცვალების მამათა მონასტერი.

– რა დატვირთვა ჰქონდა მაცხოვრის ფერსიცვალებას?

– მაცხოვარმა სწორედ მაშინ იცვალა ფერი, როდესაც ლოცულობდა. ამიტომ, თითოეული ქრისტიანისთვის გულწრფელი ლოცვა შეიძლება გახდეს ერთგვარი ფერისცვალება – უკეთესობისკენ შეცვლა. თუ ქრისტიანში არ მოხდა სულიერი ფერისცვალება, ცოდვებისგან განწმენდა, სხვანაირად ის ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს. თაბორის მთაზე ფერისცვალებით უფალმა მოწაფეებს ხილული სახით უჩვენა თავისი ღვთაებრივი დიდება – ღვთაებრივი, შეუქმნელი, მარადიული ნათელი, უფრო ბრწყინვალე და წმიდა, ვიდრე მზის სხივები. ანუ, მონაფეთა წინაშე გაცხადდა მარადიული სიცოცხლის საიდუმლო, რომელიც მარადიულად არის გაცისკროვნებული ღვთაებრივი ნათლით. მეთოთხმეტე საუკუნეში დიდი დავა იყო თაბორის ნათლის შესახებ. კალაბრიელი ბერი ვარლამი ამ ნათლის მარადიულობასა და შეუქმნელობას უარყოფდა, მას დროში შექმნილად მიიჩნევდა. წმიდა მამა გრიგოლ პალამა კი ამტკიცებდა, რომ თაბორის ნათელი – ეს არის ღვთაებრივი ძალა, ენერგია, სხვაგვარად რომ ვთქვათ – ღმერთი, რომელიც ენერგიებით, მადლით ქმნის, იცავს და განმსჭვალავს მთელ ამ სამყაროს; რომ მაცხოვარმა თაბორის მთაზე მონაფეები სწორედ ამ ღვთაებრივი ძალის ღირსი გახადა და არა ბუნებრივი სინათლისა, რომელიც თითქოს სწორედ ფერისცვალების სასწაულისთვის შეიქმნა, როგორც ამას ვარლამი ამტკიცებდა. დავას გამოეხმაურნენ ათონელი ბერებიც – მათ კონსტანტინოპოლში გაგზავნეს „ტომოსი“, რომელშიც ადასტურებდნენ თაბორის ნათლის მარადიულობასა და ღვთაებრიობას. კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებამ 1351 წელს დაგმო ვარლამის მცდარი სწავლება, ხოლო გრიგოლ პალამას შეხედულებები მართლმადიდებლურად აღიარა.

– მამა გურამ, რა უნდა გააკეთოს ქრისტიანმა, რომ სულიერი ფერისცვალება განიცადოს და სასუფეველი დაიმკვიდროს?

– ამისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. ქრისტიანმა უნდა დათრგუნოს ვნებები, ბოროტი ფიქრები, მანკიერებები და საკუთარი თავი აიძულოს, რომ ბოროტების ნაცვლად სიკეთე აკეთოს. დღეს წუთისოფელში ძალიან ბევრი საცდურია. მრავალფეროვანი ხდება ცოდვები და ვნებები, მაგრამ, საწყისი ცოდვისა მაინც ამპარტავნებაა, რომელიც სხვადასხვა ცოდვას შობს. ამიტომ, უნდა ვიყოთ მომთმენები, კაცთმოყვარეები; უნდა ვისწავლოთ საკუთარ თვალში დირეს დანახვა, ურთიერთპატიება და მიტევება. არ უნდა ვატარებდეთ გულში ვინმეს მიმართ ბოღმასა და ბოროტებას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ რამდენ რამეს გვპატიობს უფალი, გვაძლევს შანსს, თავიდან დავიწყოთ ცხოვრება და ყველა ბოროტება დავივიწყოთ. უპატიებლობა, უსიყვარულობა, ამპარტავნება ადამიანს საბოლოოდ აშორებს ღმერთს. ნებისმიერს შეუძლია, არჩიოს უღირსი ცხოვრება და, შესაბამისად, მისთვის ამქვეყნად იწყება ჯოჯოხეთი; ხოლო, ვისთვისაც უფალი და ეკლესიური ცხოვრება უპირველესია, მისთვის დედამიწაზევე იწყება სასუფევლისკენ მიმავალი გზა.

ნათია უტიაშვილი

წერილები სულიერ შვილებს

... ჩანს, რომ შინაგან სულიერ ცხოვრებას შეუდექი. ღმერთმა განგაბრძნოს! სწორად შენიშნავ, რომ მხოლოდ ლოცვა არ არის საკმარისი. ლოცვის ჟამს შეიგრძენი საკუთარი უღირსება და თუ გაგიჩნდება სითბო და ცრემლები, ოცნებით ნუ იზრახავ საკუთარ თავზე, რომ რაიმეს მიაღწიე. ისინი უნდა მოდიოდნენ და მიდიოდნენ ჩვენგან იძულების გარეშე. მაგრამ თუ გაქრებიან, ნუ შეშფოთდები, ეს ასეც უნდა იყოს.

ლოცვა ურთულესი ღვაწლია და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შერთულია ბრძოლის სიმძიმესთან. მოწყალე ღმერთი დროდადრო ანუგეშებს მლოცველს, რომ არ დაუძლურდეს. საშინაო ლოცვითი კანონი თვითონ განსაზღვრე იმის მიხედვით, თუ რამდენი დრო გაქვს. ეს თვითნებობა არ იქნება. მხოლოდ გირჩევ, ძალიან ბევრს ნუ შეარჩევ, რომ კანონის მონა არ შეიქნე და არ იჩქარო.

ღმრთის შეწევნით, ჯერჯერობით მშვიდობიანად, ჩვეული მონასტრული ცხოვრებით ვცხოვრობთ.

ღმერთმა გაკურთხოს.

***

კარგია, რომ იესოს ლოცვას სწავლობ. წმიდა მამებმა ლოცვას სათნოებათა დედოფალი უწოდეს, რამეთუ ის სხვა სათნოებებსაც მოირეწს. მაგრამ რამდენადაც უდიდესია, იმდენადვე რთულიცაა და დიდ ღვაწლს მოითხოვს. ღირსი მამა აღათონი ამბობს: „ლოცვა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბრძოლის სიმძიმესთან არის შეერთებული“. თუ დილას და საღამოს ას-ასჯერ ამბობ ამ ლოცვას, შენთვის საკმარისია. ოღონდ, ეცადე, ყურადღებით აღავლინო. ნუ შეშფოთდები, თუკი ამ დროს გული გაგიცივდა. თავი აიძულე. მხოლოდ ყურადღება შეაჩერე მკერდის არეში, ოდნავ ზევით, როგორც უკვე გითხარი. სამსახურში და ხალხში ყოფნისას, ეცადე, გონებით წარსდგე ღმრთის წინაშე, ანუ, გახსოვდეს, რომ ღმერთი აქვეა, შენს სიახლოვეს. თუკი ფსალმუნები და დაუჯდომლები უკეთ გილბობს გულს, იკითხე.

რაც შეეხება დაუცხრომელ და გონიერ ლოცვას, რომლისკენაც ისწრაფვი, ნუ გაკადნიერდები, ითხოვო უფლისგან, – ასეთ მდგომარეობას ცოტანი თუ აღწევენ. ასეთს ათასში ერთს თუ იპოვნი, – ამბობს წმიდა ისააკ ასური. მადლი ასეთ სულიერ სიმაღლეს უდიდესი სიმდაბლის მოპოვებისთვის ანიჭებს. სულიერი სითბოს მოპოვებას ნუ ესწრაფვი – ის ძიებისა და მოლოდინის გარეშე მოგინახულებს. ლოცვაში ჩვენი არის ღვაწლი, ხოლო წარმატება მადლზეა დამოკიდებული. ამაზე მეტს ნუ ეძიებ და თავს ნუ გამოიდებ. სულიერ ცხოვრებაში დიდი ნაბიჯებით სვლა არ გამოგადგება, არამედ მოთმინებით უნდა ვიდოდეთ. შენ ჯერ კიდევ ყრმა ხარ სულიერადაც და ხორციელადაც. წმიდა იოანე კიბისაღმწერელი წერს:

„განუღე ახალბედას გული – და მრავალ შეცდომას იხილავ, მას სურს დაუცხრომლად ილოცოს, მუდამ ახსოვდეს აღსასრულის ჟამი და სრული უცოდველობა, ეს კი სრულყოფილთა მდგომარეობაა“. ლოცვა გულის მდუღარეებითა და შემუსვრილებით ცხადდება. თავი რომ უღირსად აღიარო, ღმერთს უნდა შეჰღაღადო: „უფალო ისეთ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემინყალე მე ცოდვილი“. სხვა სიტყვებითაც შეგიძლია ილოცო, როგორც უკეთ შეძლებ.

გინდა, რომ არ ცოდავდე, მაგრამ ბევრს კი ცოდავ. რას ვიზამთ: კაცნი ვართ, ხორცი გვასხია და ეშმაკთაგან განვიცდებით. ნუ შეძრწუნდები და სასოს ნუ წარიკვეთ, როდესაც რომელიმე სათნოებაში შეირყევი. აღსდეგ, აღემართე და კვლავ განაგრძე წინსვლა. იცოდე, რომ სათნოებაში განმტკიცება ჩვენზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ღმერთის მადლზე. სიმდაბლე შეიმოსე და საკუთარ თავს არ ერწმუნო კუბოს კარამდე. ნურავის განიკითხავ; ვინც სხვას განიკითხავს, თვითონ ჩავარდება იმავე ცოდვებში. სხვაგვარად მართლაც წარმოუდგენელია.

როდესაც გულწრფელად არ იქცევი, იმისთვის, რომ სახლში განმარტოვდე, – ეს ცოდვად არ შეგერაცხება. გულისხმაყავი, რომ ყოველივე მხოლოდ ღმერთის სახელისთვის აღასრულო.

ღმერთმა განგაბრძნოს.

ვალაამის მონასტრის სქემა-იღუმენი იოანე

ჭეშმარიტი სარწმუნოება

ღმერთს უყვარს მორჩილი

ამბა სილუანეს მონასტერში ჰყავდა მოწაფე, სახელად მარკოზი. მარკოზი დიდგვაროვანი ჭაბუკი იყო. მან მთელი თავისი ქონება ღატაკებს დაურიგა და მონასტერში დასახლდა.

ვინაიდან მარკოზი ფრიად განსწავლული იყო, მონასტერში განსაკუთრებული მორჩილება მიიღო – საღვთისმსახურო წიგნები უნდა გადაეწერა.

მარკოზის გარდა მოძღვარს კიდევ თერთმეტი მოწაფე ჰყავდა, მაგრამ სხვებზე ხშირად ამბა სილუანე სწორედ მარკოზს ესაუბრებოდა და ამით სულისათვის სარგებელს იძენდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სხვა მოწაფეები განაწყენდნენ და ერთმანეთში ამბობდნენ: ამბა სილუანემ ფავორიტი გაიჩინაო. როცა ეს სხვა ბერებმა შეიტყვეს, თავისი რიგებიდან სამი ყველაზე პატივცემული ბერი აირჩიეს და სილუანეს მიუგზავნეს, რომ შეეტყოთ მისი ამგვარი საქციელის მიზეზი.

თავიდან ამბა სილუანე მათ მდუმარედ უსმენდა, შემდეგ კი თავისი მოწაფეების სენაკე:ბისკენ წაიყვანა.

– მამაო, ჩქარა მოდი აქ, სასწრაფოდ მჭირდები, – იმეორებდა ამბა და თანმიმდევრობით ყველა კარზე აკაკუნებდა.

მაგრამ მის მოწაფეთაგან არც ერთი არ ჩქარობდა მისთვის კარის გაღებას: ერთი ფსალმუნს კითხულობდა და შეწყვეტა არ სურდა, მეორე მორჩილებას ასრულებდა – თოკს გრეხდა და ეშინოდა, ზედმეტი სიჩქარით ნაკეთობა არ გაეფუჭებინა. ბოლოს მარკოზის რიგიც დადგა. ამბა სილუანემ კარზე ფრთხილად მიუკაკუნა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა – „მარკოზ“.

კარი იმწამსვე გაიღო და ზღურბლთან გაკვირვებული მარკოზი გამოჩნდა.

ამბა სილუანე ბერებს მიუტრიალდა და უთხრა: აბა, მითხარით, მამებო, სად ხედავთ თქვენ სხვა ჩემს მოწაფეებს? ბერებმა ვერაფერი უპასუხეს.

ამბა სილუანე შევიდა მარკოზის სენაკში და მაგიდიდან რვეული აიღო, ბერებს გაუწოდა და უთხრა:

– იხილეთ, მამებო: მარკოზი ახლა ამ ასოს წერდა, მაგრამ გაიგო თუ არა ჩემი ხმა, კალამი ისე დაადგა, რომ ასოც ბოლომდე არ დაუმთავრებია. განა ეს ასო არ მეტყველებს იმაზე, თუ მოძღვრის როგორი მორჩილება აქვს მარკოზს? სწორედ ამ მორჩილების გამო მიყვარს იგი.

– შენ იგი სამართლიანად გიყვარს, – თქვა პირველმა ბერმა.

– ჩვენ იგი ყველას გვიყვარს, – დაამატა მეორემ.

– იგი ღმერთსაც ამის გამო უყვარს! – წამოიძახა მესამემ.

მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: არის თუ არა ცოდვა ღვინის სმა?

პასუხი: ზომიერების ფარგლებში ღვინის სმა ცოდვად არ ითვლება, პირიქით, დავით მეფსალმუნე ამბობდა, რომ ღვინო ახარებს გულსა კაცისასა. ღვინო წმიდა სითხეა, რომელსაც პატივისცემა სჭირდება. ცოდვაა მემთვრალეობა, ანუ ღვინის განუზომლად სმა. ამ დროს ადამიანი საკუთარ ნებას ვერ აკონტროლებს და სხვადასხვა ცოდვაში ვარდება.

კითხვა: გთხოვთ ამიხსნათ, როგორ განვასხვავო სიზმარი და გამოცხადება?

პასუხი: ეკლესია სიფრთხილით ეკიდება გამოცხადების საკითხს, რადგან ბოროტ ძალასაც შეუძლია ადამიანის წინაშე ანგელოზის სახით წარდგეს და აცდუნოს. ყოველი მსგავსი მოვლენის დროს აუცილებელია მოძღვართან საუბარი და მისი ლოცვა-კურთხევა.

კითხვა: ჩემი მშობლები ჯვარდაწერილები არ იყვნენ, მაგრამ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ახლა გარდაცვლილები არიან, შეიძლება თუ არა ჯვრისწერა სიკვდილის შემდეგ?

პასუხი: ჯვრისწერა საღვთო საიდუმლოა და ის მიცვალებულთათვის არ აღესრულება. მიცვალებულთათვის უნდა ილოცოთ და სთხოვოთ უფალს, მათ ცოდვები შეუნდოს. ასევე, გაეცით მათი სახელით მოწყალება.

კითხვა: არსებობს თუ არა რაიმე აუცილებელი პირობა მოყვასთან ქრისტიანი ადამიანის ურთიერთობაში?

პასუხი: უმთავრესი მოყვასთან ურთიერთობაში გახლავთ – მტკიცედ შეასრულოთ მიცემული სიტყვა და არ მისცეთ მას ცრუ დაპირება.

კითხვა: რა დანიშნულება აქვს ეპიტამიას?

პასუხი ეპიტამიას მოძღვარი ცოდვილს ადებს რაიმე დიდი ცოდვის ჩადენის შემდეგ, რათა მას საიქიოში არ დაედოს სასჯელი.

ყველაზე განათლებული და ჭკვიანი ფეხბურთელების ტოპ-ათეული

მსოფლიო ფეხბურთში არაერთი სპორტსმენია, სპორტულ რეჟიმს სწავლას რომ უთავსებდა და კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. მათ უარი თქვეს მწვრთნელობაზე და ცოდნას სხვადასხვა სფეროში იღრმავებენ. გთავაზობთ მსოფლიო სპორტის ყველაზე განათლებული და ჭკვიანი ფეხბურთელის ტოპ-ათეულს.

სოკრატესი

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, რომელსაც სახელი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პატივსაცემად დაარქვეს მშობლებმა, ფეხბურთის პარალელურად, სამედიცინო კოლეჯი დაამთავრა. მოგვიანებით, სოკრატესი სან-პაულოს უნივერსიტეტში პედიატრიის ფაკულტეტზე სწავლას, პროფესიულ ფეხბურთს უთავსებდა. „კორინთიანსის", „ფლამენგოსა" და „ფიორენტინას" ვარსკვლავი ბრაზილიის ნაკრების ლიდერი იყო 1980-იან წლებში. ის არც საკუთარი პოლიტიკური შეხედულების გამჟღავნებას ერიდებოდა ბრაზილიაში სამხედრო დიქტატურის პერიოდში. კარიერის დასრულების შემდეგ სოკრატესმა საკუთარი კლინიკა გახსნა რიბეირაო-პრატოში. მის კაბინეტში იდგა სოკრატეს ბიუსტი, ის კი ბავშვებს მკურნალობდა. საინტერესოა, რომ სოკრატესი მეორე ექიმი იყო ბრაზილიის ნაკრებში ტოსტაოს შემდეგ. თუმცა, სოკრატესს სამედიცინო დიპლომთან ერთად, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხიც ჰქონდა.

მარუან შამახი

მაროკოელი თავდამსხმელი, რომლის სატრანსფერო უფლებები ლონდონის „არსენალს" ეკუთვნის, დიპლომირებული ბუღალტერია. „ფეხბურთის პარალელურად, დიდ დროს ვუთმობ სწავლას, მაქვს ბაკალავრის ხარისხი ბუღალტერიაში და კარიერის დასრულების შემდეგ, მგონი, შევძლებ ოჯახის რჩენას," – აცხადებს შამახი, რომლის კარიერა „არსენალში" არ აეწყო, ხოლო მომავალი სეზონიდან ის მეორე ლონდონური კლუბის „კრისტალ პელესის" ღირსებას დაიცავს.

ნედუმ ონუოჰა

„ქუინზ პარკ რეინჯერსის" 26 წლის ფეხბურთელი კარიერას „მანჩესტერ სიტიში" იწყებდა. ნიგერიული წარმოშობის ინგლისელი, ფეხბურთის პარალელურად, სწავლასაც ასწრებდა და უნივერსიტეტშიც უმაღლესი ნიშნები ჰქონდა მათემატიკაში, ბიზნესის თეორიასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ონუოჰას თქმით, რომ არა ფეხბურთი, სხვა საგნებშიც არ ეყოლებოდა მას ბადალი.

შაკა ჰისლოპი

„ნიუკასლის" ყოფილი გოლკიპერი, რომელმაც ინგლისის ნაკრებში თამაშს ისტორიულ სამშობლოში – ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებში ასპარეზობა არჩია, ვაშინგტონის ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და ინჟინრის დიპლომი აქვს მანქანათმშენებლობის დარგში. ჰისლოპი მონაწილეობდა „ნასას" მიერ ორგანიზებულ პროექტებში, კერძოდ, ის ახალი კოსმიური ხომალდების შექმნის პროგრამის ინჟინერი გახლდათ და ორბიტულ სადგურ „ფრიდომის" შექმნაზე მუშაობდა.

რონალდო

„ბარსელონას", „ინტერის", „რეალისა" და ბრაზილიის ნაკრების ვარსკვლავი, ლეგენდარული „კიჭა" – რონალდო 2013 წლის იანვრიდან სარეკლამო კომპანია WPP-ს კურსებზე ეუფლება მარკეტინგის ნიუანსებს. რონალდოს ხელმძღვანელი სერ მარტინ სორელი, გავლენიანი მარკეტოლოგია ბრიტანეთში. „რონალდო დიდებული ფეხბურთელი იყო, ახლა კი დიდებული მოსწავლეა," – აცხადებს სორელი. რონალდოს სამშობლოში საკუთარი მარკეტინგული კომპანია აქვს. რამდენიმე ხნის წინ კი მან ჟურნალ „ფლეიბოის" ბრაზილიური ვერსიის გამოცემის უფლება შეიძინა და ბეჭდურ ბიზნესში აპირებს ძალების მოსინჯვას.

ხუან მატა

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, „ჩელსის" ესპანელი შემტევი ხუან მატა აქტიური ფეხბურთელია. ასევე აქტიურად აგრძელებს სწავლას მარკეტინგისა და სპორტული მეცნიერების სფეროში. „ბიძა მყავს, რომელიც ერთ-ერთ ბანკში მარკეტინგის განყოფილების უფროსია და ეს სფერო მაინტერესებს. გარდა ამისა, მომავალში მინდა, ძალები მოვსინჯო სპორტულ მარკეტინგსა და რეკლამაში," – აცხადებს მატა.

იენ დოუი

ყოფილი ჩრდილოირლანდიელი თავდამსხმელი მაგისტრის ხარისხის მფლობელია საინჟინრო ტექნოლოგიებში. დოუი საუთჰემპტონის უნივერსიტეტში სწავლობდა. მოგვიანებით, დოუიმ კომპანია „ბრიტიშ აეროსფეისში" დაიწყო მუშაობა მთავარ ინჟინრად. თავისუფალ დროს კი ვერც ფეხბურთს ივიწყებდა და სამოყვარულო გუნდ „ჩეშირში" თამაშობდა.

გლენ ჯონსონი

„ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების მცველს, გლენ ჯონსონს თანაგუნდელებმა ადამიანი კალკულატორი შეარქვეს – ის ღია უნივერსიტეტის პროგრამაშია ჩართული და მათემატიკოსის დიპლომის მიღებას ცდილობს. აქტიური სპორტული კარიერის გამო, ჯონსონი ვერ ახერხებს უნივერსიტეტში ლექციებზე დასწრებას და სპეციალური პროგრამით, სახლში კომპიუტერის საშუალებით ისმენს მას. ჯონსონის თქმით, მისი საყვარელი გართობა რთული მათემატიკური ამოცანების ამოხსნაა. გარდა ამისა, მას შეუძლია, ზუსტად გამოთვალოს თუ რამდენი საწვავი დასჭირდება თვითმფრინავს ლივერპულიდან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გასაფრენად.

ბარი ჰორნი

„ევერტონისა" და უელსის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ბარი ჰორნი, რომელმაც საუკეთესო წლები ნაკრებში ლეგენდარულ ფეხბურთელებთან – იან რაშთან და მარკ ჰიუზთან ერთად გაატარა, ამჟამად ჩესტერის ერთ-ერთ სკოლაში ქიმიის მასწავლებელია. ჰორნი დიპლომირებული ქიმიკოსია.

რამონ ვეგა

„ტოტენჰემის" შემადგენლობაში ინგლისის ლიგის თასის გამარჯვებული, შვეიცარიელი რამონ ვეგა ციურიხის ბიზნესსკოლის კურსდამთავრებულია „საბანკო მენეჯმენტის" სპეციალისტის დიპლომით. ამჟამად ექსფეხბურთელი წარმატებული ბიზნესმენია. ის ლონდონში ბაზირებული საფინანსო კომპანია „ვეგა სუის ასეტ მენეჯმენტის" ადმინისტრატორია. კომპანიის კაპიტალი 650 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. რამონ ვეგა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სპეციალისტია ფინანსურ საკითხებში. მაგალითად, მისი შედგენილია იტალიის ეკონომიკური გადარჩენის გეგმა, რომ არ განმეორებულიყო საბერძნეთში მომხდარი ფინანსური კრიზისი.

ირინა შეიკის სუპერეროტიკული ვიდეო

კრიშტიანუ რონალდუს საცოლემ, სექსუალურმა ირინა შეიკმა პენელოპა კრუსის გადალებულ პროვოკაციულ რეკლამაში მიიღო მონაწილეობა. მსუბუქი ეროტიკული სცენებით გაჯერებულ მზის სათვალის ხაზის „L'Agent by Agent Provocateur" რეკლამაში შეიკი სექსუალურ თეთრეულშია გამოწყობილი და ცეცხლოვან ცეკვას ასრულებს მთავარი გმირის წინაშე. სარეკლამო რგოლის რეჟისორი პენელოპა კრუსია, ერთ-ერთ როლს კი მისი მეუღლე, ხავიერ ბარდემი ასრულებს. მუსიკის ავტორია პენელოპას ძმა, ედუარდ კრუსი. „დიდი მადლობა პენელოპას. მასთან მუშაობა ნამდვილი სიამოვნება იყო. განსაკუთრებული მადლობა მინდა, ვუთხრა ედუარდს მშვენიერი მუსიკისთვის," – დაწერა სოციალურ ქსელში ირინა შეიკმა.

მაურინიოს ახალი ტატუ

ლონდონის „ჩელსიში" მეორედ დაბრუნებულმა ჟოზე მაურინიომ ტატუს გაკეთება გადაწყვიტა და მარცხენა ხელზე თავისი შვილების და ახლობელი ადამიანების სახელები დაიწერა. „განსაკუთრებულად" წოდებული პორტუგალიელი სპეციალისტი ამჟამად „არისტოკრატებთან" ერთად აპირებს ახალი მწვერვალების დაპყრობას. იმის მიუხედავად, რომ „ჩელსიმ" შარშან ჩემპიონთა ლიგა მოიგო, რომან აბრამოვიჩმა ნომერ პირველ დავალებად სწორედ ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მოგება დაავალა მწვრთნელს, ხოლო პრემიერლიგაში გამარჯვებამ მეორე ადგილზე გადაინია. ვნახოთ, ახლობელთა სახელების დაწერა წარმატებას თუ მოუტანს მაურინიოს.

ივანოვიჩი „ესქუაერში"

ცნობილ ჟურნალ „ესქუაერის" ლათინოამერიკული გამოცემა აგრძელებს მსოფლიო სპორტის ვარსკვლავების გაშიშვლებას თავის გვერდებზე. მაისში მარია შარაპოვა პოზიორობდა ჟურნალისთვის, ამჯერად კი ანა ივანოვიჩის ჯერი დადგა. ჩოგბურთის სერბი ვარსკვლავის ფოტოსესია გლამურული და სექსუალური გამოვიდა. ვარაუდობენ, რომ ჟურნალის გამოსვლის შემდეგ ივანოვიჩს უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდება ამერიკის კონტინენტზე. ამჟამად ანა ივანოვიჩი ამერიკის ღია პირველობისთვის ემზადება გერმანიაში, „დიდი სლემის" წლის ბოლო ტურნირი სექტემბერში აიღებს სტარტს და „ესქუაერის" ფურცლებზე გამოჩენა ივანოვიჩს ქომაგების რიცხვს გაუზრდის.

„მედისონ სქვერ გარდენის" მოგავალი

ნიუ-იორკის საქალაქო საბჭომ ლეგენდარული სპორტული არენის – „მედისონ სქვერ გარდენის" სხვა ადგილზე გადატანა გადაწყვიტა. არენის მფლობელებს 10-წლიანი ვადა მიეცათ, რომ ახალი ტერიტორია შეარჩიონ და სპორტული კომპლექსი გადაიტანონ. „მედისონ სქვერ გარდენი" ჰოკეისა და კალათბურთის მატჩებს მასპინძლობდა, სადაც არაერთ ვარსკვლავს უთამაშია. სტადიონის გადატანა მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც ნიუ-იორკის საბჭომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი რკინიგზის სადგურის – „პენსილვანიის" გაფართოება გადაწყვიტა. ხალხის ნაკადის ზრდის გამო სადგური გაფართოებას საჭიროებს. რკინიგზის სადგური უშუალოდ ესაზღვრება „მედისონ სქვერ გარდენს" და გადაწყვეტილება სწორედ ამის გამო მიიღო საბჭომ.

ბალოტელის მიღოცვა ობამას

4 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბარაკ ობამას 52 წელი შეუსრულდა. მან მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მიიღო მილოცვა, მათ შორის „მილანის" ქარიზმატული ლიდერისგან, მარიო ბალოტელისგანაც. სპორტსმენმა პრეზიდენტს „ტვიტერის" საშუალებით მიულოცა და მაიამიში „ლოს-ანჯელეს გელექსისთან" გასამართ მატჩზე დაპატიჟა. „გილოცავთ დაბადების დღეს, გვეწვიეთ მაიამიში," – დაწერა ბალოტელიმ სოციალურ ქსელში.

ლიონელ მესი – სკანდალი ფოტოშოპით

ერთ-ერთ არგენტინულ ჟურნალში, რამდენიმე ხნის წინ, დაიბეჭდა სკანდალური ფოტო – ლიონელ მესი სტრიპტიზის მოცეკვავეებთან ერთად ერთობოდა ლას-ვეგასში. ფოტოს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიო პრესაში და არგენტინელი ვარსკვლავი, რომელიც ახლახან გახდა მამა, ოჯახის შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს. თუმცა, სინამდვილეში ყველაფერში დამნაშავე ბანალური ფოტოშოპი აღმოჩნდა. აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით „ბარსას" ლიდერს კომენტარი არ გაუკეთებია. ესპანურ პრესაში კი დაიბეჭდა რამდენიმე ფოტო, სადაც კარგად გამოჩნდა, რომ არგენტინული გამოცემა ფეხბურთელის კომპრომეტირებას ცდილობდა.

ფედერერი მაჩერებას არ აპირებს

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა, 31 წლის შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა განაცხადა, რომ არ აპირებს „დიდი სლემის" ტურნირებზე მოპოვებულ 17 გამარჯვებას დასჯერდეს. ის კარიერას კვლავ გააგრძელებს, რათა ტიტულების რაოდენობა გაზარდოს. ცნობილია, რომ 31 წელი ჩოგბურთელთა უმეტესობისთვის კრიზისულია. სპორტსმენების უმეტესობა სწორედ ამ ასაკში ანებებს თავს აქტიურ სპორტს. ისინი ვეღარ ახერხებენ კონკურენცია გაუწიონ გაცილებით ახალგაზრდა ჩოგბურთელებს.

მარადონას თავდასხმა ფოტოგრაფზე

დიეგო მარადონა ახალ სკანდალში გაეხვია. ლეგენდარული ფეხბურთელი ფოტოგრაფს დაესხა თავს და ფიზიკურად გაუსწორდა. ფოტოგრაფის თქმით, მას დიეგოს მამასთან ერთად გადაღება სურდა და სწორედ ამ დროს ლეგენდარული არგენტინელი მივარდა და ხელი გაარტყა. ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც მარადონა რეპორტიორებს ესხმის თავს. ერთხელ მან პნევმატური პისტოლეტიდან ცეცხლიც კი გაუხსნა აბეზარ ჟურნალისტებს. ამჟამად საქმე ძიებაშია გადაცემული და შესაძლოა, მარადონას ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრონ.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲕᲐᲛᲝᲬᲛᲝᲗ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

გულის კუნთი მკვეთრად რეაგირებს ემოციებზე, რადგან მას საკუთარი ნერვული ქსელი აქვს, რომელიც, ნორმალურ შემთხვევაში, გულის კუნთს დაახლოებით 70-ჯერ კუმშავს. ზოგჯერ გულისცემა ნელდება, ან, პირიქით, ხშირდება, რაც მაშინვე აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

იმისთვის, რომ გული ერთგულად და ხანგრძლივად გემსახუროთ, აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება მის რიტმს.

ჯანმრთელი გულისთვის დღეში ერთსაათიანი დატვირთვა სასიცოცხლო მინიმუმია. ნავარჯიშები გული ადვილად უმკლავდება გაძლიერებული რიტმით მუშაობას. პულსი ისინჯება მაჯაზე. პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმის შემთხვევაში კი, გულისცემა ყელზე ასახავს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას.

თუ გსურთ, გაარკვიოთ, როგორ მუშაობს თქვენი გული, როგორ უმკლავდება ის სხვადასხვა დატვირთვას, ხომ არ არის საჭირო ცხოვრების წესის შეცვლა, ამაში ქვემოთ მოყვანილი რჩევები დაგეხმარებათ. კერძოდ:

* ათი-თხუთმეტი წუთის განმავლობაში სწრაფი ტემპით იარეთ და შემდეგ პულსი დათვალეთ. 180-ს გამოაკელით თქვენი ასაკი. პულსის რაოდენობა ერთ წუთში, არ უნდა აღემატებოდეს მიღებულ რიცხვს – ეს თქვენთვის დატვირთვის დასაშვები მაქსიმუმია. რაც უფრო მეტია სხვაობა, მით მეტია გულისა და სისხლძარღვების დაზიანების რისკი.

* ადგილზე იხტუნეთ 3-5 წუთის განმავლობაში და შემდეგ დაითვალეთ პულსი. წამოწექით და ხუთი წუთი დაისვენეთ, შემდეგ კი კვლავ დაითვალეთ პულსი. თუ ორივე მაჩვენებელი დაახლოებით ერთნაირია, მაშინ, ყველაფერი წესრიგშია. თუ დასვენების შემდეგ გულისცემა ათი დარტყმით მაინც აჭარბებს პირველს, ესე იგი, გულს ფიზიკური აქტივობა აკლია.

* ისე დაიხარეთ, რომ თითებით იატაკს შეეხოთ, ოღონდ, არ მოიხაროთ მუხლებში, შემდეგ კი გასწორდით. თუ 40 წელს გადაცილებული არ ხართ, ვარჯიში 15-ჯერ გააკეთეთ, 40 წელს გადაცილებულებმა კი – 10-ჯერ. თუ ვარჯიში შეძელით, კარგია, მაგრამ, თუ გაგიჭირდათ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ თქვენი გული, კუნთოვანი აქტივობის უკმარისობის გამო, თანდათან სუსტდება.

* სწორი კვების რეჟიმი და სპორტი თქვენს გულს დაავადებებისგან დაიცავს.

ვარჯიშის დამთავრებიდან, დაახლოებით ორი წუთის შემდეგ, დაითვალეთ პულსი. თუ ის 100-ზე ნაკლებია, ესე იგი, კარგ ფორმაში ხართ, თუ მეტია, აუცილებლად მიიღეთ ზომები.

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲗ

ამა თუ იმ დაავადების დასადგენად, სისხლის ანალიზი უნდა გაიკეთოთ. მისი საშუალებით შესაძლებელია თითქმის ყველა ორგანოს მდგომარეობის გარკვევა. სისხლის ბიოქიმიური ანალიზი განსაზღვრავს ზუსტ დიაგნოზს.

ორგანიზმიდან შარდოვანა თირკმელებით გამოიყოფა და ის სისხლში არ ხვდება. თუ სისხლში შარდოვანა დაფიქსირდა, ეს თირკმელების დაავადების ნიშანია.

სისხლში კრეატინინის მომატება თირკმელებისა და კუნთების დაავადებებზე მეტყველებს. მისი შემცველობა, ძირითადად დიაბეტის ან ფეხმძიმობის დროს იზრდება.

ბილირუბინი ღვიძლში სისხლის წითელი უჯრედების, ანუ ერითროციტების გადამუშავების პროდუქტია. თუ სისხლში მისი შემცველობა მომატებულია, ეს ღვიძლის დაავადებაზე, კერძოდ კი, ჰეპატიტზე მიგვანიშნებს. შეიძლება, ის ნაღვლის სადინარების დაზიანების მიზეზიც იყოს.

ფოსფორისა და კალციუმის მაღალი შემცველობა სისხლში სხვადასხვა დაავადებაზე მეტყველებს. კალციუმი მომატებულია, როცა დაავადებულია ფარისებრი ჯირკვალი ან განვითარებულია კიბოს ფორმები.

ელექტროლიტები მოლეკულების დამუხტული ნაწილაკებია. მათი ბალანსის დარღვევა ღვიძლის, თირკმელებისა და გულის დაავადებების დროს შეინიშნება სისხლში. ასევე, დამახასიათებელია მათთვის, ვინც შარდმდენ პრეპარატებს სვამს. სისხლში დიდი რაოდენობით ქოლესტერინის შემცველობა ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, ინსულტისა და სისხლძარღვების დაავადებების განვითარებაზე მიგვანიშნებს.

ტრიგლიცერიდები სისხლის ცხიმოვანი მოლეკულებია. მათი შემცველობის მკვეთრი ზრდა სისხლში მუცლის ქვედა ჯირკვლის ანთებაზე მეტყველებს.

ალბუმინის მაღალი მაჩვენებელი სისხლში იმუნური სისტემის ან ნივთიერებათა ცვლის დარღვევის მანიშნებელია.

ᲠᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲨᲘ ᲘᲝᲓᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲐ

მოზრდილი ადამიანის იოდის დღიური ნორმა ორასი მილიგრამია. ფარისებრ ჯირკვალში კი ორგანიზმში არსებული მთელი იოდის ერთი მესამედი იყრის თავს. ენდოკრინულ სისტემაში ფარისებრი ჯირკვალი უმთავრეს როლს ასრულებს. ის გამოიმუშავებს ჰორმონ თიროქსინს და ტრიიოდთირონინს. ეს უკანასკნელი სისხლში გამოიყოფა და ყველა უჯრედსა და ქსოვილზე მოქმედებს. ასევე, ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა პროცესს არეგულირებს. მონაწილეობს ენერგიის წარმოქმნაში, რომელიც ორგანიზმის ყველა ორგანოსა და სისტემის მუშაობისთვისაა აუცილებელი და საჭირო. ამ ჰორმონების შეუფერხებლად გამომუშავებაში ფარისებრ ჯირკვალს საკმარისი რაოდენობით იოდი ესაჭიროება, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი არ გამოიმუშავებს.

იოდს ადამიანის ორგანიზმი საკვებითა და წყლით იღებს. ის ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ელემენტია. თუ იოდის მოხმარება მცირეა, ამ შემთხვევაში, ფარისებრი ჯირკვალი დიდდება, რათა ორგანიზმი ჰორმონების საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოს. ამ დროს, არ არის გამორიცხული, ჯირკვალი ძალიან გადიდდეს და მასში გაჩნდეს კვანძები, რაც შემდგომში, შესაძლოა, თირეოტოქსიკოზისა და ავთვისებიანი სიმსივნის მიზეზიც გახდეს. იოდდეფიციტი არა მარტო ჩიყვს აჩენს, არამედ აქვეითებს მეხსიერებას და იმუნიტეტს, იწვევს ქრონიკულ დაღლას, უნაყოფობას და დეპრესიას.

იოდის დეფიციტის შევსება მხოლოდ იოდიზებული მარილის მოხმარებით როდი ხდება. საჭიროა, ადამიანმა რეგულარულად მიიღოს ზღვის პროდუქტები, ხურმა, ნიგოზი, ფეიხოა და ასე შემდეგ.

ᲘᲡ�პᲐᲜᲐᲮᲘ ᲡᲢᲠᲔᲡᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ, ᲨᲐᲕᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ

კვლევებით დადგინდა, რომ თავისა და მუცლის ტკივილს ადვილად დაამარცხებთ, თუ ხილ-ბოსტნეულს მიირთმევთ.

ბროკოლი და ისპანახი მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით, ხსნის სტრესს, ადუნებს გლუვ კუნთებს და ისეთ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც ძილისა და გუნება-განწყობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ნეირომედიატორულ სეროტონინს ააქტიურებს.

შავი ყურძენი, სტაფილო, პომიდორი, გოგრა და ატამი საგრძნობლად აძლიერებს ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და სიმსივნეების წინააღმდეგ.

ორგანიზმში თავისუფალი რადიკალების ზრდას ოქსიდანტურ სტრესს უწოდებენ. სწორედ ეს პროცესი იწვევს მეხსიერების გაუარესებას, ინტელექტის დაქვეითებასა და დაბერების სწრაფ პროცესს. მას წარმატებით და ეფექტურად ებრძვის ხილი.

თუ დღეში სამ ცალ ვაშლს შეჭამთ, მეხსიერების დაქვეითება არასდროს შეგაწუხებთ. შეგიძლიათ, დღეში ორი ჩაის ჭიქა ვაშლის ახალგამოწურული წვენიც დალიოთ.

ბევრი ადამიანი დიდი რაოდენობით ყავას მიირთმევს. ჭარბი კოფეინი კი ღვიძლსა და თირკმელებს ვნებს. თუ ყავას ვერ ელევით, მაშინ, კოფეინის გასანეიტრალებლად, მასში ცოტაოდენი დარიჩინი ან კოჭა ჩაუმატეთ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲗ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲛᲝᲬᲐᲛᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

წყლითა და საკვებით ინტოქსიკაცია მწვავე დაავადებაა, რაც ხასიათდება გულისრევით, ღებინებით, ფაღარათით ან ნევროლოგიური სიმპტომებით. ბაქტერიული კვებითი ინტოქსიკაციის ყველაზე ხშირი გამომწვევია ოქროსფერი სტაფილოკოკებით საკვების დაბინძურება, ასევე, დაბინძურება სალმონელათი, ბაციდუს ცერეუსით, კლოსტრიდიუმ პერფრინგენსით. მაგალითად, საკვები სტაფილოკოკით მაშინ ბინძურდება, თუ მისი მომზადების ან შენახვის წესი დარღვეულია. განსაკუთრებით ეს

ეხება საკონდიტრო ნაწარმს, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე ინახება რამდენიმე საათით. ასეთ შემთხვევაში, ამ პროდუქტში იქმნება სტაფილოკოკის გამრავლებისთვის კარგი პირობები და ხდება ენტეროტოქსინის წარმოქმნა. სწორედ ეს არის ის ტოქსინი, რომელიც დაავადების განვითარებას იწვევს.

სტაფილოკოკური დაავადების დროს, პირველი 5-6 საათის განმავლობაში იწყება გულისრევა, მუცლის ტკივილი, ფაღარათი, ხანდახან შოკიც კი. ამ დროს ტემპერატურა ოდნავ მომატებულია. ადამიანი თავს ცუდად გრძნობს.

სალმონელა ადამიანის ორგანიზმში საკვებით ხვდება, განსაკუთრებით – კვერცხიდან, ხორციდან და ისეთი პროდუქტებიდან, რომლებიც სათანადოდ არ არის თერმულად დამუშავებული. ასეთ შემთხვევაში, ხდება მასობრივი ინფიცირება.

სალმონელათი დაბინძურებული საკვებით ინტოქსიკაცია უფრო ხშირად ბავშვებში ფიქსირდება. იწყება ღებინება, ტემპერატურის მკვეთრი მატება, საერთო სისუსტე, თავისა და მუცლის ტკივილი, კანის გამოშრობა, მუცლის შებერვა. ასევე, აღინიშნება ფაღარათი, განავალი კი თხელი, ლორწოვანი და ქაფისებურია. ამ დროს ავადმყოფს კიდურები უცივდება, ხშირია გონების დაკარგვა და კრუნჩხვაში ჩავარდნა. ეს სიმპტომები ვითარდება საკვების მიღებიდან 6-46 საათის განმავლობაში.

კლოსტრიდიუმ პერფრინგენსი ფართოდაა გავრცელებული წყალში, ნიადაგში, ადამიანისა და ცხოველის განავალში. სპორები ძალიან ადვილად მრავლდება და ინტენსიურად აბინძურებს საკვებ პროდუქტებს. ეს დაავადება ძირითადად ზაფხულში იჩენს თავს.

კლოსტრიდიებით გამოწვეული მოწამვლა იწყება საკვების მიღებიდან 6-დან 12 საათის განმავლობაში. იმატებს ტემპერა-

ტურა, აღინიშნება ფაღარათი, ღებინება, მუცლის შეტევითი ხასიათის ტკივილი.

საკვებით ინტოქსიკაციის დროს უნდა მიიღოთ, რაც შეიძლება ბევრი სითხე ან გაიკეთოთ გადასხმა და ამით აინაზღაუროთ სითხის დანაკლისი. ზოგიერთ შემთხვევაში კი, საჭირო ხდება ანტიბიოტიკების მიღება. ამ მხრივ, პროფილაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. უბრალოდ, აუცილებლად უნდა დაიცვათ ზაფხულში საკვების შენახვისა და მომზადების სანიტარული და ჰიგიენური პირობები. მოწამლული ადამიანი კი სრულ იზოლაციაში უნდა იყოს.

რომელი პროდუქტები უნდა მიიღოთვან მომავალმა დედებმა

ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ფოლიუმის მჟავა – B ჯგუფის ერთ-ერთი ვიტამინი, გულის შეტევის, ინფარქტისა და ვენების თრომბოზის რისკს საგრძნობლად ამცირებს. აღნიშნული მჟავა აძლიერებს ქიმიური კომპონენტის – ჰომოცისტინის რაოდენობას, რომელიც გულის დაავადების განვითარებას უშლის ხელს.

კარდიოლოგები პაციენტებს ურჩევენ ფოლიუმის მჟავით მდიდარი პროდუქტების მიღებას. ესენია: მწვანე სალათა, სოკო, ხილი, თხილი. ამ პროდუქტების მიღება სასურველია მათთვის, ვისაც უნდა, რომ ჯანმრთელი შთამომავლობა ჰყავდეს. ეს ვიტამინი შეუცვლელია ბავშვის განვითარებისა და მეძუძური დედებისთვის.

გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

ექიმის რჩევები

კითხვა: ვარ 21 წლის, რამდენჯერმე გავიზომე წნევა, მქონდა 80/60-ზე. ნორმალურია ეს 21 წლის გოგოსთვის, ძალიან დაბალი ხომ არ არის?

პასუხი: წნევის მაჩვენებელი რამდენადმე დაბალია, გირჩევთ მიმართოთ თერაპევტს ან ოჯახის ექიმს. ჩაიტაროთ სისხლის საერთო ანალიზი ანემიის გამოსარიცხად.

კითხვა: 22 წლის ბიჭს ალკოჰოლური სასმლის მიღების შემდეგ ეწყება ცხვირიდან სისხლდენა, კარგავს საკმაო რაოდენობით სისხლს. რომელ ექიმს უნდა მიმართოს და რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

პასუხი: გაზრდილია სისხლძარღვთა კედლების გამავლობა, ალკოჰოლის ზემოქმედებისას ხდება მათი გაფართოება და იწყება სისხლდენა. ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციოს. თუ ასეთი შემთხვევა ხშირია, უნდა მიმართოს ანგიოლოგს და ჩაიტაროს მკურნალობა.

კითხვა: 9 თვის წინ გავიკეთე ცხვირის ოპერაცია. რეჟიმის მიღება თუ არის მიზანშეწონილი?

პასუხი: ზომიერების ფარგლებში რეჟიმის მიღება დასაშვებია.

კითხვა: ვარ 22 წლის, გათხოვილი. შარდში ენტერობაქტერიები ამომეთესა. რა არის ენტერობაქტერია. თუ შეიძლება, რომ ამან გამოიწვიოს ხშირი შარდვა და შარდის უსიამოვნო სუნი?

პასუხი: ენტერობაქტერია ნაწლავის ჩვეული ფლორის წარმომადგენელია, რომელიც შარდში არ უნდა იყოს. მდგომარეობა საგანგაშო არ არის, მაგრამ საჭიროა, ჩაიტაროთ მკურნალობა ბოლომდე. ხშირი შარდვა და უსიამოვნო სუნი შესაძლოა, საშარდე და სასქესო გზების ენტერობაქტერიით დაბინძურებას უკავშირდებოდეს.

კითხვა: თუ შეიძლება 7,5 თვის ბავშვს უმი სტაფილო რომ მივცე ღრძილების ქავილის დროს? 2 კბილი აქვს, მოკბეჩას ვერ ახერხებს. ხომ არ აწყენს?

პასუხი: შეგიძლიათ მისცეთ, არ აწყენს, მაგრამ უნდა აკონტროლოთ, უნებლიეთ არაფერი მოგლიჯოს.

კითხვა: რა იწვევს იმას, რომ ოდნავაც რომ მივარტყა ხელი ან ფეხი, მაშინვე მილურჯდება კანი, ბავშვობიდან ასე იყო?

პასუხი: ეს კაპილართა კედლის თავისებურებას უკავშირდება, როდესაც ის ჩვეულებრივზე სუსტია და ადვილად ზიანდება მექანიკური ზემოქმედების შედეგად.

კითხვა: ვარ 37 წლის, დაახლოებით 14 წლის წინ მოვიტეხე ფეხი კოჭში. ამ პერიოდის განმავლობაში ტკივილები მხოლოდ ამინდის ცვლილებისას მქონდა, სხვა განსაკუთრებული არაფერი. სამსახურის გამო, დაახლოებით ერთი თვე მომიწია 8 საათის განმავლობაში ფეხზე დგომა და დამეწყო საშინელი ტკივილი ტერფში. ბოლო 2 დღის განმავლობაში ფეხს საერთოდ ვერ ვადგამ ძირს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმისას კი ტკივილი ქრება. გთხოვთ ამიხსნათ, რის ბრალი შეიძლება, იყოს? მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით 8 საათის განმავლობაში გამორიცხულია ფეხზე დგომა.

პასუხი: როგორც ჩანს, თქვენ გაქვთ ტერფის დეფორმაცია. ამ დროს სრულიად უქუსლო ფეხსაცმელი არ არის რეკომენდებული, მიზანშეწონილია 3-4 სანტიმეტრი სიმაღლის ბრტყელი ქუსლი. უნდა მიმართოთ ორთოპედს, რათა შეფასდეს ტერფის მდგომარეობა.

რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მ ი ი ღ ე თ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

რატომ მიუყვანა სახლში კახი ასათიანმა დათო ყიფიანს უცნაური სტუმრები და როგორ მიულოცა გამარჯვება მას სტადიონზე ბრეჟნევმა

„არ შეიძლება, იჯდე და ხარობდე, თუ ოდესღაც მოგიგია. ამის უფლებას თავს მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს მივცემ, როდესაც ზღვის პირას ხელჯოხით ვივლი... პირად ცხოვრებაში არ გამიმართლა, მაგრამ სამი ბიჭი ხომ მყავს? აი, ისინი გააგრძელებენ, სხვა დანარჩენი კი...“ ასე უთქვამს ერთ ინტერვიუში და ბედის უცნაური დამთხვევაა, რომ სიცოცხლის ბოლო დილას, მართლაც ზღვის პირას, ბათუმში შეხვდა, – ამბობს გიორგი გორგოძე წიგნში „დღეასწაულის წადილი.“ ბევრი საშუალება ჰქონდა გასცლოდა აქაურ გარემოს, უცხოეთში ემუშავა, ბევრი მიპატიჟება და წინადადება მიიღო, მაგრამ უცხოობას ძნელად ჰგუობდა. უცხოობა მისთვის სიმარტოვის ნაირსახეობა იყო.



სიმარტოვე კი, მიუხედავად დროდადრო მისი მარტოსულობისა, ძალიან არ უყვარდა. ეს დავით ყიფიანის სევდიანი ცხოვრების ფურცლებია, რომლის გადაფურცვლაც ყველასთვის მძიმეა, ვისაც ის უყვარდა.

მისი პირველი მწვრთნელის, ბორია ჭელიძის შეგირდის კარიერა „დინამოში“ ტკივილით დაიწყო. ერთმა ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა და მაშინდელი „დინამოს“ მწვრთნელმა მაღალ, გამხდარ დათოს გამოუცხადა: „წადი, „სკრიპკაზე“ დაუკარი, შენგან ფეხბურთელი არ გამოვა...“ ამის შემდეგ სულგანათლებულმა ქართლოს სვანიძემ, კიროვის ბაღისა და ფეხბურთის გულშემატკივართა „ბელადმა“, ვისაც საოცარი სიწრფელით უყვარდა ფეხბურთი და დათო ყიფიანი, ფეხბურთისთვის თავგანებებული დათო ისევ ფეხბურთისკენ შემოაბრუნა. „ჩემს სპორტულ ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა ერთმა პიროვნებამ, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარ არის. მისი პირადი დამსახურებაა, რომ მე ფეხბურთს დავუბრუნდი. ზემელზე ვტრიალებდი უსაქმოდ, იქ ბირჟა გვქონდა და შემხვდა ქართლოს სვანიძე... ძალიან სერიოზული სახით გვერდზე გამიყვანა და მომიკითხა: რატომ არ ჩანხარ, რა მოხდა, რატომ აღარ დადიხარ ვარჯიშებზეო... როდესაც ტრავმა მივიღე, მაშინ თბილისის „დინამოში“ ვირიცხებოდი... მოხდა ისე, რომ ტრავმის მერე გუნდიდან გამომიშვეს, თანაც მითხრეს, რომ მზად არ ხარ „დინამოსათვისო“. ისიც დააყოლეს: ჯობია, წახვიდე და „სკრიპკაზე“ დაუკრაო... რაღა უნდა მექნა, „სკრიპკაზე“ დაკვრა არასდროს მიცდია, გადავწყვიტე, „უდინამოდ“ ყოფნა... ჩემთვის ახლა გასაგებია, „დინამოდან“ ფეხბურთელებს რომ უშვებენ, მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ამიტომ დღეს, როცა მწვრთნელი ვარ, საკმაოდ ფრთხილად ვუდგები ფეხბურთელების გუნდიდან გაშვების საკითხს. შეიძლება, გამოუსწორებელი ტრავმა მივაყენო ამით ფეხბურთელს. ხომ შეიძლება, შენ



ვერ დაინახო, სხვამ კი შეამჩნიოს მისი ნიჭი და შესაძლებლობა... ასე აღმოვჩნდი ქუჩაში და სწორედ ამ დროს შემხვდა ქართლოსი... პირველად მე დავუსვი შეკითხვა: რომ დავბრუნდე ფეხბურთში, რა შეიძლება გავაკეთო, ან ვისზე უკეთესი შეიძლება ვიყო; როგორ მოვიქცე, რომ სხვებისგან გამორჩეული გავხდე-მეთქი, ისე შემომხედა... დღესაც მახსოვს. თან, ისეთი რამ მითხრა, დიდხანს ვიყავი გაოგნებული. ვიფიქრე – ალბათ, მეხუმრა ეს კაცი, ან რაღაც სისულელეს მეუბნება-მეთქი: შენ, რომ სერიოზულად მოჰკიდო მაგ საქმეს ხელი, საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იქნებიო“. მერე ბორია ჭელიძემ იძალა და „ლოკომოტივში“ მიიყვანა. მაშინდელ „ლოკომოტივს“ მაყურებელი არ ანებივრებდა, ტრიბუნაზე ტაბლოს ქვეშ, 5-6 კაცი ვისხედით, ჩვენგან ხელმარცხნივ უფროსი დათო ყოფიანი, ყიფოს მამა იჯდა, ხშირად მარტო... სეზონის ბოლოს „ლოკომოტივში“ დიდი მიშა მესხი გადმოვიდა და გაივსო ტრიბუნები. ქართველების ყველა დროის ყველაზე საყვარელი და ნებიერა ვარსკვლავის სანახავად მოდიოდა ხალხი. დათოც დააყენეს და მოგვეცა ლხენა... „მინდა, გავიხსენო ერთი პიროვნებაც, რომელმაც ძალიან ბევრი მასწავლა არა მარტო ფეხბურთში, არამედ ცხოვრებაშიც. ბორია ჭელიძე, ჩემი პირველი მწვრთნელი, რომელმაც, ფაქტობრივად, ჩემგან ფეხბურთელის ჩონჩხი გამოძერწა... ასე მოვხვდი „ლოკომოტივში“ და ფაქტობრივად, აქედან დაიწყო ჩემი აღმასვლა ფეხბურთში. მაშინდელ „ლოკომოტივში“ საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ, ბევრიც მასწავლეს... ამ ერთი წლის განმავლობაში ჩემს თამაშში პროგრესი მოხდა და მიმიწვიეს ისევ „დინამოში“... 1971 წლის 18 მაისს „დინამოში“ მობრუნებული დათო ყიფიანი პირველად გამოვიდა ძირითადში „ფახთაქორთან“ შეცვლაზე, მეორე ტაიმში. ის თამაში თარსი იყო, 1:0 წავაგეთ... იმავე სეზონში, პირველი გოლი მინსკის „დინამოს“ გაუტანა, მეორე კი იმ წლების საუკეთესო გუნდს – კიევის „დინამოს“. ის თამაში 1:0 მოვიგეთ... ამბობენ, დათო ყიფიანი 26 წლის იყო, როცა გაიხსნა და თამაში დაიწყოო... არადა, 1974 წლის გაზაფხულზე ჯერ კიდევ 22 წლის ყიფიანი საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს და თანაც ვინ? – კონსტანტინე ბესკოვმა, ვისაც ქართველებზე ნამდვილად არ ამოსდიოდა მზე და მთვარე... 1981 წლის სეზონის პირველ თამაშებიდან დაუვიწყარია 3:1 მოსკოვის „სპარტაკთან“ – დათომ ორი გოლი გაიტანა. დასაევმა თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში: „არსებობს ბურთები, რომელთა აღება პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩემს კარიერაში ასეთი ორია: ერთი ბრაზილიელმა ედერმა გამიტანა მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთში, მეორე კი ყიფიანმა თბილისში, 1981 წელს.“

დათო მშობლებთან, ბებიებთან და ძმასთან ერთად

1981 წლის 21 მაისს პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ესტუმრა თბილისს, გენსეკ ბრეჟნევის წინამძღოლობით. ჩვენში მთელი კვირა დიუსელდორფის 13 მაისის დაუვიწყარ გამარჯვებას ზეიმობდნენ. 20 მაისს, სალამოს დათო ყიფიანთან კახი ასათიანმა უცნაური სტუმრები მოიყვანა – ბრეჟნევისა და უკრაინის „ცეკას“ პირველი მდივნის, სჩერბიცკის თანაშემწეები. ხელცარიელიც არ მისულან – ყიფოს ლამის მაგიდისხელა კიევური ტორტი მოართვეს სჩერბიცკის სახელით. ასე მიულოცა ევროპული თასის აღება თავის საყვარელ ფეხბურთელს უკრაინის კომპარტიის პირველმა მდივანმა. ტორტი დაიჭრა. მერე კონიაკიც დაილია და ბრეჟნევის გვარიანად შექეიფიანებულ თანაშემწეს შევაპარეთ: იქნებ ხვალინდელ გამოსვლაში გენსეკმა თბილისის „დინამოს“ გამარჯვება მიულოცოსო... გენსეკის თანაშემწეს ყველაზე ენერგიულად ცხონებული გია ფერაძე არწმუნებდა, ლეონიდ ილიჩს ნამდვილად გაუხარდებაო... იმასაც რა ენაღვლებოდა და მეორე დღეს მთელმა საქართველომ მოისმინა ბრეჟნევის პირით: „ნე პოდვეული ტბილისკიე დინამოვცი, ზა კატორიხ ვსე მი პერეეიგალი...“ „რაინშტადიონზე“ მოგებული ფინალის შემდეგ კარლ-ჰაინც ჰაიმანი „კიკერში“ წერდა, რომ 1981 წლის საუკეთესო ფეხბურთელად „ოქროს ბურთის“ ევროპულ ნომინაციაში „კიკერი“ დათო ყიფიანს დაასახელებდა, მაგრამ ყიფოს ყისმათმა და მადრიდის „რეალის“ ვირგლა მცველმა მიგელ ანხელმა სხვანაირად განსაჯეს... ორ ადგილზე მოტეხილი ფეხის გამო ნახევარი სეზონი გაუცდა, თანაც მსოფლიო ჩემპიონატის წინ. მახსოვს, გვიან შემოდგომაზე დიღმის საწვრთნელი ბაზის ტალახიანი მინდ-

ცხრამეტი წლის იყო, როცა დაოჯახდა

„სკრიპკაზე“ დათომ სხვა დროს დაუკრა ბლოხინთან და „მზიურთან“ ერთად

ორი და მარტო მოძუნძულე ყიფო... მწვრთნელთა ტრიუმფატორმა, უკვე ფორმაში შესული დათო ყიფიანის ნაცვლად, ესპანეთში თაბაშირში ჩასმული ფეხით წაიყვანა კიეველი ლეონიდ ბურიაკი, რომელსაც არც მოუხსნია თაბაშირი ჩემპიონატის ბოლომდე. გავიხსენოთ იური როსტის წერილი: „დავით ყიფიანისთვის მსოფლიო ჩემპიონატი იყო ერთადერთი მიზანი... წაიყვანეს არგენტინაში, მაგრამ მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონების წინააღმდეგ თამაშის შესაძლებლობა არ მისცეს. ყიფიანი ამაყი კაცია. შინ დაბრუნებულმა დავითმა ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა და ეს ხდება შუა საფეხბურთო სეზონში, მისი ტალანტის აყვავების ხანაში, შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ყოფნისას... სსრკ-ის ნაკრების მრავალრიცხოვან მწვრთნელთაგან არავის მოსვლია აზრად ყიფიანთან დალაპარაკება. ასე აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში, ფეხბურთის უცხოური სპეციალისტების მიერ

ყიფიანი განასახიერებს თბილისის „დინამოს"

ნუკრი კაკილაშვილი და ფეხმოტეხილი დავით ყიფიანი

იმხანად ფეხბურთის ვარსკვლავად და მსოფლიოს მეოთხე ფეხბურთელად სახელდებული ყიფიანი. არადა, ეს მისი ჩემპიონატი უნდა ყოფილიყო..." დიდი ფეხბურთიდან ყიფიანის გაცილების დღე – 13 ნოემბერი, ბრეჟნევის სიკვდილს დაემთხვა. რა დროს ზეიმიაო და ჩაიშალა გაცილებაც. ოცდათერთმეტი წლის დავით ყიფიანი თავისი საფეხბურთო ნიჭის ზეობის დროს ფეხბურთიდან წავიდა... მერე დაიწყო ყიფიანის სიზიფეს აღმართი: „ჭყინტი" დინამოელები და უფროსი მწვრთნელი დავით ყიფიანი. თუ ვინმემ ფეხბურთის თამაში ისწავლა იმ პერიოდში, ყველამ ყიფიანის ხელში გამოიარა... 1982 წელს, როცა დათომ თამაშს თავი დაანება, ყველაზე თბილად კომენტატორმა იური პერეტურინმა თქვა: „დათო, ჩვენ ყველანი დამნაშავე ვართ შენთან. ჩვენ ყველას უნდა გვეთხოვა, რომ შენ დარჩენილიყავი ფეხბურთში, რომელსაც ასე ალამაზებდი..."

გავიხსენოთ ერთი ციტატა: „ხშირად მეკითხებიან, თამაშის დროს რატომ აღარ ნერვიულობო. ნერვები აღარა მაქვს და რით ვინერვიულო!.." თბილისის „დინამოს" როცა ძალიან გაუჭირდა, კვიპროსიდან სწორედ მაშინ, ყოველდამე ტყვიის ზუზუნით აკლებულ, ჩაბნელებულ თბილისში ჩამოვიდა ყავარჯნებს დაყრდნობილი დათო ყიფიანი და პირველივე ინტერვიუში განაცხადა: „იცით, რას გეტყვით, მე დავით ყიფიანი ვარ! მე ვამაყობ იმით, რომ რაღაც გამიკეთებია ქართული ფეხბურთისთვის და რაკიღა ფეხბურთელის კარიერის შემდეგ კვლავაც ფეხბურთში გადავწყვიტე დაბრუნება, ესე იგი მაინტერესებს ქართული ფეხბურთის ბედ-იღბალი... როდესაც ქართულ ფეხბურთში საქმეები ცუდად მიდის, განა აქვს დავით ყიფიანს უფლება, ამ ყოველივეს შორიდან უცქიროს?!" ყიფიანს მარცხის სხვაზე გადაბრალება არ სჩვევია, პირიქით. მისგან ვერ გაიგონებდით, რომ წარუმატებლობის მიზეზია „იტალიის მაფია და ჰოლანდიის საგადასახადო", „მესამე ძალა" – ის სხვას არ შეაწმენდდა ხელს, იმიტომ რომ დავით ყიფიანია, ღორაკუდაშვილი კი არა!.. არ მინდა ნერილის ამ ნოტზე დასრულება და ერთ ძველ ამბავს გავიხსენებ: 1978 წლის გვიანი შემოდგომაა, სეზონი დასრულებულია. იმ წელს ჩემპიონები გავხდით. კიევში ვიყავით ყიფოსთან ერთად მისი უახლოესი მეგობრები. თბილისის რეისს ვეღარ მივუსწარით და ტრანზიტით გამოვფრინდით ჯერ სოხუმში, იქედან რამეს წავყვებითო. ბაბუშერას აეროპორტში დათოს დანახვაზე უცნაური ამბები დატრიალდა, ღამის დაგვაპატიმრეს ხუთივე და ნახევარ საათში გრანდიოზულ აფხაზურ ქორწილში ამოვყავით თავი – თვითმფრინავი უთქვენოდ არ გაფრინდებაო, გვარწმუნებდა მასპინძლის ძმა, რომელიც აეროპორტის ხელმძღვანელი აღმოჩნდა. კიდევ კარგი, რომ ჩვენ მისვლამდე სიძე-დედოფლის სადღეგრძელო უკვე შესმული ჰქონდათ, ვიღას ახსოვდა ნეფე-პატარძალი... სუფრაზე ყველა სადღეგრძელო ჩვენი მისვლის შემდეგ ფეხბურთის ირგვლივ იყო მხოლოდ: დათო ყიფიანის, თბილისის „დინამოს", აფხაზეთიდან „დინამოში" ნათამაშები ფეხბურთელებისა და კიდევ ვინ მოთვლის. ხუთი საათი სუფრაზე ისე გავიდა, არც გაგვიგია. ამის შემდეგაც გაგრძელდა უცნაურობანი. აეროპორტის ასაფრენ ზოლზე მანქანების დიდი კავალკადით პირდაპირ კრასნოდარი-სოხუმი-თბილისის ტრანზიტული რეისის თვითმფრინავის ტრაპს მივადექით. მანქანების კოლონაში მყოფი ორი მიკროავტობუსიდან გადმოიღეს მაგიდები, ჭურჭელი, სუფრები და პურმარილი. პირდაპირ ტრაპთან გაჩაღდა ახალი ქეიფი, ჩამოიყვანეს პილოტები და ახლა იმათ აჩრიდნენ ხელში ყანწებს – აეროპორტის ღია პავილიონიდან ყოველივე ამას პირდაღებული მისჩერებოდა კრასნოდარიდან თბილისში ტრანზიტად მომავალი ორმოცამდე მგზავრი... კიდევ კარგი, რომ ბოლოს ისინიც მოიპატიჟეს სუფრასთან...

დიუსელდორფის გამარჯვება – 1981 წლის 14 მაისის ღამე

როცა „დინამოს" გაუჭირდა, კვიპროსიდან ყავარჯნიანი ყიფიანი იხმო საშველად

ეკა პატარაია

(23-ე გვერდიდან)

რით დარჩა გაკვირვებული თბილისში სტუმრად მყოფი ალექსანდრე დიუმა და ვინ გახსნა პირველი სასტუმრო თბილისში 1818 წელს

ძვირი ნომრები ქალაქის საუკეთესო სასტუმროებში: „ლონდონში", „ორიენტში", „ვეტცელსა" და „პალასში" იყო – ნომერი 10-15 მანეთი ღირდა.

სასტუმრო „კავკაზი" მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს

ტურიზმი და სტუმრები

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს, კერძოდ, თბილისს, გამორჩეული ადგილი ეკავა რუსეთის იმპერიის შიდა ტურიზმში. რუსეთში პირველი ტურისტული ექსკურსიები სწორედ თბილისში ტარდებოდა კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების ინიციატივით. 1877 წელს თბილისში დაფუძნდა ალპური კლუბი – პირველი სამთო-ტურისტული ორგანიზაცია იმპერიაში. 1912 წელს თბილისშივე დაარსდა კავკასიაში ტურიზმის ხელშეწყობის მთავარი კომიტეტი.

სასტუმრო „ორიენტი" (მეცხრამეტე საუკუნე)

თბილისის სასტუმრმოებში უცხოვრიათ მათაც, ვისი სახელებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რუსული კულტურისათვის: გრიბოედოვს, პუშკინს, ჩაიკოვსკის, ჩეხოვს, გორკის, ვასნეცოვს, ბულგაკოვს, პასტერნაკსა და ესენინს.

უშანგი რუხაძე

მასალაში გამოყენებულია ნაწყვეტები წიგნიდან: დავით ხოშტარია „თბილისის ძველი სასტუმროები" (გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2011)

ნანა: ბევრს აქვს პრობლემები, როგორც კარიერაში, ასევე პირად ცხოვრებაში. სხედან და ფიქრობენ, როგორ მოაგვარონ ეს ყველაფერი. გეტყვით რომ, უპრობლემო ადამიანი არ არსებობს, არც ია-ვარდითაა მოფენილი ჩვენი ცხოვრება და ბარიერებისა და წინაღობების წინაშეც ბევრჯერ აღმოვჩნდებით. მაგრამ, მთავარია, არ მოვეშვათ, ვიბრძოლოთ და საკუთარ წინსვლასა და წარმატებას თავადვე შევუწყოთ ხელი. საერთოდ, ხომ იცით, ნათქვამია, რასაც ადამიანი საკუთარ თავს დაუშავებს, ისე სხვა ვერ ავნებსო. ამიტომ, თავად უნდა დავეხმაროთ საკუთარ ბედ-იღბალს, რომ წინ წავიწიოთ და თავი ბედნიერად ვიგრძნოთ. ცხოვრებაში უამრავი გამოცდა გველის და თუ ის გამოცდები წარმატებით ვერ ჩავაბარეთ, არაფერი გამოვა. ბედნიერებისთვის ბრძოლა კი ნამდვილად ღირს და ამაში ვერავინ შემეკამათება.

– იქნებ ჩვენც გაგვანდოთ, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ საკუთარ თავს დავეხმაროთ და პრობლემები ადვილად დავძლიოთ?

– როდესაც ადამიანი სასოწარკვეთილებაში ვარდება და გამოსავალს ვერ პოულობს, მხოლოდ მაშინ მიმართავს უარყოფითი, დამანგრეველი ენერგიისგან დამცავ საშუალებებს. ბევრს არ სჯერა თილისმების სასწაულმოქმედი ძალის. თუმცა, დამიჯერეთ, სასწაულები ხდება. გაითვალისწინეთ ჩემი ნათქვამი, რომელიც მე არ მომიგონია და ეს უძველეს დროში მოღვაწე ეზოთერიკოსებმა კარგად იცოდნენ, კერძოდ, თილისმის ტარება ყველასთვის საჭირო და აუცილებელია. ამით ადამიანი უფრო დაცული და ჯანმრთელია. შესაბამისად, წარმატებებსაც ადვილად აღწევს და პირადი ცხოვრებაც დაწყობილ-დალაგებული, მშვიდი და ჰარმონიული აქვს. გეტყვით იმასაც, რომ არსებობს ლითონები, რომლებსაც თილისმის ძალა და თან, სამკურნალო თვისებებიც გააჩნია. კიდევ ვამბობ, თილისმები მხოლოდ სასოწარკვეთილმა ადამიანმა კი არ უნდა ატაროს, არამედ იმანაც, ვისაც მშვიდი და წარმატებული ცხოვრება აქვს და ბედს არ უჩივის. ეს საკუთარი კეთილდღეობის დასაცავად უტყუარი საშუალებაა.

– ამბობენ, სახლში დაწყობილ ლითონის ნივთებსაც გარკვეული თილისმის დამცველი როლი აკისრიაო. ეს ნამდვილად ასეა?

– დიახ, ასეა. აბა, გადახედეთ ძველ ოჯახებს, ყველას ჰქონდა ძვირფასი ლითონის ჭურჭელი. მაშინ, მოოქრული თუ მოვერცხლილი ლანგრით სადილის, ხილის მირთმევა, სტუმრისადმი კეთილგანწყობის გამოვლინება იყო. რეალურად კი, ოქროსა და ვერცხლის დანა-ჩანგალს უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია. ეს კარგად იცოდნენ უძველესი დროიდან და სწორედ ამ ლითონების ჭურჭლით თუ დანა-ჩანგლით მირთმევდნენ საკვებს. ასევეა, ამ ლითონისგან დამზადებული

როგორც პარაფსიქოლოგები და ეზოთერიკოსები ამტკიცებენ, ჩვენს ცხოვრებაში შეგვიძლია, თავადვე შევიტანოთ სასიკეთო ძვრები და ცვლილებები. ბევრს ცვლილებების ეშინია, მაგრამ, თუ ის თქვენთვის სიკეთის მომტანია, მგონი, გარისკვა ღირს. ქალბატონმა ნანამ დიდი ხანია, თავისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა. ამაში კი მას არავინ დახმარებია. უბრალოდ, ზედმიწევნით ასრულებდა იმ რჩევებს, რასაც მას, დღეს უკვე კოლეგა, ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგი აძლევდა და ეს მისთვის მეორედ დაბადებას ჰგავდა. გეტყვით, რომ ქალბატონ ნანას საკმაოდ რთული და დაულაგებელი ცხოვრება ჰქონდა, თავის მოკვლაზეც ბევრჯერ უფიქრია. მაგრამ, მერე მიხვდა, რომ გამოსავალი აუცილებლად არსებობდა და მოძებნა კიდეც. დღეს ის, ჩვენი რუბრიკის სტუმარია და საკმაოდ გასათვალისწინებელ და საგულისყურო რჩევებსაც მოგცემთ.

რატომ უნდა ჩადოთ სამკაულები დროდადრო მარილში და რა საფრთხეს უქმნის გასათხოვარ გოგონას გარდაცვლილი წინაპრის ძვირფასეულობის ტარება

სამკაულები, უარყოფითი ენერგიებისგან დაცვის უნიკალური თვისებებით. ეს თვისება უბრალო რკინის სამკაულსაც აქვს. თუმცა, ყველასთვის არ იძლევა დადებით ეფექტს. რბილი ხასიათის, თავმდაბალმა, გაუბედავმა და მორიდებულმა ადამიანმა რკინის სამკაულები თილისმის სახით აუცილებლად უნდა ატაროს, რათა პირად ცხოვრებასა და კარიერაში წარმატებებს მიაღწიოს. უნებისყოფო და ფეთქებადი სახიათის ადამიანმა ოქროს სამკაულები არ უნდა ატაროს. მას ვერცხლის თილისმის ტარება დაეხმარება ენერგიის კონცენტრირებაში. ზოგი წინაპრისგან დატოვებულ სამკაულს არ იხსნის და მის პატივსაცემად თილისმად ატარებს. არადა, ასეთი საგვარეულო ძვირფასი ნივთის ტარებას ყოველდღიურად არ გირჩევთ. უმჯობესია, ის სახლში გედოთ საგულდაგულოდ შენახული და ამით, ის მძლავრ ენერგეტიკულ პოტენციალს თავისთავად დააგროვებს საცხოვრებელში. უარყოფით ენერგიას ახლოს არ მოუშვებს და ეს, თავისთავად, დაგეხმარებათ ბედნიერი ოჯახური თანაცხოვრების შესანარჩუნებლად.

თილისმა მხოლოდ სასოწარკვეთილმა ადამიანმა კი არ უნდა ატაროს, არამედ იმანაც, ვისაც მშვიდი და წარმატებული ცხოვრება აქვს და ბედს არ უჩივის

– ისიც მსმენია, რომ თუ საგვარეულო ძვირფას ნივთს გასათხოვარი გოგონა ატარებს, მას პირად ცხოვრებაში კარგი არაფერი ელისო.

– თუ ასეთ საგვარეულო ძვირფას სამკაულს გასათხოვარი გოგონა ატარებს, დიდი შანსია, ბედს ვერ ეწიოს და ცხოვრების ბოლომდე მეორე ნახევრის გარეშე დარჩეს. გათხოვილმა კი, როგორც გითხარით, დროდადრო უნდა ატაროს ის და არა ყოველდღიურად. უნდა იცოდეთ, ვის ნაქონ სამკაულს ატარებთ. ერთი ჩემი მეზობელი გარდაიცვალა. უყვარდა საწყალს ოქროს სამკაულების ტარება. ბოლოს ძალიან მძიმედ იყო და ყველაფერი გაყიდა, წამლების შესაძენად. ერთადერთ ბეჭედს ვერ შეელია და სიკვდილის წინ დაიბარა: რომ მოვკვდები, მომხსენით და ჩემს შვილიშვილს მიეცით, ბებიასგან ჰქონდეს და ჩემს სახელზე ატაროსო. ხომ იცით, ამბობენ: ჩასვენების წინ მიცვალებულს რაიმე ნივთი უნდა ამოაცალო კუბოდანო. ჰოდა, იმ საცოდავს ის ბეჭედი მოხსნეს და შვილიშვილს გაუკეთეს მის სახელზე. არ გავიდა რამდენიმე კვირა და ბავშვს ჯანმრთელობა შეეყრა. ჰაერი არ ჰყოფნიდა, იგუდებოდა. სად არ ატარეს და ბოლოს ჩემთან მოვიდნენ, ეზოთერიკაში ერკვევი და იქნებ რამე დაგვარიგოო. ბეჭდის ამბავი მაშინ გავიგე. ვუთხარი, სასწრაფოდ მოხსენით და ბავშვს წამლებიც აღარ დასჭირდება, უკეთ გახდება რამდენიმე დღეში-მეთქი. მხოლოდ, სუფთა ჰაერზე გაიყვანეთ და ცვრიან ბალახზე ატარეთ დილით ფეხშიშველი, რომ დედამიწიდან დადებითი ენერგიით დაიმუხტოს და უარყოფითი ჩამოირეცხოს. ყოველ საღამოს ჭინჭრისა და გვირილის აბაზანაში აბანავეთ-მეთქი. სულ მალე გამოჯანმრთელდა და დღეს ჯანმრთელი, ჭკვიანი და ულამაზესი გოგონაა. არ არის სასურველი გარდაცვლილი ადამიანის სამკაულები ატაროთ, მით უფრო ისეთი ძალიან რომ უყვარდა მის პატრონს და სულ ატარებდა. ადამიანის ენერგია ლითონზე ადვილად გადადის და საშიშია მისი დანატოვარისთვის. თუ ძალიან გსურთ მათი ტარება გარდაცვლილის პატივსაცემად, მაშინ არ გაიკეთოთ ორშაბათსა და პარასკევს, დანარჩენ დღეებში კი შეგიძლიათ, ატაროთ. კარგია, თუ თქვენს სახელზე გააკეთებინებთ სამკაულს და თილისმის სახით ატარებთ. ეს ყველაზე კარგი თავდაცვითი საშუალებაა და მას ბედნიერება მოაქვს. მისი ძალა იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია ჯადოს ენერგიაც კი გაანეიტრალოს. დროდადრო მარილში ჩადეთ და ასეთი სახით განმენდთ დაგროვილი უარყოფითი ენერგიისგან. ყველაზე კარგი დამცველი თილისმა, სწორედ ვერცხლისგან მზადდება. ის ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებათ, გაგრძნობინებთ რომელი ადამიანი მოქმედებს თქვენზე უარყოფითად და მასთან კონტაქტს აგარიდებთ. ასევე, გაძლევთ სიგნალს შინაგანი ფორიაქის სახით, როდის შეიკავოთ თავი კონფლიქტისგან, აარიდოთ თავი არასასურველ შეხვედრას და ასე შემდეგ. ვერცხლის სამკაულის თილისმად ტარება როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს სურვილებისა და ოცნებების ახდენაში ეხმარება. რატომ ეკეთა ძველად თითქმის ყველა ადამიანს ვერცხლის სამკაულები? სწორედ იმიტომ, რომ იცოდნენ, ამ ლითონის მაგიური თვისებებისა და დამცავი ძალის შესახებ. ამიტომ, უსაფრთხოების მიზნით ატარებდნენ მისგან დამზადებულ სამკაულებს. სხვათა შორის, ეს ლითონი ადამიანში ზებუნებრივ ძალას ავითარებს.

ნონა დათეშიძე

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ალბათ, გინახავთ წყვილები, რომლებიც ჩხუბობენ მხოლოდ იმიტომ, რომ მამაკაცმა ვერ მოახერხა ქალისთვის სასურველი საჩუქრის შერჩევა. დავიწყოთ იმით, რომ საყვარელი ადამიანისგან მოძღვნილი ყველანაირი ნივთი ძვირფასია. ბოლოს და ბოლოს, საჩუქარია უფრო ძვირფასი თქვენთვის თუ კაცი, რომელიც გიყვართ?! ან, იქნებ, იმიტომ გიყვართ, რომ თქვენთვის სასურველი ბევრი და კარგი საჩუქარი მიიღოთ?! მოკლედ, მგონი, რწმუნდებით, რომ ჩხუბის მიზეზი და საბაბი არ არსებობს.

ახლა „მედლის“ მეორე მხარეს შევხედოთ: მამაკაცები ძალიან წვალობენ, როცა საყვარელი ქალისთვის საჩუქარს ყიდულობენ. ისე ნერვიულობენ, რომ საერთოდ უქრებათ ვინმეს გახარების სურვილი და მხოლოდ ვალდებულება-პასუხისმგებლობის ამარა რჩებიან. თუ დაუწუნებთ საჩუქარს და მით უმეტეს, ამის გამო სკანდალსაც ატეხთ, აღარასოდეს გაუჩნდება იოტისოდენა სურვილიც კი, რამე გაჩუქოთ და ვერანაირი პასუხისმგებლობა-ვალდებულება ვეღარ უშველის საქმეს. ამიტომაც, მოერიდეთ სრულიად უნიადაგო და უსაფუძვლო წყენას. საჩუქარი ხომ, უბრალოდ, სიმბოლოა და არა გრძნობის დადასტურება. ჩახედეთ მას თვალებში – საუკეთესო საჩუქარი ის ბედნიერი ნაპერწკალი უნდა იყოს, რომელსაც იქ დაინახავთ. ასეთივე ნაპერწკალს ელოდება ის თქვენგანაც და იმედს ნუ გაუცრუებთ.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲤᲔᲠᲔᲑᲨᲘ...

ქალებს ყველაფრის გალამაზება და უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლიათ. მაგრამ, როგორ გააკეთებ ამას, თუკი ჯერ შენ თვითონ არ გადასხვაფერდები?!. ზაფხული ასეთი ცვლილებებისთვის შესანიშნავი დროა. წითელი, ფორთოხლისფერი, ყვითელი, იისფერი – ფრიდა კალოს სამოსის მსგავსი... შეიძლება, შავი თქვენი საყვარელი ფერია, მაგრამ, დროებით უარი თქვით მასზე. სხვათა შორის, შავი ფერი რუჯს საერთოდ არ უხდება, თანაც პოზიტიურად არ მოქმედებს განწყობაზე. ცნობილი ფაქტია, რომ ნათელ ფერებში გამოწყობილი ქალები მამაკაცების ყურადღებას სწრაფად იპყრობენ. მერე უკვე თქვენზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებთ თუ არა მის ყურადღებას.

ცდებით, თუკი ფიქრობთ, რომ მკაცრი სტილი უფრო შეგეფერებათ და მხოლოდ ქარაფშუტა ქალები იმოსებიან ჭრელა-ჭრელა სამოსში. ჯერ ერთი, ჭრელი სამოსიც შეიძლება იყოს სოლიდური და ზომიერად გამომწვევი; მეორეც, მოაშორეთ კლიშეები – თქვენ ისინი ძალიან შეგიშლით ხელს. დაამტკიცეთ თქვენი განსაკუთრებულობა ფერებით...

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲜᲐᲖᲔ

ქალები კაცებზე მეტს ტირიან – ამას სტატისტიკაც კი არ სჭირდება, ისედაც ყველაფერი ნათელია. თუმცა, შეიძლება, სტატისტიკასაც გადავხედოთ, სადაც შავით თეთრზე წერია: მდედრს შესწევს უნარი, ერთ ჯერზე, ანუ, ერთჯერადი ტირილის დროს, დაღვაროს 3-დან 5 მილილიტრამდე სითხე, მამაკაცი კი სამ მილილიტრსაც ვერ „ჩამოიცრემლება“. საერთოდაც, ნებისმიერი ქალი ოთხჯერ უფრო ხშირად ტირის, ვიდრე მამაკაცი. ძალიან ბევრი ქალბატონი კი კვირაში მინიმუმ ორჯერ აკეთებს ამას, თანაც, აკეთებს მთელი აღმაფრენით და, შეიძლება ითქვას, ხალისითაც კი. ქალები ტირიან მაშინაც, როცა ცუდად არიან და მაშინაც როცა რაღაც ძალიან, ძალიან უხარიათ; როცა ვერ უმკლავდებიან პრობლემას; როცა არ აქვთ არგუმენტი ან დრო, დაიცვან საკუთარი სიმართლე; როცა მათი თხოვნა ან – მოთხოვნა თავიდანვე განწირულია უარისთვის; როცა სტკივათ; როცა ნაწყენები არიან; შესაძლოა, ისინი სენტიმენტალურმა მელოდრამამაც გულამოსკვნით აატიროს... თუ სასწორის ერთ პინაზე ქალის ცრემლს „დავდებთ“, მეორეზე კი – მამაკაცისას, იქნებ, კაცისამ გადაწონოს – არა რაოდენობით, არამედ, ღირებულებით. თუმცა, ბევრია ისეთი მამაკაცი, რომელსაც სიყვარულში არ გაუმართლა, მაგრამ, ძალიან ცოტა თუ აღიარებს ამას. რატომ?! იმიტომ, რომ მათი სასწორის პინაზე სხვა რამე დევს – მამაკაცური პატივმოყვარეობა და სრულიად მცდარი მოსაზრება – მამაკაცები არ ტირიან! თუმცა, ქალებს გაცილებით ურჩევნიათ, პინების წონასწორობა მათ სასარგებლოდ დაირღვეს – ანუ, კაცმა იტიროს, მაგრამ, არასდროს ატიროს ქალი და ყველაფერი გააკეთოთს მისი ბედნიერებისთვის.

ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲢᲠᲝᲑᲐ

ხუმრობა, თანაც ბოროტი იმის თაობაზე, რომ ქალი ავტომობილის საჭესთან ფეთქებადსაშიშია, როგორც დინამიტი და საერთოდაც, არაფერი გაეგება ავტომობილის მართვის – აქტუალური აღარ არის. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ქალი მძღოლები ოთხჯერ უფრო ნაკლებად ხვდებიან ავარიაში. მთვრალები არ უსხდებიან საჭეს და რაც მთავარია, მათ ავტომობილის მიმართ სრულიად პრაქტიკული დამოკიდებულება აქვთ. არ „ტიპობენ“ და არ ცდილობენ, თავი „მაგარ მძღოლებად“ მოგვაჩვენონ. რატომ ჰგონიათ კაცებს, რომ ქალებს საჭესთან ჯდომა თვითდამკვიდრებისთვის სჭირდებათ? ქალი არ არის მეომარი და მით უმეტეს, მამაკაცთან საერთოდ არაფერი აქვს გასაყოფი. ნებისმიერი ფსიქოლოგი გეტყვით, რომ მამაკაცები კატეგორიულები და ჯიუტები არიან გადაწყვეტილებების მიღებისას. მათ ამის ერთპიროვნულად კეთება უყვართ, მაშინ, როცა ქალები დიდი სიამოვნებით ვეკითხებით რჩევას ყველას – ნაცნობ-მეგობრებს და ზოგჯერ უცხოებსაც. ქალებს არ დაუყვიათ სამყარო მოსისხლე, ორსქესიან ბანაკებად – არავითარ შემთხვევაში. მამაკაცის ამქვეყნად მომვლინებლებიც ხომ თავად არიან. ამასთან, მათ უკეთ იციან, სად გადის საკუთარი შესაძლებლობის საზღვრები. ამიტომაც, ქალი არასოდეს დაარღვევს სხვის, მით უმეტეს, მამაკაცის საზღვრებს. ზავი დიდი ხანია, დადებულია. მთავარი იმის აღიარებაა, რომ უერთმანეთოდ ყოფნა ჩვენ მართლა არ შეგვიძლია!

ᲘᲡ, ᲠᲐᲡ ᲘᲛᲐᲗᲘᲐ

ქალებმა ძალიან სწრაფად შეითვისეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო დამახასიათებელი, მათ შორის, მავნეც. დავიწყოთ ნიკოტინთან ურთიერთობით. მართალია, არავის დაუდგენია, თამბაქოს რომელიმე სქესისადმი კუთვნილება (თავის სამშობლოშიც კი, მას ქალებიც ეწეოდნენ, თამბაქოს ფოთლებს კი, კევივით ღეჭავდნენ), მაგრამ ფაქტია, მამაკაცებს დღესაც ძალიან აღიზიანებთ მწეველი ქალბატონი. საეჭვოა, მიზეზი მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა იყოს. უბრალოდ, მიაჩნიათ, რომ სიგარეტი მათია. ისევე, როგორც მანქანის საჭე. ამასთან, კაცები დარწმუნებულები არიან, რომ ბიზნესი მხოლოდ კაცმა უნდა აკეთოს. შეიძლება, ამიტომაც მსოფლიოს ას ყველაზე მდიდარ ადამიანთა სიაში მხოლოდ ათია ქალი. უცნაურია, მაგრამ მამაკაცები „კბილებით“ იცავენ თავიანთ ფსევდოფასეულობებს, თითქოს დათმობა არ უნდათ და საკუთარ თავს არ უტყდებიან, რომ არც არავინ არაფერს ეკითხებათ. რა არის ეს – არასრულფასოვნების კომპლექსი?! იქნებ, ჩვეულებრივი, ადამიანური ბოლმა?! მამაკაცები გვირჩევენ, თუმცა შეფარვით – დავუტოვოთ მათ ის, რაც მათია – თუკი, მშვიდად და ბედნიერად თანაცხოვრება გვინდა. არც ისეა საქმე, როგორც მათ ჰგონიათ – სამუშაო ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია და თუკი ხშირად ოჯახის ინტერესებს ყველაფერზე მაღლა ვაყენებთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაკლებად გვადარდებს ჩვენი პიროვნული განვითარება!

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲥᲔᲗᲘ ᲣᲒᲚᲐᲕᲐᲐ

რამდენ ენას ფლობს ნატალი პორტმანი და როგორ მოხვდა ის „ვარსკვლავური ომების" გადასალებ მოედანზე

კინოსამყარომ ნატალი პორტმანი ლიუკ ბესონის საშუალებით გაიცნო. ფრანგმა რეჟისორმა მას მთავარი როლი შესთავაზა თავის ალბათ ყველაზე ცნობილ და წარმატებულ ფილმში „ლეონი". ფილმის კინოეკრანებზე გამოსვლისთანავე კინომოყვარულებმა ახალი კინოვარსკვლავის დაბადების შესახებ აუწყეს მსოფლიოს. „ახალი ოდრი" ამ სახელითაა ცნობილი ნატალი კინემატოგრაფში, სადაც მისი წარმატებული კარიერა აგერ უკვე 20 წელია გრძელდება.

* ნატალი პორტმანი 1981 წლის 9 ივნისს დაიბადა იერუსალიმში, ებრაელი ექიმისა და მხატვრის ოჯახში. სამი წლის ასაკში ნატალი ოჯახთან ერთად ვაშინგტონში გადავიდა საცხოვრებლად, შემდგომ კონეკტიკუტის შტატში ცხოვრობდნენ და საბოლოოდ, ნიუ-იორკში, ლონგაილენდზე დაფუძნდა, სადაც დღემდე ცხოვრობს.

* ცნობისთვის, ნატალის ნამდვილი გვარია ჰერშლაგი და არა პორტმანი. ჰერშლაგი ებრაულად „გულის დარტყმას" ნიშნავს. პორტმანი ნატალის ბებიის გვარია და ამ ფსევდონიმით შეაბიჯა მან კინოსამყაროში.

* ნატალის მშობლები, დედა – შელი სტივენსი რუსი ებრაელია. ამერიკაში მან გვარი ედელშტეინი სტივენსად შეიცვალა, დედის მშობლები წარმოშობით კიშინიოვიდან იყვნენ. მამა – ავნერ ჰერშლაგი, წარმოშობით რუმინელი და პოლონელი ებრაელების შთამომავალია, ნატალის ბაბუის მშობლები ოსვენციმის ბანაკში დაიღუპნენ. დიდი ბებია მამის მხრიდან ბრიტანული სპეცსამსახურების აგენტი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს.

* ნატალის კარიერა შემთხვევით დაიწყო. 11 წლის ასაკში ის მეგობრებთან ერთად პიცერიაში შევიდა, იქ კი ერთ-ერთი სამოდელო სააგენტოს კონკურსი იმართებოდა. კონკურსის თანახმად გამარჯვებული გოგონა სრულფასოვან კონტრაქტს იგებდა კომპანია „რევლონისგან" კოსმეტიკური საშუალებების რეკლამირებისთვის. ნატალი დაინტერესდა მთავარი პრიზით და კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ ნატალი პორტმანი ამ კონკურსის გამარჯვებული გახდა და „რევლონთან" კონტრაქტი გააფორმა.

* ბავშვობაში ნატალი ოცნებობდა ბროდვეის სცენაზე ეცეკვა. 4 წლის ასაკიდან დადიოდა ცეკვაზე და სწავლობდა როგორც კლასიკურ და თანამედროვე ცეკვებს, ასევე, სტეპსაც კი. ნატალისგან მოცეკვავე არ გამოვიდა, თუმცა ოცნების ასრულება მან მაინც მოახერხა. მისი მეუღლე პროფესიონალი მოცეკვავეა, ხოლო პირველი „ოსკარი" ნატალიმ ბალერინის როლის შესრულებისთვის მიიღო.

* მსახიობობის გარდა, ნატალი პორტმანი სწავლასაც შესანიშნავად ახერხებს – ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, სკოლაში სწავლის დროს, მან ისეთ ფილმებში მონაწილეობაზე თქვა უარი, როგორიცაა „ლოლიტა" და „რომეო და ჯულიეტა". ცნობილია, რომ რომეოს როლის შემსრულებელი, ლეონარდო დიკაპრიო პირადად თხოვდა ნატალის, ჯულიეტას როლზე დათანხმებულიყო, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო.

* „ვარსკვალვების ომებში" პადმე ამიდალის როლზე ნატალი პორტმანი ყოველგვარი ქასთინგის გარეშე აიყვანა რეჟისორმა ჯორჯ ლუკასმა. რეჟისორმა არც კი იცოდა, რომ ნატალის ცნობილი ბლოკბასტერის არც ერთი სერია ნანახი არ ჰქონდა და არც მწვანე ფონზე მუშაობის გამოცდილება გააჩნდა. სხვათა შორის ნატალი პორტმანის ორეულს ამ ფილმში მსოფლიო კინოს ამომავალი ვარსკვლავი კირა ნაითლი ასრულებდა.

* „შავ გედში" გადაღებებისთვის ნატალი პორტმანს 9 კილოგრამის დაკლება მოუხდა წონაში. გარდა ამისა, გადაღებების დროს ნატალიმ ტვინის შერყევა მიიღო და ნეკნები დაიზიანა. „შავ გედში" შესრულებული როლისთვის ნატალიმ „ოსკარი" მიიღო.

* ნატალი პორტმანი სრულყოფილად ფლობს ხუთ ენას: ებრაულს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულსა და იაპონურს.

* ნატალი პორტმანის საყვარელი მსახიობები არიან: ბრედ პიტი, ჯონ ტურტურო, ბენ კინგსლი, პატრიკ სუეიზი, სიუზენ სარანდონი, ჯულია რობერტსი და ჯენიფერ გრეი. ფილმებიდან კი მას მოსწონს: „შინდლერის სია", „ბინძური ცეკვები", „ამელი" და „შენი დედაც".

* ნატალი პორტმანი პლასტიკური ქირურგიის ღია მოწინააღმდეგეა.

* ფილმში „V ნიშნავს ვენდეტას," ნატალი პორტმანს, პერსონაჟიდან გამომდინარე, თავის გადაპარსვა მოუხდა. გადაღებების დასრულების შემდეგ, ნიუ-იორკის პოლიციამ ვერ იცნო მსახიობი, საეჭვოდ ჩათვალა და რამდენიმე საათით დაპატიმრებული ჰყავდა.

* 8 წლის ასაკში ნატალიმ უარი განაცხადა ხორცის ჭამაზე და მას შემდეგ ვეგეტარიანელია. ვეგეტარიანელი ნატალი ერთი შემთხვევის შემდეგ გახდა. მამასთან ერთად ის ქათამზე ქირურგიული ლაზერის მოქმედების მოწმე გახდა. ამ ფაქტმა იმდენად იმოქმედა მასზე, რომ გადაწყვიტა, ხორცი აღარ ეჭამა.

* ნატალი პორტმანი აქტიურადაა ჩართული პოლიტიკურ მოვლენებში. 2004 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ის ღიად უჭერდა მხარს ჯონ კერის, 2008 წელს – ჰილარი კლინტონს, ხოლო 2012 წელს – ბარაკ ობამას.

* 1995 წელს რეჟისორმა მაიკლ მანმა ნატალი პორტმანი მიიწვია ფილმში „შეტაკება." ნატალი ერთ გადასაღებ მოედანზე აღმოჩნდა რობერტ დე ნიროსთან და ალ პაჩინოსთან ერთად და ამ ფაქტით დღემდე ამაყობს.

* ნატალი პორტმანს არ უყვარს საშინელებათა ჟანრის ფილმები და კატეგორიულად უარყოფს მსგავს ფილმებში მონაწილეობას.

* ნატალი პორტმანის სიმაღლე 163 სანტიმეტრია.

* მსახიობის თქმით, მისთვის დასვენების საუკეთესო საშუალება ტკბილი ძილი და გემრიელი სადილია.

* როგორც ნატალი აცხადებს, იგი არ აპირებს მთელი ცხოვრება კინემატოგრაფს დაუთმოს და მომავალში ფსიქოლოგიაში აპირებს ძალების მოსინჯვას.

* ნატალი პორტმანმა მთავარი როლი შეასრულა პოლ მაკარტნის კლიპში „დენსინგ თუნაით", რომლის რეჟისორია მიშელ გონდრი.

* ნატალი პორტმანს ჰყავს ვაჟი – ალეფი, სამოქალაქო ქორწინებიდან ბენჯამინ მილპიესთან. ალეფი – ებრაული ენის პირველი ასოა.

* სხვადასხვა დროს ნატალი პორტმანს რომანი ჰქონდა მსახიობებთან: გაელ გარსია ბერნალთან, ჯეიკ ჯილენჰალთან, „მარუნ ფაივის" სოლისტ ადამ ლევინთან და მულტიმილიონერ ნეტ როტშილდთან. თავისი მეუღლე ბენჯამინ მილპიე ნატალიმ ფილმის, „შავი გედის" გადაღებისას გაიცნო.

* ბავშვობაში ნატალი პორტმანის სურვილი იყო, გამოსულიყო კოსმონავტი, ექიმი, ვეტერინარი და ქალთევზა.

* 2000-იანი წლების დასაწყისში ნატალი პორტმანი ჰოლივუდის ყველაზე ცნობილი გოგო გახდა.

* ნატალი პორტმანის მეტსახელი სკოლაში იყო – ნეტ.

* ნატალი პორტმანი დაივინგით არის გატაცებული.

* 2005 წელს ნატალი პორტმანი ინკოგნიტოდ მოგზაურობდა გვატემალაში, მარტო ცხოვრობდა კარავში და ადგილობრივ მცხოვრებლებთან ურთიერთობდა.

* ნატალი პორტმანის საყვარელი წიგნია „ანა ფრანკის დღიურები".

* მუსიკიდან ნატალი პორტმანი ბრიტანულ ჯგუფ „იუთუს" ანიჭებს უპირატესობას.

* ნატალი პორტმანსა და ჯონი დეპს ერთ დღეს აქვთ დაბადების დღე.

უშანგი რუხაძე

ᲔᲠᲓᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲝᲛᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ, ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲝᲠᲝᲚᲐᲡ ᲡᲢᲕᲔᲜᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲖᲐᲠᲔᲑᲘ:
ᲐᲚᲝ, ᲛᲘᲬᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ 7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲥ
ᲐᲚᲝ, ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ 1 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲥ
ᲐᲚᲝ, ᲑᲘᲜᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ 500 000 ᲛᲐᲥ
ᲐᲚᲝ.....

ᲛᲐᲠᲘᲯᲐ 599 24 28 31

როგორ ზეიმობდა სტალინი შობის დღესასწაულს

1945 წლის დადგომას სტალინი ბრწყინვალე განწყობით შეხვდა. ისე იყო გახალისებული, მისი შემხედვარე იფიქრებდით, მეორე სუნთქვა გაეხსნაო. 6 იანვარს, 18 საათზე, სტალინმა ვლასიკს უბრძანა, ელოხოვის ღვთის გამოცხადების სახელობის ტაძარში წასასვლელად მოემზადებულიყავით. ვლასიკმა თვალები ჭყიტა, მაგრამ არაფერი უკითხავს. დიდ ბელადს ეს გაოცება არ გაკვირვებია და მიუგო: „დღეს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური საშობაო ლოცვა იწყება და ხვალ, უდიდესი დღესასწაულია მართლმადიდებელთათვის. იყო დრო, როდესაც ღამეებს ვათენებდი ტაძარში და სტიქარისნობისას მღვდელს ვეხმარებოდი. შენ თუ გილოცია ოდესმე?“ – მოულოდნელად ჰკითხა ისედაც დაბნეულ ვლასიკს სტალინმა და იქვე დასძინა: „პირჯვრის სწორად გადაწერა თუ იცი“? ვლასიკი მალევე გამოერკვა და სხაპასხუპით, პატარა ბავშვს რომ გააზეპირებენ, ისე მიუგო: ამხანაგო სტალინ, მე უღმერთო ვარ და არავინ მწამსო. სტალინს გაეღიმა და კვლავ ჰკითხა: „არც კომუნიზმის და ჩემი?“ ვლასიკი გაფითრდა, ენა ჩაუვარდა და წაიბოდიალა: არა... რა თქმა უნდა, მწამს, მაგრამ ღმერთის კი არა, თქვენიო... სტალინს კვლავ გაეღიმა, თუმცა თემა შეცვალა და ისევ საქმეზე გადავიდა: „მიშა (ლაპარაკი ჩემზე იყო), „ჩისტი პერეულოკში“ (ამ მისამართზე მდებარეობდა რუსეთის პატრიარქ სერგის ახალი რეზიდენცია, სადაც ადრე გერმანიის ელჩი – შულენბერგი ცხოვრობდა), გააგზავნე და პატრიარქ სერგის აუწყოს, რომ წირვა-ლოცვაზე ვაპირებ მცირე ხნით მისვლას. შემდეგ კი მასთან ერთად ჩემს აგარაკზე გავემგზავრებით და საშობაო ლიტურგიის გასაგრძელებლად ვინმე შეიგულოს წინასწარ“. როდესაც ვლასიკმა სტალინის ბრძანება გადმომცა, უმალვე მის შესასრულებლად გავეშურე და პატრიარქ სერგის, სწორედ რომ, ბეწვზე მივუსწარი, ტაძრისკენ მიემართებოდა ფეხით. მაშინ, მე, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც კი არ მქონდა, როგორ უნდა მიმემართა სასულიერო პირისთვის და ასე დავიწყე: ამხანაგო სერგი, ამხანაგმა სტალინმა დამბაბარა, გადმოგცეთ, რომ ტაძარში წირვა-ლოცვაზე მოვა. შემდეგ კი თქვენთან ერთად კუნცევოში აქვს გადაწყვეტილი გამგზავრება და გავალებთ, თქვენი შემცვლელი მოძებნოთ საშობაო ლოცვისთვის-მეთქი. მეუფე სერგი დიდი სიდინჯით მისმენდა, შემდეგ გაეღიმა, პირჯვარი გამომსახა და მხოლოდ ამის შემდეგ მის თანმხლებ მიტროპოლიტ ალექსის გადაულაპარაკა: მეუფეო, ტაძარში შენ შემცვლი ლოცვისასო. მე თავი დავუკარი მათ და კრემლში გამოვბრუნდი. სტალინმა გულდასმით მომისმინა და როცა თხრობა დავამთავრე, მითხრა: „პატრიარქი პარტიული არაა, ამხანაგი რომ უწოდო, სასულიერო იერარქიის უმაღლესი წარმომადგენელია და მისთვის მეუფე უნდა დაგეძახა“. ღვთის გამოცხადების ტაძარში რომ მივედით, იქაურობა მრევლით იყო გაჭედილი. თუმცა, ჩვენები ყველაფერს აკონტროლებდნენ, რადგან, ვლასიკის ბრძანებით, ყოველი კუთხე-კუნჭული დაცული უნდა ყოფილიყო. ამდენი მორწმუნე-ქრისტიანის ხილვამ გულწრფელად გამაოცა. ვერ ვიფიქრებდი, ჩვენს დიად ქვეყანაში ასეთი რამ კიდევ თუ იყო შესაძლებელი. ტაძარში შესვლამდე სტალინმა მკაცრად გაგვაფრთხილა: „არანაირი აქტიურობა არ დავინახო თქვენი მხრიდან, მორწმუნეებს ნუ შეავიწროებთ. ნუ გეშინიათ, ეს ადგილი ისევე უსაფრთხოა, როგორც კრემლი ან კუნცევო“. ტაძარში შესვლისას დიდ ბელადს პირჯვარი არ გადაუწერია. თუმცა შევამჩნიე, რომ აშკარად რაღაცას ამბობდა გუნებაში და რატომღაც ვიფიქრე: ლოცულობს-მეთქი. მრევლი, თავდაპირველად ისე იყო ლოცვაში ჩართული, რომ სტალინი არავის შეუმჩნევია. შემდეგ ვიღაცამ დაინახა, მიაჩერდა და გვერდით მდგომს მუჯლუგუნი გაჰკრა, შემდეგ კი გადაულაპარაკა – სტალინიო. ამგვარად, სულ რაღაც ხუთიოდე წუთში, მთელი მრევლი დიდ ბელადს მისჩერებოდა და ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ. ამასობაში, პატრიარქი სერგი წირვა-ლოცვას ატარებდა და თან, ეტყობოდა, რომ დიდი ბელადის ნიშანს ელოდებოდა, რათა ლოცვა გადაებარებინა, თავად კი სტალინთან ერთად გამომგზავრებულიყო კუნცევოში. როგორც კი პატრიარქი საკურთხეველში შევიდა, მე, სტალინის ბრძანებით, მასთან მივედი და მოწიწებით, უკვე კარგი მორწმუნესავით, მივმართე: „მეუფეო, ამხანაგი სტალინი მანქანაში გელოდებათ“. სტალინს მთელი გზა მანქანის შუაში აწეული ჰქონდა და არაფერი მესმოდა, რაზე ესაუბრებოდა პატრიარქს.

დიდ სასადილოში, სადაც დიდი ბელადი, ჩვეულებისამებრ, სტუმრებს იღებდა, უკვე შეკრებილიყვნენ ბერია, მოლოტოვი, მიქოიანი, ვოროშილოვი, ჟდანოვი, კალინინი, ხრუშჩოვი და კაგანოვიჩი. სტალინი და მოხუცი პატრიარქი ერთდროულად შევიდნენ ოთახში და ყველამ, ბერიას გარდა, საკმაოდ გაოცებულებმა შეხედეს უჩვეულო წყვილს. დიდმა ბელადმა, მოხუცი პატრიარქი სუფრის თავში დასვა, თავად გვერდით მიუჯდა, მეორე თავში ბერია დასვა და ტრადიციულად, თამადობა დაავალა. სანამ ბერია ჭიქას ასწევდა, სტალინმა წითელი ღვინით სავსე ბოკალი აიღო და წარმოთქვა: „რუსეთი ტრადიციული ქვეყანაა, ხალხს დღემდე სჯერა ღმერთის და, ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, როდესაც ქვეყანაში მართლმადიდებლობა აღვადგინეთ და მრევლს თავისუფალი არჩევნის საშუალება მივეცით. ვფიქრობ, რუსეთის პატრიარქი სერგი ღირსეულ მამობას გაუწევს ყველა მორწმუნეს. დღეგრძელი და ჯანმრთელი იყავით, მეუფეო!“ სტალინმა მოხუც პატრიარქს ბოკალი მიუჭახუნა და ბოლომდე გამოცალა სასმისი. სანამ მეუფე სერგი რამეს იტყოდა, ჯერ სუფრა აკურთხა და მხოლოდ ამის შემდეგ დალია სამადლობელი, რომელიც ასე დაასრულა: „ჩვენი გამარჯვება ახლოა და გარწმუნებთ, ჩვენი ხალხის, მხედრობისა და მთავრობის შეუპოვარი, გმირული საქმიანობის მიღმა უფალი დგას, რომელმაც ეს ყოველივე შეგვაძლებინა“. ხმა არავის ამოუღია ხრუშჩოვის გარდა, რომელმაც, აშკარად მაამებლობის გამო წამოაყრანტალა: „რა შუაშია აქ ღმერთი, რომელიც არ არსებობს, როდესაც ჩვენი ხატი და სალოცავი ამხანაგი სტალინია“, – კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ დიდი ბელადის პირქუშ სახეს წააწყდა და ენა პირში ჩაუვარდა. პატრიარქს არამცთუ ხმა ამოუღია, ზედაც არ შეუხედავს ხრუშჩოვისთვის, რომელიც მარტო, თან ხშირ-ხშირად სვამდა და სულ რაღაც ერთ საათში ძალიან გაილეშა. სუფრაზე, ზოგადი საუბარი მიმდინარეობდა, რომელშიც აქა-იქ, რელიგიური თემაც გამოერეოდა ხოლმე. არც ერთ თანამესუფრეს, ხრუშჩოვისნაირი სისულელის ნატამალიც კი არ უთქვამს და ცდილობდნენ, არ ჩართულიყვნენ საუბარში. სტალინი აშკარად დაინტერესებული იყო ამ საკითხით და პატრიარქს სხვადასხვა კითხვას აძლევდა: „თქვენ კადრები ახსენეთ და საინტერესოა, სად წავიდნენ ისინი?“ – ჰკითხა სტალინმა სერგის. პატრიარქს ჯერ ჩაეღიმა, რადგან სასულიერო კადრების დიდი ნაწილი რეპრესიებს შეეწირა, შემდეგ კი უპასუხა: „ჩვენ ხალხს პატრიარქად ვამზადებთ, ისინი კი გენერალური მდივნები ხვდებიან“. ამით, სერგიმ სტალინზე მიანიშნა, რომელიც ადრე სემინარიული იყო. სტალინს გაეღიმა, თავი გააქნია და ჩაილაპარაკა: „დედაჩემს სიცოცხლის ბოლომდე უნდოდა, რომ მღვდელი ვყოფილიყავი“. თანამესუფრეებს ჩაეღიმათ, ხრუშჩოვი კი, რომელიც უკვე ღორივით ღრუტუნებდა (ასე იქცეოდა ყოველთვის ხრუშჩოვი, როდესაც ღვინის სმას გადაამეტებდა), შლეგიანივით ახარხარდა, ფეხზე წამოიჭრა და პატრიარქს შეუტია: „პროტესტს გამოვთქვამ! არავითარი მღვდლები, ძირს ცრურწმენა, გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს, სტალინს!“ – და ბოკალის პირზე მოყუდება სცადა, მაგრამ ვერ შესძლო და ღვინით სავსე სასმისი მკერდში ჩაიღვარა... ხრუშჩოვი არცთუ ისე იშვიათად ყოფილა ასეთ ღორულ მდგომარეობაში, მაგრამ დიდი ბელადი ყოველთვის თავშეკავებული იყო. ამჯერად კი მიუახლოვდა და მარჯვენა ხელით საკმაოდ ძლიერი სილა შემოკრა მარცხენა ყურში. ხრუშჩოვი ადგილს მოსწყდა და იატაკზე დაენარცხა ტომარასავით. შემდეგ, მან ვლასიკს ანიშნა, გაიტანეთო, თავად კი კვლავ პატრიარქის გვერდით დაჯდა. ხრუშჩოვი სააბაზანოში შევაგდეთ, რომელიც მეორე დილით მაგრად შეახურა დიდმა ბელადმა. ერთი საათის შემდეგ კი პატრიარქმა შობა მოგვილოცა და სასადილო ოთახი დატოვა, რათა მოსკოვში გამგზავრებულიყო. მეუფე სერგი თავად სტალინმა მიაცილა მანქანამდე.

სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა
ნიკა ლაშაურმა

გიორგი თოდუას გახსენება!

გიორგი! 20 აგვისტო შენი საყვარელი დაბადების დღეა – 40 წელი შეგისრულდებოდა! თუმცა არა, გია, შენს მარადისობაში ასაკი არ გეხება, მუდამ ახალგაზრდა და სიმპათიური იქნები... გეფერებით, გვენატრები და ძალიან გვაკლიხარ! ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ შენ და შენს პატარა ფერიას!

ოჯახი



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
მიხეილ ცაგარელი

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

კურტ ვონეგუტი

როგორ ხდება ადამიანის კოსმიური დასჯა და რატომ უნდა განვლოთ ფრთხილად სატანური და ახალმთვარეობის დღეები

ხშირად, როცა ადამიანი დილით ილვიძებს, ხვდება, რომ, დროა, რაღაც შეცვალოს; ან, დგება დილით, გადის სახლიდან, წინასწარ დასახული გეგმით იწყებს მოქმედებას, მაგრამ, უეცრად, სრულიად უმიზეზოდ და ყოველგვარი ახსნის გარეშე, უჩნდება ყველაფრის შეცვლის სურვილი. ამ დროს ზოგი ემორჩილება სურვილს, ზოგიც ჯიუტად, „რქებით“ აწვება დასახულ მიზანს და განაგრძობს საქმიანობას. ალბათ, ასეთი შემთხვევა ყველას ცხოვრებაში მომხდარა. შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ჩვენი ქვეცნობიერისა და კოსმოსური ენერგიების აშკარა გამოვლინებაა და, სასურველია, მის კარნახს ყოველთვის დავემორჩილოთ. კოსმოსი, ისევე, როგორც ქვეცნობიერი, ადამიანისგან დამოუკიდებლად აგროვებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და თავადვე აკეთებს დასკვნას. კოსმოსმაც და ჩვენმა ქვეცნობიერმაც წინასწარ იცის ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგი და ამის შესახებ ამა თუ იმ სახით გვანდოს კიდეც მინიშნებებს. ეს მინიშნებები, შეიძლება, გამოიხატოს აკვიატებული აზრებით, ფიქრებით, ქცევებით და ასე შემდეგ. თუ ადამიანი ვერ ხვდება ამას, უფრო სწორად, ვერც კი აცნობიერებს ამ ფორმით მინიშნებებს, მაშინ, შესაძლოა, მინიშნება სიზმრის სახით ან შეგრძნებით გამოგვეგზავნოს. ამიტომ, სიზმარს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოთ და დაეაკვირდეთ, მთვარის რომელ ფაზაში ნახულობთ მას.

შესაძლოა, ადამიანი კარგ განწყობაზე იყოს და, უეცრად, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ცუდ განწყობაზე დადგეს. თუ ამ დროს არ დაემორჩილებით კოსმიურ კანონებს, გადაწყვეტილებას არ შეცვლით და არ გააანალიზებთ თითოეულ გადადგმულ ნაბიჯს, რომლის გადადგმასაც უახლოეს მომავალში გეგმავთ, შესაძლოა, ეს დამღუპველი გამოდგეს თქვენთვის. ამ შემთხვევაში, პატარა დეტალს, წვრილმანსაც კი, რასაც ყურადღებით არ მოეკიდებით, შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყვეს.

კოსმოსში მთავარია სიტყვა, რომელსაც ჩვენ „კანონზომიერებას“ ვუწოდებთ. რაც ამქვეყნად ხდება, შემთხვევითი არ არის. ვარსკვლავებსა და პლანეტებს პირდაპირი კავშირი აქვს კონფლიქტებთან, ავიაკატასტროფებთან, ავარიებთან, ავადმყოფობასთან და ასე შემდეგ. ასე რომ, რაც ადამიანს ემართება, ყველაფერი კანონზომიერია.

ასტროლოგიაში არსებობს ორი დამსჯელი პლანეტა – სატურნი და მარსი. მათი მოქმედება ერთმანეთისგან სულ ცოტათი განსხვავდება, კერძოდ, მარსი უფრო ფეთქებადი და სწრაფად მოქმედია. როცა ცის კაბადონზე მარსის უარყოფითი გადანაცვლება ხდება, ამ დროს დედამიწაზე ავადმყოფობათა რიცხვი იმატებს. სატურნის მოქმედება მარსის მოქმედებაზე ხანგრძლივია.

დაახლოებით, 29-30 დღის განმავლობაში მთვარე მთლიანად გადის ზოდიაქოს რკალს, ზოდიაქოს თორმეტივე ნიშანს და ქმნის გარკვეულ კონფიგურაციას სხვადასხვა პლანეტის მიმართ. როცა მთვარე ქმნის 90-გრადუსიან უარყოფით ასპექტს სატურნთან, ურანთან და მარსთან, ამ პერიოდში ძალიან მაღალია უსიამოვნებების, კატასტროფებისა და ავარიების ალბათობა. თუ ამას თან ერთვის ახალმთვარეობის დღეები, სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება. სხვათა შორის, სტატისტიკის მიხედვით, სწორედ ახალმთვარეობის დროს იმატებს მკვლელობების, სხვადასხვა დაავადების გამოვლენის, ავარიებისა და კონფლიქტების რიცხვი.

ასევე, არსებობს მთვარის, ეგრეთ წოდებული, სატანური დღეებიც, კერძოდ: ახალი მთვარიდან მეორე, მესამე, მეხუთე, მეცხრე, მეთორმეტე, მეცამეტე და ოცდამეცხრე დღეები, რადგან, ამ დროს კოსმოსიდან დედამიწაზე ხდება უარყოფითი ენერგიის ჭარბად შემოდინება. ასევე, ამ პერიოდში იმატებს შავი ძალების მოზღვავება, რაც ხელს უწყობს უსიამოვნებებისა და სხვადასხვა სახის კატასტროფის წარმოქმნას.

როგორც ცნობილია, ყოველ ადამიანს გარშემო აკრავს ენერგოინფორმაციული აურა, რომელსაც გარკვეული მუხტი გააჩნია. ეს მუხტი კი არის როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი ან ნეიტრალური. როცა ერთად იმყოფება რამდენიმე ადამიანი, ხდება მათი მუხტების შერწყმა, შეჯამება და, თუ ამას დაემთხვა ასტროლოგიური თვალსაზრისით უარყოფითი, ანუ სატანური დღე, იქნება ეს ახალმთვარეობა თუ მარსისა და სატურნის 90-გრადუსიანი კვადრატული დამოკიდებულება ერთმანეთთან, მაშინ ეს ყველა ასპექტი იმაზე მიუთითებს, რომ მაღალია უსიამოვნებების, კონფლიქტების ან ავარიების რისკი.

გეტყვით იმასაც, რომ ადამიანის კოსმიური დასჯა არის გარკვეული მინიშნება იმისა, რომ ყველაფერი ასტროლოგიასთან და ვარსკვლავებთან არის დაკავშირებული. სატანური და ახალმთვარეობის დღეები კი ნებისმიერმა ჩვენგანმა ფრთხილად და წინდახედულად უნდა განვლოს.

შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: დავიბადე 1981 წლის 13 თებერვალს. მინდა უცხოეთში წასვლა. იქნებ, მირჩიოთ, ასტროლოგიურად რომელი ქვეყანაა ჩემთვის განსაკუთრებულად მისაღები?

პასუხი: უცხოეთის ქვეყნებიდან თქვენთვის მისაღებია: გერმანია, მაროკო, უნგრეთი, ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, აფრიკის ჩრდილო-დასავლეთი ქვეყნები, შოტლანდია, თურქეთი, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, ჩინეთი, იტალია და უზბეკეთი.

კითხვა: დავიბადე 1993 წლის 12 იანვარს, საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე. რომელი პროფესიებია ჩემთვის წარმატებების მომტანი?

პასუხი: პროფესიებიდან თქვენთვის წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო სფერო; მედიცინა, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, სამხედრო სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო და საინჟინრო საქმე.

კითხვა: დავიბადე 1989 წლის 4 ივლისს, დილის საათებში. რა არის ჩემი კარმული მისია და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს დავუკავშირო ბედი?

პასუხი: საოჯახო-სასიყვარულო თვალსაზრისით, თქვენთვის მისაღებია ურთიერთობა: კუროს, თევზების, მორიელის ან ქალწულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან. დედამიწაზე თქვენი კარმულ-კოსმიური მისია კი იმაში მდგომარეობს, რომ ხასიათში მეტად უნდა გამოავლინოთ დადებითი თვისებები, დაეყრდნოთ ინტუიციას, დაიცვათ საიდუმლო, გამოიჩინოთ დიპლომატიურობა ურთიერთობებში; ასევე, იყავით ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანად მხარჯველ-გამნაწილებელი, წინდახედული, ფრთხილი და სტაბილური. ეს წარმატებებსაც მოგიტანთ და კოსმიურ მისიასაც შეასრულებთ.

კითხვა: დავიბადე 1986 წლის 14 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე. რომელი ქვის ტარებას მირჩევთ?

პასუხი: თქვენთვის მისაღებია აქატის, მალაქიტის, აკვამარინის, საფირონის, ცირკონისა და ძოწის ტარება.

კითხვა: დავიბადე 1979 წლის 22 იანვარს. გთხოვთ, მითხრათ, რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან გამიმართლებს ოჯახურ ურთიერთობებში?

პასუხი: ოჯახური ურთიერთობების თვალსაზრისით, თქვენთვის მისაღებია: მშვილდოსნის, სასწორის, ტყუპების ან ვერძის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები.

კითხვა: დავიბადე 1990 წლის 12 დეკემბერს. უცხოეთის რომელ ქვეყანაში მირჩევთ გამგზავრებას და რომელი ქვის ტარება მომიტანს წარმატებებს?

პასუხი: თქვენთვის ქვებიდან წარმატებების მომტანია: ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სარდონიქსი, ოქროსფერი ტოპაზი, მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო, გიშერი. რაც შეეხება უცხოეთს, შესაძლოა, იქ ბევრი ბარიერი და პრობლემა შეგექმნათ, რადგან, ის თქვენი კარმული მისია არ არის. ამიტომ, თუ გამოიჩენთ ორმაგ ორგანიზებულობას, შეუპოვრობას, ნებისყოფასა და მიზანსწრაფვას, შესაძლოა, წარმატებებს რაღაც დონეზე მიაღწიოთ. ქვეყნებიდან კი შედარებით მისაღებია: ინგლისის დასავლეთი მხარე, ბელგია, კანადა, კუნძული სარდინია, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, საბერძნეთი, ნორვეგია, ინდოეთი, ბრაზილია, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალიის ცენტრალური ნაწილი, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, პაკისტანი, კუნძული მალტა.

კალეიდოსკოპი

მზის მაგნიტური ველი პოლარობას იცვლის

ამერიკის კოსმოსური სააგენტოს „ნასას“ მონაცემებით, უახლოეს დროში მზის მაგნიტური ველი გადაბრუნდება – ეს მოვლენა ყოველ 11 წელიწადში ერთხელ ხდება და დაკავშირებულია მნათობის აქტივობის პიკის მიღწევასთან. „ნასას“ მზის ობსერვატორიის დაკვირვებები აჩვენებენ, რომ ეს მომენტი ძალზე ახლოსაა.

„როგორც ჩანს, ველის სრულ მობრუნებამდე სულ რაღაც სამი-ოთხი თვე დარჩა. ეს ცვლილება გამოიწვევს ტალღურ ეფექტს მთელ მზის სისტემაში“, – განაცხადა სტენფორდის უნივერსიტეტის მზის ობსერვატორიის დირექტორმა ტოდ ხოკრემამ, – გამორიცხული არ არის, რომ ამ პროცესმა გავლენა დედამიწაზეც იქონიოს – გამოიწვევს კლიმატის ნეგატიურ ცვლილებას, პრობლემები შეექმნება GPS-ის თანამგზავრებს და ელექტროგადამცემ ხაზებში ძაბვა მკვეთრად მოიმატებს. მაგნიტური ველის ცვლილებამ და ამით გამოწვეულმა ნაწილაკთა გრიგალურმა ნაკადმა არა მარტო თანამგზავრებს, შეიძლება, კოსმოსში ასტრონავტებსაც მიაყენოს ზიანი.

როგორც მეცნიერებმა განმარტეს, ამ მოვლენის დროს მზის ჩრდილოეთი და სამხრეთი მაგნიტური პოლუსები თანდათან იწყებენ შესუსტებას და ნულისკენ მიისწრაფვიან, შემდეგ კი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლარობას მიიღებენ. ფიზიკოსმა ფილ შერერმა აღნიშნა, რომ „ეს მზის ციკლის ჩვეულებრივი ნაწილია“.

სპეციალისტების თქმით, მზის უკანასკნელი აქტივობის პიკი ყველაზე სუსტი იყო ბოლო 100 წლის მანძილზე. მიმდინარე წელს მზეზე პლაზმის ამოფრქვევა, რომელიც მაგნიტურ ქარიშხალს იწვევს დედამიწაზე, ნაკლები იყო, ვიდრე ციკლის წინა მაქსიმუმები.

რა სურთ კატებს?

რას უნდა ნიშნავდეს კატის კრუტუნი და რატომ არ უნდა მოვფხანოთ კატას მუცელზე, თუ ის ზურგზე წევს? ბრიტანელმა სპეციალისტებმა გადაიღეს ვიდეო, რათა დაეხმარონ კატის მოყვარულებს, კარგად გაუგონ თავიანთ საყვარელ ცხოველებს. თუ თქვენ გგონიათ, რომ თქვენი აღზრდილი ქუჩიდან მოსულს გეგებებათ და გეხახუნებათ, რომ საკვები გამოგთხოვოთ, ცდებით. სინამდვილეში, ასე „აძევებს“ ის უცნობ სუნებს და ტოვებს თავისას. ამას გარდა, ესაა მისთვის სასიამოვნო ადამიანთან მისალმების ფორმა.

თუ თქვენი მისვლისას კატა მაღლა აწეული კუდით გეგებებათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მას თქვენი დანახვა უხარია.

ნუ ფიქრობთ, რომ კატები დივანსა და სავარძელს, იმიტომ ეხახუნებიან, რომ იქ ბეწვები დატოვონ; ცხოველები ამით „თავის“ ტერიტორიას მონიშნავენ – იქ თავიანთ სუნს ტოვებენ.

სიურპრიზი შეიძლება შემოგთავაზოთ კრუტუნმა. ყველა მიჩვეულია, რომ ამით კატა სიხარულს გამოხატავს, სინამდვილეში კი კატები იშვიათად კრუტუნებენ, თანაც, მაშინ, როდესაც მათ რაიმე სტკივათ.

გამოკითხულთა მესამედმა არ იცის, რას გამოხატავს კატა, როდესაც თვალებს ნაბავს. ეს ნიშნავს, რომ ის ძალზე კმაყოფილი ან მოთენთილია. მაგრამ, თუ თქვენ შეამჩნევთ, რომ ამას ძალზე დიდხანს აკეთებს, ალბათ, მას რაღაც სტკივა.

ადამიანებს ჰგონიათ, რომ, როდესაც კატა ზურგზეა წამოგორებული, მოფერებას ითხოვს, სინამდვილეში ისინი ამით გამოხატავენ თავიანთ სიყვარულს თქვენდამი და, თუ თქვენ ამ დროს მის მუცელს შეეხებით, ისინი გაურკვევლობაში ვარდებიან, ჰგონიათ, რომ თქვენ ბოროტად ისარგებლეთ მისი ნდობით და, შეიძლება, დაგაკწროთ კიდეც.

თუ კატა პირს ილოკავს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის წყალს ითხოვს, სინამდვილეში ამით სტრესს გამოხატავს, ანდა, უბრალოდ, ჭამის შემდეგ ისუფთავებს პირს. პატრონთა 40 პროცენტმა არ იცის, რომ, თუ კატას ყურები აქვს აცქვეტილი, ის შეშინებულია. ამ დროს კატას ურჩევნია, სადმე დაიმალოს.

მოამზადა
ლაშა გაგელიამ

ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა
მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს
საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო
ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო
ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის
ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების
სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების
კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის
ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების
სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა
ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი
ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია
სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

ორშაბათი 19 აგვისტო

08.00 დ/ფ "აისი დედამიწაზე" **09.00** საბ. ან/ფილმი: " ჭიანჭველების რისხვა" **10.30** ან/სერ. "პატარა წინილები" **11.00** "ეკონომმენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **" იმედია მოვასერხებთ"** **14.30** დ/ფ "ნათელი თაბორისა" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **22.00** მხ/ფ **"ჩემი ძმა იყო"** **00.00** "საფარი" **26**-ე გადაცემა.

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **2** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"**. **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული** **21.00** სერ. **"დაბრუნება"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. **"სხელი ქალი"** **00.15** მხ/ფ. **"საბილიარდო"** (რ.საწჩესი).

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ "HOOK" **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"სრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"რაც გინახავს ველარ ნახავ""** **14.00** სერ **"ერთგულების ქალა"** **15.30** შერეკილები. **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.30** მხ/ფ.

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მალვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ **"დიდი ქალაქის ჩირაღდნები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.50** მსოფლის ხალხთა ზღაპრები **09.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 15.00, 18.05, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ცისფრი მთები"** **13.20** ხილთა ქება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.30** სპექტაკლი - **"წუთისოფელი"** **17.30** "საუფლონი" ნათელი თაბორისა" **18.30** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ქრისტიანული სწავლება **18.50** ფერისცვალება (პატრ.ჯგ) **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები მამა არჩილ ხაჩიძე მილანის ეპიდეტი **22.25** ფერისცვალება (რ.ძნელაძე) **22.35** "ჩვენი ფონდი" ე.კავლელიშვილი - ფერისცვალების ხატი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მხ/ფ **"ღვინის ჟურდები"** **00.30** მხ/ფ **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **02.00** ირაო.

სამშაბათი 20 აგვისტო

08.00 დ/ფ " აისი დედამიწაზე" **09.00** საბ. მხ/ფ **"კიტი კიტრივი: ამერიკელი გოგონას ოცნება"** **10.30** ან/სერ. "პატარა წინილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **" პარი პოტერი და ნახევარსისხლა პრინცი"** **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხეები" **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. პლეიოფი. (პ/რ) **00.40** დ/ფ "გონებაში".

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **3** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კონცერტი: "პაემანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" I ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"**. **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული** **21.00** სერ. **"დაბრუნება"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ქ.სერ. **"სხელი ქალი"** **00.15** მხ/ფ. **"ფარული მუქარა"**.

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **"JUMANJI"** **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"სრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"ნაბვრის ხე"** **14.00** სერ. **"ერთგულების ქალა"** **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** გააცინე და მოიგე. **23.00** სერ. **"სიცრუის თეორია"** **01.00** მხ/ფ.

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მალვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.20** მხ/ფ **"კასაბლანკა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.50** მსოფლის ხალხთა ზღაპრები **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **10.55** "საუფლონი" ნათელი თაბორისა" **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **15.20** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.40** კონცერტი -ანს."ბასიანი" ლ ნაწ. **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი ფონდი" ბ.წიფურია - კოლონიური გამოცდილება და ქართ.ლიტერატურა **23.35** მოკ/ფ **"საპოვნელა"** **00.25** ისტორიის დღიური **00.35** მხ/ფ **"ბერნარდა ალბას სახლი"** **02.00** ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

კინოთეატრები

კინოთეატრი „რუსთაველი“
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

19 – 25 აგვისტო

დარბაზი 1

15.15 - **„სმურფები 2“** 3D, ***ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ.***

17.30, 20.00, 22.30 - **„ჩვენ ვართ მილერები“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.***

დარბაზი 2

14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„რა მოხდა კიევში“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 30 წთ.***

დარბაზი 3

14.45, 20.00 - **„X-ადამიანები: უკვდავი“** 3D, ***ხანგრძლივობა 2სთ. 05 წთ.***

17.30, 22.30 - **„წყევლა“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.***

დარბაზი 4

14.30 - **„ტურბო“** 3D, ***ხანგრძლივობა 1სთ. 35 წთ.***

17.00 - **„ელიზიუმი“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.***

19.45, 22.15 - **„რედი 2“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 55 წთ.***

დარბაზი 5

14.00, 16.45 - **„სმურფები 2“** 3D, ***ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ.***

19.30, 22.30 - **„ელიზიუმი“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

კინოთეატრი „ამირანი“
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

დიდი დარბაზი

14.45, 17.45 - **„სმურფები 2“** 3D, ***ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ.***

19.45, 22.30 - **„პარანოია“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ.***

მცირე დარბაზი

14.30, 22.30 - **„ელიზიუმი“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.***

17.15 - **„პარანოია“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.***

20.00 - **„წყევლა“**, ***ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

ბოსტნეულის რაგუ

საჭირო ინგრედიენტები: 1 ცალი ბადრიჯანი, 1 ცალი ყაბაყი, ნახევარი წითელი და ნახევარი მწვანე ან ყვითელი ბულგარული წიწაკა, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 2 კბილი ნიორი, 2-3 ცალი ცოცხალი პომიდორი, 0,5 ჭიქა ტომატ-პასტა, კამა და ოხრახუში, ზეითუნის ზეთი; მარილი და პილპილი – გემოვნებით. სურვილისამებრ – ხმელი სუნელები.

მომზადების წესი: დაჭერით ბოსტნეული კუბიკებად. ჯერ ზეთში მოშუშეთ ხახვი და სტაფილო. სათითაოდ ჩაუმატეთ ბადრიჯანი, ყაბაყი და ბულგარული წიწაკა. პომიდორს გადააცალეთ კანი და დაჭერით. ძალიან წვრილად დაჭერით მწვანილი. ნიორი დანაყეთ.

ბოსტნეულს დაასხით პომიდორი, მოაყარეთ მწვანილი, ნიორი და ბოლოს მოასხით ტომატ-პასტა. ჩაშუშეთ ყველაფერი ძალიან დაბალ ცეცხლზე. უყავით მარილი, შავი პილპილი და სუნელი. კარგად ამოურიეთ და მზად არის. სუფრაზე მიტანის წინ ცოცხალი მწვანილიც შეგიძლიათ მოაყაროთ.

გურმანთა მეგზური

ყველის ომლეტი



საჭირო ინგრედიენტები: 1 ცალი ყაბაყი, 1 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1-2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, შავი და თეთრი პილპილის ნარევი, მარილი გემოვნებით, მწვანე, წიწაკიანი ზეთისხილი, შავი უკურკო ზეთისხილი, 100 გრამი მაგარი ყველი, 6 ცალი კვერცხი, 3 ღერი ნიახური.

მომზადების წესი: ბოსტნეული გაარჩიეთ და დაჭერით: ყაბაყი და ხახვი – რგოლებად, წიწაკა – კუბიკებად, ნიახური – მსხვილად. ხახვი და ნიორი ზეთში ოდნავ მოშუშეთ, დაუმატეთ ბოსტნეული, წიწაკა და შუშეთ კიდევ 10 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ მწვანე და შავი ზეთისხილი (რაოდენობა – სურვილისამებრ). კვერცხი ათქვიფეთ დაფხვნილ ყველთან ერთად (შეგიძლიათ, ცოტა როზმარინიც დაუმატოთ). წაუსვით გამოსაცხობ ფორმას ზეთი, მოათავსეთ მასზე ბოსტნეულის მასა და მოასხით ყველიანი კვერცხი. გამოაცხვეთ აირღუმელში 200 გრადუსზე, 10-15 წუთის განმავლობაში.

ბემრიელი და პიკანტური

საჭირო ინგრედიენტები: 100 მილილიტრი ზეთი, 1 თავი ნიორი, 50 გრამი ახალი ნივრის მწვანე ფოჩები, 200 გრამი კომბოსტო, 250 გრამი მწვანე ლობიო, 2 ცალი მწარე წითელი წიწაკა, 2-3 ცალი ბულგარული წიწაკა, 500 გრამი პომიდორი, 400 გრამი სტაფილო, 500 გრამი ხახვი, 1,5 კილოგრამი ხბოს (ან საქონლის) ხორცი, 100 მილილიტრი სოიის სოუსი, ხმელი სუნელი, ოხრახუში, 250 გრამი ნორჩი ბოლოკი.

მომზადების წესი: ეს კერძი შეგიძლიათ პიკნიკზე, კოცონზეც კი მოამზადოთ. ამისთვის თუჯის კარდალა დაგჭირდებათ. ქვაბში ჩაასხით 70 მილილიტრი ზეთი. გააცხელეთ, ჩაყარეთ მასში ხორცის ნაჭრები და მოხრაკეთ ძლიერ ცეცხლზე. ხორცი ფერს კარგად რომ შეიცვლის, ჩაუმატეთ ნახევარრგოლებად დაჭრილი ხახვი. ამოურიეთ, მოასხით სოიის სოუსი (2 სადილის კოვზი მოიტოვეთ) და შუშეთ ათი წუთი. ცეცხლს ცოტა დაუკელით და ჩაუმატეთ ჯერ წვრილ ჩხირებად დაჭრილი სტაფილო, ათი წუთის შემდეგ კი კანგაცლილი, შუაში გადაჭრილი პომიდვრები და შუშეთ კიდევ 5 წუთი. შემდეგ ჩაუმატეთ ლობიო. კიდევ ხუთი წუთის მერე – ბულგარული წიწაკა (ისიც წვრილ ჩხირებად დაჭრილი), თან პერიოდულად ურიეთ. წვენი იქამდე უნდა ჩაიშროს, რომ ბოლოს ბოსტნეულს 1 სანტიმეტრით ფარავდეს. როცა ბულიონი დუღილს კარგად დაიწყებს, ჩაუმატეთ ჯერ დაკეპილი კომბოსტო, მერე კი ჩხირებად დაჭრილი ბოლოკი, კარგად ამოურიეთ და ცოტა ხანს კიდევ შუშეთ. ბოლოს დაუმატეთ მწარე წიწაკა, სუნელი, ნივრის დაჭრილი ფოჩები, დაახურეთ თავზე და შუშეთ 5 წუთი. გადმოიღეთ ცეცხლიდან და გააჩერეთ 10-15 წუთი (თავი არ მოხადოთ).

ცალკე მოამზადეთ სოუსი: წვრილად დაჭრილ ნიორს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი მწარე წითელი წიწაკა, 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 30 გრამი ზეთი, ათქვიფეთ და მზად არის. კერძი მიირთვით ამ სოუსთან ერთად.

სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

ქათმის შნიცელი

საჭირო ინგრედიენტები: 3 სადილის კოვზი ფქვილი, 1 ჩაის კოვზი გამშრალი რეჰანი, 1/4 ჩაის კოვზი მარილი, 1/4 ჩაის კოვზი პილპილი, 4 ნაჭერი ქათმის ფილე, 0,5 ჭიქა ზეითუნის ზეთი, 0,5 ჭიქა საფანელი, 1 ცალი დიდი კვერცხი.

მომზადების წესი: ფქვილი, პილპილი, მარილი და წვრილად დაჭრილი რეჰანი აურიეთ. ქათმის ფილეს ნაჭრები გაჭერით სიბრტყეზე, დაბეგვეთ და ამოავლეთ ჯერ გათქვეფილ კვერცხში, შემდეგ კი საფანელში. ტაფაზე დაასხით ზეთი და გააცხელეთ. დააწყვეთ ქათმის ხორცის ნაჭრები და ორივე მხრიდან შეწვით საშუალო ტემპერატურაზე.

თევზის სუპი „ფინსკი“

საჭირო ინგრედიენტები: 400 გრამი წითელი თევზი, 2 ცალი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 50 გრამი კარაქი, 1 ჭიქა ნაღები, 1/4 ჩაის ჭიქა დაკეპილი კამა, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, პილპილი და მარილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: მოხარშეთ თევზის ბულიონი პილპილის, დაფნის ფოთლისა და მარილის დამატებით. ამოიღეთ თევზი, მოაშორეთ კანი და ფხები და დაჭერით პატარა ნაჭრებად. ხახვი დაჭერით წვრილად და კარაქში მოშუშეთ. ბულიონში მოათავსეთ დაჭრილი კარტოფილი და მოხარშეთ, ჩაუმატეთ მოშუშული ხახვი, ნაღები, შეგრილებული თევზის ნაჭრები, კამა და, როცა ადუღებამდე მივა, ცეცხლიდან გადმოდგით.

გამომცხვარი ღორის ნეკნები

საჭირო ინგრედიენტები: 1.5 კილოგრამი ღორის ნეკნები, 100 გრამი ხახვი, 200 გრამი სტაფილო, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 150-200 გრამი ყველი „ბრინზა“, 3 სადილის კოვზი მაიონეზი, ზეთი – მოსაშუშად, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: ღორის ნეკნები დაჭერით თხელ ნაჭრებად და მოათავსეთ გამოსაცხობ ფორმაზე. ზეთში მოშუშეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი და მსხვილ სახეხზე გახეხილი სტაფილო, დაუმატეთ ტომატ-პასტა, მოაყარეთ მარილი და პილპილი. ხახვისა და სტაფილოს მასა გადაანაწილეთ ნეკნებზე, ზემოდან დააწყვეთ თხლად დაჭრილი ყველის ნაჭრები, წაუსვით მაიონეზი, დააფარეთ ფოლგა და 30 წუთის განმავლობაში შედგით 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში.

38-ე გვერდიდან

ოთხშაბათი 21 აგვისტო

08.00 დ/ფ "აისი დედამიწაზე" **09.00** საბ. ან/ფილმი: "ოთხი ლოთხენი" **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **"სუპერმენის დაბრუნება"** **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.00** დ/ფ "უხილავი სამყარო" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხეები" **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. პლეიოფი. (პ/რ) **00.40** დ/ფ "გონებაში".

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 4** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"**. **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული** **21.00** სერ. **"დაბრუნება"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი"** **00.15** მხ/ფ. **"წლის მამაკაცი"** (ქ.უოქენი).

08.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **"KARATE KID "** **10.00** სერ. **"სიყვარული მუვენიერია"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"ჭირვეული მეზობლები"** **14.00** სერ **"ერთგულების ძალა"** **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** სერ. **"სიცრუის თეორია"** **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ.

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.00** "კვირის აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ **"ბერნარდა ალბას სახლი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.50** მსოფლის ხალხთა ზღაპრები **09.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** მოკ/ფ "საპოვნელა" **11.20** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.15** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** აქტუალური თემა **15.30** ისტორიის გაკვეთილი **16.10** კონცერტი - ღამის სერენადები - **2011**დასკვნითი საღამო(ლიანა ისაკაძე) **18.05** დიდ ხარ შენ,უფალო **18.25** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55, 00.30** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" **00.35** მხ/ფ **"თხუნელა"** **02.00** ირაო.

ხუთშაბათი 22 აგვისტო

08.00 დ/ფ "აისი დედამიწაზე" **09.00** საბ. მხ/ფ **"მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ"** **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **"ოსტინ პაუერსი: ჯაშუში" რომელმაც შემაცდინა"** **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **20.00 ფეხბურთი**. ევროპის ლიგის პლეიოფის პირველი მატჩი: **"დინამო"** /თბილისი/ – **"ტოტენჰემი"** /ინგლისი/ (პ/რ დინამო არენადან) **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.30** მხ/ფ **"სისხლიანი ალმასი"** (ლ.დიკაპრიო)

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 5** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ.**"დაბრუნება"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი"** **00.15** მხ/ფ. **"ჰკითხე მტვერს"** (ს.ჰაიეკი).

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **"STEAMBOY"** **10.00** სერ.**"სიყვარული მუვენიერია"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"შეწყვეტილი სიმღერა"** **14.00** სერ **"ერთგულების ძალა"** **15.30** გააცინე და მოიგე **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** სერ. **"სიცრუის თეორია"** **01.00, 03.30** მხ/ფ.

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **13.45** "ჩემი ქორწილი" (გამ.) **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ **"თხუნელა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.50** მსოფლის ხალხთა ზღაპრები **09.05,18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" **11.15** ეთნოგრაფია **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** **13.15** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სალბუნი **15.30** დოკ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" **16.30** კონცერტი - ვოკალური მუსიკის საღამო **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ **"თემო"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ლექსით ქებათა ქება **21.10** ერთსულოვნების სალონი კავკასია **22.25** მოკ/ფ **"პიესა ოთხი ხელისთვის"** **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მთის რაინდი" **23.40** ჩვენი ფონდი **00.35** მხ/ფ **"განძი"** **02.00** ირაო.

პარასკევი 23 აგვისტო

08.00 დ/ფ "აისი დედამიწაზე" **09.10** საბ. ან/ფ " ლუნი ტიუნზი ისევ საქმეშია" **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** ან/ფ "ბეტმენი" **14.00** დ/ფ "მონტესუმა" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** მხ/ფ **"დეკემბრის ბიჭები"** (დ.რედკლიფი) **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ **"მხარეთა აზრი"** (ტიტ.) **00.35** დ/ფ "გონებაში".

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 6** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ.**"დაბრუნება"** **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ/სერ. **"ცხელი ძაღლი"** **00.15** მხ/ფ. **"სნაიპერი"** (ბ.ზეინი).

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **"SHORT CIRCUIT2"** **10.00** სერ. **"სიყვარული მუვენიერია"** **11.00** სერ.

"ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ **"კეთილი ადამიანები"** 14.00 სერ **"ერთგულების ძალა"** 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** 18.50 სერ. **"ტიტების დრო"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 სერ. **"სისრუის თეორია"** 01.00 მხ/ფ.

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 16.00 **სერიალი "შტორმი"** 19.00 **სერიალი "1001 ღამე"** 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.30 მხ/ფ **"ბანძი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.50 მსოფლის ხალხთა ზღაპრები 09.05,18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მოკ/ფ **"პიესა ოთხი ხელისთვის"** 11.00 დოკ/ფ "მთის რაინდი" 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"თემო"** 13.15 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან 15.30 დეკორატიული ფლორა 15.40 კონცერტი -მანანა დოიჯაშვილი 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 დოკ/ფ "უფლისციხე" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ **"მწვერვალი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.35 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.35 მხ/ფ **"ო, რა ტკბილია განშორებ**ის ეს ნაზი სევდა".

შაბათი 24 აგვისტო

08.00 საბავშვო მხ/ფ **"ოქროს კომპასი"** 09.40 საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონები" 10.30 ან/სერ. "პატარა წიწილები" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – "გაზაფხული ვენაში – 2013" 14.00 ფილმი ნოსტალგია: **"სვავებს შორის"** 15.30 "საფარი" 16.30 ქართ. ტ/ფ. **"მე მოვედი"** 18.00 "10|10" 19.00 ან/სერ. "ოჯახური გამოძიება" 20.35 ქართ. მხ/ფ **"დღე უკანასკნელი" დღე პირველი"** 22.00 მხ/ფ **"ოუშენის 13 მეგობარი"** (ჯ.კლუნი) 00.00 მხ/ფ **"ოჯახური ნაკლი"** (ნ.მანფრედი).

08.00 მხ/ფ. **"ქარიშხლის მაცნეები"** 10.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** 13.00 სერ. **"სონის შანსი"**. 14.20 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ **"მაგნატები"** 18.50 სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 21.00 სერ.**"დაბრუნება"** 22.00 ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) 23.00 იუმორინა (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ. **"კერკეტი კაკალი 3"** (ბ.უილისი) 02.15 მხ/ფ. **"ძმები მეტოქეები"** (ა.გარსია) (ტიტ.).

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ. **"ADVENTURES OF TINTIN"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ **"შერეკილები"** 15.30 კომედი კონცერტი 18.50 სერ. **"ტიტების დრო"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 "Latin Angels" 01.30 მხ/ფ.

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 0.30, 5.30 ღია კარის დღე 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "1001 ღამე"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 21.45, 4.30 თოქ-შოუ "პრესპრესი" (გამ.) 23.00 მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები) 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 2.30 მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები).

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.50 მსოფლის ხალხთა ზღაპრები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 09.05,18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15,19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"მწვერვალი"** 13.30 ჩვენი ფონდი 14.10 სათავეებთან 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა - **"ბოჰემა"**თამარ ივერი 17.50 ფოტოგალერეა 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი - ქართული ენა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექსით ქებათა ქება 21.35 ერთი დღე მონასტერში 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 ქართული ხმები 00.35 მხ/ფ **"ელ სიდი"**.

კვირა 25 აგვისტო

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" 09.30 საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონები" 10.30 ან/სერ. "პატარა წიწილები" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – თავისუფალი თეატრის სპექტაკლი: **"რეა მოსიყვარულე ქალი"** (კ-"24-2857) 14.30 ფილმი ნოსტალგია: **"ფანტოცი სამოთხეში"** (პ.ვილაჯო) 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 I არხი წარმოგიდგენთ – თეატრალური კვარტეტი და შვიდკაცა 18.00 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი. III ტური. (ბ/რ) 20.50 "უცნობი მუსიკა" 22.30 მხ/ფ **"ჯონ ლუი"** 00.35 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები".

08.00 მხ/ფ. **"მეტსახელად "მწვანდავი"** 10.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ (გ/ჩ) 12.00 ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) 13.00 სერ. **"სონის შანსი"** 14.20 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.40 იმედის გმირები 18.00, 19.05 სერ. **"ლურჯი კვამლი"** 21.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 22.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) 23.00 იუმორინა (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ. **"ილბლიანი სლევინი"** (ჯ.ჰარტნეტი) 01.55 მხ/ფ. **"გზა წარმატებისკენ"** (მ.ფეროუ).

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ. "SMURFS" 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ **"გაჭედილები"** 15.30 კომედი კონცერტი 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 00.30 "Latin Angels" 01.00 მხ/ფ.

7.00, 0.30, 2.00, 3.00, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 20.00, 4.30 "ჩემი ქორწილი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30 **სერიალი "1001 ღამე"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.45, 22.30 "ღია კარის დღე" 19.30 "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება 21.45, 2.30 კვირის აბები 23.00 "კინო მაესტროზე" 1.15, 3.30, 5.20, 6.30 ფარული კამერა.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"არდადეგებზე"** 12.20 ერთი დღე მონასტერში 13.50 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 ისტორიის გაკვეთილი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.00 ღია აუდიტორია 19.40 მხ/ფ **"ფიროსმანი"** 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ **"საბრალონი"**.

ვერძი

სიფრთხილით მოეკიდეთ საბუთებს. ეცადეთ, მოერიდოთ ზღვარგადასულ გართობასა და ბევრ შეხვედრას. არ არის გამორიცხული, მოგზაურობა გადაიდოს. სიფრთხილე გმართებთ სასიყვარულო ურთიერთობებში, რადგან, შეიძლება, ეჭვიანობა ჩხუბისა და დაშორების მიზეზი გახდეს.

კურო

მატერიალური საკითხების გადაწყვეტისას გამოცდილი მეთოდებით იხელმძღვანელეთ. მოსალოდნელია წარმატებული გარიგებები. კარგია დასვენება. არ იქნება ურიგო, თუ დაფიქრდებით საცხოვრებლის გამოცვლაზე.

ტყუპები

თავი აარიდეთ კამათსა და გაუგებრობებს. ამ პერიოდში დაწყებული საქმე კარგ შემოსავალს გპირდებათ. საყვარელი ადამიანის მხრიდან უტაქტობას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. არ გირჩევთ მოგზაურობას. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

კირჩხიბი

ფინანსური წინსვლისა და საქმეებში წარმატების პერიოდია. ორგანიზატორული თვისებების მეშვეობით, გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ბევრ სიხარულს მოგიტანთ.

ლომი

კარიერაში ზრდისთვის ძალზე ხელსაყრელი პერიოდია. თამამად განახორციელეთ ჩანაფიქრები. აუცილებლად აკონტროლეთ ემოციები. არ არის გამორიცხული, მოგზაურობის დროს ახალ სასიყვარულო ურთიერთობას დაედოს საფუძველი. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას.

ქალწული

საზოგადოებრივი საქმიანობა თვითკმაყოფილებასა და პატივისცემას მოგიტანთ. ეცადეთ, მოქმედებისას აკონტროლოთ ემოციები და მოზღვავებული ტემპერამენტი. საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი გაგიუარესებთ ჯანმრთელობას. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას.

სასწორი

შემოსავლების მიღება გართულდება, რაც თქვენს შინაგან მდგომარეობას დაამძიმებს. საყვარელი ადამიანი გვერდით დაგიდგებათ. რთულ სიტუაციაში დახმარება სთხოვეთ გამოცდილ ადამიანებს. ეცადეთ, თავი აარიდოთ იურიდიულ და სამართალდამცავ ინსტანციებთან ურთიერთობას. ყურადღება მიაქციეთ საბუთებს.

მორიელი

კარგი დროა სიყვარულისა და ქორწინებისთვის. საყვარელი საქმე ფინანსურადაც მეტად მომგებიანი გახდება და შემოქმედებით პოტენციალსაც აგიმაღლებთ. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, საინტერესო ხალხთან ურთიერთობა.

მშვილდოსანი

გამოიყენეთ ეს დრო სახლში ინტერიერის შესაცვლელად. ნუ დახარჯავთ ბევრ ფულს გართობაზე. კარგია ბუნებაში დასვენება. კარდინალურ გარდაქმნებს პირად ცხოვრებაში ჯერ ნუ დაიწყებთ და ნურც დაგეგმავთ. მიეცით შანსი საყვარელ ადამიანს, პირველმა გააკეთოს არჩევანი.

თხის რქა

კარგია დასვენება, გეგმური სამედიცინო კვლევა, ცოდნის გაღრმავება. არ აჰყვეთ ინტრიგებს. საყვარელი ადამიანი სიხარულით აგავსებთ და ბევრ სასიამოვნო წუთს მოგანიჭებთ. ნურავისზე ნუ გაბრაზდებით და, მით უმეტეს, ნუ ჩაიდებთ გულში წყენას.

მერწყული

მომხიბვლელობით ბევრს შეაყვარებთ თავს. მოზღვავებული ენერგიის წყალობით, ადვილად დაიკავებთ ლიდერის პოზიციას და ჩანაფიქრების რეალიზებასაც შეძლებთ. კარგია ახალი საქმის დაწყება, კაპიტალდაბანდება.

თევზები

კარგი პერიოდია სახლისა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების მოსაგვარებლად, თუმცა, კრედიტის აღებას არ გირჩევთ. დაღლილობის შემთხვევაში კარგად გამოიძინეთ. კარგია დასასვენებლად წასვლა. ფარული სასიყვარულო ურთიერთობა კი მომავალში ნერვიულობის საბაბი გახდება.

ახალმთვარეობა – 5 სექტემბერი, 11 სთ: 33 წთ.

კვირის დღეების ასტროპროგნოზი

ორშაბათი

კარგია ინტელექტუალური და სულიერი განვითარება, საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეები. ატარეთ ვერცხლისფერი, ლურჯი, ნაცრისფერი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ტოპაზი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალში აღება, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, თვალები.

პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.

სამშაბათი
გეომაგნიტური დღე

მაღალია ენერგოდაბინძურების საშიშროება, ამიტომ, მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. ნუ გადაიტვირთებით ფიზიკურად. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, წითელი, ვარდისფერი, ვერცხლისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ციტრონი, ცირკონი, საფირონი, აკვამარინი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია მშენებლობა, დიეტის დაწყება. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, სისხლძარღვები.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.

ოთხშაბათი
გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა, მოჭარბებულია კოსმიური ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს კონფლიქტებს, აგრესიას, დეპრესიას, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებსა და ჯანმრთელობის გაუარესებას. იყავით ფრთხილი და წინდახედული. ატარეთ მწვანე, იისფერი, ფირუზისფერი, ლურჯი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, მარჯანი, აქატი ან გიშერი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, იურიდიული საქმიანობა. სუსტდება ლიმფური და ნერვული სისტემები, ტერფები, ენდოკრინული სისტემა.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;

ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.

ხუთშაბათი
გეომაგნიტური დღე

კარგია სასიყვარულო კავშირები. მოერიდეთ ფულის ვალში აღებას. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი, ლურჯი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, მარჯანი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის შანსი. მაღალია ღალატისა და მოტყუების ალბათობა. კარგია მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, სასამართლო პროცესების დაწყება, კაპიტალდაბანდება, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.

პარასკევი

აკონტროლეთ სულსწრაფობა, ეგოიზმი, აგრესია და უყაირათობა. იყავით ფრთხილი და წინდახედული. მოერიდეთ კამათს. ატარეთ წითელი, იისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი, ლურჯი ან ფირუზისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, გიშერი ან ალექსანდრიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ თმის შეჭრას, წესრიგის დარღვევას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას. კარგია მოგზაურობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები.

პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.

შაბათი
გეომაგნიტური დღე

ფინანსურ სფეროში მოსალოდნელია კრიზისული სიტუაციის წარმოქმნა, ამიტომ, იყავით ფრთხილად და გონივრულად ხარჯეთ ფული. მოერიდეთ ეჭვიანობას. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, სარდიონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, წესრიგის დარღვევას. კარგია მოგზაურობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, თვალები, გრძნობათა ორგანოები.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.

ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;

კვირა
გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ შორეულ მოგზაურობას, კამათსა და სულსწრაფობას. გამახვილდება ინტუიცია. ატარეთ წითელი, ყვითელი, ცისფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი, მწვანე ან ყავისფერი სამოსი; ქვებიდან კი – წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, ძონი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ახალი ნაცნობობა, სასიყვარულო კავშირები, გართობა. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. სუსტდება ყელი, თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები.

პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.

გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠ-ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲙᲝᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აკოფა**. ეს გვარი შემდგომში გასომხებულა – მოგვიანებით სომეხი ტერტერები ქართველებს გრიგორიანულ სარწმუნოებაზე აქცევდნენ და გვარი აკოფოვიც აქედან გავრცელებულა.

აკოფას ფუძე უნდა იყოს **იაკობი**, რომელიც ძველი ებრაული წარმოშობისაა და მიმდევარს ნიშნავს. **იაკობი აკოფად** მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა.

1791 წელს **აკოფა** მოიხსენიება ქვემო ქართლში. ჭირის მიზეზით, მოსახლეობა განჯიდან აყრილა და სხვადასხვა მხარეს გახიზნულა. ქართლში მოსული **აკოფა** ერასტი გოსტაბაშვილის ყმა გამხდარა.

1860 წელს ბორბალოსა და მანგლისში მოხსენიებულნი არიან ზურაბა და დათუნა **აკოფაშვილები.**

ასევე, **აკოფაშვილები** მოიხსენიებიან ვახუშტი ბატონიშვილის ყმების წიგნშიც.

საქართველოში 1 171 **აკოფაშვილი** ცხოვრობს: გორში – 329, თბილისში – 186, ადიგენში – 155. არიან სხვაგანაც.

ᲙᲘᲚᲘᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔ-ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კილასანი**, რომელიც ორი ფუძისგან შედგება: **კილა** და **სანი**. 1858 წლის აღწერაში, ბორბალოში, სპირიდონ **კილიასანიძე** მოიხსენიება.

ამავე ძირისაა გვარები: **კილასონია, კილასონიძე, კილოსანიძე.**

საქართველოში 55 **კილიასანიძე** ცხოვრობს;

2 514 **კილასონია**: სენაკში – 539, თბილისში – 416, მარტვილში – 325. არიან სხვაგანაც.

ᲑᲣᲗᲑᲐᲘᲐ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბუთა**.

ბუთ-ბა-ია ორსუფიქსიანი გვარ-სახელია. სუფიქსები **ბა** და **ია** ქართულია და ნიშნავს შვილს, ძეს, შობილს, დაბადებულს. **ბუთბაიები** ცხოვრობენ როგორც ზუგდიდსა და წალენჯიხაში, ასევე აფხაზეთში.

საქართველოში 256 **ბუთბაია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 145, თბილისში – 50, წალენჯიხაში – 12. არიან სხვაგანაც.

ᲑᲔᲦᲔᲚᲐᲣᲠᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბეღელა**.

ბეღელი პურეულის შესანახი ნაგებობაა ფშავში, ხევსურეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ფარცხისში 1818 წელს ნიკოლოზ პეტრეს ძე ადულასშვილის თავდებად მოიხსენიება გიორგი ზურაბის ძე **ბეღელაური**. ამავე ძირისაა გვარები: **ბეღელაძე** და **ბეღელაშვილი**.

საქართველოში 230 **ბეღელაური** ცხოვრობს: გორში – 97, თბილისში – 89, თეთრი წყაროში – 14. არიან სხვაგანაც.

ᲗᲔᲖᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თეზი,**

თეზია. მისი კნინობითი ფორმებია: **თეზიკო, თეზულა**.

იასე **თეზელაშვილი** 1873 წლის აღწერაში სოფელ წვერში მოხსენიებულია როგორც დროებით ვალდებული გლეხი. ამავე ძირისაა გვარები: **თეზელიშვილი, თეზიაშვილი**.

საქართველოში 299 **თეზელაშვილი** ცხოვრობს.

105 **თეზელიშვილი.**

75 **თეზიაშვილი.**

ᲣᲜᲐᲤᲥᲝᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა მეტსახელი **უნაფქო**, რაც ფქვილის უქონელს ნიშნავს.

1873 წლის აღწერით, სოფელ მარაბდაში მოიხსენიება გიორგი **უნაფქოშვილი**. ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ მარტყოფში.

საქართველოში 220 **უნაფქოშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 90, თბილისში – 61, გარდაბანში – 23. არიან სხვაგანაც.

ᲐᲡᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ასაბი**.

1873 წელს **ასაბიშვილი** მოიხსენიება დიდ ენაგეთში.

ზოგი **ასაბიშვილი** რუსული დაბოლოებით **ასაბოვებად** ჩაუწერიათ. ისინი ქართველები არიან.

საქართველოში 844 **ასაბიშვილი** ცხოვრობს: ყვარელში – 484, თბილისში – 102, მარტვილში – 72. არიან სხვაგანაც.

ᲐᲛᲑᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ამბარი**.

ამბარიშვილი იოვანე მოიხსენიება მოწმედ 1477 წელს ნიკოლოზ პალატაშვილის მიერ გოგიტა არდაშელიშვილის სახელზე გაცემული მამულის ნასყიდობის წიგნში.

ამბარიშვილი მოიხსენიება 1851 წლის აღწერით, სოფელ კოდაში.

საქართველოში 135 **ამბარიშვილი** ცხოვრობს: ახალციხეში – 59, ბორჯომში – 48, თბილისში – 28.

ᲩᲐᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩაჩანა**. ასევე, გვხვდება მეტსახელები **ჩაჩიკა, ჩაჩიტა, ჩაჩო**.

„ასურეთელი პეტრე **ჩაჩანაშვილი**, რუსული გაფორმებით – **ჩაჩანოვი**, 1874 წელს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში შვილს უნათლავს ვარდისუბანში მცხოვრებ დავით კედელაშვილს".

ამავე ძირისაა გვარები: **ჩაჩავა, ჩაჩაური, ჩაჩუა, ჩაჩაურაშვილი**, **ჩაჩაშვილი**, **ჩაჩიბაია, ჩაჩიკაშვილი**.

საქართველოში 35 **ჩაჩანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 24, გარდაბანში – 10, გორში – 1.

ᲖᲣᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ზუბია**.

ზუბია ბესალაშვილი 1609 წელს მოიხსენიება შანშე ჯავახიშვილის მიერ გიორგი ცალქალამანიძის სახელზე გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნში.

ამავე ძირისაა გვარები: **ზუბაშვილი**, **ზუბალაშვილი**.

თუმცა, **ზუბიაშვილი** თუმანიშვილის შტო-გვარიცაა.

საქართველოში 733 **ზუბიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 282, გორში – 226, კასპში – 104. არიან სხვაგანაც.

ᲧᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ყაველა**.

1871 წელს, საღირაშენში დროებით მცხოვრებად მოიხსენიება პეტრე **ყაველაშვილი**, რომელსაც ცოლად შეურთავს ამავე სოფელში მცხოვრები სოსია გოგინაშვილის ასული – სოფიო.

საქართველოში 2 160 **ყაველაშვილი** ცხოვრობს: ჭიათურაში – 665, თბილისში – 354, ლაგოდეხში – 317. არიან სხვაგანაც.

აკადემიკოს ᲘᲐᲙᲝᲑ ᲐᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
მასალების მიხედვით
მოამზადა ᲜᲝᲜᲐ ᲓᲐᲗᲔᲨᲘᲫᲔ



ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ - „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ“

გიწვევთ დაეუფლოთ სადღეისოდ მოთხოვნად სხვადასხვა სპეციალობას!

ᲒᲘᲓᲘ: *მესამე საფეხური* – ადგილობრივი გიდი. *მიღების მოთხოვნები:* 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. არაფორმალური განათლების აღიარება. *მეოთხე საფეხური* – სპეციალიზებული გიდი: 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. გიდის მესამე საფეხურის დიპლომი; 4. არაფორმალური განათლების აღიარება.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘ (ᲕᲔᲑᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ): *მესამე საფეხური*: 1. საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის); *მეოთხე საფეხური:* 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) III საფეხურის დიპლომი; *მეხუთე საფეხური:* 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) IV საფეხურის დიპლომი;

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ – *მესამე საფეხური:* 1.საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის);

ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡ-ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲢᲝᲠᲘ – *მეხუთე საფეხური*: 1.სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2.შემოქმედებითი ტურის გავლა.

სწავლა დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბერში სასწავლებელი ავტორიზებულია, ყველა საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

აცხადებს მიღებას ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სწავლის გასაგრძელებლად (მობილობის წესით) 1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა; 5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი/ინფორმატიკა.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ: 1) ატესტატი (დედანი); 2) სტუდენტის ბარათი; 3) 4 ფოტოსურათი 3/4; 4) პირადობის მოწმობა (ასლი).

საბუთების მიღება ყოველდღე ტელ: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 599-18-89-24

ორივე სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲛᲔᲥᲕᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ფიტოთერაპია – ბუნების მიერ მოწოდებული რეცეპტები

ზაფხულში განსაკუთრებით მრავალფეროვანი ბუნებრივი საშუალებები არსებობს ჯანმრთელობისა და, შესაბამისად, გარეგნობის მოსაწესრიგებლად. ამიტომ, ნუ დაიზარებთ, ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს – დღეში ნახევარი საათი საკმარისი იქნება, რომ შვებულების შემდეგ თქვენს სასწავლებელსა თუ სამსახურს გალამაზებული და ენერგიით აღსავსე შედუგეთ.

ბაბუაწვერა: ჩინელმა ექიმებმა, რომლებიც მკერდის (სარძევე ჯირკვლების) კიბოს ბაბუაწვერათი მკურნალობდნენ, დაადგინეს, რომ ბაბუაწვერას წვენი მკვეთრად ამცირებს კიბოს უჯრედების ზრდასა და გამრავლებას.

როზმარინი: ამ მცენარეს აქვს ანტისეპტიკური და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, ნივთიერებათა ცვლასა და საჭმლის მონელებას. მას, აგრეთვე, გააჩნია მატონიზირებელი და აღმდგენი ზემოქმედება, აძლიერებს ორგანიზმს. კარგი საშუალებაა ენერგიის დაქვეითებისა და სქესობრივი სისუსტის დროს. ახლახან კი მეცნიერებმა დაადგინეს მისი ანტიოქსიდანტური თვისებები: ის ზრდის იმუნიტეტს, ხელს უშლის ნაადრევ დაბერებასა და გულისა და სისხლძარღვების დაავადებების განვითარებას.

ქონდარი: საუკეთესო საშუალებაა აკნეს სამკურნალოდ. ამიტომ, სასურველია, შეიძინოთ ის კრემები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ქონდარი, პარალელურად კი დილა-საღამოს სახე გაიწმინდოთ მისი ნაყენით.

კრაზანა: ავსტრიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ მცენარეს აქვს არა მარტო ანტიანთებითი ზემოქმედების უნარი, არამედ, ამაღლებს გუნება-განწყობას, ხსნის მსუბუქ დეპრესიას, შფოთვასა და პანიკის შეგრძნებას.

ვალერიანი: დამტკიცებულია, რომ ვალერიანის წვენი და ფესვების ნახარში არა მარტო ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებასა და გონების დაძაბულობას ამცირებს, არამედ, ხსნის თავის ტკივილს, ამცირებს გულისცემას და ხსნის შფოთვის შეგრძნებას.

გვირილა: მისი ნაყენი ან ნახარში გამოიყენება მრავალი დანიშნულებით: ჩაის სახით, თმის ძირების გასამაგრებლად და თმის ხარისხის გასაუმჯობესებლად, სახის კანის გასაწმენდად, აბაზანების მისაღებად და ასე შემდეგ.

მუხის ქერქი: მუხის ქერქის ნაყენი განსაკუთრებით ეფექტურია პირის ღრუს, კერძოდ კი ღრძილების სამკურნალოდ.

პიტნა: ამ საოცრად სურნელოვან მცენარეს დიასახლისები უამრავ კერძში გამოიყენებენ და არც ცდებიან – გარდა პიკანტური გემოსი, ის კერძს უფრო ჯანმრთელს ხდის. პიტნის ჩაი შესანიშნავი დასაწყნარებელი საშუალებაა, ხოლო, თუ პიტნის ნაყენისგან დამზადებული ყინულის კუბიკებით გაიწმენდთ სახეს დილა-საღამოს, თქვენი კანი საოცრად ნაზი და ხავერდოვანი გახდება.

ულორცო დიეტა

ეს დიეტა მინიმუმ 1 კვირის განმავლობაში უნდა დაიცვათ. თუ კურსსა და კურსს შორის შუალედი გაგიგრძელდათ, მაქსიმალურად შეეცადეთ, თავი შეიკავოთ ცომეულისგან, ტკბილეულისგან და საღამოს 7 საათის შემდეგ ნებისმიერი საკვების მიღებისგან.

გთავაზობთ 1 დღის მენიუს ნიმუშს. დანარჩენი დღეების განმავლობაში შეგიძლიათ, ცვალოთ ხილი, ბურღულეული, ბოსტნეული ან რძის ნაწარმი, ოღონდ, დიეტის პრინციპი, კვების რეჟიმი და ულუფის რაოდენობა უნდა დაიცვათ.

წინასწარ მოამზადეთ ბრინჯი (2 დღის ულუფაა): 2 სადილის კოვზი რუხი ბრინჯი კარგად გარეცხეთ, დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ დილამდე. დილით კიდევ გარეცხეთ და 2-3-ჯერ წამოადუღეთ (ყოველი წამოდუღების შემდეგ წყალი გამოუცვალეთ). მერე კარგად დაწურეთ, მოათავსეთ მომინანქრებულ (ან მინის) ჭურჭელში და შეინახეთ მაცივარში.

უზმოზე (ეცადეთ, 9 საათს არ გადააცილოთ) – 1 ჩაის ჭიქა ბრინჯი (უმარილოდ და უცხიმოდ).

2 საათის შემდეგ – 1 ჩაის ჭიქა მაწონი (უშაქროდ).

2 საათის შემდეგ – 1 ცალი ვაშლის, 1 ცალი პატარა ბანანის, 3 ცალი ქლიავის, 1 ცალი ატმის ასორტი.

2 საათის შემდეგ – 100-100 გრამი კომბოსტო (ნებისმიერი სახის), სტაფილო, პომიდორი და ბულგარული წიწაკა დაჭრით, ძალიან ცოტა ზეთში მოშუშეთ და მოაყარეთ ყველანაირი მწვანილი და რომ გაგრილდება, მიირთვით. დააყოლეთ 1 ჩაის ჭიქა რომელიმე ხილის ფრეში.

2 საათის შემდეგ – 200 გრამი წიწიბურა მოხარშეთ წყალში უცხიმოდ და უმარილოდ. დააყოლეთ 1 ჩაის ჭიქა ახალგამოწურული ხილის წვენი.

2 საათის შემდეგ – 200 გრამი უცხიმო ხაჭო, 1 ჩაის ჭიქა უცხიმო მაწონი და წვრილად დაჭრილი რომელიმე ხილი (200 გრამი) ერთმანეთში აურიეთ და მიირთვით. დააყოლეთ 1 ჩაის ჭიქა რომელიმე ხილის ფრეში.

წყალი, როგორც წესი – დღეში მინიმუმ 2 ლიტრი (პატარ-პატარა ყლუპებით).

თუ შუალედებში ძალიან მოგშივდათ, მიირთვით 1 ცალი რომელიმე ხილი, ხოლო, თუ ყავის გარეშე არ შეგიძლიათ, უზმოზე ბრინჯის ჭამიდან 1 საათის შემდეგ დალიეთ 1 პატარა ფინჯანი ნალექიანი ყავა (უშაქროდ).

დიეტის განმავლობაში აკრძალულია სიგარეტი და ალკოჰოლი.

კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: რა არის ტოქსინები, მოქმედებს თუ არა სახის კანზე და როგორ დავიცვათ თავი მათგან?

პასუხი: ტოქსინები არის მავნე ნივთიერება, რომელიც წამლავს ორგანიზმს და არღვევს მის შინაგან პროცესებს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტოქსინები ხელს უწყობს კანის ტენიანობის დაკარგვას, რის შედეგადაც იწყება ნაადრევი ნაოჭების გაჩენა. ტოქსინები ჩნდება გარემოს ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების, ცუდი ეკოლოგიის, არასწორი კვების, სტრესებისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო. ტოქსინებისგან კანის დაცვის პირველი საშუალებაა დატენიანება. გარდა ამისა, საჭიროა გარემოს მავნე ზეგავლენისგან ეფექტური დაცვა. ამიტომ, უნდა შეარჩიოთ კანის მოვლის საშუალებები, რომლებიც ხანგრძლივად ატენიანებს კანს და, პარალელურად, ახდენს ტოქსინების ნეიტრალიზებასა და შემდგომ გავრცელებას.

კითხვა: მაინტერესებს, რომელი კოსმეტოლოგიური პროცედურების ჩატარება არ არის რეკომენდებული ზაფხულში?

პასუხი: ცხელი ამინდების გამო, ზაფხულში რეკომენდებული არ არის, ჩიტაროთ შემდეგი პროცედურები: ტუჩების „დაბერვა“; კანის საშუალო და ღრმა პილინგი; პაპილომების, ხალებისა და სისხლძარღვოვანი „ვარსკვლავების“ მოშორება; კანის გათეთრება. ზოგადად კი, უმჯობესია, ზაფხულის განმავლობაში მოერიდოთ კანზე მკვეთრ ქიმიურ ან მექანიკურ სხვა სახის ზემოქმედებას და მხოლოდ კრემებით, დამატენიანებლებით, ბუნებრივი ნიღბებითა და გამწმენდებით შემოიფარგლოთ.

კითხვა: რა არის კარამელით ეპილაცია?

პასუხი: კარამელით ეპილაცია არის სალონური პროცედურა, რომლის დროსაც გამოიყენება პასტა, დამზადებული შაქრის, თაფლის, ლიმონისა და მცენარეული წებოს შეზავებით (თვითონ ამის გაკეთება არ სცადოთ), რაც რბილ კარამელს წააგავს. თუ კარამელი სწორად არის მომზადებული და პროცედურაც გამოცდილმა სპეციალისტმა ჩაგიტარათ, ამ მეთოდს უკუჩვენება არ აქვს.

გაფრთხილება: კარამელის ეპილაციის გაკეთება არ შეიძლება მათთვის, ვისაც შაქრიანი დიაბეტი აწუხებს.

მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

როგორ გაიტაცეს 6 მილიონი მანეთის ძვირფასეულობა ქართველმა სტუდენტებმა

კორკოტაშვილს ტყვია მუცელში მოხვდა და ძირს დაეცა. ახალგაზრდებმა კი ის არამიანცის საავადმყოფოში წაიყვანეს

სამაჯური

– მოითმინეთ გოგონა, თქვენთან საქმე მაქვს! – უთხრა ოცდახუთიოდე წლის გოგონას ახალგაზრდა ქალმა და მაჯაზე წაეტანა. შემდეგ ოქროს სამაჯურს დააცქერდა და ხმამაღლა გაეცინა – საიდან გაქვთ თქვენ ეს სამკაული?

– რა თქვენი საქმეა?! – უპასუხა გოგონამ და ტრამვაიდან ჩასვლა დააპირა, თუმცა ქალს ისე მაგრად ჰქონდა მაჯაზე ჩავლებული ხელი, ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოახერხა.

– თქვი, საიდან გაჩნდა შენს მაჯაზე ეს სამაჯური! – ხმას აუწია ქალმა და გოგონა თავისკენ მოქაჩა.

– ხალხო! – აკივლდა გოგონა, – ჩქარა მილიციას გამოუძახეთ, ბანდიტი დამესხა თავს და მძარცვავს!

– დაუძახეთ, დაუძახეთ! – ამბობდა ქალიც და გოგონას მაჯას ხელს არ უშვებდა.

როგორც იქნა, ტრამვაი გაჩერდა და ვაგონში თეთრქუდიანი მილიციელი ავიდა.

– რაშია საქმე, ქალიშვილო, რატომ ღელავთ? – ჰკითხა მილიციელმა გოგონას და ქალს მაჯიდან ხელი გააშვებინა.

– ამხანაგო მილიციელო, – ახლა ქალი აქოთქოთდა, – მაგრად ჩაავლეთ ხელი ამ ბანდიტს, არ გაგექცეთ!

– ბანდიტი თვითონ ხართ, – უთხრა გოგონამ.

– არა, ჩემო მშვენიერო, – ირონიულად მიუგო ქალმა, – ბანდიტი და ავაზაკი შენ ხარ სწორედ.

– რატომ? – გაეცინა გოგონას.

– იმიტომ, რომ მე ეს სამაჯური გუშინწინ ჩავაბარე „კრასნაია პრესნიაზე“ ლომბარდში და დღეს შენს ხელზე როგორ აღმოჩნდა?

– რაებს როშავ? ეს სამაჯური საქმრომ მაჩუქა გუშინ. რაღაც გეჩვენება.

– არაფერიც არ მეჩვენება. სამაჯურის საკეტს დახედე. მასზე ორი იქსია ამოკაწრული – ჩემმა შვილმა მახათით ამოკაწრა ბავშვობაში.

გოგონამ სამაჯურის საკეტს დახედა და გაშრა. მასზე მართლაც ორი იქსი იყო ამოკაწრული.

– ამ შემთხვევაში, მილიციაში მოგვიწევს საქმის გარკვევა, – თქვა თეთრქუდიანმა მილიციელმა და ქალებთან ერთად მილიციის უახლოესი განყოფილებისკენ გაემართა.

„სტუდენტი“

ქალი, რომელმაც საკუთარი სამაჯური ამოიცნო, მოსკოველი ტამარა კოლცოვა იყო. ახალგაზრდა გოგონა კი – ინა პეტროვა.

– საიდან გაქვთ ეს სამაჯური? – ჰკითხა პეტროვას ქვეგანყოფილების უფროსმა და სამაჯური შეათვალიერა.

– საქმრომ მაჩუქა გუშინ, – მტკიცედ უპასუხა გოგონამ მილიციელს.

– თქვენი საქმრო ვინაა?

– ივან ზახაროვი.

– ვინ, ვინ?

– ივან ზახაროვი.

– რამდენი წლისაა?

– ოცდაშვიდის.

– რას საქმიანობს?

– სტუდენტია.

– სტუდენტი, სტუდენტი... – იმეორებდა მილიციელი, თან უჯრაში იქექებოდა.

შემდეგ ერთი ცალი ფოტოსურათი ამოაცურა და სანამ გოგონას უჩვენებდა, ჰკითხა:

– დიდი ხანია, რაც ამ სტუდენტს იცნობთ?

– ექვსი თვე.

– ესაა? მილიციელმა გოგონას შავ-თეთრი ფოტო დაუდო წინ.

– ესაა, – გაეღიმა გოგონას, – თქვენ საიდან იცნობთ?

– ესაა სწორედ ივან ზახაროვი. გარკვეული წრეებისთვის საკმაოდ კარგად ნაცნობი ვირტუოზი ჯიბგირი, მეტსახელად „სტუდენტი“ – გაეცინა მილიციელს.

– ვირტუოზი ჯიბგირი? – აღმოხდა ნირწამხდარ გოგონას და დადუმდა.

– ქალბატონო! – მილიციელი ახლა უკვე მეორე ქალს მიუბრუნდა, – ხომ არ გეშლებათ, ეს თქვენი სამაჯური იქნებ ლომბარდში არ ჩაგიბარებიათ და სხვა ადგილზე დაკარგეთ, მაგალითად, რომელიმე ბაზრობაზე?

– რას ბრძანებთ, ამხანაგო კაპიტანო?! – შეცბა ქალი, – ჯერ არ გავგიჟებულვარ. აი, ქვითარი.

– უცნაურია, – ჩაილაპარაკა მილიციელმა, – სტუდენტი ყოველთვის ჯიბეზე დადიოდა და ნუთუ კვალიფიკაცია შეიცვალა? უცნაურია, ძალიან უცნაური...

იმავე საღამოს მილიციის ოპერატიული ჯგუფი ინა პეტროვას ბინაში ჩასაფრდა და სტუდენტი დააპატიმრა. მანამდე კი მურის ოპერებმა „კრასნაია პრესნიაზე“ ლომბარდი შეამოწმეს და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა – იქაურობა პირწმინდად იყო გაძარცვული, ქურდებს ერთი ნივთიც არ დაეტოვებინათ. ლომბარდიდან წაღებული ძვირფასეულობის ფასი მილიონ 800 ათას მანეთს შეადგენდა.

– კვალიფიკაცია შეიცვალე, ზახაროვ? – ჰკითხა სტუდენტს მურის ოპერმა პავლე ზალცმანმა.

– გულს მტკენთ, უფროსო, – მიუგო ზახაროვმა.

– აბა, ეს სამაჯური საიდან?

– საიდან და ერთ არიფს ამოვუღე ტყავის ქურთუკიდან...

ოსტატური ძარცვები

„კრასნაია პრესნიას“ ლომბარდი შაბათ საღამოს იყო გაძარცვული. ქურდებმა იქ სარდაფიდან შეაღწიეს და საამისოდ ამწეები გამოიყენეს. ადგილზე მისულმა კრიმინალისტებმა იქ თითის ერთი ანაბეჭდიც კი ვერ აღმოაჩინეს.

– ეტყობა, რომ პროფესიონალები მოქმედებდნენ. ყველაფერი სუფთადაა შესრულებული, – თქვა პავლე ზალცმანმა ერთ-ერთ ოპერატიულ თათბირზე, – დარწმუნებული ვარ, სტუდენტი არ ცრუობს და სამაჯური მან მართლაც ვიღაცას ამოაცალა.

– გაქურდულის ნიშნები ვერ დაადგინეთ? – დაინტერესდა „მურის“ უფროსი.

– ვერა. ზახაროვი ამბობს, რომ მამაკაცს ზურგიდან ედგა და სახე არ დაუნახავს.

– ძალიან ცუდი. წაღებულია თითქმის 2 მილიონი მანეთის ძვირფასეულობა, ჩვენ კი დოყლაპიებივით ერთ ადგილს ვტკეპნით. რას აპირებთ, პაველ რომანიჩ? – ჰკითხა გენერალმა ზალცმანს.

– ნივთების ორიენტირები ყველგან გავგზავნეთ. გარდა ამისა, შეიძლება, მძარცველები კიდევ გამოჩნდნენ და მაშინ ვიყოჩაღოთ, – მიუგო გენერალს ზალცმანმა.

„მურში“ ჩატარებული თათბირიდან სამი დღის შემდეგ, გორკის გამზირზე მდებარე ვალუტაზე მოვაჭრე მაღაზია „ბერიოზკა“ პირწმინდად გაძარცვეს. ბოროტმოქმედებმა აქაც ამწეების გამოყენებით შეაღწიეს სარდაფიდან და კვლავ არანაირი კვალი არ დაუტოვებიათ. საგონებელში ჩავარდნილი ზალცმანი ამბობდა:

– 700 ათასი მანეთის ღირებულების საქონელი ისე სუფთად წაიღეს, რომ კაციშვილს არ მოუკრავს თვალი...

შემდეგი ორი კვირის განმავლობაში მძარცველებმა მოსკოვის ორი საიუველირო მაღაზია გაასუფთავეს – „რუბინი“ და „იანტარი“ და შესაბამისად, მილიონ 400 ათასისა

და 2 მილიონი მანეთის ღირებულების ნივთები გაიტაცეს.

– ამხანაგო ზალცმან! – შერისხა „მურის“ უფროსმა მაძებარი, – ბოლო ერთი თვის განმავლობაში ცხვირწინ ოთხი მსხვილი ობიექტი გაძარცვეს და ზარალმა 5 მილიონ 900 ათასი შეადგინა. თქვენ კი ბუზებს ყლაპავთ და ყურებს აპარტყუნებთ...

ზალცმანი უხმოდ დაჯდა სკამზე.

ამასობაში, მძარცველები სამი თვით გაირინდნენ...

მძარცველები

მოსკოვში მომხდარი ძარცვიდან სამი თვის თავზე ანალოგიური ხერხით გაიძარცვა საიუველირო მაღაზია თბილისში, რომელიც ლენინის მოედანზე მდებარეობდა. მძარცველების მიერ გატაცებული ძვირფასეულობა მილიონ 100 ათას მანეთად შეფასდა.

მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი – კეთილაძე, რომელმაც ამ პოსტზე შევარდნაძე შეცვალა, აღშფოთებას ვერ მალავდა მძარცველთა თარეშის გამო და გაფართოებულ თათბირზე ხელქვეითებს უთხრა:

– ამხანაგებო, ეს საქმე პირადად ედუარდ ამბროსოვიჩს აქვს აყვანილი კონტროლზე და ჩვენი ღირსების საქმეა მძარცველების განეიტრალება. გარდა ამისა, საქმის გახსნას მოსკოვიდანაც მოითხოვენ.

მინისტრთან ჩატარებული თათბირის შემდეგ, საქართველოს მთელი მილიცია ფეხზე დადგა და მოსალოდნელი ძარცვის ადგილებში პატრულირება გააძლიერეს.

აგვისტოს ერთ ცხელ ღამეს, ლენინის რაიონის მილიციის განყოფილების ზემდეგმა, ჯემალ კორკოტაშვილმა ღამის მორიგეობა დაიწყო. 3 საათი სრულდებოდა, როცა ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე საიუველირო მაღაზიასთან საეჭვო მანქანა შენიშნა. კორკოტაშვილმა იარაღი გადატენა და ნელი ნაბიჯებით „მოსკვიჩისკენ“ გაემართა. მანქანაში ოთხი ახალგაზრდა იჯდა და უკვე წასვლას აპირებდნენ. ზემდეგმა მათ ჯერ საბუთები მოსთხოვა, უარი რომ მიიღო, მაშინ მათ მანქანიდან გადმოსვლა უბრძანა. ახალგაზრდებმა გაქცევა სცადეს, მაგრამ კორკოტაშვილმა პისტოლეტი მიუშვირა და გააფრთხილა:

მილიციის ოპერგეგმა სოლოლაკში ოთხი ახალგაზრდა დააპატიმრეს, რომლებსაც ბინაში 6 მილიონის ძვირფასეულობა შეიპოვეს

– არ გაინძრეთ, თორემ ცეცხლს გაგიხსნით!

გაფრთხილების მიუხედავად, ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მილიციელს იარაღიან ხელში წიხლი ამოარტყა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. ამავე დროს გასროლის ხმაც გაისმა და კორკოტაშვილი დაეცა.

– მგონი, მუცელში მოხვდა ტყვია. დაბრუნდი! – უთხრა მძღოლს იმ ახალგაზრდამ, ვინც კორკოტაშვილს წიხლი ამოსცხო.

„მოსკვიჩი“ უკან დაბრუნდა. ახალგაზრდებმა მუცელში დაჭრილი ზემდეგი მანქანაში ჩააწვინეს და ქალაქის პირველ საავადმყოფოში მიიყვანეს. მისაღებში დატოვეს ტაბელურ იარაღთან ერთად და უკანვე გამობრუნდნენ...

კორკოტაშვილი ექიმებმა გადაარჩინეს. მეორე დღეს კი, მილიციის სამმართველოს ოპერჯგუფმა სოლოლაკში, ენგელსის ქუჩის ერთ-ერთ ბინაში დააკავეს „გეპეის“ მეორე კურსის სტუდენტები: ანზორ კალანდაძე, ნოდარ მახარაძე, ბონდო მირცხულავა და მალხაზ ნოდია. ოთხივე დაკავებული 21 წლის იყო და ერთ ჯგუფში სწავლობდნენ. ჩხრეკის დროს ბინიდან ამოიღეს 6 მილიონი მანეთის ნაძარცვი ძვირფასეულობა.

ოთხივე ახალგაზრდა ფრიადოსანი სტუდენტი იყო და ფაკულტეტის ხელმძღვანელობა მათზე დიდ იმედებს ამყარებდა. ახალგაზრდა ბოროტმოქმედები იმდენად ოსტატურად თიშავდნენ სიგნალიზაციას, რომ ექსპერტები გაოცებას ვერ მალავდნენ.

დაპატიმრებულებმა ექვსივე ძარცვის ფაქტი აღიარეს და უმაღლესმა სასამართლომ მათ 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, პატიმრობის მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში მოხდით. 1981 წელს კალანდაძე და მახარაძე კომის კოლონიიდან გაიქცნენ და მოგვიანებით, შეერთებულ შტატებში ამოჰყვეს თავი. ბონდო მირცხულავა კანონიერი ქურდი გახდა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ერთ-ერთი კრიმინალური გარჩევის დროს სანკტ-პეტერბურგში მოკლეს. მალხაზ ნოდია კი დროზე ადრე გათავისუფლდა პატიმრობიდან, თბილისში დაბრუნდა და კორკოტაშვილის უმცროს დაზე იქორწინა.

ნიკა ლაშაური

რა მოხდა ამ დღეს

19 აგვისტო

1487 – ესპანურმა არმიამ აიღო ქალაქი მალაგა და გაათავისუფლა ის მუსლიმანებისგან.

1856 – ამერიკელმა გეილ ბოდენმა დააპატენტა მშრალი რძის მიღების ტექნოლოგია.

1936 – ფაშისტებმა მოკლეს ფედერიკო გარსია ლორკა – ესპანელი პოეტი და დრამატურგი.

1991 – პუტჩის მცდელობა საბჭოთა კავშირში.

20 აგვისტო

1896 – დააპატენტეს ტელეფონი ნომრის ასაკრეფი დისკით.

1969 – „ბითლზის“ წევრებმა ერთობლივად ჩაწერეს ბოლო ალბომი – Abbey Road.

21 აგვისტო

1911 – ლუვრიდან გაიტაცეს „მონა ლიზა“ („ჯოკონდა“).

1915 – თურქეთის ტერიტორიაზე, დარდანელთან, ნილში გაქრა ინგლისის მთელი ბატალიონი, 145 ჯარისკაცის შემადგენლობით.

1968 – ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარები.

1981 – მეცნიერებმა ოფიციალურად პირველად გამოაცხადეს გლობალური დათბობის საშიშროების შესახებ.

1986 – კამერუნში ბუნებრივი კატასტროფა მოხდა: ტბა ნიოსიდან ამოიფრქვა მგუდავი გაზი, რომლის ღრუბელმა დაფარა 25 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ფართობი. დაიღუპა 1 746 ადამიანი და 20 ათასი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

1988 – ჩრდილოეთ ინდოეთსა და ნეპალის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა მიწისძვრა. ნიადაგის დაძვრამ გზების ჩახერგვა გამოიწვია და შეუძლებელი გახდა სამაშველო სამუშაოების ჩატარება. მსხვერპლის რაოდენობა მხოლოდ მიახლოებითაა ცნობილი.

22 აგვისტო

1567 – ჰერცოგი ალბა დაინიშნა ესპანეთის მეფისნაცვლად ნიდერლანდებში. მის სისასტიკეს იქ 8 000 ადამიანი ემსხვერპლა.

1770 – ჯეიმს კუკმა აღმოაჩინა ავსტრალიის აღმოსავლეთი სანაპირო, რომელიც ინგლისის სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა.

1932 – ტელემაუწყებლობა დაიწყო კომპანია BBC-მ.

23 აგვისტო

1903 – ლონდონში რსდმპ-ს სხდომაზე მოხდა განხეთქილება, რის შედეგადაც წარმოიშვა ორი ფრაქცია – ბოლშევიკების და მენშევიკების.

1913 – კოპენჰაგენში (დანია) გაიხსნა სირინოზის ძეგლი.

1939 – გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს ეგრეთ წოდებულ „მოლოტოვ-რიბენტროპის“ აქტს გავლენის სფეროების განაწილების შესახებ.

24 აგვისტო

79 – ვულკან ვეზუვის კატასტროფული ამოფრქვევის შედეგად ფერფლმა დაფარა სამი ქალაქი: პომპეი, ჰარკულანუმი და სტაბიუმი.

410 – რომის ისტორიაში პირველად, ვესტგოთების არმიამ ალარიხის მეთაურობით, აიღო და გაძარცვა რომი.

1572 – „ბართლომეს ღამე“ პარიზში – კათოლიკეებმა მოაწყვეს პროტესტანტების მასობრივი ჟლეტა.

1853 – ამერიკელმა ჯორჯ კრამმა გამოიგონა კარტოფილის ჩიპსები.

1995 – ოფიციალურად პირველად გაიყიდა ოპერატიული სისტემა – Windows 95.

25 აგვისტო

1718 – დაარსდა ქალაქი ორლეანი.

1875 – კაპიტანი მეთიუ უები გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც ლა-მანში გადაცურა.

1995 – მოხდა ტერორისტული თავდასხმა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტზე, ედუარდ შევარდნაძეზე.

– სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

მამუკა: თამრო და დედამისი საქართველოში გავიცანი, როცა თამროსა და გიგა კვენტაძის სიმღერაზე კლიპს იღებდნენ ბათუმში. მერე კი გიგამ დამირეკა და უკვე მცხეთაში შევხვდით ოთხივე ერთმანეთს. ამის შემდეგ მე მალევე წავედი მოსკოვში და იქ ჩვენი ნაცნობობა მეგობრობაშიც გადაიზარდა. სიმართლე გითხრა, არ მქონდა მოსმენილი თამროს სიმღერა. რომ მოვისმინე, მერე უკვე მე და თამრომ დუეტის ჩაწერა გადავწყვიტეთ. ბევრი ვიფიქრეთ, რომელი სიმღერა შეგვერჩია და საბოლოოდ გიგა კვენტაძის სიმღერაზე შევაჩერეთ არჩევანი, რომლის ტექსტიც ვლად არამოვს ეკუთვნის. ეს სიმღერა თამროს რუსულ ენაზე ჰქონდა ჩაწერილი, ჩვენ კი ახლებური ვერსია ქართულად, ნანა ცინცაძის ტექსტზე ვიმღერეთ. ბექ-ვოკალი გიორგი მაისურაძეს ეკუთვნის. სიმღერის ქართულ ვერსიას „გეძახი“ დავარქვით, რომლის პრემიერაც საქართველოში, რადიოეთერში უკვე შედგა.

– ამ სიმღერაზე კლიპის გადაღებასაც ხომ არ გეგმავთ?

თამრო: ამ სიმღერის რუსულ ვერსიაზე კლიპი უკვე მაქვს გადაღებული და, ამიტომ, ალბათ, აღარ გადავიღებთ. აი, როცა სხვა სიმღერაზე ჩავწერთ მე და მამუკა დუეტს, მაშინ უკვე შეიძლება კლიპის გადაღება. ასე რომ, ყველაფერი წინ გვაქვს.

– თამრო, ახლახან ჩამოხვედი და ასე მალე რატომ მიდიხარ საქართველოდან?

– ძალიან არ მინდა წასვლა, მაგრამ, სოჭში ინვალიდებისთვის საქველმოქმედო კონცერტია დაგეგმილი და ორი დღით ადრე მაინც უნდა ჩავიდე, რომ მოვემზადო.

– ვიცი, რომ დედით აფხაზი ხარ და გაგრაშიც თითქმის ყოველ წელს დადიხარ დასასვენებლად...

– დიახ. ახლაც, კონცერტის მერე, სოჭიდან გაგრაში წავალ და ნათესავებს მოვინახულებ. ძალიან მიყვარს აფხაზეთი და იქ ჩასვლა.

– მამუკა, როგორი იყო შენთვის თამროსთან ერთად მუშაობის პროცესი?

მამუკა: მართალია, თამრო ჯერ პატარაა, დამწყები მომღერალია და ყველაფერი წინ აქვს, მაგრამ, შემიძლია გითხრათ, რომ ის უკვე პროფესიონალია და რუსულ ესტრადაში თავისი სიტყვა თქვა. ის მხოლოდ ესტრადის კი არა, ჯაზის მომღერალიცაა, რაც ადვილი ნამდვილად არ არის. თამროსთან

მამუკა: „თამრო ძალიან კონტაქტური და მეგობრული გოგოა. მართალია, ჯერ პატარაა, მაგრამ, იცის, როგორ მოექცეს ადამიანებს“

ერთად სტუდიაში მუშაობა ერთი სიამოვნებაა. ყველაფერთან ერთად, მას არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს. ერთმანეთის კარგად გვესმის და, ასე სიცილ-სიცილში კიდევ არაერთ სიმღერას ჩავწერთ.

მომღერალი მამუკა ონაშვილი უკვე რამდენიმე წელია, მოსკოვში ცხოვრობს და იქ განაგრძობს მოღვაწეობას. ის ამჯერად თბილისშია და, რა თქმა უნდა, ჩვენც ხელიდან არ გავუშვით მისი ნახვის შანსი. მასთან ერთად კიდევ ერთი ქართველი ესტუმრა სამშობლოს – დღეს მამუკასთან ერთად ჩვენი რესპონდენტია მომღერალი თამრო დუდუნია, რომელმაც ჯერჯერობით ვერ შეასრულა დანაპირები და ქართულად ვერ გვესაუბრა, თუმცა, როგორც ამბობს, დედით აფხაზი და მამით ქართველი, მშობლიურ ენას აუცილებლად ისწავლის. მიუხედავად ამისა, ის ქართულ ენაზე ძალიან კარგად მღერის. მან ამჯერად მამუკასთან ერთად ჩაწერა დუეტი, რომლის პრემიერაც რადიო „არ დაიდარდოში“ შედგა.

რა აკავშირებს მამუკა ონაშვილს თამრო დუდუნიასთან და რატომ გრძნობენ ისინი ერთად თავს კომფორტულად

– თამრო, როგორც მამუკამ თქვა, ჯაზის მომღერალიც ხარ. ჯაზი როდის შემოიჭრა შენს ცხოვრებაში?

თამრო: მოსკოვში, ერთ-ერთ სცენაზე, „თბილისო“ არაჩვეულებრივ მომღერალთან, საშა მაროზოვასთან ერთად ვიმღერე, რომელიც შემთხვევით გავიცანი. მერე კი მარია მერაბოვასთან ერთად შევასრულე,

მამუკა: „თამრო ახლა ინგლისურენოვან ალბომზე მუშაობს, რომელიც სექტემბერში უკვე მზად იქნება. ალბომი საქართველოში, „ართჰოლში“ იწერება, რეგისტრაციას კი ამერიკაში გაივლის“

რომელიც ასევე არაჩვეულებრივი მომღერალი გახლავთ ჯაზის სფეროში. ის დღეს ჩემი პედაგოგია რუსეთში, ხოლო საქართველოში ლალი ბერაძეა. აი, ასე აღმოვჩნდი ჯაზის სფეროში.

– გავიგე, რომ პირველი ადგილი აიღე იტალიაში.

– კონკურსზე სამი სიმღერა შევასრულე: ერთი – ქვეყნის ჰიტი, ერთი – უცხოური ჰიტი და ერთიც – სურვილისამებრ. შედეგად კი პირველი ადგილი ავიღე.

მამუკა: თამრო ახლა ინგლისურენოვან ალბომზე მუშაობს, რომელიც სექტემბერში უკვე მზად იქნება. ალბომი საქართველოში, „ართჰოლში“ იწერება, რეგისტრაციას კი ამერიკაში გაივლის. ძალიან კარგი გუნდი მუშაობს ამ ალბომზე.

თამრო: მართლა ძალიან ნიჭიერი და თავისი საქმის პროფესიონალი ბიჭები არიან. მათთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა.

– მამუკა, დიდხანს არ ჩანდი საქართველოში და მსმენელს თავი მოანატრე.

იმედია, უკან მალე დაბრუნდები.

მამუკა: საქართველოდან წავედი და გადავიკარგე-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი. ძალიან მომენატრა ყველა და ჯერჯერობით აქ ვიქნები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთთან ვწყვეტ ურთიერთობას. რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა მექნება, ასევე, იქ სამუშაოდ ჩასვლაც მომიწევს. ამჟამად კი ძალიან კარგი საქმით ვარ დაკავებული ჩემს მეგობრებთან ერთად: მალე მუშტაიდის ბაღში გრანდიოზული, 4-სართულიანი კომპლექსი – „თავადური“ იხსნება და ყველას გულით და სულით მოვემსახურებით. ასე რომ, ხან აქეთ ვიქნები და ხან რუსეთში – მოძრავი ადამიანი ვარ, ხომ იცით. სხვათა შორის, თამროს ახალი ალბომის პრეზენტაციაც ჩვენთან, „თავადურში“ შედგება.

– თამრო, ქართული დუეტები დაგიგროვდა.

თამრო: დიახ, ასეა, ეს უკვე მესამე ქართული დუეტია. პირველი მე და გიგა კვენტაძემ ჩავწერეთ, მეორე – გიორგი დათიაშვილთან ერთად და მესამე – მამუკასთან.

– ერთმანეთს როგორ დაახასიათებთ?

– მამუკა ძალიან კარგი ადამიანი და ჩემი უფროსი მეგობარია. ის არაჩვეულებრივი მომღერალია და მისგან ბევრ რამეს ვსწავლობ. აქვს ძალიან კარგი იუმორის გრძნობა, მასთან არავინ მოიწყენს. თუ გუნებაზე ვერ ხარ, მამუკას უნდა დაურეკო ან ნახო და ხასიათზეც მომენტალურად მოხვალ.

მამუკა: თამრო ძალიან კონტაქტური და მეგობრული გოგოა. მართალია, ჯერ პატარაა, მაგრამ, იცის, როგორ მოექცეს ადამიანებს. არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს და კარგად ხუმრობს.

– ანუ, ერთმანეთს კარგად შეეწყვეთ და კარგი მეგობრებიც გახდით. კიდევ ერთ დუეტს უნდა ველოდოთ თქვენგან?

– ვფიქრობ, რომ, კი. გეგმაში არის, თუმცა, დაწვრილებით წინასწარ არ მინდა ამაზე საუბარი.

– თამრო, საქართველოში მორიგ ვიზიტს როდის გეგმავ?

თამრო: ალბათ, უფრო ნოემბრის ბოლოს ჩამოვალ, უკვე ალბომის პრეზენტაციისთვის. მანამდე კი, 27 სექტემბერს, იტალიაში მივემგზავრები კონკურსზე. ასე რომ, საქართველოში აუცილებლად მალე შევხვდებით – ჩემი ალბომის პრეზენტაციაზე.

მარიკა ხიდურელი

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

კითხვა: ჩემს ავტომობილს დაუზიანდა მოდება. მეუბნებიან, რომ ეს კონკრეტული, სწრაფი სიარულის დროს მოხდა. შეიძლება თუ არა, მოხდეს ისე, რომ ათი წუთის ან თუნდაც ერთი დღის არასწორი მოხმარების გამო, მოდება მწყობრიდან გამოვიდეს?

პასუხი: რა თქმა უნდა, შეიძლება. მოდება შედგება ორი ნაწილისგან: მოდების კალათისა და დისკის ანუ ქუროსგან. ერთმა არა, მაგრამ ორმა არასწორმა მოქმედებამ, შეიძლება ის სერიოზულად დაიზიანოს. თუ ჩვენ მივეცით ბევრი გაზი, ანუ, განვავითარეთ მაღალი ბრუნები ისე, რომ მოდებას ბოლომდე არ ავუშვით ფეხი, ის დაზიანდება. ამ დროს მოდება ბოლომდე არ ეკრობა და რჩება ხახუნის მდგომარეობაში. ხახუნი იმდენად ძლიერად გაცხელებს, რომ, შეიძლება, დისკზე გადაკრული მასალა საერთოდ დაიშალოს. იგივე გაცხელების შედეგად ეს მასალა შეიძლება ისე გადაიგლისოს და გახდეს სარკისებური, რომ სისქე მაინც შეინარჩუნოს, არ დაიშალოს და დაშლის შემდეგაც კი ყველაფერი მწყობრში დარჩეს, უბრალოდ, მოდება „იბუქსავებს" – გაზს ვაწვებით, ავტომობილი ბუქსაობს და წინ არ მიდის. ქუროს მოხსნის შემდეგ ნახეთ, გაცვეთილია თუ არა ის – ამას მიგვანიშნებს ეგრეთ წოდებული „ზაპლოვკები", საპრესები, რომლითაც გადაკრული მასალაა დაამგრებული დისკზე. თუ ვნახეთ, რომ გადაკრული მასალა იმდენად ღრმად არის გაცვეთილი, რომ საპრესებიც ცვეთაშია გადასული, მაშინ, მოდების ქუროს ჯერ კიდევ აქვს მუშაობის რესურსი. თუ თოვლში ან ტალახში ვიყავით ჩარჩენილი, სწრაფად მივეცით პირველი-მეორე სიჩქარე, სწრაფად დავძარით, რის შემდეგაც მოდების დაწვის სუნი შევიგრძენით და დაიწყო დაძვრის პრობლემები, მაგრამ, ავტომობილის დაშლისას აღმოვაჩინეთ, რომ მას რესურსი კიდევ აქვს, შეიძლება, ის, უბრალოდ, სარკისებური იყოს და ხელოსანმა ის მხოლოდ „გადაშკურკოს" – გადაკრული მასალა ისევ იმუშავებს.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

კითხვა: მყავს ავტომობილი „ჰონდა პრელუდი", ძრავას მოცულობით – 2.2. თავიდან ეს ავტომობილი იყო მართვის ავტომატური კოლოფით და შემდეგ არის გადაკეთებული მექანიკად. მე უკვე, ასე ვთქვათ, „გამექანიკებული" შევიძინე და, თუ სწორი ინფორმაცია მაქვს, „აკორდის" კოლოფი აქვს დამონტაჟებული. ამ ბოლო დროს, როცა გაზს ბოლომდე „ვანურინებ", მოდების პედალი დაბლა ჩერდება. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს? მოდების ქურო, ფეროდო ახალი მაქვს და ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ბოლომდე გაზის დროს ვაგდებ სიჩქარეში, ნელა გადართვისას არ ხდება. გაჭედვის შემდეგ ფეხით ვწევ ზემოთ. ეს ხდება წამებში. ისედაც, ჩამქრალ მანქანაზე ფეხით რომ დააწვები პედალს, ამოსვლისას შუაში ჩერდება და მერე ისევ ზემოთ აგდებს. პედალში გაყრილი ეგრეთ წოდებული „ბაჩოკის" (ავზის) შტოკის რეზინთან წვეთები ვნახე – როგორც ჩანს აპარებს. ხომ შეიძლება, ჰაერი შედიოდეს და ვაკუუმი ვერ აგდებდეს უკან?

პასუხი: მთავარი, რა თქმა უნდა, „ბაჩოკია". ამ დროს მანჟეტი ფუჭდება ხოლმე – რაღაც მომენტში იჭედება. გაზის ბოლომდე დაჭერა კარგი „პროვოკაციაა" – ვაკუუმი ეხმარება და უფრო იოლად იმიტომ იჭედება. ამ შემთხვევაში, მანჟეტის შეცვლა უშველის, რადგან, მოდების კორპუსში შეიძლება იყო ნაწვეთი. რადგან ავტომატი იყო და გადაკეთებულია, დაავკირდით კიდევ ერთ რამეს: ავზის ღერძი სწორი კუთხით არის თუ არა მიწოლილი და რამე ხომ არ ბლოკავს მის მუშაობას. თუ ოდნავი ხელის შემშლელი პირობა არსებობს, აუცილებლად გაიჭედება. ის კი არა, თუ ღერძის სიგრძე არასწორია, მაშინაც კი შეიძლება, ასე მოიქცეს. რადგან წვეთავს კიდეც, არის იმის ალბათობა, რომ არასწორი კუთხით ანვება და იმიტომაც დაზიანდა.

კითხვა: მაინტერესებს, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე თავისუფალია თუ არა შესვლა და არასრულწლოვანებს თუ აძლევთ მანქანის მართვის საშუალებას?

პასუხი: ავტოდრომი ზუსტად იმისთვისაა, რომ ტარება მანდ ისწავლო, დახურულ და უსაფრთხო სივრცეში. შესაბამისად, რა თქმა უნდა, არასრულწლოვანთათვის შესვლა ავტოდრომზე ნებადართულია. ერთსაათიანი ვარჯიში პატარა მოედანზე დაგივდებათ სულ რაღაც 20 ლარი; ოცი წუთი მთელ ავტოდრომზე – 40 ლარი. ავტოდრომზე არის იმის საშუალება, რომ აიყვანოთ ინსტრუქტორი ან თქვენს მასწავლებელთან ერთად ჩამოხვიდეთ.

კითხვა: მყავს ავტომობილი „გოლფ 3". ავამუშავებ თუ არა ძრავას, ისმის არასასურველი, წრიპინის ხმა. თუ ცოტა ხანს დაველოდები ან მაღალ ბრუნებს მივცემ და მერე ფეხს ავუშვებ გაზს, ხმა, ხშირ შემთხვევაში, წყდება. თუ ასე არ ხდება, მინევს იმავეს რამდენჯერმე გამეორება. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

პასუხი: ამ გაუმართაობას შეიძლება, ორი მიზეზი ჰქონდეს: ძრავას რომელიმე ღვედი ან ძრავას რომელიმე გორგოლაჭი („როლიკი"), რომელიც ღვედზეა მიმაგრებული. ეს არის ღვედის დამჭიმი ან მისი ბრუნვაში მომყვანი გორგოლაჭები. პირველ ყოვლისა, უნდა დავაჭიმინოთ ღვედი, რომლისგანაც ხმა ისმის, რადგან, შესაძლოა, ის მოსუსტებული იყოს და ამიტომ წრიპინებდეს. თუ ამან არ უშველა, მაშინ ღვედი მთლიანად შეცვალეთ. თუ ესეც არ შველის, ხსნით ღვედს და მასთან დაკავშირებულ ყველა როლიკს ხელით სინჯავთ. ხელით გასინჯვის დროს გორგოლაჭი არ ირრიპინებს, მაგრამ, მას ექნება ეგრეთ წოდებული ლუფტი. ხელით ეს ძალიან იოლად ისინჯება – ტრიალისას ხელშივე შეიგრძნობთ მის უსუფთაო, არაგლუვ ბრუნვას.

კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში ეკლიფსი", 1998 წლის, 2.0 ძრავით, მართვის ავტომატური კოლოფით. დაახლოებით 1200 ბრუნის ფარგლებში, ძრავა არასტაბილურად მუშაობს, გაზს თითქოს თვითონ აძლევს და აკლდება, ხოლო 1 300 ბრუნის შემდეგ, ბრუნვები სტაბილურდება. მაღალი სიჩქარის დროს დაახლოებით 2 800 ბრუნიდან, გაზი თავისით იმატებს და გადადის 4 000 ბრუნზე, რჩება ამ ბრუნზე და რაც მთავარია, სიჩქარე დაბალზე აღარ გადმოაქვს. ამ დროს ძრავა ჩეკს ანთებს. როცა ძრავას გავთიშავ და ხელახლა დავქოქავ, ძრავა ჩვეულებრივ მუშაობას იწყებს არასტაბილური 1 200-იანი ბრუნით, მაგრამ სიჩქარეებს ცვლის 2 800-მდე. ამ ბრუნვის შემდეგ ისევ იგივე იწყება – თავისით ადის 4 000-ზე. ასევე, ჩეკი ქრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკუმულატორის „კლემას" ჩავხსნი და ისევ ჩავრთავ. სანთლები და ჰაერის ფილტრი გამოცვლილია. იქნებ ამიხსნათ რა არის ამ ყველაფრის მიზეზი?

პასუხი: ამ გაუმართაობის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს. თუმცა, პრობლემის პოვნა გაცილებით რთული იქნებოდა და მთელი ავტომობილიც დასაშლელი გახდებოდა, ძრავა „ჩეკს" რომ არ ანთებდეს. რადგან ჩეკი ინთება, ეს ნიშნავს, რომ კომპიუტერი ავტომობილის გაუმართავი მუშაობის მიზეზს ხვდება. ამიტომ, დიაგნოსტიკით პრობლემას იოლად აღმოფხვრით. კომპიუტერზე შეერთების შემდეგ, ის თავად დაგიწერთ რა ხდება, კონკრეტულად რომელი სენსორის მუშაობა არ მოსწონს. მთავარი სწორედ მიზეზის პოვნაა და მისი შეკეთება უკვე აღარ გაგიჭირდებათ.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

მოამზადა
სალომე გველესიანმა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ბრაზილიური ცეკვა
1
გურამ რჩეულიშვილის მოთხრ.
ათჯერ მეები
არის ასეთი გველი
"იტალიური" საჭველი
ქვა ასეთიც არის
პატარა ანუ?
6
რკინაც, ალუმინიც და ა.შ.
პოეტთა შეჯიბრება
ლიტ. პრემია აფრიკაშია
ახალი ნელი გულიანი ქიმ.ელემენტი
ამერიკელი კინოქალი
ჩანთოსანი „მხეცი"
ჯადოქარი
ყაზახეთის ქალაქი გალღეს იჭერს
ბულგარეთის ქალაქი ლომის კიდური
საბელეფონო სიბყვა
2
„კაცია დაველათიანი"
მამაზეციერი
ვაზის მოკლედ აჭრილი ბოგი
ლაკობას ერქვა
1000 კგ
ბიბლ. მოსეს ძმა
მეეგლის სკამი
კარგი ამინდი
პუშკინის გადია
ცხელი სასმელი
ხალხი
ფანჯრის ნაწილი
რკინის გზა
სამკურნალო საშუალება
....ჭავჭავაძე
ნიჩბებიანი გემი
ფოგოპროდუქტი
ინგლისელი ეტყვის ქალს
საბატინის ქაქბანი
სადგური ზუგდიდთან
შარდის გამოყოფის შეწყვეტა
ბადურაშვილი
მოქანცვა
(.....) ჩიქოვანი
ჩვენი მულტიპერსონაჟი
მოხარული ზეთი
3
კასპაროვი
გაფრინდაშვილი
ყირაზე გადასვლა
რუსული ჯიპი
მართლმსაჯულება
ყელის დაავადება
კვამლი
ბრეგვაძე
5
უდედმამო
პრეზიდენტის ტაძრის ქალაქი
აფრიკის ქვეყანა
მსხვერპლად შესაწირი
თეეზის სამალავი, ჯილე
4
მონეტის წინა მხარე
ჟიშკარი
ფართობის ერთეული
წყალსატევი
ბევრი თხა
პატივისცემის გამოხატვა
სახლობა ლექსი
წვერის სალებავი
ლაპარაკი (ქარგონ.)
მოგრძო ბორცვი
გარემოს დამცველი
ტარელიც და ნესტანიც
თურქეთის ქალაქი
ილი
სოციალ-რევოლუციონერი
გველის სახეობა
აბეჯი
უკრაინის პარლამენტი
ქმედების შეწყვეტის ნაწილაკი
ცხენის ბრამეაი
ვოლგის შენაკადი
(.....) ტერნერი
ხეჩოს გულის „ცენტრალნაია"
ახმეტის მდინარე
(.....) კეცხოველი
ბანკის თანამშრომელი
(.....) დე სიკა
ანანიაშვილი
ზერიკელას ბეგია ...ალარიო
ჭრილობა ანუ?
7
გაერთიანება
გამოუწვავი აგური
აჩრდილი
ალიეგის ქალაქი
პოლონელი ქალბატონი
ოპერის ნაწილი
გველი



სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

ადვილი ამოცანა

	7		2	8	5	6		4
4	6	8		3	9		2	
	5		6		1		7	3
	3		8	5		2		6
		1	3		2		8	7
8	2	5		7	6		4	
7		6		1	3		5	
	9		5			7	6	1
5		2	9	6		4		

რთული ამოცანა

4		5			3		8	
	2		5			4		3
				2			9	1
	7	6		4				5
3		9			7			6
				6			7	8
				3	4	8		
5	8	7	1					
			8		6		1	

ისწავლოთ ხატვა ზეციერებთან ერთად



თბილისელების №36
ტელ.: 272 9191
ბავშვ სულაკაურის სახელმწ. სტუდია

იპოვეთ ათი განსხვავება

რა გზით მივა ბიჭუნა სკივრთან



იპოვე შესაბამისი ჩრდილები



ვირი და მელა

(იგავ-არაკი)

ვირი და მელა დაძმობილდნენ და სანადიროდ წავიდნენ. გზაში ლომს შეეჩეხნენ. მელას შეეშინდა და ლომს უთხრა: მე თუ არაფერს დამიშავებ, ვირს ცოცხლად ჩაგაბარებო. ლომიც შეჰპირდა. მელამ ვირი ეშმაკობით მახეში გააბა. ლომმა რომ ნახა, ვირი ველარსად წამივაო, ჯერ მელა შესანსლა და მერე ვირს მიუბრუნდა.

ვინც მეგობარს ღალატობს, თავადაც მსხვერპლი გახდება.

რიცხვრებუსი

, 10, 2, , 0, , , 1, , ,



ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო გაჯიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

ჯეიმს დუგლასი

კითხვა: სად და რა ასაკიდან უნდა ვატაროთ ძაღლი ვეტერინართან კონსულტაციაზე? ჩვენი ძაღლი, რომელიც გვაჩუქეს, ჯერ 10 დღისაა, მე კი არაფერი ვიცი კლინიკების შესახებ.

პასუხი: რადგან ძაღლი არ გყოლიათ და არაფერი იცით მისი მოვლის წესების შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ვეტერინარს. ის დაგეხმარებათ, აგიხსნით მოვლის წესებს და კვების რეჟიმსაც შეგირჩევთ; ასევე, დაგინიშნავთ ლეკვის ასაკისა და ჯიშის შესაბამის საკვებს, შეგიდგენთ პროფილაქტიკური ღონისძიებების გეგმას და ასე შემდეგ. რაც შეეხება კლინიკებს, უნდა შეარჩიოთ ისეთი კლინიკა, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ.

კითხვა: მყავს 2 წლის კოკერ-სპანიელი, რომელმაც ბოლო დროს ზრდა შეწყვიტა. ეს მის ასაკში ნორმალურია თუ რამე პრობლემასთან გვაქვს საქმე?

პასუხი: კოკერ-სპანიელი განეკუთვნება იმ ძაღლების ჯგუფს, რომლებიც ზრდას ამთავრებს 12-15 თვის ასაკში, ასე რომ, არანაირი პრობლემა არ არის, თუ თქვენმა ძაღლმა ზრდა 2 წლის ასაკში შეწყვიტა. გასათვალისწინებელია, ასევე, ის გარემოება, თუ რა დონეზეა თქვენი ძაღლი გაზრდილი და ჩამოყალიბებული. ამისათვის, უმჯობესია, ის მიიყვანოთ ვეტერინართან, რომელიც შეაფასებს თქვენი ძაღლის განვითარების დონეს, თავისი ჯიშის სტანდარტის გათვალისწინებით.

კითხვა: შეიძლება, რომ დეკორატიული ჯიშის ძაღლი აგრესული იყოს? ჩემი ძაღლი ბოლო დროს, რატომღაც, გაავდა.

პასუხი: დეკორატიული ძაღლი, თუ კარგი აღზრდილია, არ გახდება აგრესიული. მაგრამ, ის არა მხოლოდ სწორად აღზრდილი, არამედ, აუცილებლად სწორად აღზრდილი მშობლების შვილი უნდა იყოს. ამიტომ, ლეკვის შეძენა მხოლოდ იმ ძაღლთსაშენში უნდა მოხდეს, რომელიც კარგი რეპუტაციით სარგებლობს და მომშენებელი პროფესიონალია. თუ ლეკვს გენეტიკური გადახრა აქვს, მის გამოსასწორებლად ძალიან დიდი მუშაობა დასჭირდებათ არა მარტო ოჯახის წევრებს, არამედ, სერიოზულ კინოლოგებსაც.

კითხვა: ქალაქიდან ვაპირებთ გასვლას მთელი ოჯახი და ძაღლიც უნდა წავიყვანოთ. დაახლოებით 5 საათი მოგვიწევს მგზავრობა. რას მირჩევთ, როგორ ვამგზავროთ ცხოველი, დისკომფორტი რომ არ შეექმნას?

პასუხი: მგზავრობა დისკომფორტს ქმნის ცხოველებში, ამიტომ, მგზავრობის დროს, სასურველია, ძაღლი მშიერი იყოს, მაგრამ, გზაში წყალი აუცილებლად უნდა დაალევინოთ. ასევე, რამდენჯერმე უნდა შეაჩეროთ და დაასვენოთ. ცხოველი მგზავრობის დროს ისე მოათავსეთ, რომ თავისუფლად იგრძნოს თავი და ხედავდეს გზას, საითაც მიემგზავრებით. ასევე, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მანქანის ფანჯრიდან შემოსული ქარის ნაკადი პირდაპირ სახეში არ სცემდეს ცხოველს, რადგან, შეიძლება ამან გამოიწვიოს სხვადასხვა გართულება. მაგალითად, გაციება, ყურის ანთება, კონიუნტივიტი და ასე შემდეგ.

მოამზადა
მარიკა ხიდურელმა

ფლორის სამყაროში

რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

გოეთე

კითხვა: ჩემი დუმფარა არ ყვავის. როგორ მოვიქცე?

პასუხი: საერთოდ, დუმფარა წყლის მცენარეა, ამიტომ ის ვერ ძლებს უწყლოდ. შესაძლებელია, მას თავის დროზე მოაკლდა წყალი და ვეგეტატიურად ვერ მოემზადა ყვავილობისთვის. ყვავილების გამოსაღებად დუმფარას ესაჭიროება ხშირი მორწყვა და ზამთარ-ზაფხულ წყალში ყოფნა. მისი ყვავილობა იწყება მაისიდან და გრძელდება გვიან შემოდგომამდე. როდესაც დუმფარას წყალს აკლებენ ან მორწყვის გარეშე რჩება, მას უშრება მთავარი ღეროვანა და საერთოდ აღარ იკეთებს ყვავილს, მხოლოდ ფოთლებზე „მუშაობს.“ ესაა ძვირად ღირებული მცენარე, რომელსაც იუნესკოს ბიოორგანიზაცია იცავს. დუმფარას იყენებენ როგორც მედიცინაში, ასევე, წარმოებაშიც. მას არ ეშინია არც ყინვების და არც სიცხეების. თუ ის იზრდება 25-30 გრადუს ტემპერაურაზე, კარგად ყვავის და მრავლდება კიდეც.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა ზაფხულის პერიოდში რომელიმე მცენარის გადარგვა?

პასუხი: საერთოდ, ზაფხული მცენარეების ყვავილობისა და განვითარების პერიოდია, მაგრამ, შეიძლება, მცენარე გადარგოთ ერთი ქოთნიდან მეორეში, ოღონდ, ისე, რომ კომი არ დაშალოთ. ასეთ პირობებში ის განიცდის დისკომფორტს და განაგრძობს ზრდა-განვითარებას. თუ მას მოუშლით კომს და ფესვებს შეაცლით, საერთოდ დაყრის ფოთლებს და მიეცემა მოსვენების პერიოდს. ამასთან, შესაძლებელია, მცენარე დიდი ხნით გაჩერდეს ისე, რომ ფოთლები არ ამოიყაროს და საერთოდ შეაჩეროს ზრდა. ასეთ დროს მას დგამენ მყუდრო და ჩრდილიან ადგილას, რათა არ მოხდეს ღეროვანი სისტემის მზისგან გამოშრობა. უნდა მისცეთ დამატებითი მინერალები, რათა რამდენიმე თვეში განაგრძოს განვითარება. თუ მცენარე დაავადებულია, ეს უკვე ფესვთა სისტემის ბრალია. ამ შემთხვევაში, მცენარეს საერთოდ იღებენ ნიადაგიდან და უცვლიან ნიადაგს, ფესვებს კი გამდინარე წყალში რეცხავენ. ფესვთა სისტემიდან აჭრიან დაზიანებულ ნაწილებს, ხოლო ადგილებს ფორმალინის ხსნარით ამუშავებენ და ხელახლა რგავენ ახალ ნიადაგში. შემდეგ დგამენ ჩრდილიან ადგილას და ყოველ მეორე დღეს რწყავენ. ორი კვირის შემდეგ კი მას უკვე მცირე რაოდენობით აწვდიან მინერალებს. ზოგადად კი, უმჯობესია, თუ მისი გადარგვა მოხდება ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომით, რათა მცენარე ახალი ზრდა-განვითარებისთვის მოემზადოს და ჯანმრთელი იყოს.

კითხვა: რა სიხშირით მოვრწყა ყოჩივარდა?

პასუხი: ყოჩივარდას მანამდე ნუ მორწყავთ, სანამ მისი ფოთლები ცოტათი არ მოიწყენს. მორწყვისას ქოთანი წყლიან ჯამში ჩადგით და ათი წუთით გააჩერეთ, შემდეგ კი დაწრიტეთ. სამ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით, დაყვავილების შემდეგ კი თანდათან შეამცირეთ მორწყვა მანამ, სანამ ფოთლები გაყვითლდება. ზაფხულის ბოლოს ან ადრიან შემოდგომაზე ბოლქვი გადარგეთ და ქოთანი დადგით ნათელ ადგილას. სანამ მცენარე ზრდას დაიწყებს, მინა ტენიანი უნდა ჰქონდეს, შემდეგ კი ჩვეულებრივარ მორწყეთ.

კითხვა: როგორი სინათლე და ტემპერატურა სჭირდება ჩინურ ვარდს?

პასუხი: მას მოსწონს კაშკაშა სინათლე, ოღონდ, არა თაკარა მზე. ზამთარში მზეზე ყოფნას აიტანს, თუ ფესვები ტენიანი ექნება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა. ჩახუთული ჰაერი და ტენის ნაკლებობა ყვავილების სწრაფად ჭკნობას იწვევს.

მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა

როგორ ნიღბავდა გამოცდილი კრიმინალი ქალი საკუთარ დანაშაულებს და რა როლში ევლინებოდა ის დაზარალებულ მსხვერპლს

54 წლის ნანა ღ-ძე სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნისა და ქურდობის ორგანიზებისთვის დააკავეს. გამოძიებამ მის „ანგარიშზე" 12 დანაშაულებრივი ეპიზოდი გახსნა, რომლებიც გამოცდილ ქალს ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა ჩადენილი. უფრო მრავალფეროვანი აღმოჩნდა ქალის დანაშაულებრივი წარსული: 30 წლის ასაკში ის მეუღლის მკვლელობის მცდელობისთვის გაასამართლეს, ციხეში გატარებული ცხრა წლის შემდეგ, ნანა ღ-ძემ მეორე სასჯელი გარყვნილების ბუდის მოწყობისა და ეგრეთ წოდებული „სუტენიორობისთვის" მოიხადა. ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებულმა, ბედის საძიებლად თურქეთს მიაშურა, საიდანაც მალე დაბრუნდა და ახალი საქმიანობა წამოიწყო.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ნანა ღ-ძემ პირველი დანაშაული დისშვილთან, 21 წლის გიორგი ო-შვილთან ერთად ჩაიდინა. გიორგის დედის გარდაცვალების შემდეგ ის თავად ზრდიდა მას და ბიჭზე სრული გავლენა ჰქონდა. სწორედ დეიდამ შესთავაზა დისშვილს, გაექურდათ მეზობლის სახელოსნო, სადაც ძველი ხელსაწყოები ეწყო, რომელსაც ისინი ჯართში ჩააბარებდნენ. პირველი წარმატებული „ოპერაციის" შემდეგ, დეიდა-დისშვილმა საქმეში ნანა ღ-ძის სიძე, 22 წლის მამუკა მ-ძეც ჩართო, რადგან, გიორგი ო-შვილს მარტოს უჭირდა მძიმე საგნების მოპარვა და გადაადგილება. ნანა ღ-ძე დისშვილს უფრო მეტად ენდობოდა, ვიდრე სიძეს, რომელიც ეპილეფსიით იყო დაავადებული. ამას გარდა, სიძემ მას რამდენჯერმე „დაუწუნა" გაღებული წილი და ერთხანს საქმესაც გაერიდა, რის გამოც ნანა ღ-ძე მთავარ საქმეებზე ძირითადად დისშვილს გზავნიდა. თუმცა, სიძე მტრად რომ არ გადაჰკიდებოდა, ის ხანდახან მაინც ჩართო საქმეში.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, დამლაგებელი დეიდა-სიდედრი მთავარი „ნაკოლშჩიკი" და ორგანიზატორი იყო. ბიჭები ყველა დანაშაულს მისი მითითებისამებრ ასრულებდნენ, თავად ქალი კი ცდილობდა, რომ მყარი ალიბი ჰქონოდა და უმეტეს ეპიზოდებში, დაზარალებულის გვერდით ყოფნას ცდილობდა. მაგალითად, როდესაც მათ ვინმე ემზარ ბურკაძის ბინა გაქურდეს, ქალი იმ ღამით ემზარის მეუღლესთან ერთად, მისი დახმარების მიზნით, დაზარალებულის კუთვნილ სხვა ბინაში იმყოფებოდა. როცა ბურკაძეებმა დილით მეზობლებისგან შეიტყვეს, რომ მათი ბინა გაქურდული იყო, ქალმა ისე შეიცხადა ქურდობის ფაქტი, მასში ეჭვის შეტანა თვით გამოცდილ დეტექტივსაც კი გაუჭირდებოდა.

მოგვიანებით დაკავებულმა მამუკა მ-ძემ თავის ჩვენებაში განაცხდა: „წარმოდგენა არ მქონდა, რით იყვნენ დაკავებულები ჩემი სიდედრი და გიორგი მანამდე, სანამ თვითონ არ შემომთავაზეს ერთ საქმეში დახმარება. ერთ ღამეს ნანამ მითხრა: ჩემი მეგობარი უცხოეთში წავიდა, ბინაც მე დამიტოვა და ნივთებიც. უფლება მაქვს, ის ნივთები გავყიდო, მაგრამ, ეს ისე უნდა გავაკეთოთ, მეზობლებმა რომ არ დაგვინახონ, თორემ, იმ ჩემი მეგობრის შვილს გააგებინებენო. მე და გიორგი გვიან ღამით მივედით ბინაში. ამ ფაქტამდე ორი დღით ადრე გიორგიმ „ოპელის" მარკის ფურგონიანი ავტომობილი შეიძინა. ფული, როგორც თვითონ თქვა, დეიდამ მისცა. ძალიან გამიკვირდა გიორგის გადაწყვეტილება, ვუთხარი კიდეც, ფურგონი რამ გაყიდინა-მეთქი. გვიან მივხვდი, რისთვისაც სჭირდებოდათ ასეთი მანქანა. ეჭვი მაშინ გამიმძაფრდა, როცა ჩემი სიდედრის „მეგობრის" ბინიდან ღამით ჩუმად წამოღებული ორი დიდი ტელევიზორი სახლში არ მივიტანეთ. არც იმ ბინას ეტყობოდა, რომ ამერიკაში წასულ ქალს ჩემი სიდედრისთვის ჰქონდა დატოვებული, თუმცა, გიორგიმ ბინა გასაღებით გახსნა, რომელიც, როგორც მერე გავიგე, ნანასგან ჰქონდა მოპოვებული. როცა რამდენიმე დღეში ის ტელევიზორები მოვიკითხე, გიორგიმ მითხრა, კარგად გავყიდეთო – მიხვდნენ, რომ დამალვას აზრი არ ჰქონდა. ამის შემდეგ რამდენიმე „საქმეზე" გავყევი გიორგის, მაგრამ, მივხვდი, უჩემოდაც „მუშაობდნენ", თან, არც ერთი მენდობოდა ბოლომდე და არც მეორე. ერთხელ ნანამ ჩემი ნათლიის ბინის გაქურდვაც კი შემომთავაზა, რაზეც ვერ დამითანხმეს და ამის გამო ჩვენ შორის რამდენჯერმე დიდი კონფლიქტიც მოხდა, ორი თვე გავერიდე მათ სახლს – ჩემს ცოლთან ერთად ქირით გადავედი, მერე კი ნანამ შემომითვალა, ერთი შვილი მყავს და მარტოს ნუ დამტოვებ, ყველაფერი მისთვის მინდაო. შემეცოდა და ისევ დავბრუნდი, თუმცა, ამის მერე ნანას ჩემი ნდობა საერთოდ აღარ ჰქონდა, მისთვის დისშვილი იყო მთავარი პარტნიორი."

ქალმა პირველი დანაშაული დისშვილთან, 21 წლის ბიჭთან ერთად ჩაიდინა

ნანა ღ-ძის მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა რიცხვი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. ის მსხვერპლად ძირითადად ისეთ ოჯახებს ირჩევდა, სადაც მარტოხელა, მაგრამ, შეძლებული ქალები ცხოვრობდნენ. ქალს, რომელიც საკმაოდ ხელმარჯვე იყო, დამლაგებლის ისეთი რეპუტაცია ჰქონდა შექმნილი, უამრავ ბინაში იწვევდნენ. მას ბინის მეპატრონეთა ნდობის მოპოვება არ უჭირდა – ამისთვის ყველა გზასა და საშუალებას იყენებდა. ნანა ღ-ძე არ ერიდებოდა არც ნაცნობს და არც უცნობს. მან ისე გააქურდვინა ახალგაზრდების საკუთარი ნათესავის ბინა, საიდანაც, ახალი საყოფაცხოვრებო ნივთები, ქვაბები და ლარნაკებიც კი ისე მოიპარეს, მასზე ეჭვი არავის აუღია; უფრო მეტიც, თავად დაჰყვებოდა დაზარალებულს პოლიციის განყოფილებაში. ამით ის ალიბისაც იქმნიდა და კარგი ნათესავის სახელსაც ინარჩუნებდა. ნაქურდალ ნივთებს სარეალიზაციოდ სამნი იყოფდნენ: ქალი ძირითადად საყოფაცხოვრებო ნივთებს ყიდდა მეგობარ-ახლობლების მეშვეობით, ბიჭები კი ტექნიკისა და ოქროს სამკაულების რეალიზაციას ახდენდნენ.

გამოძიება ნანა ღ–ძის კვალზე ერთ-ერთ დანაშაულებრივ ეპიზოდზე მუშაობის დროს გავიდა: დაზარალებულმა მარინა ვაშაყმაძემ სამართალდამცველებს მას შემდეგ მიმართა, რაც აღმოაჩინა, რომ მისი ბინა გაქურდული იყო. დამნაშავეს ბინიდან ოქროს სამკაულები და საყოფაცხოვრებო ნივთები მოეპარა. დაზარალებული გამოძიებას ქურდობის საკუთარ ვერსიებს სთავაზობდა, მაგრამ, ყველა ეს არარეალური იყო. ქალს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ მისი ბინის ქურდობის ორგანიზატორი იყო დამლაგებელი ქალი, რომელმაც ქურდობამდე ორი კვირით ადრე მისი ბინის გასაღების ასლი გააკეთა, ბინის გაქურდვის შემდეგ კი ისეთი ინსცენირება მოაწყო, რომ კარი გატეხილი იყო. გიორგი ო-შვილი და მამუკა მ-ძე სამართალდამცველებმა ნაქურდალი ოქროს სამკაულების რეალიზაციის დროს დააკავეს და დაზარალებულმა საკუთარი ნივთები ამოიცნო. დისშვილმა და სიძემ დამნაშავე დეიდა-სიდედრი პირველივე ჩვენებაში ამხილეს. ნანა ღ-ძე სამი დღის განმავლობაში ემალებოდა ოპერატიულ სამსახურს – მისი დაკავება ერთ-ერთი დაზარალებული ქალის აგარაკზე მოხდა, რომელიც გვიან მიხვდა, რომ თავადაც დამლაგებლის მსხვერპლი იყო.

ნანა ღ-ძემ ჩადენილი დანაშაულები აღიარა. გამოძიების დროს მის მიერ ჩადენილი კიდევ რამდენიმე ეპიზოდიც გაიხსნა, რომელთა შორის იყო ერთი უცნაური ქურდობა. ნანა ღ-ძე ნანა კოშკაძის ბინაში მეგობრის რეკომენდაციით მოხვდა. ორსართულიანი სახლი, სადაც ის ოჯახის მოხუც დიასახლისთან ერთად მარტო დატოვეს, სამ დღეში უნდა დაელაგებინა. სახლში ბევრი ძვირფასი ნივთი იყო, თუმცა, გამოცდილმა ქურდმა ქალმა თვალი დაადგა ლაბრადორის ჯიშის ლეკვს, რომელიც ოჯახისთვის ძალიან ძვირფასი არსება იყო. ნანა ღ-ძე ღამით დეტალებზე ტელეფონით შეუთანხმდა გიორგის, თუ როგორ უნდა შემოეღწია ბინაში და მოეპარა ლეკვი, რომელიც დეიდა-დისშვილმა მოგვიანებით 500 დოლარად გაყიდა. ნანა ღ-ძემ დღის საათებში, როცა სახლის დალაგებითა და მოხუც ქალთან საუბრით იყო „გართული," ბინის კარი ღია დაუტოვა დისშვილს, რომელიც უკვე დახელოვნებული იყო და ბინაში შეღწევა და იქიდან ლეკვის მოპარვა არ გასჭირვებია. როდესაც მოხუცმა დიასახლისმა აღმოაჩინა, რომ ლეკვი დაკარგული იყო, შვილებს დაუკავშირდა. ბევრი მცდელობის მიუხედავად, მათ ვერც დაკარგული ლეკვი იპოვეს და არც საკუთარ დამლაგებელზე აუღიათ ეჭვი, რომელიც მათთან ერთად ეძებდა დაკარგულ „ლაბრადორს".

სასამართლომ ნანა ღ-ძეს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; ოთხი წლით პატიმრობა შეეფარდა გიორგი ო-შვილს, რომელიც დეიდის დანაშაულებრივი საქმიანობის მსხვერპლი გახდა. რაც შეეხება მამუკა მ-ძეს, სასამართლომ გაითვალისწინა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მას სამწლიანი პატიმრობა პირობითი სასჯელით შეუცვალა.

ეკა ბარაბაძე

ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-33(659)

– ჩვენზე არაფერი მოუწერია? – ჰკითხა ბერძენამ.

– აი, წაიკითხეთ, – რიტამ ზალატნიკზე დაწერილი ქსივა მოგვცა, სადაც ეწერა, რომ ქურდული ობშჩიაკის 300 ათასი და ნაკოლშჩიკის 100 ათასი მანეთი რიტასთან დაგვეტოვებინა.

– სამწუხაროა, რომ ძია ვასია ვერ ვნახეთ, – ვთქვი მე და მაგიდაზე ტყავის ჩანთა დავდე, რომელშიც 400 ათასი მანეთი იდო.

– ბრილიანტი ხშირად გახსენებდათ და ბალტუნს ეუბნებოდა, რა კარგი ძმაკაცები გყავსო, – თქვა რიტამ.

– ბალტუნი სად არის? – მოვიკითხე ყბედალო, რიტამ კი მომიგო:

– დაჭერის წინა დღეს, ბრილიანტმა ის ტაშკენტში გაგზავნა რაღაც პრობლემის მოსაგვარებლად და რომ გაიგო, ძია ვასია გასროკესო, იქიდან პირდაპირ იაკუტიაში გაემგზავრა მის სანახავად. ორ-სამ დღეში, ალბათ, ჩამოვა.

– ნაკოლშჩიკის საქმე როგორაა? – დაინტერესდა ბერძენა.

– მშვენივრად, – გაეცინა რიტას, – როსტოვშია. ფსკერზე წევს. კარგს ჭამს და კარგს სვამს. კარგადაა და უფრო კარგად გახდება, როცა 100 ათასს ჩავახუტებ.

– კარგი, რიტა, ყველაფერი გასაგებია. წავედით, – ვუთხარი ქალს, მან კი ხელები გაშალა და თქვა:

– მოიცადეთ ქურდებო, ორიოდე დღე მაინც დარჩით.

– არა, რიტა, საქმეები გვაქვს, – უთხრა ბერძენამ.

– ისადილეთ მაინც და ცოტა დაისვენეთ.

– არა, არა, ძალიან გვეჩქარება. კარგად იყავი, – ვუთხარი მე. რიტას გამოვემშვიდობეთ და წამოვედით.

სინამდვილეში არსად გვეჩქარებოდა და ბრილიანტი რომ იქ ყოფილიყო, ორ-სამ დღეს მართლაც დავრჩებოდით. რიტა ძია ვასიას ქალი იყო და ბრილიანტის არყოფნაში მასთან დარჩენა არ ვისურვეთ. მით უმეტეს, რომ ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა – არც ძებნილები ვიყავით და ჯიბეშიც ორმოცდაათი ათასი მანეთი გვედო.

როსტოვიდან თბილისში დავბრუნდით და ოცი ათასი მანეთი ჩვენს ხელმოკლე ნაცნობ-მეგობრებსა და უბრალოდ, გაჭირვებულებს გავუნაწილეთ. ათი ათასი შავი დღისთვის დავაზაგაჟნიკეთ. ათ-ათი ათასი კი, ჯიბეში ჩავიდეთ და დროსსატარებლად გავემგზავრეთ.

ოცი ათასი მანეთი იმ დროს უზარმაზარი თანხა იყო. ორ ადამიანს ორი თვე ისე გაგრიალებდა, რომ ჩიტის რძესაც არ დაიკლებდი, თან ცოტა ხურდაც დაგრჩებოდა...

– ობშჩიაკში გადავიხადეთ, ნაკოლშჩიკი გავისტუმრეთ, გაჭირვებულებს დავეხმარეთ, ახლა ცოტა საკუთარ თავს მივხედოთ, რაღა, – მითხრა ბერძენამ, როდესაც ტაქსიდან გადმოვედით და ძველი ვაგზლის სალაროებისკენ გავემართეთ.

– რას იტყვი, საით გავემგზავროთ? მკითხა ბერძენამ.

– ან სოჩაში, ან იალტაში – ზღვაზე, რა! – მხრები ავიჩეჩე და დავამატე, – იქ, სადაც შენ გაგისწორდება.

– შენ სად გაგისწორდება?

– სოჩაც კარგია და იალტაც. ქალები და ღვინო-დუდუკი ორივეგანაა და მაყუთიც ყველგან ერთნაირად ჭრის.

– კარგი. მაშინ არიოლ-რეშკა ავაგდოთ და რომელიც დაჯდება, იქ გავემგზავროთ. არიოლი – სოჩაა, რეშკა კი – იალტა, – მითხრა ბერძენამ და ჯიბეები მოიჩხრიკა, მაგრამ რკინის ფული არ აღმოაჩნდა. ჯიბეებში მხოლოდ ქაღალდის ფულები ელაგა.

ასეთ დღეში ვიყავი მეც და ბერძენამ სამმანეთიანი ამოაცურა, ბოშა ქალი მოიხმო, რომელსაც ხელზე თუთიყუში ჰყავდა დასმული და „ბორია გადაიო“ ყვიროდა. ფული დაანახვა და უთხრა: „ხუთკაპიკიანში სამ მანეთს მოგცემ, გაქვს მონეტა?“

ახალგაზრდა ბოშამ ხუთკაპიკიანი ამოაცურა და ბერძენას გაუწოდა, სამმანეთიანი კი ხელიდან გასტაცა, ჯიბეში სწრაფად ჩაიდო და უთხრა:

– აი, მონეტა.

– არიოლ-რეშკა ააგდე და მონეტაც შენი იყოს, – მიუგო ბერძენამ.

ბოშამ მოხდენილად ააგდო ხუთკაპიკიანი, რომელიც ჰაერში დაბზრიალდა, ასფალტზე დაეცა და გერბზე დაჯდა.

– არიოლია, სოჩაში მივდივართ! – თქვა ბერძენამ და ბოშა ქალს თვალი ჩაუკრა, რომელიც ხუთკაპიკიანს დასწვდა, ჯიბეში ჩაიდო და „ბორია გადაის“ ძახილით, თუთიყუშებთან ერთად მეტროსკენ გაემართა.

რკინიგზის სალაროებში, როგორც ყოველთვის, სეზონის მიუხედავად, მატარებლის ბილეთების დეფიციტი იყო. მით უმეტეს, ზაფხული იდგა და თბილისი-სოჭის გასვლამდე ერთი საათით ადრე, ბილეთების შოვნა წარმოუდგენელი იყო. ამიტომ ბერძენას ვუთხარი:

– თბილისი-სოჩა ერთ საათში გადის და ბილეთებს დავითრევთ?

– დავითრევთ, კობრაჯან, უეჭველად დავითრევთ, თანაც საუკეთესოს. თუ არა და, პრავადნიკს მაყუთს გავუმაზავ და მეფურად გვამგზავრებს, – მითხრა ბერძენამ. შემდეგ ერთ-ერთ სალაროსთან მივიდა და შუახნის ფერუმარილიან მოლარეს უთხრა:

– ორი კარგი ბილეთი მინდა სოჩის მატარებელზე.

– კარგი ყველაფერი ძვირია, – მრავალმნიშვნელოვნად მიუგო ქალმა, ბერძენამ სალაროში ორმოცდაათმანეთიანი შეაცურა და ჰკითხა:

– „ესვეს“ ეყოფა?

მოლარემ ფული სასწრაფოდ გააქრო. თვალის დახამხამებაში გამოწერა საძილე ვაგონის ორადგილიანი კუპეს ბილეთები და თან, დააყოლა:

– ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

– აი, ორი „ესვე“ დავითრიე ხუთ თუმნად, – მითხრა ბერძენამ და პიჯაკის ჯიბეზე დაირტყა ხელი, სადაც ბილეთები ედო, – კარგი დასაწყისია, გაგრძელება ვაგონ-რესტორანში იქნება და სოჩაში სულ გრიალ-გრიალით ჩავალთ.

გრიალს ბერძენა ზომიერ დროსტარებას უწოდებდა და ჩემი არ იყოს, ხმაურიან და ხალხმრავალ კამპანიებს ვერ იტანდა. ის ჯერ კიდევ ბავშვობაში მასწავლიდა: „ქურდი შეუმჩნეველი უნდა იყოს. ხალხმრავალ ტუსოვკებს მოერიდოს, რომ ძაღლებსა და ნასედკებს თვალში არ მოხვდეს და შემთხვევით, პრობლემები არ შეექმნას“.

– დაიმახსოვრე კობრა, – მასწავლიდა ბერძენა, – ქურდს ისედაც ათასი თვალი უყურებს, რამე იაღლიში რომ უპოვონ და ჩაძირონ. ამიტომ, ხალხმრავალ ქეიფებსა და ტუსოვკებს უნდა ერიდო, რომ ძაღლებმა და ნასედკებმა არ შეგამჩნიონ. ასეთ ადგილებში ეს ბოზები ყოველთვის არიან და თავი არ უნდა დაანახვო. ზედმეტი ყურადღება ყოველთვის მავნებელია და რაც ქურდულ საქმეს ვნებს, არ უნდა გავაკეთოთ.

ბერძენა ყოველთვის ქურდულად ცხოვრობდა და მისი ფრაზა გრიალის შესახებ, უბრალოდ, ლამაზი სიტყვები იყო და მეტი არაფერი.

დაიძრა თუ არა მატარებელი, ნახევარ

საათში ვაგონ-რესტორანიც გააღეს. ჩვენ მაგიდას მივუსხედით და ვახშამი შევუკვეთეთ, რა თქმა უნდა, სასმელთან ერთად.

– ეს ორი ადგილი თავისუფალია თუ ვინმეს ელოდებით? – იკითხა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც მეორეც ახლდა. ხალხით გადაჭედილ ვაგონ-რესტორანში ისინი მხოლოდ იმიტომ მოვიდნენ ჩვენთან, რომ ორად ორი შეუვსებელი ადგილი ჩვენს მაგიდასთან იყო.

– არავის ველოდებით, თავისუფალია, – მიუგო ქალს ბერძენამ.

– შეიძლება, დავსხდეთ და ვივახშმოთ?

– რა თქმა უნდა, დაბრძანდით, – სუფრასთან მოიპატიჟა ქალები ბერძენამ, – ნება გვიბოძეთ, ვახშამზე დაგპატიჟოთ.

– უი, რას ამბობთ, უხერხულია, – შეიშმუშნა ქალი და თან, მეორეს გადახედა, – არ გიცნობთ და ეს უკვე ნამეტანი იქნება.

– მე კოტე მქვია, ჩემს მეგობარს – გოგი. პროფესიით ფიზკულტურის მასწავლებლები ვართ და დასასვენებლად სოჩაში მივდივართ, – უთხრა ბერძენამ ქალს, რომელმაც გაუღიმა და უპასუხა:

– მე ეთერი ვარ. ეს ლამაზი გოგონა კი ანაა. ჩვენც პედაგოგები ვართ, ინგლისურს ვასწავლით.

– ძალიან სასიამოვნოა. ახლა კი მენიუ დაათვალიერეთ და ყოველგვარი მორიდების გარეშე შეუკვეთეთ, რაც გნებავთ, – უთხრა ქალებს ბერძენამ, მიმტანი მოიხმო და დაავალა:

– ჩვენს შეკვეთას, ამ გოგონების შეკვეთაც დაამატე და კონიაკთან ერთად შამპანურიც მოიტანე ქალბატონებისთვის.

სასმელის ხსენებაზე ახალგაცნობილ ქალებს არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ და ჩვენთან ერთად მშვენივრად მოილხინეს. ისინი რძალ-მული აღმოჩნდნენ და „ლამაზი გოგონა – ანა“, ეთერის ქმრის და იყო. ეთერის ქმარი კი მილიციის მაიორი და შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატში თანამდებობის პირი გახლდათ... რძალ-მულს აშკარად ეტყობოდა, რომ ჩვენთან დროის გატარების წინააღმდეგნი არ იყვნენ. მიუხედავად ამისა, მე და ბერძენას გვერჩივნა, მილიციისგან თავი შორს დაგვეჭირა. თანაც, ჩვენს პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა გათხოვილ ქალთან ინტიმური ურთიერთობები და როგორც კი ვახშამი დავასრულეთ, ქალები თავიანთ კუპესთან მივაცილეთ და ჩვენს ესვეში დავბრუნდით.

– ძაღლების ნათესავებიღა გვაკლდა, – მითხრა ბერძენამ, როდესაც კუპეს კარი ჩაკეტა და გააბოლა.

– ისე, ანას კი გაჟიმავდა კაცი და არც ეთერია ნაკლები, მაგრამ, მაგათი დედაც... – დავეთანხმე ბერძენას და მეც გავაბოლე.

სხვათა შორის, ეთერი და ანა სოჭის ერთ-ერთ რესტორანში ვიღაც ორ არაქართველ კავალერთან ერთად მთვრალები შეგხვდნენ და აშკარა იყო, რომ გულაობდნენ...

– ეს ბოზები ნახე?! – მითხრა ბერძენამ და საცეკვაო დარბაზისკენ მიმანიშნა, სადაც ეთერი და ანა ისე ეგრიხებოდნენ თავიანთ კავალრებს, აშკარად ეტყობოდათ, მაგარი მთვრალები რომ იყვნენ.

– მაგის სირ ქმარს, ალბათ, ჰგონია, რომ უმწიკვლო ცოლი და და ჰყავს, – სიცილით მივუგე ბერძენას, ხოლო ჩემმა რუსმა ნაშამ მკითხა:

– ის გოგოები მოგეწონათ?

– რომელი გოგოები? – ვკითხე სვეტას.

– აი, ის მთვრალები, სასაცილოდ რომ იგრიხებიან, ცეკვა მაინც იცოდნენ, – თქვა სვეტამ, მე კი მივუგე:

– შენს კითხვაზე შენვე გაეცი პასუხი. ჩვენ მათ გრეხაზე ვკაიფობდით.

– მართლაც, რა სასაცილოები არიან, – თქვა ბერძენას ნაშამ, იულიამ, – ეგენი ლოგინშიც ასეთივე მოუქნელები იქნებიან.

უცებ ეთერს ფეხი აერია და იატაკზე დაებერტყა, მას ანამ წამოჰკრა ფეხი და რძალს ზემოდან დაეცა... მათი შემხედვარე მთელი რესტორანი ახარხარდა. ჩემი და ბერძენას გარდა, ყველა მხიარულობდა და ბერძენას ვუთხარი:

– არა, ძმაო, ბოზ ცოლს ძაღლსაც კი არ ვუსურვებ. ვინ იცის, ახლა ის კაცი ტყვიებს თავს უშვერს, ეს ბოზანდარები კი რა დღეში არიან.

– ამ ჭიქით ყველა პატიოსან ადამიანს გაუმარჯოს, – თქვა ბერძენამ, სასმისი მომიჭახუნა და დალია.

ეთერისა და ანას ბოზობა რა ჩვენი სანერვიულო და გადასატანი იყო, მაგრამ ასეთი მატყუარა და მოღალატე ადამიანების ყურება, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნოა... მართალია, ისინი ჩვენი იდეური მტრის – მილიციელის უახლოესი ადამიანები იყვნენ, თუმცა ნაძირლობა ზოგადად ამაზრზენია და ამ ქალების საქციელი ჩვენში უკიდურეს ზიზღს იწვევდა.

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ტყუილის თქმა საკმაოდ ხშირად მიწევს, მაგრამ მოღალატე და უნამუსო არასდროს ვყოფილვარ. თანამომძეებზე რომ არაფერი ვთქვა, მტრებსაც კი ყოველთვის ღირსეულად ვექცეოდი და საერთოდ, ქურდული ღირსების კოდექსი კატეგორიულად კრძალავს ყოველგვარ დაუნდობლობას, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. ასეთი შემთხვევა კი მხოლოდ მაშინ დგება, როცა ვინმე ჩვენს ქურდულ ღირსებას ეხება, მნიშვნელობა არ აქვს სიტყვით თუ საქმით. ამ დროს დანდობა არ ვიცით და დამნაშავეს ყოველგვარი სიბრალულის გარეშე, უმკაცრესად ვუსწორდებით... ზოგჯერ სიკვდილითაც კი ვსჯით, თუკი საქმე ეხება ქურდის მკვლელობას, ობშჩიაკის ფულის გაფლანგვას ან სხვა მძიმე დანაშაულს.

ქურდის მკვლელობა ყველა შემთხვევაში სიკვდილით ისჯება და მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ ჩაიდინა ის ქურდმა, უბრალოდ შავმა, თეთრმა, წითელმა თუ მილიციელმა. ამ ქმედებას ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია და მკვლელი ავტომატურად სამიზნე ხდება. ადრე თუ გვიან, ქურდის მკვლელს აუცილებლად მოკლავენ თუ, რა თქმა უნდა, მანამდე ის ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაიცვლება, თავს არ მოიკლავს ან სხვა მიზეზით არ წავა ამქვეყნიდან.

გამორიცხული არ არის, მავანმა ქურდმა ისეთი საქციელი ჩაიდინოს, რომ სიკვდილს იმსახურებდეს. ასეთ შემთხვევაში, დამნაშავე ქურდის საქციელი ჯერ ქურდულ სხოდკაზე უნდა გაირჩეს. თუკი მას დანაშაული დაუმტკიცდება, ქურდს ჯერ ტიტულს აჰყრიან და მხოლოდ ამის მერე შეუსრულებენ... თუმცა, შესაძლებელია, ტიტულაყრილ ქურდს შესთავაზონ, თავადვე აღასრულოს განაჩენი და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს...

სასიკვდილო ცოდვაა ქურდული ობშჩიაკის გაფლანგვა, მიუხედავად იმისა, რა თანხაა განიავებული. რადგან, ასეთი ქმედება ქურდული საქმის ღალატად ითვლება, ღალატს კი ჩვენთან არ პატიობენ. ამ შემთხვევაშიც ქურდულ სხოდკაზე წყდება საკითხი და თუკი ქურდული ობშჩიაკის შემნახავს ფულის გაფლანგვა დაუმტკიცდა, მას ფულის დაბრუნებას სთავაზობენ და გარკვეულ ვადას აძლევენ. თუ გამფლანგველმა ქურდმა ფული დააბრუნა, მაშინ მას მხოლოდ ტიტულს აჰყრიან და არაქურდად დატოვებენ, ხოლო თუკი ფულს არ დააბრუნებს, მაშინ ტიტულსაც აჰყრიან და სიკვდილით დასჯიან...

დაუწერელი ქურდული კანონები წლების განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა. მისი ძირითადი პრინციპები კი მეოცე საუკუნის ოციან წლებში, ეგრეთ წოდებული, „ნეპის“ პერიოდში ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომაც უწოდებდნენ „ნეპმანელ ქურდებს“ მათ, ვინც ურყევად იცავდა თავდაპირველ ქურდულ კანონებს და მისი მცირე ცვლილების წინააღმდეგი იყო. სწორედ ქურდთა ამ პლეადის წარმომადგენელი იყო

ვასია ბრილიანტი და ქურდული კანონების ყოველგვარი შემსუბუქების წინააღმდეგ გამოდიოდა.

– ქურდის საქმე ქურდული ცხოვრებაა და მეტი არაფერი, – იტყოდა ხოლმე ვასია ბრილიანტი და ასე განმარტავდა თავის სიტყვებს, – ქურდმა უნდა მოიპაროს, ობშჩიაკი შეავსოს, სროკი მოიხადოს, სახლიდან წავიდეს და სახლში დაბრუნდეს. ციხე ჩვენი სახლია, მასპინძლები ჩვენ ვართ და ჩვენვე წმინდად უნდა დავიცვათ საკუთარი კანონები, რომ სახლი თავზე არ ჩამოგვენგრეს.

სახლში ვასია ბრილიანტი მხოლოდ ციხეს კი არ გულისხმობდა, არამედ ქურდულ ცხოვრებას და მიაჩნდა, რომ თუკი ქურდული კანონების შერბილება, თანამედროვე პოლიტიკური ჟარგონით კი – ლიბერალიზაცია მოხდებოდა, ქურდულ საძმოს ფუნდამენტი შეერყეოდა და ძალიან დასუსტდებოდა, რაც საბოლოოდ, ქურდის განადგურებით დასრულდებოდა.

– ჩვენი ძალა ჩვენს პრინციპებშია, ძმებო, და არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება, პრინციპების დათმობა. ეს იგივეა, რომ სახლს აგურების გამოცლა დაუწყო და დაანგრიო, – მოუწოდებდა ქურდებს ძია ვასია და მისი ეს მოწოდება სულ რაღაც ორ დღეში გავრცელდა მთელ შავ სამყაროში და უზარმაზარი საბჭოთა კავშირის ყველა საპყრობილეში დაიგზავნა.

საქმე ის იყო, რომ იმ პერიოდში, საბჭოთა ქურდულ სამყაროში, მისი ისტორიის განმავლობაში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი განხეთქილება მოხდა. ახალგაზრდა ქურდების ერთი ჯგუფი ქურდული კანონების შეცვლას მოითხოვდა. მათ სურდათ, ქურდს ცოლის მოყვანის ნება ჰქონოდა და ამბობდნენ, რომ ცოლ-შვილი მათ ქურდულ საქმიანობას ხელს არ შეუშლიდა. ეგრეთ წოდებული ლიბერალი ქურდების ბირთვი კავკასიელები იყვნენ და მათ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ. ისინი იმ თაობის ქართველი ქურდები იყვნენ ჩემი და ყბედალოს ქურდად კურთხევიდან 10-12 წელიწადში რომ მოიპოვეს ქურდის ტიტული. მათ უმრავლესობას კარგად ვიცნობდი, მაგრამ მე მაინც ნეპმანელი ქურდების პოზიციაზე ვიდექი, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ვასია ბრილიანტი წინამძღოლობდა.

მე და ბერძენა რომ სოჭიდან დავბრუნდით, ყბედალოს ქსივა დაგვხვდა, რომელიც სასწრაფოდ როსტოვში გვიხმობდა, თუმცა რისთვის, იქ არ იყო ნათქვამი. სახლში სულ რაღაც ორიოდე საათი დავყავით. ცოტა დავისვენეთ, შემდეგ ტაქსების კერძო ბირჟაზე გავედით, „ჟიგულის“ მძღოლს 300 მანეთად მოველაპარაკეთ და დრო რომ არ დაგვეკარგა, საბჭოთა კავშირის ქურდულ დედაქალაქში მანქანით გავემგზავრეთ. ცხრაასკილომეტრიანი გზა სულ რაღაც რვა საათში გავიარეთ და შუაღამე ახალი გადასული იყო, როდესაც როსტოვში ჩავედით და რიტას სახლის კარზე დავაკაკუნეთ.

– მოდით, მოდით, ძვირფასო სტუმრებო, – გულღიად შეგვეგება რიტა, მე და ბერძენა გადაგვკოცნა და ბინაში შეგვიძღვა.

– ბალტუნი სადაა? – ჰკითხა დიასახლისს ბერძენამ.

– ისიც თქვენნაირი არაა? – მხრები აიჩეჩა რიტამ და სიცილით განაგრძო, – ბინას სხვაგან ქირაობს და ისე გამირბის, თითქოს ჭირი მჭირდეს. ჩემს თავს რომ ვაკადრო, ძია ვასიას არ მივაყენებ შეურაცხყოფას და არავის ლოგინში ჩახტომას არ ვაპირებ.

– ამას არც არავინ ფიქრობს შენზე, რიტა. უბრალოდ, ასეა საჭირო და მორჩა, – ვუთხარი რიტას და ვკითხე, – ხომ არ იცი, რაშია საქმე? ქსივაში ამის შესახებ არაფერი წერია.

– ბალტუნი მოვა და ყველაფერს ის გეტყვით, – მომიგო რიტამ, შემდეგ ყბედალოს დაურეკა და ჩვენი ჩამოსვლის ამბავი შეატყობინა. ყურმილი რომ დაკიდა, სამზარეულოში გავიდა გვიანი ვახშმის გასაწყობად.

ყბედალო, ძალიან სწრაფად მოვიდა, ჩვენთან ერთად მიუჯდა სუფრას და ცოტა სული რომ მოვითქვით და ორ-ორი ჭიქა არაყიც გადავკარით, გვითხრა:

– ბრილიანტი დიდ სხოდკას აწყობს ზონაში და იაკუტიაში უნდა გავემგზავროთ.

– რა, ბაზარია? – დაინტერესდა ბერძენა.

– ახალგაზრდებს კარგი ცხოვრება, გულაობა მოუნდათ და ქურდული კანონების შეცვლას მოითხოვენ, – მიუგო ყბედალომ.

– რომელი კანონების?

– ჯერჯერობით ცოლის მოყვანის უფლებას ითხოვენ და თუ გაუვათ, ცოტა ხანში სხვა მოთხოვნებსაც წამოაყენებენ...

იაკუტიაში, კონკრეტულად კი მაგადანში, მეორე დღესვე გავემგზავრეთ. თორმეტსაათიანი ფრენის შემდეგ, რომლის დროსაც ორი თვითმფრინავი გამოვიცვალეთ, დანიშნულების ადგილზე ჩავედით. ექვსასკაციან ზონაში, სადაც ბრილიანტი იხდიდა სასჯელს, ოთხასამდე ქურდი შევიკრიბეთ და უმსხვილესი საკავშირო ქურდული სხოდკა კოლონიის კლუბში ჩატარდა.

ახალგაზრდა, ლიბერალი კავკასიელი ქურდები მაშინ უმცირესობაში დარჩნენ და ნეპმანელთა პოზიციამ გაიმარჯვა. მაგრამ, სხოდკის დასრულების შემდეგ, ქურდების ძალიან ვიწრო წრე ძია ვასიასთან შევიკრიბეთ და ბრილიანტმა გვითხრა:

– მაგარი ვიღაცეები ჩანან. დღეს, მარ-

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

	მ		მ	ო	ნ	ი	კ	ა		პ	ა	ს	ა	ტ	ი
ბ	ა	ბ	ე	ტ	ა			ვ		ე			შ		ს
	ნ		დ	ი	დ	ი	ბ	რ	ი	ტ	ა	ნ	ე	თ	ი
ფ	ი	ო	რ	დ	ი			ო	ნ	ი		ა	ღ	ე	ნ
	ა	ბ	ო		ა		კ	რ	ი	ტ	ი	კ	ო	ს	ი
ო	ნ	ა	ვ			ტ	ა	ა	ტ	ი		ვ		ა	
	ი	გ	ე	ღ	ო		ნ		ნ		ს	ე	უ	ღ	ი
						ი	ტ	ნ	ა	ფ	ა	ს		ი	
					ღ		ი		რ		გ	ი	რ	ა	ო
					ა	მ		ყ	ა	ნ	ა		ე		ს
					ვ	ა	ს	ა	კ	ა		ი	ტ	ა	პ
					ა	ცა		უ		ბ	უ	ნ	ი	კ	ი
						ნ	ო	რ	ი	ო		ი		უ	
პ	ა	ი	ჭ	ა	ძ	ე		მ		ბ	უ	ხ	უ	ტ	ი
	მ		ვ		ვ		ტ	ა	ღ	ი	ნ	ი		ა	
პ	ა	რ	ა	ნ	ა		უ		ი		გ	რ	ი	გ	ი
	ღ		ღ		ღ		რ			ა			თ	ა	ვ
ყ	ა	ღ	ი	ბ	ი		კ	ი	ს	ი	ს	ხ	ე	ვ	ი
		ა		ა		ღ	უ	ს		ა		ო	კ	ა	კ
მ	ი	ტ	ა	რ	ბ	ი		ნ	ა	ზ	ი	რ	ი		ო
ე		ა	მ	ი	ა	ღ		ა		მ	ს	ა	ჯ	ი	
ნ	ა	რ	ი	ნ	ჯ	ი		მ	ხ	ა	ტ	ვ	ა	რ	ი
ჯ		ე	ნ	ი	ო			ო			ი	ა	ტ	ა	კ
ი	ფ	ა	ი			ი	თ	რ	ა	ვ	კ			ჩ	

ადვილი ამოცანა

7	3	1	2	6	8	4	5	9
6	2	5	9	3	4	8	7	1
8	4	9	5	7	1	6	3	2
3	1	8	7	2	5	9	6	4
4	9	7	6	1	3	2	8	5
2	5	6	4	8	9	7	1	3
9	7	4	3	5	6	1	2	8
5	8	2	1	4	7	3	9	6
1	6	3	8	9	2	5	4	7

რთული ამოცანა

9	7	5	8	6	1	2	4	3
6	8	4	3	5	2	7	9	1
2	3	1	4	9	7	5	8	6
4	9	6	2	3	5	1	7	8
7	1	8	9	4	6	3	2	5
3	5	2	1	7	8	9	6	4
1	2	3	7	8	4	6	5	9
8	6	7	5	1	9	4	3	2
5	4	9	6	2	3	8	1	7

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. იორდანე. 2. ანესთეზიოლოგია. 3. როცა მათი პროფილი მონეტაზეა გამოსახული. 4. შავს. 5. ქვეყნის ნაწილი ამერიკა ორ კონტინენტზეა – ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაზე. 6. კრეისერ „ავრორას“ გასროლა. 7. თერმოსს. 8. აგრეგატი. 9. ანტიკვარიატი. 10. ლატვია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა.

თალია, ვერ გაიტანეს თავისი და უმცირესობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ შემდეგ სხოდკაზე გაიმარჯვებენ და მომავალი ცვლილებებისთვის მომზადებული უნდა ვიყოთ.

– რას ჰქვია გაიმარჯვებენ. მერე ჩვენ რისი მაქნისები ვართ?! – გაცხარდა სლავა ივანკოვი, რომელსაც მსოფლიო „იაპონჩიკის“ სახელით გაიცნობს წლების მერე და ის ლეგენდარული პიროვნება გახდება. მაშინ კი, ქურდის ტიტული ახალი მოპოვებული ჰქონდა და ბრილიანტმა მას უთხრა:

– ნუ ცხარობ, სლავკა, ამას დრო მოიტანს და მომზადებული უნდა შევხვდეთ. მთავარია, ჩვენი ძირითადი პრინციპები დარჩეს ხელშეუხებელი და ქურდული სამყარო მაფიას არ დაემსგავსოს, სადაც თეთრსა და შავს ვერ გაარჩევ და ყველანი ერთ ქვაბში იხარშებიან.

– რას გვირჩევ, ძია ვასია? – ჰკითხა ბრილიანტს ივანკოვმა.

– რა თქმა უნდა, ქურდული კანონების ერთგულებას და ჩვენი რიგების განმტკიცებას თავდადებული ხალხით. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ჩვენ შორის უთანხმოება ომში გადაიზარდოს. ასეთ შემთხვევაში, ამ მომენტით სხვები ისარგებლებენ, ინიციატივას საკუთარ ხელში აიღებენ და ისე მოგვიყომარებენ, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ.

ბრილიანტის სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა და მოგვიანებით, ქურდებს შორის დაპირისპირება უკიდურესად გამწვავდა. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად კი, ნამდვილი ომი გაჩაღდა და იმ პერიოდში იმაზე მეტი ქურდი იქნა მოკლული, ვიდრე მთელი ქურდული ისტორიის განმავლობაში.

ბოლოს, ვასია ბრილიანტი მის სიკვდილამდე სულ რამდენიმე თვით ადრე ვნახე. ჩვენ როსტოვის საეტაპო ციხეში შევხვდით ერთმანეთს. მე ვჩალიჩობდი, რომ საქართველოში გადმოვეგზავნეთ, რადგან, მაშინ აქ ჯერ კიდევ არ დევნიდნენ ქურდებს და არც ეს წყეული 223-ე პრიმა მუხლი მოქმედებდა. ბრილიანტი კი ეტაპს ელოდებოდა და მთელი ხუთი დღე ერთად გავატარეთ.

– ძია ვასია, საით გიპირებენ გაგზავნას? – ვკითხე ბრილიანტს, რომელმაც უარის ნიშნად მხრები აიჩეჩა და თავი გააქნია, ხუთი დღის მერე კი მითხრა:

– ჩემი ამბავი გადაწყდა. ხვალ დილით სოლიკამსკში მიშვებენ.

– „ბელი ლებედში“? – გავფითრდი მე, რადგან ეს ციხე ქურდების გასატეხად იყო შექმნილი და ბრილიანტის იქ გაგზავნა, მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა.

საქმე ის იყო, რომ სოლიკამსკის „ბელი ლებედში“ ქურდებს ერთად სვამდნენ და ისეთ პირობებს უქმნიდნენ, ერთმანეთი დაეჭამათ. მაგალითად, პარაშის (ფეკალური მასით სავსე კასრი ან სხვა ჭურჭელი) გამტანი არ იყო და როდესაც პარაშა აივსებოდა და საკანს ისე ააქოთებდა, რომ იქ გაჩერება შეუძლებელი იყო, მეპარაშეობა რომელიმე ქურდს უნდა ეკისრა. ეს კი, ავტომატურად, ქურდის სტატუსს უხსნიდა პარაშის გამტანს და ის გატეხილი იყო.

მეპარაშეობას ქურდების ურავლესობა ქურდობაზე წერილობით უარის თქმას ამჯობინებდა და შესაბამის განცხადებას წერდა ციხის დირექტორის სახელზე. შემდეგ ამ განცხადების ტექსტს ქურდულ სამყაროში ავრცელებდნენ და ხშირად ცენტრალურ გაზეთებშიც კი აქვეყნებდნენ. ამ შემთხვევაშიც გატეხილად ითვლებოდა ქურდი.

ვინც მეპარაშეობაზეც უარს ამბობდა და არც ქურდული სტატუსის დატოვებაზე აკეთებდა წერილობით განცხადებას, იმას სხვა, არაქურდი ბოროტმოქმედების საკანში სვამდნენ, სადაც ეს გალავარეზი პატიმრები მას უპატივცემულოდ, ყოვლად დამამცირებლად ექცეოდნენ და ქურდი ან თავს იკლავდა, ან ბესპრეძელშიკებთან შეტაკებაში იღუპებოდა. ერთი სიტყვით, „ბელი ლებედი“ ქურდის აღსასრულს ნიშნავდა და ნათელი იყო, ვასია ბრილიანტს განაჩენი უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე ჰქონდა გამოტანილი. ყოველივე ეს მშვენივრად იცოდა ყველა ქურდმა, მით უმეტეს, ძია ვასიამ და გაფითრებული რომ დამინახა, მითხრა:

– კი, „ბელი ლებედში“ მგზავნიან. როგორც ეტყობა, ვიღაცას მაგრად გავეჩხირე ყელში. ჩემი გატეხა უნდათ, მაგრამ, ამას ვერ ეღირსებიან.

– ძია ვასია, ეგ კი მასეა და ვერანაირად ვერ გაგტეხენ, მაგრამ შენი „ბელი ლებედში“ წასვლა არ შეიძლება. მთელი რუსეთის მასშტაბით შუმოკი უნდა ავტეხოთ, რომ იქ არ გაგიშვან. ახლავე დავიწყებ ქსივების ზონებსა და ციხეებში დაგზავნას, მთელ შავ სამყაროს ფეხზე დავაყენებ და „ბელი ლებედიც“ აგცდება, – ვუთხარი ბრილიანტს. მას კი ჩაეცინა, თავი გააქნია და მომიგო:

– არა, კობრა, ბუნტის ატეხა არ ღირს. ეს უფრო დაასუსტებს ქურდულ სამყაროს. იყოს „ბელი ლებედი“, ვნახოთ, რა ხილია, მივემგზავრები.

რამდენიმე თვეში, ვასია ბრილიანტი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა „ბელი ლებედში“ და ეს ამბავი რომ გავრცელდა, მთელი ქურდული სამყარო ღრმა ტრაურმა მოიცვა. იმ დროს მე ორთაჭალის ციხეში ვიჯექი და ძია ვასიას სიკვდილის ამბავი რომ შემატყობინეს, ჯერ გავშეშდი, შემდეგ კი ცხარე ცრემლით ავტირდი.

ცოტა სული რომ მოვითქვი და დავმშვიდდი, ნადზორს ვუხმე და ვუთხარი, ციხის უფროსთან ამიყვანე-მეთქი.

– ჯერ გავარკვევ, უფროსს თუ სცალია და პასუხს შეგატყობინებთ, – მითხრა ნადზორმა, რომელსაც ოცდოლარიანი ვაჩუქე და თან დავაყოლე:

– სწრაფად ქენი, ძალიან მეჩქარება.

თხუთმეტი წუთის შემდეგ, ციხის უფროსის პირისპირ, მის კაბინეტში ვიჯექი. მან კი მკითხა:

– რაშია საქმე, კობრა, რით გემსახურო?

– ერთი კვირით უნდა გამიშვა. რუსეთში უნდა გავემგზავრო ბრილიანტის დასაფლავებაზე და შვიდ დღეში აქ ვარ, – მშვიდად ვუთხარი ციხის უფროსს, რომელმაც იფიქრა, ალბათ მომესმაო და მკითხა:

– რა თქვი?

– მაქსიმუმ ორ საათში აქედან ერთი კვირით რუსეთში უნდა გავემგზავრო და შვიდ დღეში დავბრუნდები. ოცი ათას დოლარს მიიღებ, ხოლო უარს თუ მეტყვი, არ გაშინებ, მაგრამ ჩემი მტერი გახდები, მტრებს კი არ ვინდობ, – უფრო მშვიდად და გარკვევით ვუთხარი ციხის უფროსს.

– რას მიშვრები, კობრა, რომც არ გაიქცე და რამე დაგემართოს, მაშინ მე რა ვქნა? – დაიკნავლა ციხის უფროსმა.

– გაქცევა მდომოდა, აქამდეც მოვახერხებდი. დამართებით კი, არაფერი დამემართება. დროს ნუ ვკარგავთ. მაყუთს დღესვე მიიღებ. ბილეთი და პასპორტი მაქვს საჩალიჩო. ვითომ კარცერში მსვამ. აქედან კი შენი მანქანით გავალთ და სანამ გავფრინდები, ერთად ვიმოძრავებთ, – ვუთხარი ციხის უფროსს.

ციხის უფროსს ბევრი არ უფიქრია. პატარა პაუზა გააკეთა. შემდეგ ხელი ჩაიქნია და თქვა:

– მოსულა. ერთი კვირით გაგიშვებ, მაგრამ, რომ გადამაგდო, იცოდე, არა მარტო მე დამლუპავ, ჩემს ცოლ-შვილსაც.

– ნუ გეშინია, არ გადაგაგდებ.

ერთი საათის შემდეგ, ციხის უფროსის მანქანით ერთ-ერთ ახალაშენებულ ფეშენებელურ საცხოვრებელ სახლს მივადექით, სადაც ვერცხლისქუჩელი ანზორა ცხოვრობდა.

– აქ დამელოდე, მაყუთს ავიღებ და მოვალ, – ვუთხარი ციხის უფროსს და მანქანიდან გადავედი.

– ვაა, ამას ვის ვხედავ! – ხელებგაშლილი შემომეგება ანზორა, ჩამეხუტა და მკითხა, – როგორ ხარ, კობრაჯან, დასროჩნა გამოხვედი?

– არა. ჯერ კიდევ სროკზე ვარ, – მივუგე ვერცხლისქუჩელს. მან კი მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა:

– ხუმრობ?

– არ ვხუმრობ, – სერიოზული სახით მივუგე ანზორას.

– გაიქეცი? პაბეგში ხარ?

– არა, ანზორ, არა! ერთი კვირით გავეთავისუფლე. წუხელ ვასია ბრილიანტი გარდაიცვალა. დღეს ასაფლავებენ და რუსეთში უნდა გავფრინდე. ქვევით კი ციხის უფროსი მელოდება მანქანით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-33(659)

რაც არ კლავს...

ქეთიმ თვალები გაახილა. თავი ყრუდ სტკიოდა და ბუნდოვნად ახსოვდა წინა საღამოს მომხდარი. ოთახში ვახო შემოვიდა მინერალური წყლის ბოთლით ხელში.

– კარგად ხარ? აღარ გაგაღვიძე. ვიფიქრე, გამოიძინებს და უკეთ გახდება-მეთქი.

– ცუდად ვიყავი?

– ჰო, სასმელი ვერ აიტანე. რა დაგემართა, არ ვიცი. ერთი ჭიქა არ გამოგიტოვებია... ვინ გაძალებდა, თავი რატომ მოიკალი, ვერ ვხვდები.

ქეთიმ წამოჯდომა სცადა, მაგრამ, სხეული არ დაემორჩილა და ამოიოხრა:

– ანუ, იმის თქმა გინდა, რომ ნასვამი ვიყავი? დავლიე?

– ნასვამი კი არა, მთვრალი იყავი. ჰმ, დავლიეო... ძალიან, ძალიან ბევრი დალიე.

– სად?

– შენს სამსახურში. დაგავიწყდა? რა კარგად მაქვს საქმე?! გოგო, რამ გაგაგიჟა? ამდენი რამ დაგალევინა? საერთოდ, რას აღნიშნავდით? სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობ შენ თუ რესტორანში?

– დიდი ამბავი, – შეიჭმუხნა ქეთი, – პაციენტმა პატივი გვცა და ვისკი მოგვართვა. ჰოდა, დავლიეთ. რა პრობლემაა?

– პრობლემა თუ არ არის, ვერ გტკივა თავი?! მე შენი კრუსუნის ნერვები არა მაქვს, სამსახურში უნდა წავიდე.

ქეთი ძალიან გააღიზიანა ქმრის სიტყვებმა:

– შენი მოსავლელი არაფერი მჭირს, სადაც გენებოს, იქ წაბრძანდი! დაგავიწყდა, რამდენჯერ მომივლია შენთვის, ფეხზე ძლივს რომ მდგარხარ სიმთვრალისგან? საყვედურიც არ მითქვამს, მაგრამ შენ ადამიანი ვერაფერს დაგანახვებს. უმადური ხარ. ერთხელ დავთვერი და დაანგრიე ქვეყანა...

ვახომ უკმაყოფილოდ გახედა ცოლს:

– რა უნდა გელაპარაკო. ნეტავი იცოდე, რას ჰგავდით, როცა მოვედი. კიდევ კარგი, იმის ჭკუა მაინც გეყო, საჭესთან არ დამჯდარიყავი.

ქეთიმ თავზე მოიჭირა ორივე ხელი:

– სამსახურში ხომ მიდიოდი? წადი, რა! რომ გისმენ და გიყურებ, უარესად ვხდები.

– ჰო?! გასაგებია... ამას ველოდი. ეტყობა, ჩემზე უკეთესს უსმენ და უყურებ.

– სისულელეებს ნუ ბოდავ და ჩემი მობილური მომაწოდე, რეკავს.

– ახლა სულელიც გამხადე... თუ ეს მარტო „პახმელიის“ სინდრომია კიდევ გაპატიებ... – ვახომ მობილური აიღო, მაგრამ, ცოლისთვის არ მიუცია, რატომღაც, გაჩერდა და ტელეფონში რაღაცის კითხვა დაიწყო.

– რას აკეთებ? – აღშფოთება ვერ დამალა ქეთიმ, – მესიჯებს რატომ კითხულობ? რა უნამუსობა და თავხედობაა.

– კარგი რა, შენც არაერთხელ წაგიკითხავს ჩემი მესიჯები, მაგრამ, ვიცი, რამაც გადაგრია. აი, ეს არ უნდა მენახა... – ვახომ მობილური სახესთან ახლოს მიუტანა ცოლს...

– რა გინდა? – ხელით მოიშორა ცოლმა და ტელეფონი გამოსტაცა, – რა შენი საქმეა, ვის რას მივწერ და ვინ რას მომწერს?

მგონი, ერთხელ გითხარი, არ მინდა, იმ ქალთან რამე საერთო გქონდეს-მეთქი. შენ

კი, პირიქით, კიდევ უფრო დაუმეგობრდი და ნაბიჯს აღარ დგამ ლიზას გარეშე?

– ნუ აზვიადებ. მხოლოდ ერთხელ შევხვდი. პრობლემა ჰქონდა და, უბრალოდ, დალაპარაკება უნდოდა. ჩაი დავლიეთ ერთად – სულ ეს იყო.

– მე გთხოვე, საერთოდ არ შეხვდე-მეთქი!

– ნუ მბრძანებლობ, მე შენი საკუთრება არ ვარ და არც დაქირავებული მოსამსახურე. შენს თანამშრომლებს შეგიძლია, უბრძანო, მე – არა!

– ქეთი, ახლა ჩხუბი არ მინდა. მე წავალ, შენ კი იფიქრე – იქნებ მიხვდე, რომ დააშავე.

– ჰო?! არც იოცნებო! – დაიყვირა ქეთიმ, – იქნებ, შენ თვითონ იფიქრო და გაიგო, რა სჭირდება ქალს, შენით აფრთოვანებული რომ იყოს და ყველაფრის დაჯერების სურვილი გაუჩნდეს? რომ იცოდე, როგორ ვერ გიტან!

– მართლა? ძალიან კარგი. მაშინ, თუ ასე ვერ მიტან, შეგიძლია, წახვიდე ჩემგან. პირობას გაძლევ, გზაზე არ გადაგეღობები! – ვახომ ზედ აღარ შეხედა ცოლს, ოთახიდან გინებით გავარდა და კარი გაიჯახუნა. ქეთი გულაღმა გადავარდა ლოგინზე და სახეზე ხელები აიფარა...

***

გიგიმ მობილური რამდენჯერმე აიღო ხელში, მაგრამ დარეკვა ვერ გადაწყვიტა. ამოიხვნეშა და კომპიუტერში თავშერგულ ზუკას გასძახა:

– შეგიძლია, ერთი წუთი მომისმინო? საქმე მაქვს შენთან...

– შეკვეთა უნდა დავასრულო. დაგავიწყდა ვახოს მითითებები? ახალი შინაგანაწესით ვმუშაობთ. სურვილი არ მაქვს, საყვედურები მივიღო, თანაც, შენ გამო.

– ვახო ოთახში არ არის და, მგონი, საერთოდაც არ მოსულა.

– რა კარგად ხარ ინფორმირებული?! მოვიდა და საშინელ გუნებაზეა – თიკომ მითხრა. ასე რომ, შემეშვი.

გიგი ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე ისევ აწრიალდა:

– ბიჭო, რაღაცას გკითხავ, ორი წუთი მომისმინე...

– კარგი, გისმენ.

– იმ ლიზას რომ დავურეკე და მისმა მეგობარმა რომ გვიპასუხა...

– მე არა, შენ გიპასუხა.

– ჰო, მე მიპასუხა... იცნობ, ვინ არის?

– არა. აბა, საიდან უნდა ვიცნობდე? ლიზას ჩემთვის თავისი მეგობრები არ გაუცნია. რატომ მეკითხები?

– იმიტომ, რომ ძალიან ნაცნობი ხმა ჰქონდა.

– მერე მე რა... – მხრები აიჩეჩა ზუკამ.

– ვა, სულ ვფიქრობ... ლამის თავი გამისკდეს ფიქრით... ვინ შეიძლება იყოს? რატომ ჰქონდა ასეთი ნაცნობი ხმა?

– აუ, გიგი... თუ მეტი არაფერი გაინტერესებს, მოდი, ასე მოვიქცეთ: შენ კიდევ იფიქრე, სამსახურის შემდეგ კი გამიზიარე, რასაც მოიფიქრებ.

გიგიმ თვალები მოჭუტა და თავი გადაქნია:

– ნინის ხმას ჰგავდა ძალიან.

ზუკას გაეცინა:

– აჰა, შენც დაგეწყო... ისე მოგენატრა, რომ მისი ხმაც გელანდება. აბა, არ მიყვარსო?

– ოო, გეყოფა, სიყვარული რა შუაშია! უბრალოდ, ნინის ხმა იყო-მეთქი, მაგრამ, ეგენი ერთმანეთს საიდან უნდა იცნობდნენ?

– წარმოდგენა არ მაქვს. არ ვიცი და, მეეჭვება, ნინი ყოფილიყო. მოგეჩვენა. ახლა მომცემ მუშაობის საშუალებას?

გიგი გაჩუმდა. ამჯერად შედარებით დიდხანს იყო ჩუმად, თუმცა, მოთმინებამ მაინც უმტყუნა.

– დამელაპარაკე, რა!.. – მიუბრუნდა ისევ ზუკას.

– რა გინდა?

– რა ვქნა, ვერ ვისვენებ... ამ გოგომ გადამრია. ისე მათამაშებს, როგორც კატა თაგვს. რამდენიმე დღე არ მპასუხობდა და ახლა ისეთი ფოტოები გამომიგზავნა – შოკში ვარ. ეს თუ ამისი სხეულია...

– აბა, მაჩვენე, – დაინტერესდა ზუკა.

– რაში გჭირდება?

– ისე, მაინტერესებს, რა გაგიჟებს? ნუ გეშინია, შენსავით უნახავი არ ვარ და არ დავფეთდები.

– უნახავი რომ არ იყო, იმ ლიზაზე არ გადაირეოდი, – დასცინა გიგიმ და მაშინვე მოიღუშა, – აუ, მაგარ შარში ვართ, რა... როგორ გვაწვალებენ ეს ქალები!.. ნეტავი, მატრიარქატი ხომ არ გვემუქრება!.. აუჰ, დავიღუპებით, ტო! წარმოიდგინე სამყარო, სადაც ყველაფერს ყველგან ქალები განაგებენ: ქალები არიან ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ქალები არიან უფროსებიც და მთავრობაშიც, ყველა მინისტრის პოსტს ეგენი იკავებენ... იცი, როგორ დაგვენძრევა? ნახევარ ხელფასზე გვამუშავებენ, თან – სულის ამოხდომამდე. ახლა ისიც წარმოიდგინე, როგორ წრუპავენ ლუდს, უყურებენ ფეხბურთს და იგინებიან... ფუჰ! საჭესთანაც ხომ ძირითადად ეგენი სხედან...

– გიგი, გეყოფა, რა, რა დროს მატრიარქატი და ქალური ტოტალიტარიზმია, მსოფლიო გენდერული თანასწორობისკენ მიდის. მოისვენე, რა...

– ნინის ხომ არ დავურეკო? – ყოყმანით იკითხა გიგიმ.

– ისევ ნინი. თუ შეეშვი მაგ გოგოს, რატომღა უნდა დაურეკო და ხელახლა აურიო ცხოვრება? აცალე, რა, დაგივიწყოს.

– რატომ უნდა დამივიწყოს? – ეწყინა გიგის.

– როგორი ეგოისტი ხარ. აბა, შენ გინდა, თვითონ ნაშებში ირბინო, ნინიმ კი იტიროს და ნერვიულობით თვალებიც დაითხაროს?!

– არა, ტო, უბრალოდ, ხმას გავიგებდი და დავრწმუნდებოდი, მართლა ნინი იყო თუ არა...

– არ გირჩევ... თუმცა, შენი საქმის შენ იცი... დარწმუნებული ვარ, მაინც არ გიპასუხებს.

– პრინციპში, მართალი ხარ. ბოლო დროს აღარ მპასუხობდა, თანაც, ნინიც რომ იყოს, რა მენაღვლება? სულაც არ მაინტერესებს.

– ბევრს ლაპარაკობ ნინიზე... – აღნიშნა ვახომ და სარკასტულად გაუღიმა.

– ტყუილად იცინი, – იხტიბარი არ გაიტეხა გიგიმ, – სულაც არ არის ისე, როგორც შენ იფიქრე. ბოლოს და ბოლოს, გავარკვიეთ, ვდგავართ თუ არა მატრიარქატის საფრთხის წინაშე?

– არა. შეგიძლია, მშვიდად იყო. დღეს არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს მსოფლიოში, სადაც ქალებს მამაკაცებზე მეტი ძალაუფლება აქვთ, ტყუილად ნერვიულობ.

– აბა, ისინი ვინ არიან, ფემინიზმები თუ რაღაც ჯანდაბა? ბოლო დროს ტელევიზორში სულ მაგათი წინინი ისმის.

– ფემინისტები და არა ფემინიზმები, – თავი გადააქნია ზუკამ, – რა გეშველება? მომისმინე. ფემინისტებს უნდათ, ქალები და კაცები თანასწორები იყვნენ ყველაფერში. მატრიარქატის დროს კი ქალები ბატონობენ მამაკაცებზე.

– ანუ, გადავრჩით?

– საქმეს მიხედე, თორემ, პატრიარქატიც არანაკლებ საშიშია, როცა უფროსის მითითებებს არ ასრულებ, – გააფრთხილა ზუკამ და უცებ დაამატა: ისე, გეჩვენებინა ეგ ფოტოები, რა მოხდებოდა? მართლა მაინტერესებს.

– არა. პირადში გამომიგზავნა, მარტო ჩემი თვალებისთვის არის განკუთვნილი.

– კარგი, ოღონდ, გაფრთხილებ: სანამ შეკვეთას არ დავასრულებ, შენი ხმა აღარ გავიგონო... – მკაცრად თქვა ზუკამ და გიგის ზურგი აქცია.

***

ლევანმა რამდენჯერმე ყურადღებით მიმოიხედა გარშემო და, როცა დარწმუნდა, საეჭვო არავინ ჩანდა, მანქანა ისე გააჩერა, ფანჯრიდან შენობის შესასვლელი რომ დაენახა, თავად კი შეუმჩნეველი დარჩენილიყო... თიკო ზუსტად შვიდის თხუთმეტ წუთზე გამოჩნდა. ჩაფიქრებული მოდიოდა, მაგრამ, რამდენჯერმე ისე გაიხედა უკან, თითქოს ვიღაცას ეძებდა. კაცი მანქანიდან გადავიდა და მობილურიდან დაურეკა. მერე გათიშა და გოგოს ხელი დაუქნია.

– მეგონა, არ მოხვიდოდით, – თქვა თიკომ, ღვედი შეიკრა და ისე გაიღიმა, თითქოს გულიდან მოეშვა.

– რატომ არ მოვიდოდი? მესიჯი ხომ მოგწერე, აუცილებლად მოვალ-მეთქი. მართალია, ცოტა გამიჭირდა „გამოძრომა“... – ლევანმა უხერხულობის დასაფარად გაიღიმა და გოგოს თავზე გადაუსვა ხელი, – მგონი, მომენატრე...

თიკომ უკმაყოფილო მზერით აირიდა მისი მოკრძალებული ალერსი და ჰკითხა:

– „გამოძრომაში“ რა უნდა ვიგულისხმო?

– გეტყვი. მანამდე კი შენ გისმენ – რა ხდება?

თიკო გაჩუმდა. ცოტა ხანს ყოყმანობდა, მერე კაცს თვალებში შეხედა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ჩვენ ერთმანეთს აღარ უნდა შევხვდეთ.

– ეს ორი დღის წინაც მითხარი...

– ჰო, მაგრამ, შენ ისევ დამირეკე... ისევ მომწერე... ასე არ შეიძლება. შენ ცოლთან გექმნება პრობლემები, მე – სამსახურში. ასე არ შეიძლება, – გაიმეორა ისევ.

– მოიცა, სამსახურში რატომ გექმნება პრობლემები? ანუ, იმის თქმა გინდა, რომ მე გიქმნი პრობლემებს?

– არა... თუმცა, ჰო... ჩვენი უფროსი ბრაზობს. მოითხოვა, კლიენტებთან არანაირი ურთიერთობა არ გვქონდეს.

– მე შენი კლიენტი არ ვარ, – გაეღიმა ლევანს, – ეს რა ბავშვობაა, ხუმრობ?

თიკომ თავი გააქნია:

– არ ვხუმრობ. თათბირი ჩაგვიტარა და მკაცრად გაგვაფრთხილა.

– კი მაგრამ, შენ გაქვს უფლება, პირადი ცხოვრება გქონდეს. სამსახურის მერე ვის შეხვდები, რა მისი საქმეა?! – აღშფოთება ვერ დამალა ლევანმა, – პატარა გოგო ხომ არა ხარ?!

– ვახო მართალია. რაც შენ გამოჩნდი ჩემს ცხოვრებაში, მას მერე სულ ვფიქრობ და ცუდად ვმუშაობ.

კაცს შეკრული შუბლი გაეხსნა:

– ჩემზე ფიქრობ? მართლა? რა სასიამოვნოა, როცა იცი, რომ შენზე ასეთი ლამაზი გოგო ფიქრობს.

– გთხოვთ, ასე ნუ მელაპარაკებით.

– რატომ „თქვენ?“ – ასე უცებ რა დაგემართა? თიკო, მეც ძალიან ბევრს ვფიქრობ შენზე... იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე ამას ვისურვებდი. გაორებული დავდივარ... ჩემი ცოლიც ბოლო დროს უცნაურად ალაპარაკდა...

– ხედავ? პრობლემები შენც გაქვს... ამიტომაც, გთხოვ, აღარც დამირეკო, აღარც შემხვდე – ორივესთვის ასე აჯობებს.

– რომ არ შემიძლია?! – სინანულით ჩაილაპარაკა კაცმა, – მართლა არ შემიძლია...

– რა არ შეგიძლიათ? – თიკო დაბნეული ჩანდა. კაცს ხან შენობით მიმართავდა, ხან თქვენობით...

– რომ აღარ გნახო... როცა გიყურებ, ისეთი გრძნობა მაქვს... გამიჭირდება ამ გრძნობის გარეშე...

– მაგრამ, არ მეუბნები, რომ ეს გრძნობა სიყვარულია... არც იმას, რომ, მზად ხარ, ცოლს გაეყარო... – თიკო თვითონაც ვერ მიხვდა, საიდან მოვიდა ეს სითამამე... კაცს ჯიუტად გაუმეორა ნათქვამი და პასუხის მოლოდინში, ტუჩები გაბუტული ბავშვივით გაბუსხა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

თქვენთვის სიყვარული ნარკოტიკია?

იყავით გულახდილი, იქნებ, ამ ტესტით მიხვდეთ, რა არის თქვენთვის სიყვარული.

1. როცა მარტო ხართ, თავს უბედურად გრძნობთ?
ა) დიახ, ძალიან;
ბ) არა.

2. გჭირდებათ პარტნიორი სრულფასოვანი ცხოვრებისთვის?
ა) აუცილებლად;
ბ) არა.

3. გაქვთ ალერსის მუდმივი მოთხოვნილება?
ა) დიახ. მჭირდება;
ბ) არა.

4. ხშირად განუხებთ კითხვა, კმაყოფილია თუ არა თქვენი პარტნიორი?
ა) დიახ, ძალიან ხშირად;
ბ) არა.

5. ეჭვიანი ხართ?
ა) დიახ;
ბ) არა.

6. თქვენი ყველა სურვილი, იმედი და ოცნება საყვარელ ადამიანს უკავშირდება?
ა) დიახ, რა თქმა უნდა;
ბ) არა.

7. თქვენი პარტნიორი თქვენთვის მისაბაძი, სამაგალითო ადამიანია?
ა) დიახ;
ბ) არა.

8. როდისმე გქონიათ დეპრესია?
ა) დიახ;
ბ) არა.

9. გაქვთ იმის შიში, რომ მასთან ალარ იქნებით და ითრგუნებით ამით?
ა) დიახ, ძალიან;
ბ) არა.

10. გრძნობთ თავს პარტნიორზე დამოკიდებულად?
ა) დიახ;
ბ) არა.

ყველა დადებით პასუხზე დააწესეთ 0 ქულა, უარყოფითზე – 1.

დათვალეთ და ნახეთ შედეგები:

0-5 ქულა: სიყვარული თქვენთვის ნამდვილი და საშიში ნარკოტიკია. მთლიანად პარტნიორზე ხართ დამოკიდებული. ამბობთ, რომ ეს თქვენი ცხოვრებაა და სხვანაირად არ შეგიძლიათ. ყველაფერი თქვენს ხელშია. იქნებ, გამოასწოროთ სიტუაცია?!

6-10 ქულა: პარტნიორთან ძალიან თბილი და ნაზი დამოკიდებულება გაქვთ. სიყვარული თქვენ დისკომფორტს არ გიქმნით და არ განერვიულებთ. პრინციპში, ყველაფერი ნესრიგშია. თქვენ იცით ჭეშმარიტი სიყვარულის ფასი და ის ყოველთვის თქვენს გულშია.

დეპრესიული ნიანგი...

რატომღაც, ხვლიკების ისევე ეშინიათ, როგორც გველების. მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ ხვლიკებს შეუძლიათ, ადამიანი გათვალონ ან მოკლან ის. ნიანგსაც არანაკლებ აქვს სახელი გატეხილი. წითელთვალება, ჯუჯა ნიანგი, მაგალითად, სულაც არ არის აგრესიული. შეიძლება ითქვას, რომ მასზე დეპრესიული და უცხვირპირო არსება პლანეტაზე მეორე არ მოიძებნება. ის ნამდვილი მარტოხელა ფილოსოფოსია. ამჯობინებს თბილ, მშვიდ და მიყრუებულ ადგილებს. თუნდაც შემთხვევითი და ხანმოკლე შეხვედრა ნებისმიერ სხვა არსებასთან მასში პანიკურ შიშს იწვევს. ისეთი პატარაა, უფრო ხვლიკია, ვიდრე ნიანგი – სულ რაღაც 20 სანტიმეტრია, ნიანგისებრი აგებულებით, ყბებითა და საფარველით, ასევე – კუდით... ადამიანთან შეხვედრა მასზე თითქმის დამღუპველად მოქმედებს – ისეთ სტრესს იღებს, ღრმა და ხანგრძლივ დეპრესიაში ვარდება. „დეპრესიული ნიანგის“ ზოგი სახეობას თვალებთან ერთად თავიც წითელი აქვს.



ნივთების ევოლუცია

სამართებელი

მისი ისტორია ძალიან ძველია. პირველი ქვისა და ხის სამართებლები ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელების სამარხებშია აღმოჩენილი. ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 532 წლით თარიღდება. 1864 წელს გაჩნდა ფოლადისა და პლასტმასის საკმაოდ ბასრი სამართებლები გერმანიიდან; 1959 წელს ინგლისში უკვე თანამედროვე ტიპის უსაფრთხო სამართებელს იყენებდნენ. 2013 წელს ამერიკაში ბაზარი დაიპყრო პლასტმასისა და ფოლადის უსაფრთხო სამართებლებმა.

ჩაალაგე ჩემოდანი

ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია ამ ნივთის გარეშე. 1848 წელს ინგლისში ხისგან და რკინისგან პირველი სკივრი-ჩემოდანი დაამზადეს. ის 10 კილოგრამს იწონიდა.

1929 წელს საფრანგეთში ხელოვნური ბოჭკოსგან უფრო კომფორტული, გაცილებით მსუბუქი – 1,5-კილოგრამიანი ჩემოდანი შეიქმნა.

1974 წელს ამერიკაში შექმნეს ტყავისა და ლითონისგან დამზადებული ჩემოდანი – ის 21 კილოგრამს იტევდა, თვითონ კი მხოლოდ 1 კილოგრამს იწონიდა.

2012 წელი პოლიპროპილენის ჩემოდნებს ეკუთვნის. ისინი 25 კილოგრამს იტევენ. საუკეთესო ჩემოდნებს იტალია აწარმოებს.

ყურსასმენი

ყურსასმენის ისტორია 1910 წლიდან მოდის. მათი სამშობლო ამერიკაა. პირველი ყურსაცვამები პლასტმასისა და რკინის იყო, უზარმაზარი სადენებით აბურდული.

1958 წელს, ისევ ამერიკაში, პლასტმასისა და სპილენძის ყურსასმენები დაამზადეს, რომელსაც საკმაოდ დიდი ზომის შემაერთებელი რკალი ჰქონდა.

1987 წელს ინგლისში დაამზადეს მსუბუქი და ელექტროსტატიკური, სინთეტიკური პლასტმასის ყურსაცვამები. 2013 წელს კი მოდაშია სინთეტიკური ყურსასმენები ტიტანის შიდა ფენით, იზოდინამიკური; რა თქმა უნდა, იაპონური წარმოების.

ბორგლებიანი ბათინკები („როლიკები“)

1855 წელს ამერიკელ ქალბატონებს ძალიან მოეწონათ სიახლე – ხისგან და ტყავისგან დამზადებული, რკინისგორგოლაჭებიანი საგორაო ფეხსაცმლის ძირები – ისინი პირდაპირ ფეხსაცმელზე მაგრდებოდა.

1948 წელს ინგლისში ტყავის, ლითონისა და რეზინისგან დაამზადეს პირველი გორგოლაჭებიანი ფეხსაცმელები.

1992 წელს ტყავისა და პლასტმასისგან ჩეხებმა ლამაზი და კომფორტული ციგურები დაამზადეს – გორგოლაჭებით. 2013 წლის ნოვაცია – იაპონური გორგოლაჭებიანი ციგურები – ნიკელისა და სინთეტიკური პლასტმასისგან არის დამზადებული.

გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძემ

საჩუქარი მკვდარს

ჯონათან კრეიგი

***

ჯოშუა სვოტჩი ჩვეულებრივი კრიმინალი იყო – საუკეთესოდ შეეძლო ნაქურდალის გასაღება, თანაც ავტორიტეტიც საკმარისზე მეტი ჰქონდა. კვირაში ერთხელ „თანამოაზრეებთან“ ერთად კლუბში მიდიოდა. ამ კლუბის წევრობა საპატიოც იყო და საპასუხისმგებლოც... იმ საღამოსაც კლუბში მიდიოდა, რომ ქუჩის კუთხეში სამოც წელს მიტანებული, ძალიან ლამაზი ქალი დაინახა. როგორი ლამაზი უნდა ყოფილიყო უცნობი, რომ ოცდაათი წლის ჯოშუა გაჩერდა და მონუსხული მიუახლოვდა... ქალი შემობრუნდა, შეხედა და სვოტჩი მიხვდა, რომ თვალმა არ მოატყუა. მის წინ ულამაზესი ქმნილება იდგა. უცებ ქალმა მას მიმართა:

– საღამო მშვიდობისა, ახალგაზრდავ. მაპატიეთ, რომ ასე უცერემონიოდ ვიქცევი, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი იძულებული ვარ, სრულიად უცხო ადამიანს საკმაოდ უცნაური თხოვნით მოგმართოთ.

– ვერაფრით გეტყვით უარს და რაც შემიძლია, გავაკეთებ, – ჯოშუა მოხიბლული იყო უცნობით.

– მაშინ მომისმინეთ – აქვე, სამლოცველოში დასვენებულია კუბო. მიცვალებული დილით უნდა დაიკრძალოს. მე მინდა, კუბოში აი, ეს ნივთი ჩადოთ, შეუმჩნევლად, – ქალმა პლატინის კოლოფი გაუწოდა. ერთი შეხედვით, პუდრის ჩასაყრელს ჰგავდა და, სავარაუდოდ, იხსნებოდა კიდეც.

– ახლავე აგიხსნით... ის ადამიანი ჩემთვის ძალიან ძვირფასია და მნიშვნელოვანია, რომ ეს ნივთი იმქვეყნად მიმავალს თან ჰქონდეს. სამლოცველო თითქმის ცარიელია. თქვენ მოახერხებთ კუბოსთან შეუმჩნევლად მიახლოებას... მე ამას ვერ გავაკეთებ, არ შემიძლია... მიხვდებით, ალბათ...

– რა თქმა უნდა, მემ... – თავი მონიწებით დაუქნია სვოტჩმა... ნივთი აშკარად პლატინის იყო. ყველა ეჭვი გამოირიცხა.

– შეასრულებთ ჩემს თხოვნას? – თვალები გაუბრწყინდა ქალს.

– დიახ, რა თქმა უნდა.

... როცა ჯოშუა სამლოცველოდან გამოვიდა, ქალი იქ უკვე აღარ იდგა. თითქოს ცამ ჩაყლაპა... სვოტჩს ჯიბეში მკვდრისთვის განკუთვნილი „საჩუქარი“ ედო. არც უფიქრია, სულ ცოტა ექვსას დოლარად ღირებული საპუდრე მიცვალებულისთვის გაეტანებინა. კუბოში, რა თქმა უნდა, ჩაიხედა. მკვდარი სამოც წელს ოდნავ გადაცილებული მამაკაცი იყო. მარცხენა ყური საერთოდ არ ჰქონდა და მიუხედავად საკმაოდ მკაცრი გამომეტყველებისა, გარდაცვლილიც კი საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა... საპუდრე აშკარად არ დასჭირდებოდა.

ჯოშუა დამშვიდებული სინდისით გაუყვა გზას კლუბისკენ. მისი მეგობრები უკვე შეკრებილიყვნენ. გაუზავებელ ვისკის სვამდნენ და ამერიკაში სეიფების ყველაზე დიდ სპეციალისტს, გასს უსმენდნენ...

– დარწმუნებული ვარ, მოჩვენება იყო, – ამოიოხრა გასმა, – ულამაზესი მოჩვენება. აგერ უკვე ორმოცი წელი იქნება, რაც მის შესახებ არაფერი მსმენია. ლამაზმანი ალისა. ჩვენი ყოფილი ბანდის მეთაურის – მანუხის საყვარელი. მდა... სიყვარული საშინელი რამ არის. დაქირავებულ მკვლელზე სახიფათოც კი... მოკლედ, მაშინ ჩიკაგო იყო ჩვენი მოქმედების არეალი. ალისასნაირი ლამაზი ქალი არასოდეს მინახავს. თქვენ შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ დანახვისთანავე უყვარდებოდა ყველას. მანუხმა მას მდიდრული აპარტამენტები უყიდა და დიდ ფულსაც ახარჯავდა. დედოფალივით აცხოვრებდა. ბანდაში, მეთაურის გარდა, კიდევ ხუთნი ვიყავით. ალისას მხოლოდ ბარში ვხედავდით ხოლმე, როცა ის მანუხს მოჰყავდა. გამაოგნებელი სილამაზის იყო. ჰოდა, ერთხელაც, ალისა თავის დასთან გაემგზავრა დეტროიტში. მანუხი მის ბინაში მივიდა და იატაკზე, მამაკაცის ჰალსტუხის ქინძისთავი იპოვნა. საქმე ის იყო, რომ მანუხმა ბანდის ყველა წევრისთვის ერთნაირი ოქროს ქინძისთავები შეუკვეთა. იუმორი უყვარდა და ქინძისთავები მინიატურული კუბოს ფორმის იყო. მანუხს ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია იმისთვის, რომ მიმხვდარიყო – საყვარელი ქალი ბანდის ერთ-ერთ წევრთან ღალატობდა. წარმოიდგინეთ, მისი გაცოფება. მაგრამ, როგორ უნდა გაერკვია, რომელი იყო მოღალატე და ნაძირალა? ვინ გამოტყდებოდა ამაში?! მაშინ ბანდის მეთაურმა, გამჭრიახი კაცი იყო საწყალი, გაანათლოს ღმერთმა მისი ცოდვილი სული, დაწერა ხუთი წერილი, ვითომ ალისასგან და გაუგზავნა ხუთივე წევრს, მათ შორის მეც. „ჩამოვედი დეტროიტიდან, მომენატრე და ამ საღამოსვე გელოდები!“ როგორ გგონიათ, რა მოხდა? – ალისას ბინაში ნელ-ნელა ბანდის ხუთივე წევრმა მოვიყარეთ თავი. მანუხმა ჯერ ლამის ხუთივე დაგვხოცა. არც ჩვენ ვიყავით კარგ დღეში – საკუთარ თავზეც ვბრაზობდით და ერთმანეთზეც. მერე ყველას სიცილი აგვიტყდა და ერთხმად შევთანხმდით – თუ ვინმე უნდა დაგვესაჯა ღალატისთვის – ეს იყო ალისა. მან ხომ ყველა მოგვატყუა. გადაწყდა – ჩიკაგოში საუკეთესო მკვლელი დაგვექირავებინა და მისთვის, ალისასთვის ყურის მოჭრა დაგვევალებინა. რა უნდა იყოს ლამაზი ქალისთვის ამაზე უარესი? ეს ხომ სიკვდილზეც საშინელი იქნებოდა ისეთი ლამაზმანისთვის, როგორიც ალისა იყო. მანუხმა დენვეროუ ედი დაიბარა, კარგად გადაუხადა და ალისას მოჭრილი ყურის მოტანა დაავალა. გსმენიათ, ვინმეს დენვეროუ ედის შესახებ. მასზე ცივსისხლიანი მკვლელი ჩიკაგოში არ დაბადებულა. საუკეთესო შემსრულებელი იყო შემსრულებელთა შორის. მოტყუებითაც ვერ მოგვატყუებდა, ალისას ორივე ყურის ნიჟარაზე პანანინა, მეწამული ფერის ვარდები ჰქონდა ამოსვირინგებული. ყველაფერი გავითვალისწინეთ, აბსოლუტურად ყველაფერი, გარდა ერთისა – სიყვარული! დიახ, სიყვარული. გული სისხლისმსმელ მკვლელსაც აღმოაჩნდა. დენვეროუს ალისა შეუყვარდა, სიგიჟემდე და ჭკუის დაკარგვამდე. თუმცა, იმის გრძნობა მაინც შემორჩა, რომ თუ დავალებას არ შეასრულებდა, სიკვდილი ელოდა. ამიტომ, გადაწყვეტილება მიიღო. მას თხელი და ქალივით ნაზი ყურები ჰქონდა. წაიყვანა ალისა სალონში და ზუსტად მისი ტატუს მსგავსი ვარდი გაიკეთა. ქალი მაშინვე მიხვდა ყველაფერს. უცნაური ის იყო, რომ მასაც ერთი დანახვით შეუყვარდა მკვლელი... კაცმა ივაჟკაცა და თავისი ყური გაწირა. ამასობაში ჩვენ მივხვდით, რომ ცხელ გულზე ნაადრევად მოგვივიდა ალისასთვის განაჩენის გამოტანა, თანაც, ასეთი სისასტიკის და ყველანი ერთად დეტროიტისკენ გავქანდით. დავაგვიანეთ... ოთახში მაშინ შევცვივდით, როცა დენვეროუ გასისხლიანებულ ყურს იწმენდდა, ხოლო ალისა მისთვის სისხლდენის შეჩერებას ცდილობდა. დენვეროუმ იფიქრა, მისი და ქალის დასახოცად ვიყავით მისულები. ალისას ხელი სტაცა და მეორე სართულის ფანჯრიდან ისკუპა... ოთახში კი ხელყუმბარა დაადო. აფეთქების შემდეგ მარტო მე გადავრჩი, ისიც იმიტომ, რომ შემთხვევით, შელებული კარის უკან აღმოვჩნდი... ღმერთო, იქ ნამდვილი სასაკლაო იყო... მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა... არც ალისა მინახავს, არც მისი ცალყურა საყვარელი დენვეროუ. მხოლოდ დღეს... ღმერთო, ნუთუ მართლა მოჩვენება იყო?! ჯოშ, შენ რაღა გჭირს? რატომ გაფითრდი? მოჩვენება შენც ხომ არ გინახავს? თუ ამ ამბავმა აგაღელვა?!

ჯოშუა სვოტჩი ადგა. მან უკვე ზუსტად იცოდა, რა იდო პლატინის საპუდრეში და ვინ იწვა კუბოში. ისიც კარგად უნყოდა, რას უზამდა მკვდრისთვის განკუთვნილ საჩუქარს.

– ბიჭებო, ცოტა ხნით უნდა გავიდე... აქვე, სამლოცველოში მაქვს საქმე... ნაცნობს რაღაც უნდა გავატანო... ძალიან, ძალიან შორს მიემგზავრება, შეიძლება, დასჭირდეს...

თარგმნა
ნინო წულუკიძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მ ი ი ღ ე თ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-33(659)

მურთაზ კიკნაძემ, რომელიც მთავარმა პროკურორმა საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნა, ზურაბის მასალების გაცნობაც ვერ მოასწრო, რომ უკვე სამმართველოში დაკავებულების მოყვანა დაიწყეს. ზურაბის თანამშრომლებმა პირველი ბანკ „ჯი აი აის“ კრედიტოფიცერი, მიქაძე აიყვანეს. შემდეგ მას მოჰყვნენ ფილიალის ხელმძღვანელი ლორია და ბანკის ადვოკატი მაისურაძე.

– ოპერატიულად მუშაობ, – ზურაბს გადაულაპარაკა მურთაზმა, როდესაც პოლიციელებმა დერეფანში ხელბორკილმორგებული ლორია ჩაატარეს.

– ძალიან დიდი ხანი ველოდი ამ დღეს. ახალბედა გამომძიებლად ვგრძნობ თავს. მოთმინება აღარ მყოფნის... დაესწრები დაკითხვას? – უპასუხა მან.

– თავისთავად. მთავარი პროკურორი დაწვრილებით ანგარიშს მოითხოვს, – თქვა მურთაზმა და დაკითხვის ოთახს მიაშურა.

აკაკი ლორია ხაფანგში გაბმული ვირთაგვასავით აცეცებდა თვალებს. იმდენად დაბნეული ჩანდა, რომ პროკურატურის გამომძიებლისთვის ვინაობის დასახელებაც კი გაუჭირდა.

– დამშვიდდი, – ზურაბი ლორიას პირისპირ მიუჯდა მაგიდას და საქაღალდე წინ დაიდო, – მოსახდენი უკვე მოხდა. შიშითა და პანიკით აღარაფერი შეიცვლება.

– წყალი დამალევინეთ, – ითხოვა ლორიამ.

– რამე დამამშვიდებელიც ხომ არ გინდა? – ჰკითხა მურთაზმა.

– არა. მხოლოდ წყალი.

მურთაზის ნიშანზე გამომძიებელმა ჭიქა წყლით შეავსო და ლორიას გაუწოდა. მან ხარბად გამოსცალა ჭიქა და მზერა ზურაბს მიაპყრო.

– დავიწყოთ? – ჰკითხა მან.

ლორიამ უხმოდ დაუქნია თავი.

– იურიდიულ საკითხებში გარკვეული ხარ და ისიც იცი, რომ დაკითხვას ადვოკატიც უნდა ესწრებოდეს. თუ მის გარეშე ჩვენების მოცემა არ გსურს, დაკითხვა ადვოკატის მოსვლამდე გადავდოთ.

– რა მნიშვნელობა აქვს ადვოკატის აქ ყოფნას. მისი თანდასწრებით და მის გარეშეც იმავეს გავიმეორებ, – ჩაილაპარაკა ლორიამ, – ასეთი საქმისთვის ჩამოხრჩობას არ მომისჯიან. სასამართლო საპროცესო გარიგებასაც მაკმარებენ.

– წინასწარ ნუ იწყებ ვაჭრობას! – ცივად თქვა მურთაზმა, – პროკურატურის თანხმობის გარეშე, ძალიან გაგიჭირდება საპროცესო გარიგება.

– თქვენ წინააღმდეგი იქნებით? – ლორიამ გაუბედავად გახედა მურთაზს.

– საქმე უბრალოდ ფინანსურ მაქინაციას რომ ეხებოდეს, მართლაც არ ვიქნებოდი საპროცესო შეთანხმების წინააღმდეგი. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე მკვლელობათა სერიასთან გვაქვს.

– მაგრამ, ის მკვლელობები მე არაფრით მიკავშირდება.

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ შენი სიჯიუტით ხელს უშლიდი მკვლელებზე გასვლას. ასე რომ... – აღარ დაასრულა მურთაზმა.

– კეთილი. მაგ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით ახლა კი დავიწყოთ სირაძის საქმით. რა ვითარებაში დაიდო ხელშეკრულება? – ჰკითხა ზურაბმა.

– ანდრო სირაძე ორი წლის წინ გავიცანი, – ალაპარაკდა ლორია, – იმ პერიოდში ბანკის კრედიტოფიცრად ვმუშაობდი. სირაძემ ბანკიდან კრედიტი მიიღო, რომელიც მე გავაფორმე.

– რა რაოდენობის თანხა მიიღო სირაძემ? – ჰკითხა მურთაზმა.

– ბანკისთვის ასეთი კრედიტი დიდ თანხად არ ითვლება. სირაძემ ორმოცდაათი ათასი ლარი მიიღო.

– პროცესში ნანა სირაძეც მონაწილეობდა? – განაგრძო ზურაბმა.

– არა. ეს ბიზნესსესხი იყო. ასეთ სესხს ქონებით უზრუნველყოფა არ სჭირდებოდა. ანდრო სირაძე ბანკის მუდმივი კლიენტი იყო და ჩვენ ქონებრივი უზრუნველყოფის გარეშეც ვენდეთ, – თქვა ლორიამ.

– მიპასუხე კონკრეტულად. მონაწილეობდა თუ არა ნანა სირაძე ხელშეკრულების დადების პროცესში? – ჰკითხა ზურაბმა.

– არა! – ხაზგასმით უპასუხა ლორიამ, – მან მართლაც არაფერი იცოდა იმ სესხის თაობაზე!

– ანუ ხელშეკრულება ყალბია!

– ყალბია, – უყოყმანოდ დაუდასტურა ლორიამ.

– ვის ეკუთვნოდა ხელშეკრულების გაყალბების იდეა?

– რა თქმა უნდა, ანდრო სირაძეს. სესხი მას უნდა მიეღო. მე აზრადაც არ მომივიდოდა ასეთი მაქინაციის ჩატარება და რომც მომენდომებინა, ვერ მოვახერხებდი. ბანკს არ გამოეპარებოდა ასეთი მსხვილი თანხის სესხად გაცემა.

– ბანკის ხელმძღვანელობა საქმის კურსში იყო? – ჰკითხა მურთაზმა.

– არა... თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ვინმეს ხელს ვაფარებ, მაგრამ მართლაც ასე იყო. ბანკის ხელმძღვანელები არასოდეს წავიდოდნენ ამაზე.

– რა ინტერესი გამოძრავებდა ხელშეკრულების გაყალბებისას, – გამოკითხვა განაგრძო ზურაბმა.

– ახალსა და განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით... ფული!.. ანდრო სირაძემ სესხის მიღებაში ხუთი ათასი ლარი გადამიხადა. ჩემთვის ეს ძალიან მარტივი ოპერაცია იყო. პრაქტიკულად რომ შევხედოთ საქმეს, მე განსაკუთრებული არაფერი დამიშავებია. მსხვილი და გრძელვადიანი სესხის გაცემა ბანკის მთავარი მიმართულებაა. ეს ხომ იგივე კაპიტალდაბანდებაა. ანდრო სირაძე კი ბანკისთვის სრულიად მისაღები, სანდო კლიენტი იყო. მას ადრეც მიუღია სესხი და არასოდეს დაურღვევია აღებული ვალდებულებები. ამ დროს კი მას სესხის მისაღებად ძალიან უმნიშვნელო რამ უშლიდა ხელს... ცოლის თანხმობა. თანაც, ის თავად მთავაზობდა დაბრკოლების გადასალახ გზას და ამაში ფულის გადახდასაც მპირდებოდა.

– ჩვენ გვაქვს ვერსია, მაგრამ მაინც შენგან მაინტერესებს ამის მოსმენა. მაინც როგორ აღმოჩნდა ნანა სირაძის ხელმოწერა ხელშეკრულებაზე? – ჰკითხა ზურაბმა.

– მაგ საქმესთან შეხება არ მქონია. როდესაც ანდრო სირაძემ სესხის მიღებაში

გამოთხოვება ფრიდონ გეთიასთან

წავიდა ჩვენგან ძვირფასი ადამიანი. ძნელია დაჯერება იმისა, რომ ველარასოდეს გნახავთ და მოვისმენთ შენს იმედიან და კეთილ სიტყვებს. რას ვიზამთ, შვილის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს ველარ გაუძელი – უკურნებელი სენი შეგეყარა.

ჩვენო ძვირფასო ფრიდონ, ძალიან დაგვაკლდები ყველას – შენს ოჯახს, შვილებს, ახლობლებს... ისევ დაგვრჩენია, ვილოცოთ შენთვის, რომ იმქვეყნიურ სასუფეველში მშვიდად განისვენო შენს ნინოსთან ერთად. გვიყვარხარ და გვეყვარები მუდამ. გეთხოვებით უდიდესი გულისტკივილით.

შენი ნათლული გურამი და რომან ჩხაიძის ოჯახი

მთხოვა დახმარება, უპირველესად, შევაფასე მისი ქონება. ეს ქონება რვაასი ათასი ლარის მისაღებად საკმარისი არ იყო. მე ამას დაბრკოლებად არ მივიჩნევდი, რადგანაც ვიცოდი, რომ ანდროსა და მის მეუღლეს წყნეთში აგარაკი ჰქონდათ. მე სესხის ერთობლივი პასუხისმგებლობით მიღება შევთავაზე ანდროს, მაგრამ მან მიპასუხა, რომ მეუღლეს არაფერი არ უნდა სცოდნოდა. იმავდროულად, გზას თავად მთავაზობდა. ანდრომ პირობა მომცა, რომ თავად მოაწერინებდა მეუღლეს ხელს ხელშეკრულებაზე.

– როგორ?

– ეს ჩემი კატეგორიული მოთხოვნა იყო. მე ბანკის დოკუმენტაციაში არასოდეს გავურევდი ხელშეკრულებას ყალბი ხელმოწერით. როგორც ანდრომ ამიხსნა, ის სხვა დოკუმენტებთან ერთად მოაწერინებდა ხელს ნანას ხელშეკრულებაზე და მეც დავეთანხმე, – თქვა ლორიამ.

– რა კავშირი გაქვს „ინტელგრუპჯორჯიასთან"?

– არავითარი. ჩემი და ანდრო სირაძის საქმიანი ურთიერთობა მხოლოდ სესხს უკავშირდებოდა. რაში მოიხმარდა ბანკიდან მიღებულ ფულს, ჩემი საქმე არ იყო. სიმართლე რომ გითხრათ, სირაძის დაღუპვამდე „ინტელგრუპჯორჯიას" შესახებ არც კი მსმენოდა.

– კარგი... ფიფიასთან და რუხაძესთან ურთიერთობის შესახებ რას იტყვი? – ჰკითხა ზურაბმა.

– ისინი უკვე დაკითხეთ? – გაუბედავად იკითხა ლორიამ.

– ეგ შენ არ გეხება. თავისი წილი პასუხისმგებლობა ყველას დაგეკისრებათ. შენ შენს საქმეზე ილაპარაკე, – ცივად თქვა ზურაბმა, – ჩემ გარეშე ფიფიას შეხვედრიხარ?

– დიახ, – თავი დაუქნია ლორიამ, – რამდენჯერმე შევხვდი.

– რა საკითხზე?

– შეიძლება, სიგარეტი მოვწიო?

– მოწიე, – ზურაბმა სიგარეტის კოლოფი და სანთებელა დაუდო წინ.

ლორიამ სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ლაპარაკი განაგრძო:

– ფიფია ჩვენი შეხვედრიდან ერთი დღის შემდეგ დამიკავშირდა. ძალიან გამაკვირვა მისმა წინადადებამ. შეხვედრა მთხოვა, მაგრამ იმვდროულად, უარი მითხრა ბანკში მოსვლაზე. ერთმანეთს საღამოს, რესტორან „კრწანისში" შევხვდით. ფიფიას წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი კუპე. პროკურატურის გამომძიებლისგან ასეთმა დახვედრამ თავისთავად დამაბნია. ჩემს პრაქტიკაში ასეთი რამ არ ყოფილა. პროკურატურას აქეთ ჰქონდა პრეტენზია და ამ დროს მისი გამომძიებელი რესტორანში მინიშნავს შეხვედრას. შეხვედრაზე დაძაბული მივედი. მეშინოდა, ფიფიას რაიმე პროვოკაცია არ მოეწყო ჩემთვის. რაც შემდეგ მოხდა, ის საერთოდ დაუჯერებელი აღმოჩნდა ჩემთვის... – ლორიამ სიგარეტის ნამწვავი საფერფლეში ჩააჭყლიტა და ლაპარაკი განაგრძო, – ფიფიას პირველი სიტყვებიდანვე ვიგრძენი, რომ მას გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა ანდრო სირაძისა და „ინტელგრუპჯორჯიას" ურთიერთობის შესახებ. ასევე, გასაგები იყო, რომ პროკურატურა არ იყო დაინტერესებული ამ საქმის გამოძიებით. მან პირდაპირი ინსტრუქცია მომცა, თუ როგორ დამეჭირა თავი თქვენთან. რაზე მელაპარაკა დაკითხვისას და რაზე – არა. ამასთან, მან პირობა მომცა, რომ ძიება ხელშეკრულების გაყალბების მიმართულებით უახლოეს დროში შეწყდებოდა და მე არავინ შემაწუხებდა ზედმეტი კითხვებით.

– ენდე? – ჰკითხა ზურაბმა.

– არა, – თავი გაიქნია ლორიამ, – ეს ყველაფერი პროვოკაციად ჩავთვალე. ვერ ვხვდებოდი, რა ინტერესი ამოძრავებდა ფიფიას და თანაც ის არ იყო იმ რანგის პიროვნება, რომელსაც ძიების მიმართულების შეცვლა შეეძლო.

– უთხარი ამის შესახებ?

– არა... ჩემი თქმა არ დასჭირვებია, თავად მიხვდა. როდესაც იმაზე ავლაპარაკდი, რომ არაფერი მესმოდა, ხელშეკრულება კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით იყო დადებული და ასე შემდეგ, მან თავად მიხსენა პროკურორი რუხაძე და მითხრა, რომ მისი დავალებით მოქმედებდა.

– მიზეზი?.. მაინც რა ინტერესი ამოძრავებდა რუხაძეს? ამის შესახებ არ გისაუბრიათ?

– არა. ფიფიამ მარტივად ამიხსნა ვითარება. უბრალოდ, ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. დანარჩენი კი ჩემი საქმე არ იყო. პრინციპში, ასეთი შეთანხმება სრულიად მისაღები იყო ჩემთვის. მე მხოლოდ ერთი რამ მსურდა. პოლიციასა და პროკურატურას ჩემს საქმეებში ქექვა შეეწყვიტა. ფიფია კი სწორედ ამას მთავაზობდა. მაგრამ, ვიდრე მისგან მყარ გარანტიებს არ მივიღებდი, შეთანხმება ვერ შედგებოდა, – თქვა ლორიამ.

– მაინც რა გარანტიას ითხოვდი? – დაინტერესდა მურთაზი.

– რუხაძესთან პირადად შეხვედრას. ეს ჩემთვის მისი ამ საქმით და-



ინტერესების გარანტია იქნებოდა. მეგონა, რუხაძე უარს მეტყოდა ასეთ შეხვედრაზე. რაც არ უნდა ყოფილიყო, საქმე ძალიან დელიკატურ საკითხს ეხებოდა. პრაქტიკულად, ფიფია და რუხაძე დანაშაულის დაფარვას მთავაზობდნენ. იმ დანაშაულისას, რომელიც მათ თავად უნდა გამოეაშკარავებინათ. ასეთ ვითარებაში, რუხაძე თავადაც არ იყო დაზღვეული ჩემი მხრიდან რაიმე პროვოკაციის მოწყობისგან.

– მაგ პროვოკაციებში ორივე კარგად ხართ გაწაფული! – ბრაზით შენიშნა ზურაბმა.

– ისე ვყვები, როგორც იყო. არაფერს



ვამატებ და არაფერს ვაკლებ, – ჩაილაპარაკა ლორიამ.

– ესე იგი, რუხაძე პირადად შეგხვდა?

– დიახ... თანაც, იმავე საღამოს. მან იცოდა სადაც ვიმყოფებოდით მე და ფიფია და სატელეფონო საუბრიდან ერთ საათში, რესტორანში მოვიდა.

– იმ შეხვედრის ზუსტი თარიღი და დრო გახსოვს? – ჰკითხა ზურაბმა.

– ზუსტად არ მახსოვს. ჩვენი საუბრიდან ერთი დღე იყო გასული.

ზურაბმა საქაღალდეში ლორიას დაკითხვის ოქმი მოძებნა. მასზე აღნიშნული თარიღი გადაამოწმა და ჩაილაპარაკა:

– ესე იგი, თხუთმეტ სექტემბერს შეხვდი რუხაძეს!

– ჰო... ასე იქნებოდა, – დაუდასტურა ლორიამ.

– ამას რესტორანში გადავამოწმებ. თუ მომატყუე, კარგს აღარაფერს ელოდო ჩემგან.

– არ გატყუებთ. ასე იყო, – სწრაფად თქვა ლორიამ, – რისთვის უნდა მოგატყუოთ. ამის დადგენა ხომ რთული არ იქნება თქვენთვის. იმ რესტორანში რამდენიმე ოფიციანტი კარგად მიცნობს. ისინი დაადასტურებენ, ვისთანაც გავატარე ის საღამო.

– კეთილი... ახლა ნიკა გურულთან დაკავშირებულ მომენტზე გადავიდეთ. უპირველესად, მაინტერესებს, ვის ეკუთვნოდა იმ ჩანაწერის გაკეთების იდეა? – ჰკითხა ზურაბმა.

– რუხაძეს... გურულმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი. რუხაძეს კი პირობა ჰქონდა მოცემული ჩემთვის, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ძიება შეწყდებოდა. ბუნებრივია, ძიების განახლება რუხაძის ინტერესებშიც არ შედიოდა.

– რა კავშირი აქვს ბანკის ადვოკატ მაისურაძეს რუხაძესთან?

– მაისურაძე ჩემი დიდი ხნის მეგობარია. ჩემ გამო გაეხვა ამ შარში. რუხაძეს ისიც იცნობდა, მაგრამ საქმიანი ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ.

– დაწვრილებით მიამბე როგორ მოხდა ეს?

– რუხაძის თქმით, საჭირო იყო რეალური საფუძველი, რომელიც სასამართლოს ძიების განახლებაზე უარის თქმის საშუალებას მისცემდა. რუხაძემ გადაწყვიტა, რომ ამისთვის ის ჩანაწერი და ფიფიას ჩვენება სრულიად საკმარისი იქნებოდა. ჩანაწერი ჩემს კაბინეტში გავაკეთეთ. ამის შესახებ ჩემი, მაისურაძის, ფიფიასი და რუხაძის გარდა, არავინ იცოდა, ბანკის თანამშრომლებმაც კი.

– რაც შეეხება ბანკის თანამშრომლებს. უშუალოდ შენს ხელმძღვანელობასთან თუ გქონია ამ საკითხზე საუბარი?

– რა თქმა უნდა. მე არც კი მიცდია ბანკის ხელმძღვანელობისგან ამის დამალვა. ამას აზრიც არ ჰქონდა.

– რა დამოკიდებულება ჰქონდა ბანკის ხელმძღვანელობას ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საქმესთან? – ჰკითხა მურთაზმა.

– ბანკისთვის ამგვარი დავა იშვიათი მოვლენა არ არის. ბანკის ხელმძღვანელობას ჩემ მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა. ოფიციალურად ხელშეკრულება კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით იყო დადებული. ჩემი მოქმედების მართლზომიერება პროკურატურამ და სასამართლომ დაადასტურა. ერთადერთ პრობლემას ნანა სირაძე და მისი კერძო დეტექტივი, ნიკა გურული გვიქმნიდნენ.



– ეს ოქმისთვის არ მჭირდება, – უკმაყოფილოდ შეხედა ზურაბმა, – შეგიძლია, არც მიპასუხო. ამით შენთვის არაფერი შეიცვლება. რას ფიქრობდი, როდესაც ამ ავანტიურაზე მიდიოდი?! რატომ გქონდა იმის იმედი, რომ ხელშეკრულების გაყალბებაზე პასუხს არ გაგებინებდნენ?!

– ეგ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ანდრო სირაძისთვის უნდა გეკითხათ. ის ფული მე არ წამიღია ბანკიდან. დღეს ვინღა გაარკვევს ვის მოხმარდა აღებული სესხი. მაგრამ, ანდრო რომ არ დაღუპულიყო, რა პრეტენზია გექნებოდათ ჩემთან? დარწმუნებული ვარ, ის შეძლებდა ვალის დაფარვას და ამას ისე მოახერხებდა, რომ მისი ცოლი ვერაფერს შეიტყობდა. დანარჩენი კი ცოლ-ქმარს შორის მომხდარ უთანხმოებას ეხება. იმაზე, რომ ნანა სირაძე თავის ქმარს აგარაკის ბანკში ჩადების ნებართვას არ აძლევდა, მე ვერ ვაგებ პასუხს!

– ეს კი უკვე ოქმისთვისაა. თუ თავად ვერ ხვდები, ჩვენ ვალდებულები ვართ, ყველაფერი აგიხსნათ. შენ აქ იმის გამო კი არ იმყოფები, რომ ნანა სირაძე თავის ქმარს აგარაკის ბანკში ჩადების ნებართვას არ აძლევდა. ეს არც შენი საქმეა და არც – ჩემი. შენ სრულიად სხვა დანაშაულისთვის წაგიყენებენ ბრალს. შენ ხელი შეუწყვე მოქალაქის კერძო საკუთრების არამართლზომიერ გამოყენებას. ჯერ მისი ნების საწინააღმდეგოდ გაეცი სესხი, შემდეგ კი უკმაყოფილების გამოთქმასაც კი უკრძალავდი. ნუ გაერთობი იმაზე ფიქრით, რომ ვინმეზე ნაკლები დამნაშავე ხარ! გაიხსენე, როგორ აბრიალებდი თვალებს, როდესაც ნანა სირაძე ვალის გადახდაზე უარს აცხადებდა. გაიხსენე, როგორ აყადაღებდი მის ქონებას!.. და შემდეგ იმაზე დაფიქრდი, რომ ცივილიზებულობა აბრეშუმის ჰალსტუხს, მობილურ ტელეფონსა და კარგად მოწყობილ სამუშაო კაბინეტს არ ნიშნავს, რომლის ყოველი კუთხეც ჩამწერ-გადამღები მოწყობილობებით გაქვს გაძეძგილი. რეალურად, შენ რიგითი პაპუასი ხარ, რომელიც მხოლოდ ერთი საზომით წყვეტს ყველაფერს. თუ მე შევჭამე მეზობელი ტომის წარმომადგენელი, ყველაფერი რიგზეა. თუ მე შემჭამეს, საქმე ცუდადაა!.. და შენი მშვიდად ცხოვრების ერთადერთი გარანტია, სხვა პაპუასის მიერ რესტორან „კრწანისის" კუპეში მოცემული პირობაა!.. კარგად იფიქრე ამაზე და იმაზეც, როგორ შეაფასებს სასამართლო ყოველივე ამას?! – სწრაფად დაასრულა ზურაბმა და მურთაზს მიუბრუნდა: მე დავამთავრე და შენ თუ კიდევ გაინტერესებს რამე, დაკითხვა განაგრძეო.

* * *

ნიკა რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა დოდოსთან დაკავშირებას, მაგრამ ყველა შემთხვევაში მობილური ტელეფონიდან მხოლოდ გაბმული ზუმერის ხმა ისმოდა. ბოლოს ტელეფონი საერთოდ გაითიშა.

საღამოს ექვსი საათისთვის საავადმყოფოში ზურაბის თანამშრომლები მივიდნენ. ნიკამ მათ გადააბარა ნანას პალატის კარი, თავად კი საავადმყოფოდან გავიდა და დოდოსთან გაემგზავრა.

დოდოს მანქანა სახლის წინ იდგა. ირგვლივ არავინ მოჩანდა. ნიკამ ჭიშკართან შეაჩერა მანქანა და გაოცებული წავიდა სახლისკენ. შეუძლებელი იყო, დოდოს ყურადღება არ მიექცია ძრავას ხმისთვის. სახლის კარამდე რამდენიმე მეტრი რჩებოდა, როცა სახლიდან მტვრევის ხმა გაისმა. იმავ წამს ფარდის მიღმა ლანდი გაკრთა. ნიკა ინსტინქტურად გადახტა გვერდზე, ვერანდის ბოძს ამოეფარა და პისტოლეტი მოიმარჯა...

გასროლის ხმა და ტყვიის ზუზუნი ერთმანეთს შეერია. ტყვიამ მის სიახლოვეს მოწიწკნა მიწა. ნიკამ კიდევ ერთი ნახტომი გააკეთა და სახლის ფანჯარა სწრაფად ამოიღო მიზანში. მსროლელი იქ, ფარდის მიღმა ეგულებოდა, მაგრამ სასხლეტი მაინც არ დაუშვია.

პისტოლეტმა მეორედ იგრიალა. შემდ-

ეგ მესამედ. კიდევ...

ტყვიები მის სიახლოვეს კვეთდა სივრცეს. ნიკა განუწყვეტლივ მოძრაობდა, სწრაფი ნახტომებით იცვლიდა ადგილს, მოწინააღმდეგეს მისი მიზანში ამოღების საშუალებას არ აძლევდა და იმავდროულად, ყოველი ნახტომით უფრო და უფრო უახლოვდებოდა სახლს. ბოლოს მოწინააღმდეგეს ნერვებმა უმტყუნა. მან სროლა შეწყვიტა და სცადა იქაურობას გაცლოდა. სახლის საპირისპირო მხარეს შუშის მსხვრევის ხმა გაისმა. ფანჯრიდან შავ სამოსში გამოწყობილი ტანმაღალი მამაკაცი გადმოხტა. წამით მისი და ნიკას მზერა ერთმანეთს გადააწყდა. მამაკაცი სწრაფად გავარდა ეზოს ბოლოსკენ, ღობეს გადაევლო და კორომთან მდგომი მანქანისკენ გაიქცა. ნიკამ მიზანში ამოიღო მისი სილუეტი, მაგრამ მაინც არ ისროლა. ბუჩქნარს მიღმა ორი აგარაკი მდებარეობდა. მიზანს აცდენილ ტყვიას უდანაშაულო ადამიანის დაზიანება შეეძლო. თანაც მან ჯერჯერობით არაფერი იცოდა, თუ რა მდგომარეობაში იყო დოდო.

სახლის კარი წიხლის პირველივე დარტყმას დანებდა, ანჯამებს მოსწყდა და დერეფნის სიღრმეში შევარდა. ნიკამ ერთი ნახტომით დაფარა სასტუმრო ოთახამდე დარჩენილი მანძილი. ოთახს ბრძოლის კვალი ეტყობოდა. ავეჯი გადაბრუნებული იყო. ტელევიზორის ნამსხვრევები აქეთ-იქით მიმოფანტულიყო. თავად დოდო საძინებელი ოთახის კართან იწვა. ნიკა თვალისდახამხამებაში მის გვერდით გაჩნდა და თავისკენ გადმოაბრუნა. დოდო ცოცხალი იყო. მხოლოდ ტუჩის კუთხიდან ჩამოსდიოდა სისხლის წვრილი ნაკადი.

– როგორ ხარ?! – სწრაფად ჰკითხა ნიკამ.

– სადაა ის ნაბიჭვარი? – უღონოდ ჩაილაპარაკა ქალმა.

– მიხედავ საკუთარ თავს?

– მივხედავ...

ნიკას საუბარი აღარ გაუგრძელებია, ჩამტვრეული ფანჯრიდან გადახტა, რომლიდანაც თავდამსხმელი გაიქცა და ეზოს წინ, მიტოვებული მანქანისკენ გავარდა.

მანქანა ძრავას ღმუილით დაიძრა ადგილიდან. დოდოს სახლიდან გზატკეცილამდე მხოლოდ ერთი მიმართულებით შეიძლებოდა მოძრაობა. იმ ოციოდ წამში, რომელიც ნიკას დოდოს მოსაძებნად დასჭირდა, თავდამსხმელი შორს წასვლას ვერ მოასწრებდა.

შავი „მიცუბიში" მალე გამოჩნდა. მანქანა დიდი სისწრაფით მიუყვებოდა გზატკეცილს. ნიკა ბოლომდე დააწვა აქსელერატორს და პისტოლეტი მოიმარჯვა. ამ დროს უკნიდან პოლიციის სირენა და გამაფრთხილებელი შეძახილი ჩაესმა.

– თეთრი „მერსედესი!" შეწყვიტე მოძრაობა!..

– ესენიღა მაკლდნენ! – უკმაყოფილოდ გახედა ნიკამ პატრულის მანქანას, რომელიც მანქანის უკანა სარკეში ირეკლებოდა.

ორიოდ წამში რბოლა სიკვდილ-სიცოცხლესთან თამაშში გადაიზარდა. შავი „მიცუბიში" შეჩერებას არ აპირებდა. ნიკა ჯიუტად მიჰყვებოდა უკან და სროლისთვის შესაფერის პოზიციას არჩევდა. ამ დროს კი მას უკან თავგამოდებით მოსდევდა პატრულის მანქანა და ისევ და ისევ იძლეოდა განკარგულებებს.

ერთი მოსახვევი უკან დარჩა.. მეორე... „მიცუბიშის" სახიფათო მანევრებით შეშინებული შემხვედრი მანქანების მძღოლები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ნიკამ მაინც შეარჩია შესაფერისი მომენტი, მომდევნო მოსახვევში წამოეწია „მიცუბიშს" და თავისი მანქანის ცხვირით მის უკანა ფრთას გაჰკრა. შავმა „მიცუბიშმა" უმალ დაკარგა მართვა. გზის საპირისპირო მხარეს გავარდა, ბექობზე ახტა, ჰაერში ამოტრიალდა და ბუჩქნარში დაეხეთქა. შეტაკებას არც ნიკას მანქანისთვისაც ჩაუვლია უშედეგოდ. ის გზატკეცილის მეორე მხარეს გადავარდა და თხრილში ამოტრიალდა. შეჯახებისას ნიკას თვალთ დაუბნელდა. მაგრამ, იმდენი ძალა მაინც მოიკრიბა, რომ მანქანიდან გადმოსულიყო და გზატკეცილის მიმართულებით წასულიყო.

გზატკეცილზე მოძრავი მანქანების მძღოლები შიშით რეაგირებდნენ მათ წინ გამოჩენილ, პისტოლეტით შეიარაღებულ ადამიანზე. ისინი სიგნალებითა და მუშტის გააფთრებული ქნევით უვლიდნენ გვერდს ნიკას. ის კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მის გვერდით მქროლავ მანქანებს. ერთადერთი სურვილით შეპყრობილი მიიწევდა წინ. ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, მალე გადაელახა ასფალტის ზოლი.

ხუთი ნაბიჯი.... მეექვსე.... შავი „მიცუბიშის" გვერდით შავ სამოსში გამოწყობილი სილუეტი გამოჩნდა. ნიკა ორივე ხელით ჩაეჭიდა პისტოლეტის ტარს და ამ დროს..

გასროლის ხმა არ გაუგია. გვერდში ძლიერი ბიძგი იგრძნო. დარტყმამ წონასწორობა დააკარგვინა. ნიკამ მძიმედ დაუშვა პისტოლეტი და უკან შემობრუნდა. იმავ წამს პოლიციის თანამშრომლები ზვავივით დაატყდნენ თავს. ერთმა ფეხის დარტყმით პისტოლეტი ხელიდან გააგდებინა. მეორემ იარაღი სახეზე მიაბჯინა და მთელი ხმით იყვირა:

– ხელი არ გაანძრიო, ნაბიჭვარო...

– ის... ის აყვანეთ... – გაჭირვებით თქვა ტკივილისგან კრიჭაშეკრულმა ნიკამ და კორომისკენ გაიშვირა ხელი.

– ჯერ შენ მოგივლით, ნაბიჭვარო!... – წამოისრლა პოლიციელმა და კორომისკენ გაიქცა.

გაისმა სროლის ხმა. პოლიციელი შებარბაცდა და მიწაზე დაეშვა

ნიკა ბოლო წამს გვერდზე გადაბრუნდა, ზედ წამომდგარი პოლიცილი გვერდზე გადააგდო და ადგომას შეეცადა. პასუხად, პოლიციელმა პისტოლეის ტარი მთელი ძალით დაჰკრა თავში.

ნიკა შებრუნდა და თვალთ დაუბნელდა...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲙᲣᲭ-ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘ (ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲝᲑᲐ, ᲤᲐᲦᲐᲠᲐᲗᲘ, ᲨᲔᲑᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ) ᲓᲘᲡᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲝᲖᲘ

ᲛᲘᲘᲦᲔᲗ

ᲚᲐᲥᲢᲝ-ᲯᲘ

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ანუკი ქორქია ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეა – ის დაახლოებით 4 თვეში პატარა ბიჭის დედა გახდება. ორსულობამ ანუკი კიდევ უფრო მშვენიერი გახადა.

რის გამო „დაისაჯა“ ანუკი ქორქია და როგორ ცდილობს ის, რთული ტოქსიკოზის მიუხედავად, მეუღლისთვის სიამოვნების მინიჭებას

ანუკი ქორქია: დაახლოებით 4 თვეში, როგორც ექიმებმა მითხრეს – საახალწლოდ ველოდებით პატარას. ოჯახის შექმნიდან თუ ავითვლით, ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რაც შეიძლება, მომხდარიყო. დაახლოებით ოთხთვე-ნახევრის წინ გავიგე, რომ ფეხძიმედ ვიყავი და, რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიხარდა მეც და ჩემს მეუღლესაც. თუმცა, მანამდე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ორივეს გვინდოდა, ერთმანეთს შევჩვეოდით, კარგად შეგვესწავლა ერთმანეთის ხასიათი, გვქონოდა სრული იდილია და ასე მოვმზადებულიყავით ბავშვისთვის. როგორც კი მივედით იმ ეტაპამდე, როცა ორივეს ძალიან გვინდოდა, შვილი და ჩვენს ოჯახს მესამე წევრი შემოერთებოდა, მაშინვე მივიღეთ გადაწყვეტილება და მალევე აგვისრულდა სურვილი. ჩვენ ერთი წლის განმავლობაში ვიყავით საქმრო და საცოლე – კარგად ვიცნობდით ერთმანეთს და ხასიათის ყველა შტრიხი ვიცოდით, მაგრამ ოჯახი მაინც სულ სხვაა, სულ სხვა პასუხისმგებლობა და ურთიერთობაა – ამას კიდევ სხვანაირი შეჩვევა სჭირდებოდა. ასე რომ, კარგად შევეჩვიეთ ერთმანეთს, ავეწყვეთ და მერე გადავედით მესამე ეტაპზე.

სასურველი დრო შევარჩიე და რომ ვუთხარი, ძალიან ცუდად ვარო – ისე მიიღო, როგორც ველოდებოდი და როგორც მესიამოვნებოდა

– ზოგჯერ ახალდაქორწინებულები ამბობენ, რომ ცოლქმრობის პირველ ეტაპზე ხშირად თავს იჩენს გარკვეული სირთულეები. თქვენ შემთხვევაში იყო ასეთი სირთულეები?

– საბედნიეროდ, ჩვენს შემთხვევაში ასეთი სირთულეები და გარდატეხები არ ყოფილა და ეს ძალიან მახარებს. თავიდანვე ყველაფერი ძალიან კარგად წავიდა. გვერჩივნა ერთად ყოფნა უფრო კარგად შეგვერგო და მერე გვეფიქრა შვილზე – ასეც გამოვიდა. ის, რომ სირთულეები არ ყოფილა ჩვენს ურთიერთობაში, ორივეს დამსახურებაა. ერთმანეთს ძალიან ვგავართ ხასიათებით, ერთნაირი შეხედულებები, პრინციპები გვაქვს. ძალიან კარგი პიროვნებაა და ბევრ რაღაცაში ჩემთვის მისაბაძია. შეიძლება, მისთვის მისაბაძი არ ვარ, მაგრამ ფიქრობს, რომ მეც კარგი ადამიანი ვარ და, შესაბამისად, ერთმანეთის პატივისცემა ბოლო მომენტამდე მოგვყვება. სწორედ, ამ პატივისცემის ხარჯზე ხდება ის, რომ შეგიძლია პატარა რაღაც დათმო, ან რაღაც მის ჭკუაზე გააკეთო და ამან არც გაგაღიზიანოს, პირიქით, სიამოვნება მოგანიჭოს.

– კაცების დიდი ნაწილი ძალიან ემოციურად ხვდება ისეთ საკითხებს, როგორიც არის მეუღლის ორსულობა, ბავშვის დაბადება. როგორი იყო კახას ემოციები?

– არ მინდოდა ამ ამბის ტელეფონით თქმა, ამიტომ, პირადად ვუთხარი. დედასთან ვიყავი, გამომიარა და მანქანაში ვუთხარი, ოღონდ იმ მომენტში, როცა არ მართავდა. ძალიან მგრძნობიარეა. ის, რომ მამა გახდება, მისთვის არ არის ჩვეულებრივი თემა. სერიოზულად უყურებს ყველა იმ საკითხს, რაც სერიოზულად არის აღსაქმელი. ამიტომ, სასურველი დრო შევარჩიე და რომ ვუთხარი, ძალიან ცუდად ვარო – ისე მიიღო, როგორც ველოდებოდი და როგორც მესიამოვნებოდა. შემდეგ უკვე მივედით და ოჯახის სხვა წევრებს მივახარეთ. ყველა ძალიან ბედნიერი იყო ამ ფაქტით.

– ბავშვის სქესს, ალბათ, არ ჰქონდა მნიშვნელობა.

– შეიძლება, გულის სიღრმეში რომელიმე სქესს გადაეწონა, მაგრამ ეს არც გამიხმოვანებია და საკუთარ თავსაც სულ ვეუბნებოდი: მთავარია, ბავშვი ჯანმრთელი იყოს-მეთქი. ასეთივე შეხედულება ჰქონდა ჩემს მეუღლეს, მაგრამ ვფიქრობდი, როგორც კაცების უმრავლესობას, მასაც, ბიჭი უნდოდა. როდესაც სქესის გასაგებად მივდიოდი, ვთხოვე, გამომყოლოდა. როცა გვითხრეს: კაციაო, არც კი დამელოდა, სანამ გამოვიდოდი, ყველასთან უკვე დარეკილი ჰქონდა. უზომოდ ბედნიერი იყო და მერე მივხვდი, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვის სქესს. მე ვთხოვე, რომ წამოსულიყო. მთელი ექოსკოპიის განმავლობაში საერთოდ არ შეუხედავს მონიტორისთვის, თავი ჰქონდა დახრილი და ელოდებოდა, როდის იტყოდა ექიმი: ყველაფერი კარგად არისო. ძალიან მინდოდა, მასაც განეცადა ის, რაც მე პირველი ექოსკოპიის დროს განვიცადე. მიუხედავად იმისა, რომ ტოქსიკოზი მიტევდა და თავს კარგად არ ვგრძნობდი, როდესაც ბავშვის გულისცემა გავიგე, მაშინვე მოვედი ხასიათზე – ძალა მომცა, ბევრი რამ შემმატა. ამიტომ მინდოდა, იგივე გრძნობა მასაც ჰქონოდა და შეეხედა ყველაფრისთვის. მართალია, არ შეუხედავს, მერე ფოტოები დაათვალიერა, მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩემ გვერდით იყო.

– როგორც მითხარი, ტოქსიკოზის გამო, ცოტა რთული ფეხმძიმობა გაქვს.

– ჩემი და ბავშვის ჯანმრთელობის მხრივ, არ მაქვს ცუდი ორსულობა, ორივე კარგად ვართ. უბრალოდ ტოქსიკოზი მაქვს და, სხვათა შორის, ძალიან მინდოდა, მქონოდა. ამიტომ, ახლა ვამბობ: დავისაჯე-მეთქი. შემჩნეული მქონდა, რომ ისინი, ვისაც ტოქსიკოზი ჰქონდა, სულ ფორმაში იყვნენ. მეც ერთიორჯერ, ჩემს მეგობართან წამომცდა ასეთი სისულელე. კი მითხრეს: არ იცი, რაზე ლაპარაკობ, ნუ ამბობ მაგასო. „ამინ“ – დამიძახეს ზემოდან და, მოკლედ, მივიღე ის, რაც მინდოდა.

– ცოტა ხნის წინ ბარსელონაშიც იყავი მეუღლესთან ერთად.

– კახა დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ბარსელონაში. იქ ყოველწლიურად იმართება ელექტრონული მუსიკის ფესტივალი – „სონარი“, რომელსაც ყოველთვის ესწრება. რაც ოჯახი შევქმენით, სულ ჩავდივართ ამ დროს ბარსელონაში. ახლაც ვიცოდი, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო წასვლა. მე დიდად არ მქონდა ამის თავი, მერჩივნა, სახლში ვყოფილიყავი წამოწოლილი. მაგრამ, არ მინდოდა, არჩევნის წინაშე დამეყენებინა და გული დასწყვეტოდა. ამიტომ, ვუთხარი: წავიდეთ და დაესწარი იმას, რაც შენ გინდა. მართალია, მე ვერ დავესწარი, ყოველ წუთს ვერ ვიყავი მის გვერდით, მაგრამ, მთავარია, ის დარჩა კმაყოფილი.

– როგორი მეუღლეა კახა, ზრუნავს ორსულ ცოლზე?

– ძალიან კარგი მეუღლეა. ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ არ მინდა, თვალი ეცეს. ზუსტად ისეთი მეუღლე აღმოჩნდა, როგორიც ორსულ ცოლს სჭირდება გვერდით. მისგან სულ ვგრძნობ გვერდში დგომას. დოზირებულად, ანუ, ზუსტად ისეთი ყურადღებიანია ჩემ მიმართ, როგორიც მინდა, რომ იყოს. რაც მთავარია, ძალიან უყვარს თავისი პატარა. მეც სულ ვცდილობ, გავეპრანჭო, მისთვის კარგ ფორმაში ვიყო, ვასიამოვნო. შეიძლება, ტოქსიკოზის გამო, რაღაცეები აღარ მაინტერესებს, მაგრამ, როცა საქმე მეუღლეს ეხება, არ ვიკარგები, ვცდილობ, ხელი შევუწყო. რაღაც არ მინდა, ან ეს მინდა, შეწუხებული ვარ, ხასიათზე არ ვარ – რომც იყოს ასეთი რაღაცეები, მასთან მაინც არ გამოვაჩენ.

– სახელი შეურჩიეთ ბავშვს?

– გიორგის დავარქმევთ – ჩემი მამამთილის პატივსაცემად. ეს იყო ერთობლივი გადაწყვეტილება, მეც ასე ვფიქრობდი და, როგორც ჩანს, კახაც გულის სიღრმეში ასე ფიქრობდა. ასე რომ, ვარქმევთ ჩემი ძალიან საყვარელი მამამთილის სახელს, რომელსაც მამას ვეძახი. პატარას გოგლიკოს დავუძახებთ.

– დედამთილს და მამამთილს დედას და მამას ეძახი?

– მამას და ქეთუშას, რომელიც ჩემი მეგობარია. ზღვარს ვგრძნობ მხოლოდ იმ ასპექტში, რომ უდიდეს პატივს ვცემ. მაგრამ, ჩემს მეგობრად უფრო აღვიქვამ, ვიდრე დედამთილად.

– დღეს სოციალური ქსელების საშუალებით ყველა ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება. მიუხედავად ამისა, შენი ორსულობის ამბავი არავის გაუგია.

– თავიდანვე ვცდილობდი, ეს სცოდნოდათ მხოლოდ ჩვენთვის ახლობელ ადამიანებს. პირველ ეტაპზე ამის აფიშირება არ მინდოდა, რადგან ძალიან პირადულია. გვინდოდა, ჯერ ჩვენ შეგვერგო, გაგვხარებოდა და მერე დაგვეწყო ამ თემაზე საუბარი. ახლა უკვე წამოიზარდა, მალე 5 თვე შეუსრულდება და თქვენი ჟურნალის საშუალებით გახმაურდება.

შეიძლება, მისთვის მისაბაძი არ ვარ, მაგრამ ფიქრობს, რომ მეც კარგი ადამიანი ვარ და შესაბამისად, ერთმანეთის პატივისცემა ბოლო მომენტამდე გაგვყვება

ნათია უტიაშვილი

ლიდამიანი, რომელიც ყველა ერისტვის ინსტრუმენტზე უკრავს

ერის თვითდამკვიდრებისა და ხასიათის გამომხატველი – მისი კულტურაა. ქართულმა ფოლკლორმა მთელ მსოფლიოში აღფრთოვანება გამოიწვია. ჩვენი რესპონდენტი ქართული ხალხური სიმღერის დიდი ქომაგი, ხალხურ საკრავებზე დაკვრის დიდოსტატი შოთა ბრეგაძეა, რომელმაც უდიდეს წარმატებას მიაღწია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. დანარჩენს კი თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის შესახებ ბატონი შოთა თავად მოგვიყვება:

– დავიბადე და გავიზარდე ქალაქ ტყიბულში. ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც კირილე ვაშაკიძემ მეშახტეთა თვითმოქმედ ხალხურ საკრავთა ორკესტრში მიმიწვია დიპლიპიტოზე დასაკრავად. 15 წლის ასაკში შემოქმედება გავაგრძელე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. მრავალი საინტერესო საგასტროლო მოგზაურობა მქონდა ამერიკაში, კანადაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. გადიოდა წლები და თავადაც ვასწავლიდი ხალხურ საკრავებზე დაკვრას და სიმღერას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

– როგორც ვიცი, თქვენ ანსამბლ „რუსთავის“ ხალხურ საკრავთა ცნობილ ტრიოშიც მოღვაწეობდით.

– დიახ. ორმოცდაათიან წლებში ჩემი და ჰამლეტ გონაშვილის შემოქმედება ერთად იხვეწებოდა. ჩემსა და ჰამლეტს შორის უანგარო მეგობრობას მის გარდაცვალებამდე ბზარი არ შეჰპარვია, 1976 წელს კი მე და ბატონი ჰამლეტი გადავედით ანსამბლ „რუსთავში“, სადაც წლების განმავლობაში, ბატონ ომარ კელაპტრიშვილთან ერთად, გახლდით ცნობილი ტრიოს წევრი.

– თქვენს საყვარელ ინსტრუმენტებზეც გვიამბეთ.

– მუსიკის სიყვარულმა და მშობლიურმა ჰანგებმა ფრთები შემასხა. დიდი მონდომებით ვეუფლებოდი დიპლიპიტოს, ფანდურს, ჩონგურს, სალამურს, დოლს, დაირას, კონტრაბასს და უამრავ სხვა საკრავს, მაგრამ, თუ განსაკუთრებულ სიყვარულზე ვსაუბრობთ, ჩემი საყვარელი ინსტრუმენტი დიპლიპიტოა. კიდევ, მინდა, აღვნიშნო ერთი ინსტრუმენტი, რომელიც შერმადინ დარჩიაშვილმა შექმნა – ეს ინსტრუმენტი არის ექვსსიმიანი და სულ სხვა წყობა აქვს, მაგრამ, კულტურის სამინისტროში საავტორო უფლება არ მოგვცეს, რადგან, გვითხრეს, რომ ეს იგივეა, პიანინოს ფორმა შეუცვალოთო. მასზე მთელ მსოფლიოში მხოლოდ მე ვუკრავ. ერთხელ მე და ჯემალ ბაღაშვილი ვიყავით მიწვეულები ერთ-ერთ გადაცემაში და მხოლოდ ჯემალმა ააწყო გიტარის წყობაზე, რასაც მე ზემოხსენებულ ინსტრუმენტზე ვუკრავდი. გულდასაწყვეტია, რომ იკარგება ასეთი ინსტრუმენტი.

შორენა ბეგაშვილმა „ფეისბუქის“ გვერდზე ბავშვობის ფოტოები გამოაქვეყნა

„ფლეიბოის“ ნომერში შორენა ბეგაშვილის ფოტოების დაბეჭდვის დღიდან არ წყდება ლაპარაკი მის პლასტიკურ ოპერაციებზე. როგორც ჩანს, ამ ჭორებით თავმობეზრებულმა ტელევარსკვლავმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ბავშვობისა და თინეიჯერობის ფოტოები დადო, სადაც ის, მართალია, განსხვავებულად გამოიყურება, მაგრამ, თინეიჯერობისა და თავის ნაკლებად მოვლის მიუხედავადაც ძალიან ლამაზია. განსხვავებული იმიჯი, რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია, რამაც მცირე კორექტივები შეიტანა მის გარეგნობაში, თავის მოვლაზე დახარჯული დიდი დრო, ენერგია, ფული და... – შედეგად შორენა ბეგაშვილი დღეს არის ისეთი, როგორიც არის, მის გარშემო განუწყვეტელი ჭორების კორიანტელი კი იმის დასტურია, რომ, ხელოვნურია თუ ბუნებრივი, ბარბია თუ კონკია, ფაქტია, რომ ის ერთ-ერთ (თუ ერთადერთად არა) სექსუალურ ვარსკვლავად ითვლება და მისი გამოჩენა მაყურებლის უდიდეს ინტერესს იწვევს. როგორც თავად აგვიხსნა, ფოტოების დადების მიზეზი ის იყო, რომ, ყოველთვის ამბობდნენ, წარსულის სურათებს მალავსო. შორენამ ამ ნაბიჯით დაამტკიცა, რომ დასამალი არაფერი აქვს.

აქვე გთავაზობთ სოფო ნიჟარაძის მოსკოვში ცხოვრების პერიოდის ფოტოს. ამ ფოტოთიც აშკარად ჩანს, რომ პლასტიკური ჩარევები მინიმულურია მის სახეზე, მაგრამ, წარბების ფორმა, მაკიაჟი, თავის მოვლის ხელოვნების არცოდნა გარეგნობაზე აშკარად ეტყობა, ისევე როგორც შორენა ბეგაშვილს. ოდნავ აწეული ზედა ტუჩი, სიგამხდრე, წარბების გაცილებით ლამაზი ფორმა, ვიდრე ეს თინეიჯერობაში ჰქონდათ, მაკიაჟის ხელოვნების დახვეწა და იმის ცოდნა, მათ სახეს რა უხდება, ორივეს ძალიან მოუხდა. ასე რომ, ჩემი დილეტანტური დაკვირვებით გოგოები უფრო გაიზარდნენ და დაიხვეწნენ, რაც რომელიმე მაგარი პლასტიკური ქირურგის სკალპის დამსახურებას ნაკლებად უნდა მივაწეროთ.

„ჰუალინგ ჯგუფის“ თანამშრომელმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა

უკრაინაში, ქალაქ ლუცკში, რიგით ოცდამერვე მსოფლიო რეკორდი ქართველმა მიითვალა, რომლის შედეგიც ვოლინის ბოდიბილდინგის ფედერაციამ დააფიქსირა. „ჰუალინგ ჯგუფის“ თანამშრომელმა, შოთა ქელდიშვილმა, 10 კილოგრამიანი ჰანტელებით, ბიცეპსის დელტისებური და ნახევრად დელტისებური კუნთებით ვარჯიში ოცდაათი წუთის განმავლობაში შეასრულა და საერთო ჯამში ჟურომ 1 526 მოძრაობა დააფიქსირა, რაც მსოფლიო რეკორდისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

„შოთა ქელდიშვილი „ჰუალინგ ჯგუფის“ საამაყო წევრია. ვამაყობთ, რომ ასეთი თანამშრომელი გვყავს. აღნიშნულ შეჯიბრებაზე ის ჩვენი კომპანიის მხარდაჭერით მოხვდა – დავეხმარეთ, გამგზავრებულიყო და მონაწილეობა მიეღო. დარწმუნებულები ვიყავით, რომ შოთა წარმატებას მოუტანდა ქვეყანას და მისი გამარჯვებით ჩვენც ვიამაყებდით. ასეც მოხდა. შოთამ 28-ჯერ მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენის ტიტული,“ – განაცხადა „ჰუალინგ ჯგუფის“ კორპორაციული ურთიერთობების მენეჯერმა თინათინ შიშინაშვილმა.

მოამზადა სალომე გველესიანმა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

როგორ ამოწყვიტა გიორგი ბრწყინვალემ ცივის მთაზე მიწვეული მოღალატე დიდებულები

გიორგი ბრწყინვალემ მკაცრად დასაჯა მონღოლთა მომხრე ერისთავები და ქართველი თავკაცები. თუ რატომ გაუსწორდა ქართველი მეფე ასე მკაცრად ყველა მოღალატეს ერთად და რა შედეგი გამოიღო მისმა ამგვარმა საქციელმა, ამაზე ისტორიკოს ვაჟა კიკნაძის მასალებზე დაყრდნობით ვისაუბრებთ.

მეცამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, მონღოლთა მიერ გამოგზავნილი რამდენიმე ნოინი და მათი ჯარები განძას მოადგნენ და შედარებით ადვილად შეძლეს მისი აღება. შემდეგი პუნქტი იყო შამქორი. შამქორელებმა დახმარება სთხოვეს საქართველოს ერთ-ერთ დიდ ფეოდალს, ვარამ გაგელს. ის ამ დროს შამქორიდან არცთუ ისე შორს, გარდაბანში იმყოფებოდა (იგულისხმება არა დღევანდელი, არამედ, ისტორიული გარდაბანი, ანუ, გარდმანი, რომელიც სულ სხვა რეგიონს მოიცავდა და შამქორის სამხრეთით მდებარეობდა). როგორც კი ვარამ გაგელმა შეიტყო მონღოლთა გამოჩენის ამბავი, დახმარების ნაცვლად, გაიქცა და ქუთაისში გადავიდა. ქართველი დიდებულები ფიქრობდნენ, რომ იქ არ იყო მოსალოდნელი მონღოლთა გადასვლა, რადგან, აღმოსავლეთიდან მოსული მტერი, ჩვეულებრივ, ლიხს იშვიათად გადადიოდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, ალბათ, ქართული სამეფო კარის შეცდომა იყო, რომ ამ პერიოდში ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე მხარგრძელები ან მათი განშტოებანი იყვნენ, საბოლოოდ კი, მთელი საქართველოს ბედი მათ ხელში აღმოჩნდა. ვარამ გაგელიც მხარგრძელთა ჩამომავალი გახლდათ, რომელსაც ბევრმა წარჩინებულმა მიბაძა.

საქართველოს ამირსპასალარმა ცოტა ხანს დაიცადა თავის ციხეში, მაგრამ, როგორც კი წყალი შეუწყვიტეს, მაშინვე დანებება ინება და, არა მარტო დანებდა, არამედ, მონღოლებს შეუთვალა – მე თქვენი ყმადნაფიცი და მორჩილი ვასალი და მეგობარი ვიქნებიო

რაც შეეხება ქვეყნის პირველ პირს, რუსუდანს, ისიც ქუთაისში გაიქცა, რითაც ძალიან ცუდი მაგალითი მისცა მთელ ქვეყანასა და დიდებულებს. მან იქიდან გასცა ბრძანება, რომ, თუ მონღოლები დმანისამდე მოვიდოდნენ, მთელი თბილისი გადაეწვათ ისნის გარდა, სადაც სამეფო პალატები იყო და ასე ჩაებარებინათ დამწვარი დედაქალაქი მონღოლებისთვის. ეს იყო მისი ბრძოლის მთელი ტაქტიკა და მეთოდი. ამგვარად, ბრძოლა თავიდანვე წაგებული იყო. შეიძლება ითქვას, თავისი საქციელით, რუსუდანმა ცხადი გახადა არათუ ომის წაგება, არამედ, მთელი დიდებულები წაახალისა, გადასულიყვნენ მონღოლთა მხარეზე და, სინამდვილეში, მართლაც ასე მოხდა.

ამ დროს კაენის ციხეში იმყოფებოდა საქართველოს ამირსპასალარი და მთავარსარდალი ავაგ მხარგრძელი. თითქოს, უპირველესად, მას უნდა გამოეჩინა ბრძოლის ინიციატივა, ფორმალურად მაინც შებმოდა მონღოლებს, მაგრამ, რადგან დაინახა, რომ სიტუაცია ისეთი იყო, პასუხს არავინ არ მოსთხოვდა, საქართველოს ამირსპასალარმა ცოტა ხანს დაიცადა თავის ციხეში, მაგრამ, როგორც კი წყალი შეუწყვიტეს, მაშინვე დანებება ინება და, არა მარტო დანებდა, არამედ, მონღოლებს შეუთვალა – მე თქვენი ყმადნაფიცი, მორჩილი ვასალი და მეგობარი ვიქნებიო. ეს იქიდან ჩანს, რომ მემატიანეს ნათქვამი აქვს, მონღოლთაგან მან ძმობის ოქროს წყალი დალიაო. ანუ, გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ, ავაგ მხარგრძელი მონღოლთა ძმად, მაგრამ, უმცროს ძმად, ყმადნაფიცად შეირაცხა. ოქრო ჩაუდევთ სამჯერ წყალში და ერთად დაულევიათ მონღოლებსა და ავაგ მხარგრძელს – ეს რიტუალი იყო ძმადნაფიცობის აღმნიშვნელი. კავკასიაშიც არსებობდა ასეთი რიტუალი, მაგრამ, კავკასიაში ფიცევერცხლი ერქვა და შეფიცულები ისეთ წყალს სვამდნენ, რომელშიც ოქროს ნაცვლად ვერცხლი იყო.

სამწუხაროდ, შემდგომში ბევრმა დიდმა ფეოდალმა და ერისთავმა მიჰბაძა მას. მაგალითად, შანშე მხარგრძელი, რომელიც მაშინ მანდატურთუხუცესი იყო, მონღოლების შემოსვლისთანავე აჭარაში გაიქცა. თუმცა, როგორც კი შეიტყო ამირსპასალარისა და მონღოლების „დამმობილების“ ამბავი, უკან დაბრუნდა და მონღოლებს იმავე პირობით შეეკრა. ასევე მოიქცა ქუთაისში გაქცეული ვარამ გაგელიც.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც იბრძოდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსუდან მეფისგან არანაირი მითითება არ ჰქონია, ივანე ციხისჯვარელი-ჯაყელი იყო. იგი მანამდე ებრძოდა მტერს, სანამ მეფემ არ შეუთვალა, მარტო შენ ვერაფერს გახდები და დანებდიო. მხოლოდ ამ დიდმა ფეოდალმა, სამცხის სპასალარმა გაუწია წინააღმდეგობა მონღოლებს და ამით საქართველოს ნამუსი მოსწმინდა. თუმცა, მარტო ერთი პროვინციის მეთაურს რა უნდა ექნა?! ამის შემდეგ, უკვე სავსებით აშკარა გახდა, რომ მთელი მეცამეტე საუკუნის განმავლობაში ყველა დიდებულს, ვისაც კი მოღალატეობის სურვილი გააჩნდა, გზა გახსნილი ჰქონდა – ამას ყოველნაირად მიესალმებოდნენ მონღოლები.

ასე გაგრძელდა ას წელიწადს, ვიდრე ქვეყნის სათავეში გიორგი მეხუთე მოვიდოდა. იგი 5-6 წლის იყო, როდესაც მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს მამამისი – დემეტრე მეორე. ამის გამო, გიორგი იძულებული გახდა, დედასთან ერთად გაქცეულიყო და პაპასთან, სამცხის სპასალართან შეხიზნულიყო. ამგვარად, გამყიდველობისა და გამცემლობის მთელმა მატიანემ ჩაიარა მის თვალწინ და, სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ, როდესაც დადგა შესაფერისი დრო, გიორგი ბრწყინვალემ გადაწყვიტა, გადამჭრელი ზომები მიეღო – სხვანაირად საქართველოში ისევ ძველი მდგომარეობა შენარჩუნდებოდა.

ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ როდის მოხდა ეს ან საიდან ვიცით, რომ გიორგი ბრწყინვალემ მოღალატეები დასაჯა: ეგრეთ წოდებული ჟამთააღმწერლის ტექსტი ზუსტად გიორგი ბრწყინვალის გამეფებაზე წყდება, ამიტომ, მერე რა მოხდა, ჩვენ მხოლოდ იქიდან ვიცით, რასაც წინასწარ გვეუბნება ავტორი – შემდეგში მოგითხრობთ ამის შესახებო. თუმცა, მას ამის შესახებ არაფერი აქვს მოთხრობილი. იქვე მიწერილია ვახტანგ მეექვსის კომისიის მიერ გაკეთებული ერთი აბზაცი. ამ კომისიას, რომელსაც ბერი ეგნატაშვილი მეთაურობდა, ყველა ქართული წყარო გადაუსინჯავს, ბევრი უცდია, მაგრამ, ამ ერთი აბზაცის მეტი ვერაფერი უპოვია. ამ აბზაცში საუბარია იმაზე, რომ გიორგის მეფობის დროს, მონღოლების შთამომავლებს შორის, ერთმანეთში ტახტისთვის ქიშპობა დაიწყო და ამით დაეცა მათი იმპერია. როდის მოხდა ეს ამბავი, შეიძლება შემდეგი ფრაზიდან გავიგოთ: „იმერეთის მეფის, დავით ნარინის შვილნი, ერთმანეთზედა აღდგნენო, ანუ, ეს მომხდარა 1327-1329 წლებში. ამ დროს ისარგებლა გიორგი ბრწინვალემ და „ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, ანუ, კონკრეტულად, აღმოსავლეთ საქართველოს ერისთავები, ისინი, რომელნიც „ჩინგიზთ“ მიუდგნენ“, ანუ მონღოლების მხარეზე დადგნენ, „კახეთის ცივზედ“ მოიწვია და ამოწყვიტაო. ანუ, გიორგიმ მოღალატე დიდებულები ცივის მთაზე მიიწვია და ამოწყვიტა. მეფე გიორგი უწყოდა, რომ, თუ ასეთ გადამჭრელ ზომებს არ მიიღებდა, ქვეყანაში იგივე მდგომარეობა გაგრძელდებოდა, რაც მთელი ასი წლის განმავლობაში სუფევდა. ასეთ ვითარებაში კი ის ვერ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, პირიქით, ისედაც დასუსტებული ქვეყანა უკიდურეს ზღვრამდე მივიდოდა. კითხვაზე, თუ რატომ მიიწვია მეფემ დიდებულები მაინცდამაინც კახეთის ცივზე, სავარაუდოდ, ასეთი პასუხი გაიცემა: ალბათ, იმიტომ რომ, რამდენიმე ათეულის წინ, კახეთის ცივის, ცივ-გომბორის ტერიტორიაზე, მარმარილოს კვადრებით აგებული უზარმაზარი ნანგრევები აღმოჩნდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, აქ იყო სამეფო რეზიდენცია. ანუ, მეფემ მოღალატენი თავის რეზიდენციაში მიიწვია. მათაც მიიღეს მოწვევა, ვინაიდან, ვერ წარმოიდგენდნენ, რა მოელოდათ.

გიორგი ბრწყინვალეს ასე რომ არ ემოქმედა, ამ მოღალატეებს შეეძლოთ, ხელი შეეშალათ მეფისთვის მონღოლთა უღლის გადაგდებაში. ამიტომ წავიდა ასეთ უკიდურეს ზომაზე გიორგი მეხუთე. ამას გარდა, მონღოლებში დიდი არეულობა დაიწყო იმის გამო, რომ აბუსაიდმა, დიდმა ყაენმა, რომელიც ამ წელს სრულწლოვანი გახდა, თავისი მფარველი და ძალიან ძლიერი მმართველი, ჩობან ნოინი მოაკვლევინა, რამაც შიდა არეულობა გამოიწვია. ჩობანს ძალიან ბევრი შთამომავალი ჰყავდა, ამიტომ, მის სიკვდილს დიდი არევ-დარევა მოჰყვა საილხანოში. გიორგი ბრწყინვალემაც, ისარგებლა ამ არეულობით. ჩობანი მის მეგობრად ითვლებოდა, ეს იყო ფორმალურად: იმ დროის განმავლობაში და, სანამ საქართველო დამოკიდებული იყო მონღოლებზე, გიორგი ამ უძლიერეს ნოინთან კარგ ურთიერთობას ამჯობინებდა. ჯერ კიდევ მისმა პაპამ, ნათელა ჯაყელის მამამ, ასწავლა, რომ ჩობანი იყო უძლიერესი და, ფაქტობრივად, ერთადერთი რეალური მმართველი საყაენოში და მასთან კარგი ურ-

ზაფხულში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პირად ჰიგიენას, რადგან, ამ სეზონზე გამძაფრებულია ორგანიზმიდან წიდებისა და მავნე ნივთიერებების ოფლის სახით გამოყოფა, რაც, დამეთანხმებით საკმაოდ არასასიამოვნო და შემაწუხებელი პროცესია. თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ოფლის სუნს, რისი გათვალისწინებით შეიძლება ამ პრობლემისგან თავის დაღწევა და როგორ ხდება ზაფხულში ორგანიზმის გაწმენდა, ამაზე ექიმი-დიეტოლოგი, ქალბატონი ასმათ კევლიშვილი მოგახსენებთ.

რას იწვევს სიცხეში გადახურებული ორგანიზმის ცივი სასმლით გაგრილება და როდის ხდება ოფლიანობა საგანგაშო სიმპტომი

ასმათ კევლიშვილი: ოფლიანობას არაერთი გამომწვევი მიზეზი გააჩნია და გასათვალისწინებელია ისიც, წელიწადის რომელ დროს ხდება მისი გამძაფრებული გამოყოფა. ზაფხულში, მაღალი ტემპერატურის ფონზე, ორგანიზმიდან ოფლის გამოყოფა ბუნებრივი, ნორმალური მოვლენაა, რადგან, სიცხეში ნივთიერებათა ცვლა აქტიურდება. თუმცა, ზოგს გენეტიკურადაც ახასიათებს ჭარბი ოფლიანობა. გეტყვით, რომ, ზაფხულში ოფლის გამოყოფა ორგანიზმიდან აუცილებელია, რადგან, გააქტიურებული ნივთიერებათა ცვლის ფონზე, ხდება ოფლის სახით ორგანიზმიდან არასასურველი ნივთიერებების, თავისუფალი რადიკალების, დალექილი მარილებისა და წიდების გამოდევნა. მაგრამ, თუ ეს ხდება ზამთარში, აქ ენდოკრინულ დარღვევასთან გვაქვს საქმე, რადგან, საჭიროა დადგინდეს, რა მდგომარეობაშია ჰორმონული ბალანსი და გამოირიცხოს ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა. ასე რომ, ჭარბი ოფლიანობა ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოთ და აუცილებლად უნდა გაესინჯოთ ენდოკრინოლოგს.

გამოყოფილი ოფლის მძაფრი სუნი მიანიშნებს იმას, რომ ორგანიზმი დაბინძურებულია, რასაც არასწორი კვება იწვევს

– ალბათ, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ, ხშირად, ტრანსპორტში ან, თუნდაც, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ზაფხულში შეუძლებელია გაჩერება, რადგან, მძაფრად იგრძნობა სპეციპიკური ოფლის სუნი და, ეს, უხერხულობასთან ერთად, დიდ დისკომფორტს ქმნის.

– როცა ორგანიზმიდან ტოქსინები გამოიყოფა ოფლთან ერთად, ამას მართლაც აქვს სპეციფიკური, არასასიამოვნო სუნი, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი ტოქსინებითაა დაბინძურებული, ანუ, ზოგადად, არასწორადაა მართული და, ამიტომაც ხდება ოფლის სახით ბუნებრივად გათავისუფლება იმ ტოქსინებისგან, რომლებიც დაგროვილია. მძაფრი სუნი მიანიშნებს იმაზე, რომ ორგანიზმი დაბინძურებულია, რასაც არასწორი კვება იწვევს. ერთი სიტყვით, დაავადებების 99 პროცენტი, ისევე, როგორც უსიამოვნო სუნიანი ოფლის გამოყოფა, არასწორი კვების ბრალია.

– თუ არსებობს საკვები პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც ოფლის გამოყოფას უწყობს ხელს?

– ნამდვილად არსებობს პროდუქტები, რომელთა ჭამის შემდეგ ოფლიანობა იმატებს. ორგანიზმის აღმგზნები პროდუქტები, რომლებსაც ზაფხულში განსაკუთრებულად უნდა მოერიდოთ, არის: წიწაკა, ცხარე, მწარე, მჟავე, ცხიმიანი საკვები. მაგრამ, ზამთარში, სიცივეში, როცა ნივთიერებათა ცვლა შენელებულია, ღვიძლის ტემპერატურა დაბლა იწევს და ენდოკრინული ჯირკვლები, ასე თუ ისე, მიძინებულ მდგომარეობაში, ანუ, შედარებით ნაკლებად აქტიურია, ასეთ დროს, პირიქით, უნდა ჭამოთ ორგანიზმის აღმგზნები პროდუქტები.

– კონკრეტულად, რომელ საკვებზე გავაკეთოთ მეტი აქცენტი ზაფხულში და რომელ საკვებს მოვერიდოთ?

– ზაფხულში, რაც შეიძლება, მსუბუქად იკვებეთ. როგორც გითხარით, მოერიდეთ მწარე, ცხარე, მჟავე საჭმელების მიღებას, ცხიმიან ღორის ხორცს. მიირთვით სეზონური ხილი და ბოსტნეული, დალიეთ ბევრი სითხე. ხილი შეიცავს ანტიოქსიდანტებს, გვიცავს თავისუფალი რადიკალებისგან და გამოირჩევა ანტიმჟანგავი თვისებებით, ამიტომ, ის მთლიანად ასუფთავებს ჩვენს ორგანიზმს. ასე რომ, ძირითადი აქცენტი გააკეთეთ ხილსა და ბოსტნეულზე. ვერ გირჩევთ ამ სეზონზე ხორცის მთლიანად გამორიცხვას; მართალია, ის მძიმე მოსანელებელია და დიდი რაოდენობით ტოქსიკურ მჟავებს შეიცავს, მაგრამ, მცირე რაოდენობით საქონლის მჭლე ხორცი მისაღებია. თუ ორგანიზმი დასუსტებულია, ადგომა გიჭირთ, ხალისი დაქვეითებულია, მაშინ ორგანიზმი გადატვირთულია ცილებით და, ხორცი და მძიმედ მოსანელებელი საკვები უნდა გამორიცხოთ რაციონიდან.

– როგორ უნდა მოუაროს თავს ადამიანმა, როცა მას სუნიანი, მოჭარბებული ოფლიანობა აღენიშნება?

– სანამ ორგანიზმი ტოქსინებისგან გათავისუფლდება, უნდა მიიღოს ბევრი სითხე, ოღონდ, არა უზომოზე. თუ ორგანიზმი არ გთხოვთ სითხეს, აუცილებელია, მინიმუმ ერთი ლიტრი მაინც მიიღოთ, რომ დარღვევა გამოასწოროთ. ამას გარდა, უნდა მოიწესრიგოთ კვება – მიირთვათ ძირითადად ხილი და მსუბუქი საკვები; ხოლო, რაც შეეხება გარეგანი ჰიგიენის დაცვას, შემიძლია, ერთი მარტივი და ძალიან ეფექტური საშუალება გასწავლოთ: ხელის საპონი აიქაფეთ ხელის გულზე, ზედ დააყარეთ საჭმლის სოდა და ამით დაიმუშავეთ და გაისუფთავეთ ის ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით გიოფლიანდებათ, შემდეგ კი გრილი წყლით ჩამოიბანეთ და პირსახოცით შეიმშრალეთ. ეს ხსნის ფორებს, აკეთებს დეზინფექციას, საოფლე ჯირკვლებს არ კეტავს და, შესაბამისად, ოფლს სუნს უკარგავს. თუ ამას ყოველდღიურად გააკეთებთ დილა-საღამოს, ნახავთ, ექვსი-შვიდი პროცედურის შემდეგ, სიტუაცია როგორ გამოსწორდება. ასევე, დაიბანეთ არა ცივი, არამედ, ცხელი წყლით, აბაზანიდან გამოსვლის შემდეგ კი დალიეთ ერთი პატარა ჭიქა ცხელი ჩაი ან ხილის კომპოტი.

გაითვალისწინეთ, რომ არ უნდა მიიღოთ პაპანაქება სიცხეში ძალიან ცივი სასმელი და ნაყინი – ეს ორგანიზმს კიდევ უფრო ანყურებს, იწვევს მის კიდევ უფრო გადახურებას და კუჭის სპაზმს. პირიქით, უნდა დალიოთ ხშირ-ხშირად და ცოტ-ცოტა ცხელი ჩაი და კომპოტები. აგრეთვე, უნდა მოერიდოთ კონდინციონერით გაგრილებულ ოთახში ჯდომას – ეს ორგანიზმისთვის დამანგრეველია. წარმოიდგინეთ, ხელოვნურად შექმნილი ცივი ტემპერატურიდან რომ გამოდიხართ ქუჩაში, სადაც საკმაოდ ცხელა, რა სტრესს იღებს ორგანიზმი, კერძოდ კი – თირმელზედა ჯირკვალი. ასევე, უნდა მოერიდოთ სინთეტიკური ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმლის ტარებას. შუაგულ მზეზე რომ არ უნდა იაროთ – ამაზე აღარაფერს ვამბობ.

ნონა დათეშიძე

თიერთობა უნდა ჰქონოდა. ახლა კი, როდესაც ჩობანი მოკლეს, გიორგი მორალურადაც თავისუფალი იყო: რადგან მისი მფარველი მოკლეს, შეეძლო, გამოეცხადებინა, რომ აღარ ემორჩილება ყაენს. აბუსაიდმა მართლაც ვერ გათვალა ის, რომ მარტო ვერ მართავდა იმ უზარმაზარ იმპერიას (საილხანოს), რომელიც უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, გიორგი ასე რომ არ მოქცეულიყო, ანუ, აჯანყება არ დაეწყო, რომლის პირველი სიგნალი მოღალატე ერისთავთა გაწყვეტა იყო, მაშინ თვით გიორგისაც აუცილებლად დაიბარებდნენ ურდოში როგორც ჩობან ნოინის უახლოეს მეგობარს და, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ქართველი მეფეც მამის, დემეტრე თავდადებულის ბედს გაიზიარებდა, რადგან, მონღოლთა აუცილებელი წესი იყო, ყველა შეთქმულისა და დასჯილის მეგობარი, ნათესავი თუ ახლობელი აუცილებლად უნდა დასჯილიყო ისე, როგორც დემეტრე მეორე დაისაჯა ბუღა ნოინთან ახლობლობის გამო, თორემ, მას არც აჯანყება წამოუწყია და არც ფიქრობდა ამას, რადგან, იმ პერიოდში სიტუაციაც არ იყო მონღოლთაგან თავის დახსნისა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გიორგი ბრწყინვალის აჯანყება მარტო საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნება არ იყო, ეს იყო საქართველოს ერთიანობის შენარჩუნება და საჭიროება; ამგვარად, ძალიან საინტერესო ცნობა მოუძიებია ვახტანგ მეექვსის კომისიას.

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ურჩი ფეოდალების დასჯის შემდეგ დაიწყო საქართველოს გათავისუფლება – ასე ჩანს ყველა არსებული წყაროს მიხედვით; ჩვენმა ქვეყანამ გაძლიერება დაიწყო, გაერთიანდა და ამ მომენტიდან დაიწყო საქართველოს აღმავლობა. 1335 წელს ერთ-ერთი იტალიელი მოგზაური, ჯაკომო და ვერონა, რომელიც პალესტინაში ქართულ სიძველეებს იხილავს და აღწერს, საჭიროდ მიიჩნევს, აღნიშნოს, ქართველთა მეფე უძლიერესიაო. ამგვარად, აღმავლობა ნამდვილად გიორგი ბრწყინვალის ხანაში დაწყებულა.

ეკა სალაღაია

ქარიზმით, ექსტრავაგანტულობით, ღრმა და უჩვეულო პერფორმანსებით ზურაბ რთველიაშვილი ხელოვანებს შორის ყველაზე მეტად გამოირჩეოდა. მისი ემოციური, სისხლისგამყინავი წარმოდგენები, რომელსაც უბრალოდ ლექსის წაკითხვას ვერაფრით დავარქმევ, საქართველოში ძალიან კარგად ახსოვთ. ხელისუფლებასთან მებრძოლი, შეურიგებელი პოეტი, იძულებული გახდა, საქართველოდან შვედეთში წასულიყო.

როდის იყენებს პოეტი ზურაბ რთველიაშვილი ხმოვან პოეზიას და ვიდეოინსტალაციებს

ზურაბ რთველიაშვილი: შვედეთში ცხოვრება საკმაოდ საინტერესოდ მიდის. ბოლოდროინდელ სიტუაციებთან დაკავშირებით, ერთი ამბავი მახსენდება. ბალტიისპირეთში არის ერთი პატარა, ძალიან ლამაზი საუნივერსიტეტო ქალაქი, ტარტუ, უძველესი უნივერსიტეტით. იქ არის არტქალაქი, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ არტისტები. აქვთ სახელოსნოები, ძველებური სტამბაც კი. ამ სტამბაში აქვთ ძველისძველი, რარიტეტული საბეჭდი მანქანები, რომელზეც იბეჭდებოდა რევოლუციური პროკლამაციები, სამანიფესტაციო ბუკლეტები. რკინის საკმაოდ მძიმე კონსტრუქციებია. იქ მოღვაწე ადამიანებთან ერთად ვაწყობდით საინტერესო პერფორმანსებს. ჩასვლის მეორე დღიდან ჩავერთე ფესტივალში და იქიდან დაიწყო ჩვენი აქტიური თანამშრომლობა. 2009 წელი იყო, როდესაც ერთ-ერთი პერფორმანსის დროს საინტერესო რაღაც მოხდა. ვკითხულობ ჩემს ერთ-ერთ ლექსს, რომელსაც ჩემი მეგობარი მუსიკოსი დოლით აკომპანემენტს უკეთებდა. ამ ლექსის დროს მაქვს ჩართვები, როცა მგელივით ვყმუი შუა პერფორმანსის დროს გამოვარდა პატარა, სასაცილო ძაღლი და დაიწყო ღრენა. ეტყობა, ეუცხოვა ყმუილი და ამყვა. ორ ხმაში შევასრულეთ პერფორმანსი. ამან პრესის ინტერესი გამოიწვია, ძაღლთან ერთად ფოტოც გადამიღეს. ერთ-ერთი თვალსაჩინო, ცოცხალი „ჰეფენინგი“ იყო. ასე მოვხვდი ადგილობრივ პრესაში. ამ დროს ორი თვის წასული ვიყავი ემიგრაციაში, მაგრამ ქართულ ტელევიზიებს ისევ სისხლმოწყურებულ მეამბოხედ გამოვყავდი.

– ეს ყველაფერი თქვენი წასვლის მიზეზი გახდა.

– რა თქმა უნდა. იყო დაშინება, არა მხოლოდ ჩემ მიმართ, არამედ მუქარა ჩემი ოჯახის წევრების მიმართაც. თავდაპირველად ბალტიისპირეთში ჩავედი ფესტივალზე. შვედთმა გამოთქვა სურვილი, რომ მიმელო პროექტში მონაწილეობა, სადაც ის მწერლები არიან ჩართული, რომლებიც საკუთარი აქტივობის გამო, მიუღებელი არიან სახელმწიფოსთვის. ჩემი გაყვანა რთული აღმოჩნდა. მათ სხვადასხვა მეთოდი და ბერკეტი აქვთ იმისთვის, რომ სასურველი პირი ქვეყნიდან გაიყვანონ. ამას თავისი დრო სჭირდება, კიდევ სამი თვე. მაგრამ სამი თვე ვეღარ დავრჩებოდი საქართველოში და ამიტომ გამოიყენეს ეს ფესტივალი. ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ძალიან ცნობილი იტალიელი მწერალი. თავდაპირველად, ვცხოვრობდი გუტებურგში, სადაც მწერლისთვის არაჩვეულებრივი გარემოა. შემდეგ უკვე გადმომიპატიჟა სტოკჰოლმმა, რომ მათი „მწერალი სტუმარი“ გავმხდარიყავი. ასეთი სტატუსი აქვთ. ეს ითვალისწინებს ცხოვრებას, მწერლის ჩართულობას სხვადასხვა ღონისძიებაში, დაბეჭდვას, მის დაცვას და სხვა. ჩემზე იყო სხვადასხვა მითითება და ღონისძიება – სადაც დევნილი მწერალი ცხოვრობს, იმ კარზე მისი სახელი და გვარი არ იწერება და ასე შემდეგ. კონფიდენციალურობის ბევრი ნიუანსია გათვალისწინებული. როდესაც საჯარო გამოსვლაა, წინასწარ გეკითხებიან, მიიჩნევ თუ არა საჭიროდ, რომ ბევრ ხალხში გამოჩნდე. ყოველთვის წინასწარ გითანხმებენ ყველა დეტალს.

– მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რეალობა უკვე შეიცვალა? თუ არ შეიცვალა?

სადაც დევნილი მწერალი ცხოვრობს, იმ კარზე მისი სახელი და გვარი არ იწერება

– სამწუხაროდ, ვერ ვხვდები, რომ რამე შეიცვალა. არიან კონკრეტული ადამიანები, ვისაც კონკრეტული ინტერესები აქვს. ჯერ კიდევ არსებობს ის სისტემა, რომელშიც ადამიანები არაკომფორტულად ცხოვრობენ. იყო გარკვეული მოლოდინი და განწყობა. ჩაგვესახა იმედები, რომ ამ ოდიოზურ რეჟიმს საბოლოოდ ჩამოვიცილებდით. მაგრამ ის, რასაც ვუყურებ დღეს, რაც ხდება, უბრალოდ, აღმაშფოთებელია, ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ჩემზე.

– არის სტოკჰოლმი ის ქალაქი, სადაც ასეთი ანარქისტი, ბობოქარი სულის პოეტი თავს კარგად გრძნობს?

– კი, საკმაოდ კარგია. ხალხი ძალიან კეთილგანწყობილი და თბილია ემიგრანტების მიმართ. გავიცანი და დავმეგობრდი რამდენიმე ადამიანთან. ისინი მივსებენ იმ სიცარიელეს, რომელიც ემიგრაციას ახლავს თან. ჩემმა ოჯახმა ძალიან დიდი სირთულეებით დატოვა საქართველო, ისიც მეგობრების დახმარებით, მიუხედავად იმისა, რომ მის მოწვევას ვიცე-მერის ხელმოწერა ახლდა. მათ გარეშე ემიგრაცია სრულიად გაუსაძლისი იქნებოდა. სტოკჰოლში ულამაზესი ქალაქია და ყველანაირი პირობებია შექმნილი მწერლისთვის, რომ მან იმუშაოს, ჩაერთოს სხვადასხვა არტაქტივობაში.

– ვიცი, რომ თქვენი პერფორმანსებით სტოკჰოლმის ფარგლებს საკმაოდ სცდებით.

– კი, უამრავი მოწვევა მაქვს ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან. პერფორმანსებს ხშირად ვდგამ ბერლინში, ოსლოში, ჰელსინკიში. სულ ცოტა ხანში, მეგობრებთან ერთად მივდივარ შვეიცარიაში. ციურიხში გამოსვლა გვაქვს „კაბარე ვოლტერიში“, სადაც ჩაისახა დადაიზმი. საკმაოდ დიდი ინტერესით ხვდება აუდიტორია ჩემს გამოსვლებს. არის სხვადასხვა ნიუანსი, რომლებიც ჩვენს სასარგებლოდ თამაშობს. ქვეყანაში, პოლიტიკაში, კულტურაში შექმნილი არცთუ ისე ერთგვაროვანი სიტუაცია ჩვენ მიმართ ინტერესს ამძაფრებს. ეს სიტუაცია იმდენად სხვა გამოწვევებს აყენებს ჩვენ წინაშე, რომ როგორც ჩანს, ეს სხვა ენერგიას უშვებს ჩვენგან, სხვა ხასიათის ნოსტალგიაა. საკმაოდ ცოცხალი პროცესები მიდის, იგრძნობა კულტურული დუღილი, რაც ახალ სიურპრიზებს შესთავაზებს მსოფლიო საზოგადოებას. ის, რაც ხელოვანმა, ავანგარდისტმა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დაკარგა, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აქტივობებში ნახა და ამით ერთგვარი გამოსავალი იპოვა. არის უამრავი ვიდეო, გადაცემა, სადაც კარგად ჩანს აუდიტორიის ინტერესი და ჩართულობა ყველაფერ იმაში, რასაც ვაკეთებთ, იქნება ეს ვერბალური პოეზია თუ ვიდეოინსტალაციები, რომელსაც ძალიან აქტიურად ვიყენებ. ისევე, როგორც ხმოვან, როგორც დასავლეთში უწოდებენ, საუნდ-პოეზიას. ეს თავისთავად ცხადია, უფრო იოლს ხდის კომუნიკაციას და ხსნის სხვადასხვა ბარიერს მაყურებელთან.

– რა სიგნალი უნდა მოვიდეს საქართველოდან ისეთი, რომ თქვა – დაბრუნდება ღირს, წასვლის დროა?!

– მკაფიოდ მინდა ვთქვა, რომ ძალიან ცუდად მომხვდა ყურში, როცა ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ახსენა ქვეყნის სინგაპურიზაცია. სინგაპურიზაციამ და დუბაიზაციამ ახალი ხელისუფლების პირობებშიც გაიჟღერა. რატომ არ საუბრობენ სკანდინავიზაციაზე?! თუკი მაინცდამაინც გინდა, ვიღაცას დაემსგავსო, თუკი სულ იმას ამტკიცებ, რომ მხოლოდ ერთადერთი სურვილი გვაქვს – გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი, მაშინ ყველაზე მეტად მისაღები ფორმა ჩვენთვის სკანდინავიზაცია იქნებოდა. განვითარების შვედური, ნორვეგიული, დანიური მოდელი რომ ყველაზე მეტად აქცენტირებულია საზოგადოებაზე, სოციალურ საკთხებზე, ამაზე აღარც საუბრობენ. ნებისმიერი პროცესი გამჭვირვალეა და ვფიქრობ, სწორედ ამ გამჭვირვალეობის ეშინიათ. სინგაპურიზაცია კი ჩემთვის ასოცირდება განვითარებულობასთან, რომელსაც მაინც დაკრავს აღმოსავლური კორუფციონიზმის და გაუმჭვირვალობის სუნი. საზოგადოება უნდა იყოს ყველაფრის თანამონაწილე და თანაშემოქმედი. სანამ ჩვენი საზოგადოება ასეთად არ იქცევა, ყოველთვის იქნება მართული ერთი ან მეორე კლანის მიერ. ამიტომ, ჯერჯერობით დაბრუნებაზე ფიქრი ადრეა.

სალომე გველესიანი

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

ვინ უკოცნიდა იურმალაში მაკა ზამბახიძეს ხელებს და რა მეტსახელი შეარქვეს რატი დურგლიშვილს

არ ვიცი, განწყობის ბრალია, იმის, რომ ქართული შოუ-ბიზნესი არ არსებობს, კონცერტები მინიმალური ბიუჯეტითა და მცირე რაოდენობის მაყურებლით ტარდება თუ რა, მაგრამ, ფაქტია, რომ მაკა ზამბახიძისა და რატი დურგლიშვილის წყვილი ძინტერის სცენაზე აბსოლუტურად განსხვავებულად გამოიყურება. ორი მოკაშკაშე ვარსკვლავი ზუსტად წამებში ახერხებს ფესტივალზე ჩასული მაყურებლის მოხიბვლას. საინტერესოა, რომ, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, ისინი როგორც მაყურებელმა, ისე კონკურსის ორგანიზატორებმა, საოცარი სითბოთი მიიღეს. იმედი მაქვს, ეს ახალი სიმაღლეების დასაპყრობი კარგი ტრამპლინი იქნება მათთვის.

რატი დურგლიშვილი: „იურმალა“ ჩვენთვის მშობლიურ ადგილად იქცა, რადგან, სწორედ აქედან გაგვიცნო არა მხოლოდ ამ კონკურსის მაყურებელმა, არამედ, მთელმა საქართველომ. ყველასთვის შოკი იყო, რომ ორმა სრულიად უცნობმა მომღერალმა იმ რთულ პერიოდში ასეთი ფურორი მოახდინა. პირველი ადგილი ჩვენთვისაც შოკი იყო, ამაზე არც გვიოცნებია.

– ამის შემდეგ იყო დიდი პაუზა...

– ხუთწლიანი. მართალია, მოწვევები სულ იყო და ჩვენც გვიმღერია, მაგრამ, ამას ის ხიბლი აღარ ჰქონდა, რადგან, კონკურსზე ქართველი არავინ იყო, მისი ტრანსლაცია არ ხდებოდა. ჩვენ მიმართ სიყვარული და სითბო კონკურსის ორგანიზატორების მხრიდან სულ მოდიოდა. სიტყვით ვერ გადმოგცემთ, ისე გვექცევიან იქაური ვარსკვლავები და ფესტივალის თანამშრომლები. ზუსტად ისეთ სიყვარულს გამოხატავენ ჩვენ მიმართ, მათთვის სრულიად უცხო ადამიანების მიმართ, როგორც ეს საქართველოში ხდება. მაკას ხელებს უკოცნიან.

მაკა ზამბახიძე: პოლინა გაგარინა როგორ შეგვხვდა, იცი?! რომ ჩაგვკიდა ხელი, აღარ გაუშვია, სულ „ჩემებო, ჩემებოს“ გაიძახოდა. იგივე დუბცოვა. აკანკალებთ, დედას ვფიცავარ.

რატი: რევზინი სულ ჩვენ გვკითხულობდა: „სად არის ჩემი ქართველი გოგო, ჩემი ქართველი ბიჭი?!“

მაკა: რატის ეძახიან „ხვატიტ უუეს.“ ერთხელ რეპეტიციაზე მითხრა სუფთა ქართული აქცენტით და, იმის მერე, მორჩა, ეს სახელი შეერქვა. კარგი მოგონებები აქვთ ჩვენზე, ბევრი დადებითი და ამას ურთიერთობებში კარგად გამოხატავენ. „შვილებს“ გვეძახის ყველა. პირადი ურთიერთობა გვაქვს ყველასთან, პროდიუსერის გარეშე ვურთიერთობთ და, სიმღერის შეთანხმებაა თუ კონცერტში მონაწილეობა, პირდაპირ გვიკავშირდებიან. ვარსკვლავებიც კი არ მღერიან ამ კონკურსზე ამდენჯერ და ჩვენ სამჯერ გვამღერეს. ეს ძალიან დასაფასებელია.

– ეს ბოლოს გადაწყდა?

– დიახ და ძალიან ვინერვიულეთ, რადგან, ვიცოდით, საქართველოში ეროვნული ტურის სიმღერას რა შეფასებები და რამხელა კრიტიკა მოჰყვა. რევზინმა ძალიან პრინციპულად გვითხრა, რომ ფინალში სამივე იმღერებთ ქართულ სიმღერასო. სალომესაც, სიმართლე გითხრათ, არ უნდოდა მისი შესრულება. გოგო გამარჯვებულია და, უნდოდა, ფინალში იმ სიმღერით წარმოდგენილიყო, რომელიც მის რეპერტუარში საუკეთესო იყო, მაგრამ, იქ წუნუნს ვერ დაიწყებ, რასაც რეჟისორი წყვეტს, იმას აკეთებ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იქ ეს სიმღერა ძალიან მოენონათ, კარგი ტაში ჰქონდა.

– ჩემი აზრით, აგუტინის კონცერტზე ყველაზე მეტად ნერვიულობდით.

– არ გვინდოდა აგუტინის იმედები გაგვეცრუებინა. კაცმა ამხელა რამ გააკეთა ჩვენ გამო. შეიძლება, ეს მისთვის არაფერი იყო, მაგრამ, ჩვენთვის ბევრ რამეს ნიშნავს. ეს გამოსვლა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სწორედ იმიტომ ვღელავდით, რომ აგუტინს არ ეთქვა, კონცერტში სულ ტყუილად ჩავსვიო. რეპეტიციებზე წარამარა ვეკითხებოდით, როგორიაო და გვპასუხობდა: ბავშვებო, რატომ ნერვიულობთ, ფანტასტიკურიაო. შემდეგ მისი თანაშემწეები მოვიდნენ და გვთხოვეს, ისე მოსწონხართ, ძალიან გთხოვთ, ნუ გადასდებთ თქვენს ნერვიულობასო. ძალიან მშვიდად არის და თქვენ გამო ნერვიულობსო.

რატი: არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, მანამდე როგორ გვექცეოდა: მაკას სადაც დაინახავდა, ეხუტებოდა და დიდ სითბოს გამოხატავდა. კიდევ იგორ კრუტოი არის ჩვენთვის ასეთი ადამიანი, საოცარი პიროვნებაა. წელს ყველა ვარსკვლავთან უკვე სხვა ტიპის ურთიერთობა დავიწყეთ. მაშინ კონკურსანტები ვიყავით, ახლა უკვე სხვა სტატუსით ჩავედით.

– ვიცი, რომ კრუტოიმ ძალიან გაქოთ ტელეკამერის წინ და ეს ეთერში ვერ მოხვდა.

მაკა: „იმედმა“ იგორ კრუტოის ჩამოართვა ინტერვიუ სალომესთან დაკავშირებით. გვერდით შვილი ედგა და იმანაც აღნიშნა, რომ სალომე საუკეთესო იყო. უცბად, კრუტოიმ დამინახა და ხელი დამიქნია – აქ მოდიო. არადა, ის არავისთან მიდის, პირიქით ხდება სულ. ინტერვიუ დამთავრებული არ ჰქონდა და აქცენტი ჩემზე გადმოიტანა, ჩამეხუტა. რატი იმ დროს იქ არ იყო. არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ, მიუბრუნდა ჩართულ კამერას და თქვა, მაკა ჩემი საყვარელი მომღერალიაო *(ილიმება)*.

მაკა ზამბახიძე: „პოლინა გაგარინა როგორ შეგვხვდა, იცი?! რომ ჩაგვკიდა ხელი, აღარ გაუშვია; სულ „ჩემებო, ჩემებოს“ გაიძახოდა; იგივე დუბცოვა. აკანკალებთ, დედას ვფიცავარ“

რატი: ასევე, ეთერში არ მოხვდა აგუტინის ინტერვიუ, სადაც ჩვენზე ლაპარაკობდა – სულ დუეტ „ჯორჯიას“ ახსენებდა. აგუტინმა კონცერტის შემდეგ გვითხრა, ათი თავით მაღლა იდექით კონცერტზეო. რეპეტიციაზე რაღაცეები გვეშლებოდა და კონცერტის მერე გვითხრა, თქვენ ნამდვილი არტისტები ხართო.

მაკა: მან ამ სიმღერის შესრულების უფლება მოგვცა. გვითხრა, ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს სიმღერას ჩაწერთო. ვაპირებთ, ჩავწეროთ და გავუგზავნოთ. აუცილებლად იმავე სტილში უნდა ჩაწეროთ. მომღერლებს თავიანთ რეპერტუარში ჰიტები არ უყვართ. „პრაშჩაი“ არ არის ჰიტი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არის, მისი აზრით, საუკეთესო სიმღერა.

მაკა: „იქ სიტყვას ძალიან დიდი ფასი აქვს, უაზროდ არავინ არაფერს დაგპირდება“

– ანუ, კმაყოფილები ხართ შედეგით.

რატი: ძალიან. იცოდი, რომ თურმე, აქ ვილაც-ვილაც მომღერლები „იურმალის“ დონეზე და რაღაცეებზე ალაპარაკებულან?! არადა, ზუსტად ვიცი, ოთხი წლის განმავლობაში რევზინის კართან იყვნენ აყუდებულები და ქასთინგსაც კი ვერ გადიოდნენ. ნუ დაავიწყდებათ, როგორ ოცნებობდნენ ამ კონკურსზე მოხვედრას.

– რაიმე რეალური შემოთავაზება არ გაქვთ?

მაკა: სულ არის საუბრები ამაზე, არის რაღაც წინადადებებიც, მაგრამ, მოხდება თუ არა მათი განხორციელება, ეს უკვე ღმერთის ნებაა. ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ წლევანდელი კონკურსით. შეიძლება, არ არის საჭირო, რომ წავიდეთ და სხვაგან ვიმოღვაწეოთ. ხუთი წლის წინ უამრავ შემოთავაზებაზე ვთქვით უარი და, დღესაც დარწმუნებულები ვართ, რომ სწორად მოვიქეცით. წელს ურთიერთობების აღდგენის, კონტაქტების ხელახლა დამყარების წელი იყო. იქ სიტყვას ძალიან დიდი ფასი აქვს, უაზროდ არავინ არაფერს დაგპირდება. ყველაფერს საქმიანად უყურებენ. თუ უნდათ, რომელიმე კონცერტში მონაწილეობა მიიღო, ორი, ან, მინიმუმ, ერთი თვით ადრე გირეკავენ, გითანხმდებიან.

რატი: ჩუმად მითხრეს, რომ რამდენიმე პროდიუსერმა თქვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვაო, მაგრამ, ეს ყველაფერი საუბრის დონეზე იყო. რომ გითხრა, რამე რეალური წინადადებით, დაგეგმილი ტურნეთი ჩამოვედით, არა. ერთგვარი მოთელვა იყო, თავის შეხსენება იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც დიდი სითბოთი და სიყვარულით მიგვიღეს. გეუბნები, დილიდან იწყებოდა ზარები: სად ხართ, რას აკეთებთ, როდის მოხვალთ... რამდენიმე კორპორაციული ზარი გვქონდა და, აგვისტოს შემდეგ, როცა ჩვენ საქმეებს მოვითავებთ, უკვე დავიწყებთ ვიზებზე ფიქრს. აქტიურად ვმუშაობთ: ჩვენი ორი სიმღერა გამოსასვლელია; კლიპის გადაღებას ვაპირებთ და კონცერტებიც გვაქვს დაგეგმილი. აქტიურად მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისთვის მოწაფეების მიღება ჩვენს სტუდიაში. მოკლედ, ბევრი გეგმა გვაქვს, რომელთა განხორციელების შემდეგ უკვე შეიძლება სხვა ქვეყნებში კონცერტების ჩატარებაზე ფიქრი.

სალომე გველესიანი

მრძნობელი აზრები

გრიოციუსი: თავისუფლება ძალაუფლებაა, რომელიც საკუთარ თავზე მოვიპოვეთ.

გოეთე: საკუთარი არასრულყოფილების შეგნება გვაახლოებს სრულყოფილებასთან.

ჟირარდენი: თანასწორობა აღშფოთებულთა უტოპიაა.

ფლობერი: მერე და სხვა რა არის თანასწორობა, თუ არა უარყოფა თავისუფლების, ყოველივე ამაღლებულისა და თვით ბუნებისა? თანასწორობა მონობაა.

ბარბიუსი: ყველაზე მაღალი იდეალების ქადაგებაც კი არაფერს ემსახურება, თუ ვერ ხედავთ სწორ გზას მის მისაღწევად.

ვოლტერი: ისტორია მხოლოდ დანაშაულთა და უბედურებათა აღწერაა. უდანაშაულო და მშვიდობისმოყვარე ადამიანთა უმრავლესობა თითქმის ყოველთვის უკან დგას ამ საშინელ ასპარეზზე. მთავარი მოქმედი პირები კი მარტო პატივმოყვარე გაიძვერები არიან.

შილერი: კანონი სუსტის მეგობარია.

ბრუდზინსკი: კანონი შესვენების დროს აწესებს, მაგრამ სადილის გარანტიას არ იძლევა.

როზენფელდი: კრიტიკა მრავალთათვის საკუთარი თავის გამოჩენის ერთ-ერთი სახეობაა.

სენტ-ეკზიუპერი: კულტურა ემყარება არა შექმნილი ნივთების გამოყენებას, არამედ მხურვალებას, რომელსაც ისინი გამოსცემენ.

სტენდალი: ლაპარაკის ცოდნა ნიჭია.

ბალზაკი: თუ ყოველთვის შენ ილაპარაკებ, მუდამ მართალი იქნები.

მარტინ ლუთერი: ლუდს ადამიანი ქმნის, ღვინოს კი – ღმერთი.

ტვენი: დიადი და ამაღლებული ლიტერატურა ღვინოა, ჩემი კი – წყალი, მაგრამ წყალს მეტი სვამს.

შოუ: გრძნობა ბიძგს აძლევს ადამიანს აზროვნებისთვის.

სპენსერი: ყმაწვილის აღზრდის საიდუმლოება ის არის, იცოდეს დროის ყაირათიანად ხარჯვა.

ჰიტლერი: ეგოიზმი ერთმანეთისგან განაშორებს და ერთმანეთისკენ იზიდავს ადამიანებს.

რივაროლი: ენა გარეთ გამოტანილი აზროვნებაა, აზროვნება კი – შინაგანი ენა.

დოსტოევსკი: სულელი, რომელიც აღიარებს, რომ სულელია, უკვე სულელი აღარ არის.

უაილდი: სიფრთხილე ის არის, რასაც სიმხდალეს ვუწოდებთ, თუ მას სხვები იჩენენ.

სენეკა: ვნებები ჭკუას ანიჭებს ყველაზე ბრიყვ ადამიანებს და აბრიყვებს ყველაზე ჭკვიანებს.

თუ გაგოიცნოთ

1. როდესაც პატრიარქმა ნიკონმა, ახალი იერუსალიმის ტაძრის მშენებლობა დაიწყო, გარშემო ბორცვებს ახალი სახელები დაარქვეს: სიონი, ელეონი და თაბორი. სოფელი – ზინოვიევის უდაბნო – კაპერნაუმი გახდა. **რა დაარქვეს მდინარე ისტრას?**

2. დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ჰუმანური პროფესიის წარმომადგენელთა კავშირის ემბლემაზე გამოსახულია ყაყაჩოს ორი ყვავილი. **დაასახელეთ ეს პროფესია.**

3. ალექსანდრე მაკედონელს, ყელზე მიღებული ჭრილობის გამო, თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადახრილი, ამიტომაც მარცხნივ იხედებოდა. ამის შემდეგ ელინისტური აღმოსავლეთის ყველა მმართველი მარცხნივ იყურებოდა, ვასალურების კი – მარჯვნივ. მარცხნივ იყურებოდნენ, ასევე, ევროპელი მონარქები, მხოლოდ კრომველმა გაიხედა მარჯვნივ. მისმა მომდევნო მეფემ, რადგან კრომველს ვერ იტანდა, კვლავ მარცხნივ გაიხედა. ამის შემდეგ, ყველა ბრიტანელი მონარქი თავისი წინამორბედის საწინააღმდეგოდ იყურება. **როდის ხდება ეს?**

4. ფერდინანდ პორშეს აზრით, რა ფერის მანქანას ყიდულობს ადამიანი, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, **რომელი ფერია უკეთესი?**

5. ქვეყნის ნაწილი ექვსია: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ანტარქტიდა. კონტინენტიც ექვსია. თუმცა, ევროპა და აზია ერთ კონტინენტს ქმნის. **დაასახელეთ, რატომ არის მაინც 6?**

6. 1896 წელს იმპერატორმა ნიკოლაი მეორემ შესარჩევ სახელთა სიაში, სადაც, აგრეთვე, შედიოდა: აფროდიტე, ვლადიმირი, იაგუდიილი, აზარდი და სხვა, პირველი სიტყვა შემოხაზა. ალბათ, ამ სიტყვის მნიშვნელობა მაშინ რუსეთის იმპერიის მოსახლეობის მცირე ნაწილმა იცოდა, თუმცა, 21 წლის შემდეგ მისი ხმა, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში დიდი ცვლილებების დასაწყისის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, მთელმა მსოფლიომ „გაიგო“. **რისი ხმა?**

7. იაპონელები მას მახობინს ეძახიან. „მახო“ – ჯადოსნურს, მაგიურს ნიშნავს, „ბინ“ ბოთლია, ანუ „ჯადოსნური ბოთლი“. ალბათ, ამ ჭურჭლის განსაკუთრებული თვისების გამო. **რას ვეძახით ჩვენ მას?**

8. სიტყვა, რომელიც ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „სხვადასხვა ტიპი“, ერთობლივად მუშაობისთვის სხვადასხვა ტიპის მანქანების, აპარატების ერთ მოწყობილობად შეერთებას ნიშნავს. **რომელი სიტყვა?**

9. ძველ რომში ასე ეძახდნენ ადამიანს, რომელიც საუბარში ძველებურ გამოთქმებს იყენებს. შემდეგ ამ სიტყვის მნიშვნელობა რამდენადმე შეიცვალა – ახლა ასე ნივთებს ჰქვია, თუმცა ძველი მნიშვნელობის ნიუანსი ამ ნივთებშიც არის. **დაასახელეთ სიტყვა.**

10. 1925 წელს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ლატვიელთა 80 პროცენტი კომუნისტური პარტიის წევრი იყო, 1940 წელს კი – მხოლოდ 30 პროცენტი. **დაასახელეთ ამის მთავარი მიზეზი.**

პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე

მხოლოდ ფაქტები

* ძველინდურად ჩაკრა წრეს ნიშნავს.

* კანადაში მრავალი უცნაური კანონია. მაგალითად, ონტარიოში კანონი ჩიტებს უკრძალავს ღამით 15 წუთზე მეტხანს ჭიკჭიკს. საჰაერო ტრანსპორტის სარგებლობის წესებით, რომელიც კანადის მთავრობამ დაამტკიცა, მგზავრებს ეკრძალებათ თვითფრინავში ჩაჯდომა... ფრენის დროს.

* კარაქს თავდაპირველად, დასავლეთ ევროპელი ცნობილი ქალები, პომადად იყენებდნენ. ასე იყო 200 წლის განმავლობაში, სანამ მეთხუთმეტე საუკუნიდან ლამპებსა და სანათებში არ დაიწყეს მისი გამოყენება. მხოლოდ მოგვიანებით, დაახლოებით 1500 წლიდან დაიწყეს მისი ჭამა.

* კაჩინელების ტომში ტყუპებს ორ სახიან ერთ ადამიანად მიიჩნევდნენ. ამიტომ, ახალდაბადებულებს ერთ სახელს არქმევდნენ. როცა ისინი 9 წლის ხდებიან, კენჭისყრას აწყობენ. ვისაც ბედი გაუღიმებს, მას ეს სახელი ხვდება წილად, მის ტყუპისცალს კი, უბრალოდ, „მეორეს“ ეძახიან.

* ყოველ წუთს ჰაერში 3 მილიონი ადამიანია – ეს ნიშნავს, რომ 9 000 ავიალაინერი მიფრინავს დაგეგმილი მარშრუტით. ამასთან, ყოველი მათგანის საჰაერო კორიდორის სიგრძე 16 კილომეტრია.

* პირველი მოწინავე ტექნოლოგიის, „ტაიფუნის კლასის“ წყალქვეშა გემი 1981 წელს ჩაუშვეს წყალში. ის 33 800 ტონას იწონიდა და ტიტანიკზე 2,5-ჯერ მძიმე იყო. ზომით 7 ლურჯი ვეშაპის ტოლი ხომალდი 175 მეტრი სიგრძის 6 ნავით იყო აღჭურვილი.

* ადამიანი წყალქვეშ ყველაზე ღრმად 1960-იან წლებში ჩავიდა – 11 კილომეტრის სიღრმის მარიანის ღრმულში უდიდესი წნევაა (თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრზე 1,17 ტონა), დაახლოებით ისეთი, ერთი ადამიანს თავზე 3 ტანკი რომ დაადგან.

* დომინოს ქვის ზომის ოქრო საშუალო ზომის საცურაო აუზის ფართობამდე შეიძლება გაბრტყელდეს ან მისგან ადამიანის თმის ღერის სისქის და 80 კილომეტრის სიგრძის მავთული მივიღოთ.

შამათი ორ სვლაში



წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:
1. ლd2-g5!
შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა

მიხოს ბევრი ხაშლამის ჭამისგან მუცელი ასტკივდა. ქალაქში წასვლის დრო სად იყო და, სოფლის ამბულატორიაში მივიდა.

– გულნაზი ექიმო, ე ოხერი მუცელი ფინ-

თად მიჭყრიალებს, მიშველე რამე.

– დაწექი, მოვალ, – უთხრა გულნაზი ექიმმა და ხელის დასაბანად გავიდა. რომ მობრუნდა, ხედავს, მიხო დაწოლილა და რაც შეუძლია კედელს ეკვრება.

– რას მიჰკვრიხარ მაგ კედელს, აქეთ გამოიწი, – ეუბნება გაოცებული ექიმი.

– მა, შენ როგორღა დაწვები?

***

– გვიან კი გეკითხები, შენთან უკვე ვიწექი, მაგრამ, მაინც უნდა გკითხო: ცნობა გაქვს, რომ შიდსით არ ხარ დაავადებული?

– რა თქმა უნდა.

– შეგიძლია, დახიო.

***

გურული თბილისში ჩაესიძა. სოფელში რომ ჩავიდა, სოფლელები შემოეხვივნენ:

– როგორ გრძნობ თავს ქმრის როლში?

– მესამეკლასელი ბაღანასავით.

– ვაიმე, შეგვარცხვინე, ბიჭო, სექსი არ გამოგდის?!

– მაი რავა არ გამომდის, მარა პაპიროზს უბორნიაში ვეწევი, ჩუმათ...

***

– წამო რესტორანში, რა! – ეხვეწება ძმაკაცს ჭიჭიკია.

– არ მცალია, მარტო წადი.

– უშენოდ ვერაფრით ვერ წავალ!

– რატომ, კაცო?!

– ფული არ მაქვს...

***

ექსკურსიამძღოლი:

– ახლა ჩვენ ჩავუვლით ცნობილ საროსკიპოს.

– რატომ ჩავუვლით? რავა... შესასვლელი არ აქვს? – ყვირის კუკურა ბოლოდან.

***

– ასეთი არაფერი მინახავს, კაცო, ჩემს ცოლს ასოცპროცენტიანი სმენა აქვს.

– კონსერვატორია დაამთავრა?

– კონსერვატორია არა, ის... გუშინ ნოხზე დავაფერფლე და აბაზანაში გაიგონა.

***

ლოთის ფილოსოფია: რაც უფრო მეტს ვსვამ, მით უფრო მიკანკალებს ხელები; რაც უფრო მიკანკალებს ხელები, მით უფრო მეტი ღვინო მეღვრება და მით უფრო ნაკლებს ვსვამ; ზნაჩიტ, რაც უფრო მეტს ვსვამ, მით უფრო ნაკლებს ვსვამ.

***

– რა უბედურებაა, ტრასიდან სოფლამდე გზაზე არც ერთი ხე რომ არ დგას! ამას წინათ ქალაქიდან შუადღისას დავბრუნდით და მე და ჩემი ცოლი ერთმანეთის ჩრდილში ვგრილდებოდით რიგრიგობით.

***

– აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, – ქოთქოთებს თალიკია.



– რა მოგივიდა, აღარ იტყვი?

– ქმარი გავუშვი ორი წლის წინ გერმანიაში სამუშაოდ და ახლა მითვლის, მოჰკიდე ჩვენს ორ შვილს ხელი და ჩამოდიო.

– მერე, მაგას რა ჯობია?!

– რას რა ჯობია, ქალო, არ გადამრიო, უკვე ოთხი შვილი მყავს!

***

ვახოიამ მაგარი ნაშა დაითრია და სასტუმროს ნომერში ჩაკეტა. მერე ებდღვნა და სულ შემოაგლიჯა ტანსაცმელი.

– რას შობი, ბიჭო, ვარს ხვარ გეუბნები, ტანსაცმელს რეიზა მახევ?! – წუწუნებს ქალი.

– სანამ შენ ამ სასტუმროდან გაგიშობ, მაგი აღარ იქნება მოდაში.

***

გურული ყურის ექიმთან მიდის:

– ექიმო, მარჯვენა ყურში არაფერი მეყურება.

ექიმი სინჯავს, მერე სინანულით გადააქნევს თავს.

– ეს სიბერის ბრალია.

– რაის? აქეთ მითხარი, მარცხენა ყურში.

– სიბერის ბრალია, სიბერის!

– რაფრა ახლა, მარცხენა ყური უფრო ახალგაზრდაა, ვითომ?

***

მოსწყინდა კაცს კატა, ჩაისვა ჩანთაში და წაიყვანა, რაც შეიძლება შორს... დაბრუნდა კატა სახლში და ასე განმეორდა რამდენჯერმე... ბოლოს გაიყვანა ქალაქგარეთ, შევიდა ტყეში, სადღაც შორს და იქ გაუშვა, მაგრამ, თვითონ გზა დაებნა და რეკავს სახლში:

– მისმინე, ჩვენი კატა მოვიდა?

– კი.

– აბა, დამალაპარაკე..

***

– მე ვიცი ნებისმიერი ქალისთვის ყველაზე საყვარელი პოზა...

– აბა, რომელი?

– ქალი ოდნავაა წინ გადახრილი და... ათვალიერებს ბრილიანტის ბეჭედს, მის უკან კი მამაკაცი საფულეს ხსნის.

***

თუ თქვენ არ გაქვთ საკუთარი ბინა, სასურველი ავეჯი, მანქანა, ჰიპერტონია, იშემია, ოსტეოქონდროზი... ესე იგი, თქვენ ახალგაზრდა ხართ და ყველაფერი წინ გაქვთ...

***

– ამიწერე შენი თავი.

– ძვლები, ხორცი, ნახევარი ვედრო სისხლი და მხიარული თვალები.

***

– ქალებო, თუ თქვენ გინდათ, რომ ხელით გატარონ, ეცადეთ, არც ერთი სადღეგრძელო არ გამოტოვოთ...

ᲙᲣᲭ-ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘ (ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲝᲑᲐ, ᲤᲐᲦᲐᲠᲐᲗᲘ, ᲨᲔᲑᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ) ᲓᲘᲡᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲝᲖᲘ

ᲛᲘᲘᲦᲔᲗ

ᲚᲐᲥᲢᲝ-ᲯᲘ

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

როგორ უმასპინძლა „სუხიშვილების“ აკორდეონისტმა ტოკიოელებს თავიანთ ქალაქში

იმხანად ანსამბლ „სუხიშვილებთან“ ერთად იაპონიის დედაქალაქში, ტოკიოში ვიმყოფებოდით.

ჩემი კუთვნილი აკორდეონი ფრიად „საფრთხილო“ ინსტრუმენტია, საკმარისია, ოდნავ შეიცვალოს კლავიშის ადგილმდებარეობა და სულ სხვა ხმას გამოსცემს.

პროფესიონალებს არ გაუკვირდებათ, არაპროფესიონალებმა უნდა დამიჯერონ, რომ ასეა. აქედან გამომდინარე, აკორდეონიან ჩემოდანს ჯიბის პორტფელივით მუდამ თან ვატარებ.

ასე იყო იაპონიაშიც.

მოვედევით მაღაზიებს... ვის რა უნდა, ვის – რა...

ცოტაოდენ ფულს გვიხურდავებდნენ იუენებზე და პრინციპში, რა უნდა გვეყიდა? არც არაფერი – უბრალო სუვენირიც კი სასიამოვნოა.

მოკლედ, ეს არაა მთავარი და მოვედეთ იაპონურ მაღაზიებს. მოგეხსენებათ, იაპონიაში მხოლოდ მაღაზიები არაა, იაპონია საერთოდ ზღაპარია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადააწყდებით რაღაც საოცრებას, მით უმეტეს, ტექნიკის ამბავში და „გაგებაში“.

მოკლედ, მივდივარ, ხელში ჩემი გარმონი მიჭირავს და აუტანელ სიცხეში, მომწყურდა.

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“. „პივის“ ავტომატი დავლანდე.

მასე სადაა, ბიძია... იუენი (იაპონური ხურდა) თუ არ ჩააგდე, არ ჩამოგისხამს.

მოვიჩხრიკე ჯიბეები და... ჩავაგდე ავტომატის „კასაში“ იუენი.

ჩხრუუუ... ხმა კი გავიგონე, მაგრამ გაგწბილდი, „პივა“ არ ჩანს. ისევ ჩავაგდე სიმწრ-

ით გამეტებული მეორე – ჩხრუუ – აჰ, არა...

გავგიჟდი თბილისელი კაცი და ეს ჩემოდნიანი აკორდეონი გავუქანე ბრაზით ავტომატს.

– ჩხრუუ, – გაივსო ბოკალი.

გაგიხარია, გავიხარეე... ვთხლიშე ცივ-ცივი „პივა“ ჟანგიან ყელში.

ეს რომ ჩავხეთქე, ერთიც გაიჩხაკუნა ავტომატმა და ჩხრუუ – გამოვარდა მეორე ნაკადი... ძლივს მოვასწარი ბოკალი მომემარჯვებინა... გაივსო, დავლიე და ჩხრუუ... ისევ იფეთქა... შევუშვირე და გავსკდები ახლა!.. ავტომატი აღარ ჩერდება, მოდის და მოდის.

დადგა იაპონელების რიგი, ახლა იმათაც ვაწვდი რიგრიგობით.

შეწყდა, როგორც იქნა.

მეწყინა და გავუქანე ჩემი აკორდეონიანი ჩემოდანი ავტომატს.

დარტყმა და ჩხრუუ ერთი იყო... დადგა რიგი და ვმასპინძლობ იაპონელებს თავიანთ ქვეყანაში.

ერთი სათვალიანი, მომელოტო იაპონელი მომიახლოვდა:

– აკადეონა, აკადეონა? – მანიშნებს ჩემს ჩემოდანზე.

– იეს, იეს... (ინგლისური უფრო მემარჯვება).

– დოლალა, დოლალა (დოლარებს მოგცემ, მომყიდე, ეგ რა ყოფილაო).

– ნოუ, ნოუ, – გავცხე ფეხი – არ გამოვა-მეთქი.

– მაშინ, – უზარმაზარი მონდომებით გამაგებინა, – ცოტა ხანს მაინც მათხოვეო. უარი ვერ ვუთხარი (მაინც ქართველი ვარ) და ამანაც გაუქანა და თხლიშა ავტომატს.

ავტომატიც ძალიან გულუხვობდა – ჩხრუუ, დაიძახა და ააქაფა ჭურჭელი.

ეს იყო და ეს... იაპონელი პოლისმენებიც წამოადგნენ და რაც მე მივქარე, იმის ფულიც დააწერეს საწყალს.

ისე, კარგი ქალაქია ტოკიო...

მოამზადა
მურმან მერკვილიშვილმა

რატომ ეუბნებოდა ჩინელ ბიჭს სიდედრი ხინკლის გაკეთებაზე უარს

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? მე არა მიშავს. ვცხოვრობ ძველებურად.

ქართული ტრადიციული 40 დღე გავიდა, მე ლამზირა და ჩუენ საო ისევ ჩვენს სახლში ვცხოვრობთ. ჩემი შვილი ძალიან ლამაზია – წითელი დრაკონის კვირაში დაიბადა და, ალბათ, იმიტომ. სამი სახელი რომ არ ჰქონდეს, კარგი იქნება, მაგრამ, რას ვიზამ. მე ჩუენ საოს ვეძახი, ლამზირა – ნინოს, მისი ნათესავები კი – ელისოს, თუმცა, როდესაც ისინი ჩვენთან მოდიან სტუმრად, ლამზირაც ელისოს ეძახის. ისე „სტუმრად მოსვლა“ ძალიან მოკრძალებული ნათქვამია – ლამზირას ნათესავების დელეგაცია რომ მოდის, სტუმარს მე უფრო ვგავარ ვიდრე იმათგან რომელიმე.

დედა, ბავშვს რომ შეხედო, იმწამსვე მიხვდები, რომ ჩვენმა გენმა გაიმარჯვა – გაჭრილი ვაშლივით ჰგავს დედაშენს, ბებია სინ სატიაოს. ლამზირას დედა ამბობს, ჩემი ბავშვობის სურათი დავკარგე, თორემ, გაჩვენებდით, როგორ მგავსო. ერთი რამ კარგი სცოდნიათ ამ ქართველებს: ბავშვისთვის ერთი კაბაც არ მიყიდია – ვინც მოდის, ყველას ტანსაცმელი მოაქვს, თუმცა საჩუქარზე ორჯერ მეტი ღირებულების საჭმელს მიირთმევენ ჩვენთან, მაგრამ, ქართული გამოთქმაა ასეთი – ყვავს კაკალი გააგდებინო, ეგეც კარგიაო.

ამას წინათ ვუთხარი ჩემს სიდედრს, კობას სიდედრი სულ ხინკალს გვიკეთებს და ერთხელ შენც გამიკეთე-მეთქი. ასე მითხრა, რომელი ხევსური მე მნახე, ჭინჭარი მაქვს ხახვში გაკეთებული და, თუ გინდა, ის ცეცხლეო. მე ვუთხარი, შაბათს მოვალ და, ეცადე, იქნებ გამოგვიდეს გაკეთება-მეთქი. მორჩა, დედა, ჩემი სიდედრი ან ხინკალს გამიკეთებს, ან ოჯახს დავანგრევ!

პატარა ჯერჯერობით დედის რძისა და ფაფის გარდა ვერაფერს ჭამს, მაგრამ, მისი ფაფის ფასით ათი პური მოგვივა, ისეთი ძვირია. ერთხელ შემთხვევით წამომცდა, პამპერსი რად უნდა, მე უპამპერსოდ გავიზარდე-მეთქი და, ლამზირამ და ჩემმა სიდედრმა ისეთი სახით შემომხედეს, მიწა როგორ არ გამისკდა ფეხქვეშ, ახლაც მიკვირს. ლამზირას სადღაც წაუკითხავს, ბავშვის ტვინს კონსტრუქტორი სათამაშოები ავითარებსო. ატყდა და 50 ლარად იმხელა კონსტრუქტორი მაყიდვინა, მთელი მაგისი სანათესაო რომ დაუჯდეს, სამი წელი ვერ ააწყობენ, ისეთი ძნელია, ჩვენი ბავშვი კი სულ 2 თვის არის.

ჯერჯერობით სულ ეს არის, დედა, მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით, გკოცნით ყველას.

გკოცნით
თქვენი ტობი ვონგი

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მ ი ი ღ ე თ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ანა კოვაჩი: ერთი წელი ვიყავი ლოს-ანჯელესში. ქალბატონმა იამ ამერიკაში ერთ-ერთ საუკეთესო სააგენტოში – „ჰოლივუდ მოდელსში" გამიშვა, სადაც ძალიან თბილად, კარგად შემხვდნენ. რაც მთავარია, ძალიან ვიყავი დაკავებული: დღეში რამდენიმე ქასთინგი მქონდა და არაერთი საინტერესო გადაღებაც. ლოს-ანჯელესში ახალი ტრენდი გამოიგონეს – სტიკერები გააკეთეს ფრჩხილებისთვის და მე გამაკეთებინეს რეკლამა, ფოტოები გადამიღეს. მქონდა ცნობილი იტალიელი დიზაინერის, ალბერტა ფერეტის შოუ, რომელიც ფრანგულ შატოში გაკეთდა. ლინდსი ლოჰანიც იყო მოწვეული ჩვენებაზე; ასევე, „ანასტასია ბევერლი ჰილზს" გავუკეთე სარეკლამო ვიდეო. ანასტასია რუმინელი ქალია, რომელმაც საკუთარი კოსმეტიკური ხაზი გააკეთა. ბევრი ცნობილი ადამიანი, მათ შორის, ოპრა უინფრი და სხვები, მის პროდუქციას იყენებენ, მის სალონში დადიან. გარდა ამისა, ვიმუშავე გერმანელ დიზაინერთან, ჯესიკა ფოლკნერთან – მისი „ლუქ ბოქუ" გადავიღეთ. ერთ-ერთი გადაღების დროს თეთრი პარიკი დამახურეს და უდაბნოში წამიყვანეს. ძალიან ლამაზი ფოტოები გადავიღეთ.

– ახლა მომიყევი, როგორ გაიცანი შენი საქმრო.

– ლოს-ანჯელესში რუმინელ მეგობართან ვცხოვრობდი სახლში. სულ ვწუხდი იმაზე, რომ ვერც ქართველს ვნახულობდი და ვერც რუსს, „ფეისბუქშიც," ან ქართულად ვსაუბრობდი, ან ინგლისურად. ტელეფონზე მხოლოდ დედას ვესაუბრებოდი რუსულად, ამიტომ, ჩემს დაქალს ვეუბნებოდი: სულ დამავიწყდა რუსული, რა იქნება, იყოს ვინმე, ვისაც რუსულად დაველაპარაკები-მეთქი. ერთ დღეს, ორივე კომპიუტერთან ვისხედით. იმ დღეს შეიცვალა „ფეისბუქის" დიზაინი და მაჩვენა – ნახე, როგორ შეცვალეს, არ მომწონსო. უცებ დავინახე მის მეგობრებში ვიღაც ბიჭი, რომელსაც არ ვიცნობდი, არადა, მისი ყველა მეგობარი ვიცოდი ან პირადად, ან – ისე. მითხრა: ჩემი საქმროს მეგობარია, ყაზახეთში ცხოვრობს, რუსულად ლაპარაკობს და, მიდი, მისწერეო. მეგობრებში დავიმატე. თვითონ გამომელაპარაკა და, პირველი, რაც მომწერა, „გამარჯობა" იყო. ადრე საქართველოში ორი წლის განმავლობაში მუშაობდა, ამიტომ, კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას, ხალხს და ძალიან უყვარს. დავიწყეთ ურთიერთობა და მოგვეწონა ერთმანეთი. შემდეგ ჩამოვედი თბილისში, წამოსვლის წინ კი ჩემი ნომერი მივეცი. სახლში რომ მივედი, დამირეკა და მითხრა: ბილეთი ავიღე და მეც საქართველოში ვარო. შევხვდით და ერთი დანახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი. თან, მანამდე „ფეისბუქში" ძალიან ბევრ რამეზე ვსაუბრობდით, უკვე ვიცნობდით ერთმანეთს. თუმცა, არ მიფიქრია იმაზე, რომ მომავალში ჩვენ შორის რამე მოხდებოდა, ოდესმე ვნახავდი. მაგრამ, ძალიან საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა, ბევრ რამეზე ერთნაირად ვფიქრობდით.

– ჩამოსვლისთანავე მოგიწყო სიურპრიზი.

– კი. ჩემი მშობლების გაცნობის სურვილი გამოთქვა, მე კი უარზე ვიყავი. ვიფიქრე: შევხვდით, ვნახეთ, მაგრამ, ერთმანეთს არც ისე დიდი ხანია, ვიცნობთ-მეთქი. რაღაც საქმეები ჰქონდა, უკან უნდა გაფრენილიყო, ამიტომ, უნდოდა ჩემი მშობლები გაეცნო და

მას შემდეგ, რაც ანა კოვაჩი „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიას" გამარჯვებული გახდა, ლამაზი და საინტერესო გარეგნობის მოდელი, წარმატებულად მუშაობდა როგორც აზიაში, ასევე, ევროპის ისეთ ქალაქებში, როგორიც არის პარიზი, ბერლინი, ლონდონი. ბოლოს კი მისი სამოდელო კარიერა ლოს-ანჯელესში გაგრძელდა. ის წლების განმავლობაში თანამშრომლობდა „ლანვინთან", ასევე, მუშაობდა „ელი სააბთან", „გოტიესთან", „შანელთან" და ბევრ ცნობილ სამოდელო სახლთან. მიუხედავად წარმატებული სამოდელო კარიერისა, ანა, ამერიკაში სამუშაოდ წასვლის ნაცვლად, ყაზახეთში საქმროსთან გადავიდა საცხოვრებლად. ანა სექტემბერში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე იწყებს სწავლას და, პარალელურად, ფოტოგრაფიაში მასტერ-კლასების გავლასაც გეგმავს. ასე რომ, ის ალმა-ატაშიც არ ჩერდება საქმის გარეშე და, რაც მთავარია, ამაში მას მოსიყვარულე და ყურადღებიანი საქმრო უწყობს ხელს.

რა ექსპერიმენტებს აჭარებს ანა კოვაჩი საქმროზე და როგორ გადაიყვანა მან ქართულ ყაიდაზე ყაზახი საქმრო და მისი მეგობრები

შემდეგ მე გადავფრენილიყავი ყაზახეთში. მაგრამ, უარზე ვიყავი – მშობლების გაცნობა მაინც ნაადრევად მომეჩვენა. მოკლედ, გაფრინდა და ტელეფონით განვაგრძეთ საუბარი. ეს ხდებოდა აპრილში, მე კი სექტემბერში ისევ ამერიკაში ვაპირებდი წასვლას. ერთ დღესაც, დამირეკა და მითხრა: შენი პასპორტის ნომერი მითხარი, 5 საათში გაქვს ფრენაო. დედაჩემმა იცოდა მისი არსებობის შესახებ, მამაჩემმა – არა. რომ ვუთხარით, გაოცდა: ხომ არ გვეკაიფებიო, ვერ მიხვდა, რას ვამბობდი. დედაჩემმა აუხსნა ყველაფერი. ბოლოს მამამ თქვა: ქართველი რძალი გვყავს ოჯახში, უკრაინელიც გვყავს – ანუ, ჩემს ძმებზე ამბობდა, – ყაზახი კი ჯერ არ გვყოლიაო. მოკლედ, გავფრინდი. შემოდგომაზე ქორწილის გადახდას ვაპირებთ.



უკვე 22 წლის გავხდი და, დროა, სხვა რამეზე ვიფიქრო. თან, შევხვდი ისეთ ადამიანს, ვისთანაც მინდა ცხოვრება

– შენი საქმრო ელოდებოდა შენგან ამ ნაბიჯს?

– მეც არ მეგონა, ამ ნაბიჯს თუ გადავდგამდი, საკუთარი თავის გამიკვირდა. ხუთი წლის განმავლობაში სულ ვმუშაობდი და სხვა არაფერზე მიფიქრია. ალბათ, ასე რომ იაქტიურა, ბევრი კარგი თვისება რომ გამოავლინა, ამ ყველაფერმა განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება. პირველი პერიოდი, მაინც, მიჩვევის იყო, რადგან, გაცნობიდან დიდი ხანი არ იყო გასული, თუმცა, ეს იყო სიყვარული პირველი ნახვით. დასაწყისში ყველაფერი სხვანაირად იყო: ერთმანეთს ვსწავლობდით, ვაკვირდებოდით, ახლა კი სულ სხვანაირი ურთიერთობა გვაქვს. ძალიან მხიარული ადამიანია, თანამედროვედ აზროვნებს. მასში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ, რასაც ამბობს, იმას ყოველთვის აკეთებს როგორც ჩემთან, ასევე სხვასთანაც. ძალიან ყურადღებიანია, გახსნილი, უშუალო, არასდროს არ „იგრუზება" და ყველაფერზე პოზიტიურად ფიქრობს.

– რა მოსწონს შენში ყველაზე მეტად?

– ტლიკინა რომ ვარ, პლუს, ძალიან ენერგიული და ხალისიანი. ყოველთვის ვმოძრაობ, ნამცხვრებს ვაცხობ, საჭმელებს ვუკეთებ, მათ შორის – ქართულ კერძებსაც. მისი მეგობრებიც და ესეც უკვე გაქართველებული მყავს: ყანწებით სვამენ ღვინოს, „გაუმარჯოსო," – ამბობენ და ჩემს მომზადებულ საცივს ჭამენ. მის მეგობრებსაც ძალიან უყვართ საქართველო. ერთად რომ გვხედავენ, ამბობენ, „გრუზია" მოდისო ქართულ ოჯახად აღგვიქვამენ.

– მოდელობას თავი რომ დაანებე, ხომ არ ნანობ?

– არა. უკვე 22 წლის გავხდი და, დროა, სხვა რამეზე ვიფიქრო. თან, შევხვდი ისეთ ადამიანს, ვისთანაც მინდა ცხოვრება. პროფესიონალური ფოტოაპარატი მაჩუქა და ყველგან ფოტოებს ვიღებ. ძირითადად, სულ მას ვუღებ ფოტოებს. ისე დავტანჯე, ნანობს, ფოტოაპარატი რომ მაჩუქა.

– მასზე ატარებ ექსპერიმენტებს, სწავლობ გადაღებას?

– დიახ და, მისი მეგობრებიც შევაწუხე უკვე – მოვიდა ფოტოაპარატითო.

– რას საქმიანობს შენი საქმრო?

– პროფესიით იურისტია, თუმცა, ახლა ნავთობში მუშაობს. მეც ჩავაბარე უნივერსიტეტში, სადაც ჩემი საქმრო სწავლობდა – 1 სექტემბრიდან ფსიქოლოგიურზე ვისწავლი. მანქანის ტარებასაც ვსწავლობ. ასაკით ჩემზე უფროსია, მის ყველა მეგობარს ცოლი ჰყავს, შვილები და, როდესაც სადმე მიდის, ეუბნება: საცოლესთან ერთად მოვდივარ, თქვენც ცოლები წამოიყვანეთო. დედამისთანაც ვმეგობრობ, ხშირად ვნახულობ. ძალიან მოსწონს ჩემი ფოტოები, მეუბნება, ჩარჩოებში უნდა ჩავსვა და მთელ სახლში დავკიდოო, – ამაყობს ჩემით და ეს ძალიან მიხარია. ცდილობს, ჩემი საქმე მქონდეს, რეალიზებული ვიყო. გაიგო, რომ ვხატავ და გალერეაში გამაგზავნა – ხატვაზე უნდა ვიარო. ცეკვაზეც დავდივარ, ფიტნესზეც... უნდა, რომ ბევრი ადამიანი გავიცნო და აქ ჩემი ცხოვრება მოვიწყო. მისი დაჟინებული თხოვნით ჩავაბარე უნივერსიტეტში – უნდა, რომ მეგობრები გავიჩინო.

ნათია უტიაშვილი

გვ. 79

რა ექსპერიმენტებს ატარებს ანა კოვაჩი მომავალ მეულლეზე და როგორ გადაიყვანა მან ქართულ ყაიდაზე ყაზახი საქმრო და მისი მეგობრები

გვ. 74

როდის იყენებს პოეტი ზურაბ რთველიაშვილი ხმოვან პოეზიასა და ვიდეოინსტალაციებს

რატომ აღიქვა ხალხმა თამუნა მუსერიძის გამოქვეყნებული ფოტოები სკანდალურად და მიიჩნევს თუ არა ის საკუთარ თავს სექსსიმბოლოდ

გვ. 2

თბილისელები®

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო ... ადახში

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * ... 25 აგვისტო * ფასი 1,50 ლარი * №34 (660)